K 231·578 / 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანანა ხომერიკი

1832 წლის შეთქმულების მონაწილე
ბერი ფილარეტოს კეკნაძე



„მემატიანე“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ხომერიკი

1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე

„მეცნიერება"
თბილისი
1999

9(479.22)„ 1832

1) კიკნაძე, ფილადელფოს იოანეს ძ.
(1794–1833 წ.)
2) 1832 წლის შეთქმულება

63 . 3 (2 Г)
947 . 922
ხ 716

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილადელფოს კიკნაძე 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იდეოლოგი და ფარული საზოგადოების წესდების, ე.წ. „აკტი გონიურის" შემდგენელი იყო. ის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას შეეწირა.

წიგნში გაშუქებულია ფ. კიკნაძის წვლილი შეთქმულების მომზადებაში, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების რთული გზა. ავტორის მიერ დადგენილია ფ. კიკნაძის ბიოგრაფიის უცნობი ფაქტები, წარმოჩენილია იმ პირების პოზიცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, რომლებთანაც ფ. კიკნაძეს ურთიერთობა უხდებოდა; ახლებურად არის გაანალიზებული ფ. კიკნაძის შემოქმედება. აგრეთვე გამოვლენილია მისი თხზულებები, რომლებიც დღემდე დაკარგულად ითვლებოდა.

რედაქტორი: **ა. ბენდიანიშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
რეცენზენტები: **ე. ხოშტარია-ბრუსე**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
გ. იობაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სპეც-ბიბ.
შენიშვნებ

ხ 3/1999

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

© „მემატიანე" 1999

შესავალი

ფილადელფოს კიკნაძე 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და შეთქმულების წესდების, ე.წ. „აკტი გონიურის" ავტორია. მისი პიროვნებისადმი ინტერესი განპირობებულია 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობით საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისათვის. XIX საუკუნის I მესამედი განსაკუთრებით მდიდარია შეთქმულებებითა და აჯანყებებით, რომლებიც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას მოჰყვა. ამაში მათი უბრალო ჩამოთვლაც კი დაგვარწმუნებს: 1802 წლის კელმენჩურის შეთქმულება, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819-20 წლების იმერეთის აჯანყება, დაბოლოს 1832 წლის შეთქმულება. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა 1832 წლის შეთქმულებას, მაგრამ ალბათ დადგა დრო, რომ იგი სრულფასოვნად შესწავლილი და ახლებურად გააზრებული იქნას. ჩვენი ნაშრომის მიზანი ბევრად უფრო მოკრძალებულია. მასში წარმოჩენილია შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრის მოღვაწეობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებენი, რაც ჩვენი აზრით, წაადგება შემდგომში 1832 წლის შეთქმულების სრული სურათის შექმნას. შეთქმულების ისეთი ამადგარი მკვლევარი, როგორიც გ. გოზალიშვილია, ფ. კიკნაძის შესახებ წერდა: „ფილადეფოსი შეთქმულთა სულიერი საზრდოს სალაროს წარმოადგენდა" (III.52). მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ „ფილადელფოსის პიროვნება შესწავლის ღირსია. ფილადელფოსის სანიმ ბერის სამოსელში ეპოქის ერთი მოწინავე მოქალაქე გვეგულება. მისი ღვაწლის დავიწყება არ გვმართებს" (III. 57).

ფ. კიკნაძე პირველად 1861 წელს მოიხსენია ი. კერესელიძემ ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე. კახეთში მოგზაურობისას ი. კერესელიძეს წმ. შიოს ეკლესიის კედელზე ფილადელფოსის ერთი პატრიოტული ლექსი უნახავს დაწერილი (166.353-355). მაგრამ როგორც თვითონ სინანულით აღნიშნავს, სხვა ლექსებისათვის ვერ მიუკვლევია.

1832 წლის შეთქმულებაში ფ. კიკნაძის მონაწილეობის ამსახველი მასალები 1881 წელს გამოქვეყნდა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტების მე-8 ტომში.

1884 წელს ი. მეუნარგიამ გიორგი ერისთავის თხზულებათა მეორე გამოცემას დაურთო ნარკვევი „გიორგი დავითის ძე ერისთავი", რომელშიც ფილადელფოს კიკნაძეს მოიხსენიებს. აღნიშნავს, რომ 1829 წელს თბილისში ჩამოსულმა ოქროპირ ბატონიშვილმა ხშირი მისვლა-მოსვლა გამართა ალექსანდრე ორბელიანთან, ელიზბარ ერისთავთან, სოლომონ დოდაშვილთან და ბერ ფილადელფოს კიკნაძესთან. ი. მეუნარგია ახლოს არის სიმართლესთან როდესაც წერს, რომ ფილადელფოსმა ოქროპირ ბატონიშვილის რჩევით დაწერა „ფარული მეგობრობის" წესი, მაგრამ როდესაც ი. მეუნრაგია აღნიშნული წესდების შინაარსს გადმოგვცემს, ნათელი ხდება, რომ პირადად მას იგი არ უნახავს. აი, რას წერს მეუნარგია: „ამ წესში დალაგებით იყო მოხსენებული, თუ როგორ უნდა ემოქმედა „მეგობრობის" თითოეულ წევრს. უნდა ჩაეგონებინათ ყმაწვილებისათვის მამულისა და ბაგრატიონების სიყვარული. უნდა გაეხსენებინათ ხალხისათვის ძველი საქართველოს მეფეები, რომელთა დროს ყოველ კაცს ჰქონდა შეძლება მისულიყო მეფესთან და

ეთხოვა მსწრაფლი სამართალი, უნდა ექადაგნათ ფარულად და უეჭველად ორის ერთ-მანეთთან, მესამის დაუსწრებლად" (130. 217). ყოველივე ეს ი. მეუნარგიას აფიქრიანებს, რომ მათი წესდება „მასონების წესდებიდან იყო გადმოღებული" (130.249). ჩვენი აზრით, ი. მეუნარგია საგამომძიებლო კომისიის დასკვნას ეყრდნობა, რომელიც ზემოდასახელებულ „აკტებში" ამოიკითხა.

1901 წელს კირიონ II იმოწმებს ი. კერესელიძის ცნობებს ფ. კიკნაძის შესახებ. ამავე დროს დასძენს, რომ წმ. შიოს ეკლესიის კედელზე ფილადელფოსის ლექსს ხელს აწერს ვინმე ნეოფიტე ფირალოვი (156. 17-18). უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ ცნობას ი. კერესელიძე არ გვაწვდის.

1903 წელს მღვდელმა პ. კარბელაშვილმა გაზეთ „ივერიაში" გამოაქვეყნა მოკლე წერილი „ბერი ფილადელფოს კიკნაძე" (171. 3), რომელშიც ზოგი ფაქტი პირველწყაროებზე დაყრდნობით არის მოყვანილი, ხოლო იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც ავტორს დოკუმენტურად შესწავლილი არა აქვს, იგი საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს. ამასთან, პ. კარბელაშვილი ერთმანეთში არ ურევს უტყუარ ფაქტებსა და ჰიპოთეზებს. ამდენად, მას შეცდომაში არ შეჰყავს მკითხველი. 1906 წელს ა. ხახანაშვილმა რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან, რომელშიც აღნიშნა ფ. კიკნაძის ღვაწლი (145). 1917 წელს ქართულ ენაზე გამოიცა ა. ხახანაშვილის ნაშრომი „ქართული სიტყვიერების ისტორია", სადაც მოცემულია მოკლე ცნობები ფ. კიკნაძის შესახებ. ნათქვამია რომ, „მან მოიგონა საიდუმლო ანბანი და შეადგინა „ფარული და განუწყვეტელის მეგობრობის წესდება" (144. 14-15). ა. ხახანაშვილს ეს წესდება არ უნახავს. ის დარწმუნებულია, რომ ამ დოკუმენტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ამიტომ საკუთარი აზრის გამოთქმა არ შეუძლია და მხოლოდ კომისიის დასკვნას გვაცნობს, რომლის თანახმად „ეს წესდება იყო მისტიური ნაწარმოები, აღებული მასონების ან სხვა საიდუმლო საზოგადოებათა წესდებიდან". ა. ხახანაშვილი გვაწვდის აგრეთვე საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ ალ. ორბელიანის დრამაში „მეფე დავით აღმაშენებელი ანუ საქართველოს უკანასკნელი ჟამი" გამოყვანილი სერაფიმ ბერის პროტოტიპი — ფილადელფოს კიკნაძე ყოფილა (147. 35).

საინტერესო ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძემ ი. ჯაბადართან პოლემიკის დროს კიკნაძე ბერის ლექსი გამოიყენა:

„შენ, ვარდის კონავ,
დრამის წონავ,
რა მოგიჩმახავს" (143.122).

1919 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი — „ისტორია „ფარული საზოგადოებისა". ფილადელფოს კიკნაძე". ეს იყო ფ. კიკნაძის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის პირველი ცდა. ზ. ჭიჭინაძეს ხელთ არ ჰქონია საარქივო მასალები, ამიტომ მან ყურმოკრულ ამბებს მოუყარა თავი, რომლებიც დოკუმენტურად დადგენილ ფაქტებს არ ემთხვევიან. ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება მეტად დაბალია, მაგრამ დასაფასებელია, რომ ზ. ჭიჭინაძემ შეძლებისდაგვარად გააცნო მკითხველს ფ. კიკნაძის ღვაწლი და გააღვიძა ინტერესი ამ პიროვნების მიმართ. ფ. კიკნაძეს ზ. ჭიჭინაძე თავის სხვა ნაშრომებშიც იხსენიებს, ესენია: „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები, სოლომონ დოდაშვილი" და „სოლ.

დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების" წინაშე". ამ ნაშრომებში ზ. ჭიჭინაძე კიდევ უფრო დაუზუსტებელ ცნობებს გვთავაზობს ფ. კიკნაძის შესახებ. 1922 წელს მანვე გამოაქვეყნა გაზეთში „ტრიბუნა" (№ 194 და № 195) ვრცელი ნარკვევი „ფარული საზოგადოების მოქმედნი პირები. ფილადელფოს კიკნაძე", რომელშიც ფ. კიკნაძის შესახებ ძველ გამოკვლევას ახალი ფაქტები დაუმატა. როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, ისინი არ შეესაბამებიან სინამდვილეს.

1927 წელს გ. გოზალიშვილმა პირველად გამოაქვეყნა ფ. კიკნაძის „აკტი. გონიური" (113. 3-5). იმავე წელს მ. პოლიევკტოვმა თავის მიმოხილვაში „საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში" — გვამცნო, რომ მღვდელ-მონაზონ ფ. კიკნაძეს ფარული მეგობრობის აქტის გარდა, დაწერილი ჰქონია „იერემიას გოდება ივერიის აწინდელი მდგომარეობის გამო" და „სამშობლოსადმი სიყვარული" (131. 120). 1935 წელს გამოიცა გ. გოზალიშვილის ნაშრომის „1832 წლის შეთქმულების" პირველი ტომი, რომელშიც შეთქმულების სხვა მონაწილეთა ჩვენებებთან ერთად გამოქვეყნებულია ფ. კიკნაძის ჩვენებების ნაწილი. მისი ჩვენებები შესულია აგრეთვე დასახელებული ნაშრომის III ტომში, ხოლო II ტომში გ. გოზალიშვილი მოკლედ გვაცნობს ფ. კიკნაძის ბიოგრაფიას. გამოუქვეყნებელი დარჩა მთელი რიგი ფ. კიკნაძის ჩვენებებისა და სხვა საარქივო დოკუმენტების, რომლებიც აუცილებელია მისი მოღვაწეობის შესასწავლად. მთელი ეს მასალა ჩვენ მიერ გამოვლენილია და განხილულია წინამდებარე ნაშრომში.

ფ. კიკნაძის შესახებ მ. ბერძნიშვილმა თავის ბიოგრაფიულ ლექსიკონში მოკლე ნარკვევი ჩართო (108. 64-67), რომელიც ძირითადად შემოწმებულ ცნობებს ემყარება.

1972 წელს მ. გოცაძე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" IV ტომში აცხადებს, რომ ფ. კიკნაძე ჯერ კიდევ 1826 წელს ფიქრობდა გაეცა პასუხი ყველასათვის საჭირბოროტო კითხვაზე - „როგორ შეუძლია საქართველოს დაპყრობად თავისა თვისისა?" მკვლევარის აზრით, ილიას მიერ მოხვევის პირით წამოყენებული ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" - ფ. კიკნაძის სიტყვების შორეულ ეკოს მიაგავდა (115. 939). მ. გოცაძის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. მოხმობილი ციტატა მართალია ფილადელფოსს ეკუთვნის , მაგრამ გ. გოცაძემ იგი კონტექსტიდან ამოგლიჯა და მცდარი მნიშვნელობა მიაწერა. სინამდვილეში, 1826 წელს ფ. კიკნაძე საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ოქროპირ ბატონიშვილს ეკამათებოდა. იმ დროს ფილადელფოსი ჯერ კიდევ არ იდგა მტკიცე ეროვნულ პოზიციაზე, რაც მან არა მხოლოდ სიტყვიერად, კამათით, არამედ 1827 წელს ანტონ კათალიკოსის კარზე ჩადენილი საქციელითაც დაამტკიცა.

„აკტი გონიური" ჩვენს ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ შესასწავლი არ ყოფილა, მაგრამ მას მოიხსენიებს თითქმის ყველა ისტორიკოსი, რომელიც 1832 წლის შეთქმულებას განიხილავს. ისინი ძირითადად ფ. კიკნაძის იმ ჩვენებებს ეყრდნობიან, რომლებიც გ. გოზალიშვილმა გამოაქვეყნა. ამ ჩვენებების მიცემისას ფ. კიკნაძე გულწრფელი არ ყოფილა. ბოლოს ის მაინც იძულებული გახდა სიმართლე ელიარებინა. ეს ჩვენება უცნობი იყო მკვლევართათვის, ხოლო მისი გათვალისწინების გარეშე გამოტანილი დასკვნა ვერ იქნება სრულფასოვანი, ვინაიდან ჩვენებაში ვადმოცემულია „აკტი გონიურის" შექმნის ჭეშმარიტი ისტორიაც და ჭეშმარიტი მიზანიც. აღნიშნული ჩვენება ჩვენ გამოვაქვეყნეთ 1997 წელს

(167).

ფ. კიკნაძის მიერ შედგენილ აქტს საკმაო ადგილი დაუთმო გ. თოდუამ ნაშრომში „XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები" (135. 122). მაგრამ ისიც მხოლოდ გამოქვეყნებულ ჩვენებებს ეყრდნობა. გარდა ამისა იმეორებს ზ. ჭიჭინაძის ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს „აკტი გონიერის" შედგენასთან დაკავშირებული ყოფილა იონა ხელაშვილი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

1967 წელს ფილოსოფოსმა თ. კუკავამ გამოაქვეყნა ნარკვევი „ფილადელფოს კიკნაძის „აკტი გონიერი", რომელშიც ფილადელფოსის ბიოგრაფიას ძირითადად ზ. ჭიჭინაძეზე დაყრდნობით გადმოგვცემს, ხოლო მის მიერ შედგენილ აქტს საბჭოური პერიოდში გაბატონებული იდეოლოგიის შესაბამისად განიხილავს. აღნიშნავს, რომ აქტი გამსჭვალულია თეოლოგიური მსოფლმხედველობით, ხოლო ფ. კიკნაძე „თავისი დროის ღვიძლი შვილია და ვერ სცილდება ოფიციალურად მიღებული მსოფლმხედველობის საზღვრებს" (129. 190). ხაზს უსვამდა რა ფ. კიკნაძის „სოციალურ მრწამსს", თ. კუკავას საბოლოოდ გამოჰქონდა დასკვნა: „ფართო მასა, ცხადია, ვერ თანაუგრძნობდა შეთქმულებას, რადგან საქართველომ რუსეთთან შეერთებით არაფერი დაკარგა. პირიქით, მოიპოვა მშვიდობა და კულტურული და ეკონომიკური აღმავლობის საშუალება" (129. 191). 1996 წელს თ. კუკავამ გამოსცა ბროშურა სათაურით „სიყვარული მამულისა", რომელშიც შესულია ფ. კიკნაძის თხზულებები: „აკტი გონიერი", „გოდებანი იერემიასი, ძისა ენეისნი — ხილვათათვის მდგომარეობისა ივერიისასა აწინდელსა ზედა", „სიყვარული მამულისა", აგრეთვე სამი ლექსი, რომელთაგან ერთი — „ბეჭედი" — სინამდვილეში ეკუთვნის ალ. ჭავჭავაძეს და გამოქვეყნებულია მისი ლექსების კრებულში სათაურით „კამენასადმი" (142. 96-97). ფ. კიკნაძის ნაშრომებს ერთვის თ. კუკავას გამოკვლევა „ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა" (128. 3-28). ამჯერად, მკვლევარი საარქივო მასალებს იყენებს, მაგრამ ზ. ჭიჭინაძის გავლენისა და საარქივო მასალის ზედაპირული შესწავლის გამო, ნარკვევი სავსეა უზუსტობებით, რომლებსაც ჩვენ ნაშრომში განვიხილავთ. თ. კუკავას ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ მან იმ თხზულებების გარდა, რომლებიც თავად გამოაქვეყნა, ფ. კიკნაძის სხვა ნაშრომები განადგურებულად გამოაცხადა. საისტორიო არქივის ფონდებში მივაკვლიეთ ფილადელფოსის დაწერილ ქადაგებებს. ესენია: „ქადაგება ქველმოქმედების შესახებ", „ქადაგება კაცთა ცოდვის შესახებ", „იოანე ნათლისმცემლის ქადაგება". სხვადასხვა ლოცვების და ქადაგებების ტექსტების ფრაგმენტები, აგრეთვე დაცული აღმოჩნდა ფილადელფოსის შედგენილი „ქართული ღრამმატიკის" პირველი ნაწილი. ასევე მისი საინტერესო ჩანაწერები: „მთავრის ზედნადების გამოანგარიშების წესი" და „უწყება ტაძრისათვის სოლომონისა". აქედან ცალკე ბროშურად გამოვეცით ფ. კიკნაძის „ქადაგება ქველმოქმედების შესახებ" და „ფილადელფოს კიკნაძის გრამატიკული ნაშრომი". საისტორიო არქივის ფონდებში გამოვავლინეთ ფ. კიკნაძის თხოვნა ეგზარქოსის სახელზე, რომელშიც ის ნებართვას თხოულობს, რათა თელავის ღვთისმშობლის ტაძარში წაიკითხოს ქადაგება „სწავლა სარწმუნოებისათვის", რაზედაც ეგზარქოსის სასტიკი უარი მიუღია. თხოვნას ახლავს რუსულ ენაზე შედგენილი მოკლე შინაარსი აღნიშნული ქადაგებისა, რის მიხედვით ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში თვით ამ ქადაგებას მივაკვლიეთ, რომელიც ნამდვილი თეოლოგიური ტრაქტატი აღმოჩნდა. ამავე ინსტიტუტის ფონდებში ინახება ფ. კიკნაძის

მიერ გადაწერილი ანტონ I გრამატიკის დიდი ნაწილი (97) და ერთი დოგმატიკურ-კანონიკური კრებული (86). დარწმუნებული ვართ, რომ დროთა განმავლობაში მკვლევარები ფილადელფოსის კიდევ ბევრ სხვა ნაშრომს მოიძიებენ, თუ მათ დროულად მივაწვდით ინფორმაციას, რომ თ. კუკავას განცხადება ფ. კიკნაძის თხზულებების განადგურების შესახებ — სინამდვილეს არ შეესაბამება.

ფილადელფოსის პიროვნებით დაინტერესებული იყვნენ ლიტერატორები და თეატრმცოდნეები. შ. რადიანი ნაშრომში „ახალი ქართული ლიტერატურა", ზ. ჭიჭინაძეზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ალ. ორბელიანის დრამის „დავით აღმაშენებელი, ანუ საქართველოს უკანასკნელი ჟამის" მოქმედ პირში, „სერაფიმ ბერში — ჩვენ შევიცნობთ ფილადელფოს კიკნაძეს" (133. 140). ასევე ა. გაჩეჩილაძე ნაშრომში „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან" აცხადებს, რომ „სერაფიმ ბერი ნაწილობრივ მოგვაგონებს შუამთის ბერს, ფილადელფოს კიკნაძეს, 1832 წლის შეთქმულების აქტიურ მონაწილეს" (127.121).

ფ. კიკნაძის სახეს მხატვრულ ლიტერატურაშიც ვხვდებით. მ. ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი" ფილადელფოსს საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. თვალნათლივ ჩანს, რომ მისი ბიოგრაფია ავტორს ზ. ჭიჭინაძის ნაშრომიდან აქვს შესწავლილი, რის გამოც ყველა იმ შეცდომას იმეორებს, რომელსაც ჩვენ ნაშრომში განვიხილავთ, როგორც ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებულ მცდარ ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, მ. ჯავახიშვილმა ფილადელფოსი დიდ პატრიოტად წარმოაჩინა, თუმცა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ „აკტი გონიერი" ბატონყმობის გაუქმებას არ გულისხმობდა, რის გამოც მიუღებელი იყო არსენასათვის. ფ. კიკნაძე თავადაზნაურობის ინტერესებს გამოხატავდა, „... ახლა კი მარაბდელისათვის გახდა ცხადი, რომ ბერი და თავადიც ბერ-თავადურად ცუღლუტობდნენ" (153. 363). ფილადელფოსის კითხვას — დაეხმარებოდა თუ არა არსენა რუსების გაყრაში, არსენა კითხვით პასუხობს — რისთვის უნდა გიშველოთო. „ამბობთ, საქართველო გავანთავისუფლოთო, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რისთვინ და ვისთვინ?"

ფილადელფოსს ვხვდებით აგრეთვე კ. დევდარიანის რომანში „სიჭაბუკე პოეტისა", სადაც აღწერილია, თუ როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს ავლაბრის „ყაზარმებში" შეყრილი შეთქმულები: „მამა ფილადელფოსი ხარ? — კაკუნით შეეკითხნენ — სოლომონ დოდაშვილი სად არის? — კიდევ მოისმა კაკუნი" (117.256). კ. დევდარიანს სწორედ აქვს გადმოცემული ის ფაქტი, რომ ფილადელფოსს ალ. ჭავჭავაძე არ დაუსახელებია. ავტორი თავის გმირს ათქმევინებს: „გრიგოლ? გახსოვდეს დაკითხვის დროს ამ საქმის ალექსანდრე ჭავჭავაძემ და პეტრე ზაველეისკიმ არაფერი იციან. იმათ ნუ გავრეთ, ჩვენთვისაც უმჯობესია" (117. 256).

რ. ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ალექსანდრე ორბელიანი" მაღალი შეფასება ეძლევა ფილადელფოსის ღვაწლს. ავტორი იძლევა ფ. კიკნაძის თხზულების „იერემიას გოდების" ანალიზს, რომლის მიხედვით „ფილადელფოსის წარმოსახვაში გამთლიანდა ესაია და იერემია და ანდერძი თუ ესაიასი აღიარა, სახელი და რელიგიურ-პოეტური ექსპრესია იერემიასი არჩია" (141. 45).

გ. ბათიაშვილი თავის დრამაში „შეთქმულება", ფილადელფოსის პირით მოხერხებულად

გადმოგვცემს ს. დოდაშვილის ცნობილი ძოწოდების სიტყვებს (103. 32).

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე შეუსწავლელი იყო.

ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ გამოვიყენეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული მასალები. ესენია: 1832 წლის შეთქმულების მასალების კოლექციის (ფონდი № 1457), ფილადელფოს კიკნაძის პირადი ფონდის (№ 17811) და სხვა ფონდების (ფონდი 2, აღწერა 1; ფონდი 500, აღწერა 8; ფონდი 1461, აღწერა 1) საქმეები. ასევე გამოვიყენეთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერები. ამრიგად, ნაშრომი ეყრდნობა ფართო საარქივო მასალებსა და ლიტერატურულ წყაროებს, რომელთა დიდი ნაწილი პირველადაა შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I.

ფილადელფოს კიკნაძე ერობანული მრნამსის ჩამოყალიბებამდე

§1. ფილადელფოსის აღზრდა-განათლება

ფილადელფოს კიკნაძის სახელი ერობაში ნიკიფორე იყო. მისი მშობლები იყვნენ: მამა — იმერეთის სახაზინო აზნაური იოანე კიკნაძე, დედა - თინათინ, თავად სეხნია აბაშიძის ასული. 1833 წლის 7 თებერვალს ფილადელფოსი საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ქართველებს ჩვეულებად არ ჰქონდათ დაბადების თარიღის ჩაწერა, ამიტომ ის თავის ასაკს მიახლოებით განსაზღვრავს და თავი 40 წლისად მიაჩნია (6.1223). ამ ცნობაზე დაყრდნობით, მ. ბერძნიშვილი და თ. კუკავა თვლიან, რომ ფილადელფოსი 1793 წელს უნდა იყოს დაბადებული (106.64; 128.4). ეს წელი დასტურდება აგრეთვე შუამთის მონასტრის ბერების სიიდან, სადაც აღნიშნულია, რომ 1829 წელს ფილადელფოსი 36 წლისა ყოფილა (65.13). სხვა მონაცემების მიხედვით კი გამოდის, რომ ფილადელფოსი დაბადებული უნდა იყოს არა უადრეს 1794 წლისა. მისივე თქმით, მამამ ის 7 წლის ასაკში მიაბარა სასწავლებლად იოანე ნათლისმცემლის მონასტერში (6.1223). მკვლევარ გ. ხაჭაპურიძის ცნობით, ფ.კიკნაძე შუამთის მონასტერში სწავლობდა (144.189), რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ხირსის მონასტრის არქიმანდრიტ ნიკიფორეს მიერ მიცემულ დახასიათებაში დაზუსტებულია თარიღი — ფილადელფოსი მამას 1802 წელს მიუყვანია მონასტერში. იქვე ვკითხულობთ, რომ 1810 წელს მისი მშობლები ჭირისგან დახოცილან (65,13). ამასვე უჩვენებს ფილადელფოსი 1833 წელს, მაგრამ არსებობს მის მიერ 1827 წლის 6 იანვარს დაწერილი თხოვნა, რომელშიც იგი უფრო დაწვრილებით განმარტავს, რომ „დროსა რასიის მხედრობის გარდასვლისასა იმერეთად", როდესაც იმერლები ამაგრებდნენ მთებზე გამავალ გზებს, იოანე კიკნაძეს რუსეთის ერთგულება უმჯობინებია და გამხდარა რუსების „მაჩვენებელი გზისა მთისა გარადასავალთა", რის გამოც თვით იმერლებს მოუკლავთ „იწროთა გზათა შინა ჩხერისათა", ხოლო მისი მეუღლე თინათინი ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა უკურნებელი სენისაგან, რომელიც მთელ იმერეთში მძვინვარებდა. იმ დროს ფილადელფოსი 13 წლისა ყოფილა (24.5). ზ. ჭიჭინაძის მტკიცებით ფილადელფოსი 1797 წელს დაიბადა (144.3), მაგრამ მის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ის დოკუმენტებს არ ემყარება. სრულიად უსაფუძვლოა ზ. ჭიჭინაძის შემდეგი ვერსია: თითქოს ფილადელფოსი გვარად კიკნაველიძე იყო, ბავშვობისას იგი გელათის მონასტერში მიაბარეს, ამ დროს რუსებს ომი ჰქონდათ მეფე სოლომონ მეორესთან,

ოთარ ნაცარაშვილი, ალიკი.

კიკნაველიძეების გვარი სოლომონის ერთგულებაში მოისპო. ფილადელფოსმა აღარ ისურვა გელათის მონასტერში ბერებთან ყოფნა და თავის სახლიკაცებში ჩაერია. რუსებთან ცხარე ბრძოლებში ახალგაზრდა მორჩილი სამაგალითოდ იბრძოდა, რუსებმა იმერეთი სასტიკად დაამარცხეს და იმერლებს დევნა დაუწყეს. ამ დევნაში მოჰყვა ფილადელფოსიც. თავის გადარჩენის მიზნით, მან მოახერხა იმერეთიდან თბილისში გამოქცევა და მერე კახეთში გადასახლდა თავის ნათესავთან. მთავრობის შიშით გვარი გამოიცვალა „კიკნაძის მაგიერ კიკნაძველიძე დაირქვა" (144.3). ზ. ჭიჭინაძეს ალბათ პირიქით უნდოდა ეთქვა, თუმცა არც მაშინ იქნებოდა სწორი. ზ. ჭიჭინაძის ვერსია გაზიარებული აქვს თ. კუკავას თავის ერთ ადრინდელ ნაშრომში (129.187). სინამდვილეში, როგორც ფილადელფოსმა შემდგომ მამამისის ყოფილი მსახურისაგან შეიტყო, მათი სახლ-კარი მეზობელ თავად აბაშიძეებს გადაუწვავთ და აუკლიათ, თვით ხსენებული მსახური კი დაჭერილი ჰყოლიათ (6.1223). არ არის გამორიცხული, რომ მეზობლების ასეთი სასტიკი შურისძიება ამ ოჯახის პრორუსული ორიენტაციის შედეგი იყო.

თუ ფილადელფოსის მამამ რუსეთის ერთგულებას შესწირა თავი, თავად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას შეეწირა, მაგრამ მისი პოლიტიკური მრწამსი ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. მ. ბერძნიშვილი გვამცნობს, რომ წინამძღვარი იოანე ნათლისმცემლის მონასტრისა, რომელშიც კიკნაძე იზრდებოდა — ექვთიმე არქიმანდრიტი, რუსოფილობით იყო ცნობილი (106.64), თუმცა საარქივო მასალიდან ჩანს, რომ ფილადელფოსი მამას დომენტი წინამძღვრისათვის ჩაუბარებია (26.1).

1813 წელს ფილადელფოსი შეხვდა მონასტერში სალოცავად ჩასულ ხირსის არქიმანდრიტ ნიკიფორე ჯორჯაძეს, რომელზეც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა თავისი ქცევით, გონებით, სიმდაბლით და განსწავლულობით„ ყრმაწვილ ერისკაცს გამოუმჟღავნებია საღვთო წერილის, წმინდა მამათა განმარტებათა და სხვა ნაშრომთა საუკეთესო ცოდნა. ყოველივე ამან გადააწყვეტინა არქიმანდრიტს მიეღო „მას ზედა მამობა და მზრუნველობა". მონასტრის წინამძღვრის და ძმათა ნებართვით მან ნიჭიერი ობოლი ხირსის მონასტერში წაიყვანა. 1817 წლს კიკნაძე საკუთარი სურვილისამებრ ბერად აღიკვეცა: „ოდეს ვიქმენ მამაკაც სრულ, შემკრა მე სურვილმან განმაცხოველებელისა ჩვენისა იესოს სწავლათა და მოძღვრებათამან, სულისა შინაგანითა აღძრულებითა დაუტევე ამაოებისა ყოველი ზრუნვა და მივიღე ჯვარი ქრისტესი და მონაზონება" (24.128). ამრიგად, ნიკიფორე კიკნაძე ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ ბერად შეამოსა და ნიკოლოზი უწოდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იეროდიაკონად აკურთხა. სინამდვილეს არ შეესაბამება ზ. ჭიჭინაძის ცნობა იმის შესახებ, რომ ანტონ კათალიკოსმა ფილადელფოსს „ჩოხაც უკურთხა". არც ის არის სწორი, თითქოს ფილადელფოსმა მგალობლთა გუნდი შეადგინა, თავად ლოტბარი გახდა და გალობის წყალობით გაიც-

ნო წარჩინებული პირნი, ბატონიშვილები და ანტონ კათალიკოსი (108.4). თავის ერთ-ერთ ნაშრომში ზ. ჭიჭინაძე იმასაც ამტკიცებს, რომ ფილადელფოსი მეფე ერეკლეს დროს ჩამოვიდა თფილისში, ანტონ კათალიკოსის კარზე სწავლობდა, ბერად XVIII საუკუნეშივე შეიმოსა, ხოლო XIX საუკუნის პირველ წლებში ბატონიშილებს რუსეთში ახლდაო (145.30). ყოველივე ეს თუნდაც იმიტომ არის დაუჯერებელი, რომ ფილადელფოსი XVIII ს-ის მიწურულს დაიბადა და იმავე საუკუნეში ბერად შემოსვას ვერ მოასწრებდა. ზ. ჭიჭინაძე არ ახსენებს ნიკიფორე არქიმანდრიტს, რომელიც დიდ მზრუნველობას იჩენდა ფილადელფოსის მიმართ.

ნიკიფორე არქიმანდრიტმა, ხედავდა რა კიკნაძის მახვილ გონებასა და ნიჭს, სასწავლებლად მიაბარა იგი საქართველოში ცნობილ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს იერომონახ* იოსტოს ანდრონიკაშვილს, რომელიც ამავე დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს ის ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად შეიპყრეს (61.104) და პერმში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ იმპერატორმა შეიწყნარა. მიუხედავად ამისა, იოსტოსი აქტიურად მონაწილეობდა 1812 წლის კახეთის აჯანყებაში, რის გამოც გენერალ-ლეიტენანტი რტიშჩევი ვარლამ მიტროპოლიტს სთხოვდა იოსტოს ანდრონიკაშვილის საქართველოდან მოშორებას და რუსეთის რომელიმე შორეული გუბერნიის მონასტერში გაგზვნას. თან დასძენდა: მისი გამოსწორების არავითარი იმედი აღარ არისო (62.13). აი, ასეთ „გამოუსწორებელ" პატრიოტს დაემოწაფა ახალგაზრდა კიკნაძე, რომელიც როგორც ამას შემდგომ დავინახავთ, წლების შემდეგ თავს დააღწევს ბავშვობაში ჩანერგილ რუსოფილობას და საბოლოოდ იოსტოსის კვალს გაჰყვება. სწავლის პერიოდში, ფილადელფოსს თავისი ოსტატისაგან „ერცლად და მტკიცედ" შეუთვისებია ქართული გრამატიკა, მიხითარ სევასტიელის რიტორიკა სომხურიდან ქართულად თარგმნილი, „კატიღორია არისტოტელისა, დამასკელისა და სხუათა ერთად შეწყობილი ქართულსა ენასა ზედა", ბაუმეისტერის ფილოსოფია, ლოღიკა, მეტაფიზიკა, ეთიკა (რუსულიდან თარგმნილი), მოუსმენია ვოლფის ფიზიკა, მტკიცედ უსწავლია იოანე დამასკელის ხუთი წიგნი ახსნით, წაუკითხავს მრავალი სასულიერო წიგნი და „გადაუწერიეს ხელითა თვისითა" (26.12). ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ კიკნაძეს საკმაოდ კარგი განათლება მიუღია. იმ დროს ლეიბნიც-ვოლფის მოძღვრება და მისი ბრწყინვალე პოპულარიზატორი — ბაუმაისტერი დიდ პატივში იყვნენ დასავლეთ ევროპაში. რუსეთშიც დიდი მოწონებით სარგებლობდა ბაუმაისტერის შრომები ფილოსოფიის, ლოგიკსა და მეტაფიზიკის დარგში, ქართველები ამ შრომებს ანტონ I-ის თარგმანების წყალობით გაეცვნენ (137.13). ფილადელფოსი ამბობს: „დატევნისამებრ ყოვლად გლახაკისა გონებისა ჩემისა ვისწავლე ფილოსოფია და ღუთისმეტყველებაცა" ერთი ქართველი მოხუცი მონაზონისგან, რომელიც უპირველეს მცოდნედ

* „იერომონახი" XIX ს-ის საბუთებში „ძველდელ-მონაზონის" მნიშვნელობით გვხვდება

ირიცხებოდაო (23.1). იოსტოს ანდრონიკაშვილი კი ანტონის თარგმანების და ორიგინალური ნაშრომების გადამწერი იყო. ამ საქმიანობაში კიკნაძეც დახელოვნებულა. მის მიერ გადაწერილი წიგნებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორს მივაკვლიეთ, ესენია: 1. ანტონ პირველის გრამატიკის დიდი ნაწილი,გადაწერილი კიკნაძის მიერ მისი მოწაფეობის დროს: „წიგნი ესე ქართული ღრამმატიკა, აღწერილი ჩემ მიერ დროსა სწავლისა ჩემისასა"(97.1). ეს წიგნი 1830 წელს ფილადელფოსს მიურთმევია მეოთხე კლასის მოსწავლე სვიმონ შიშნევისათვის, რომელსაც ქართული სიტყვიერების სწავლა სდომებია. ბოლოში, სადაც ტექსტი წყდება, კიკნაძეს მეორე მინაწერიც დაურთავს: „ესე მცირე ნაჩხაპნი წიგნი ღრამმატიკა ვინც იქონიოთ, თუ ამის შემწყობის მადლი გწამდესთ, გთხოვთ შრომა მიიღოთ და შეასრულოთ. მე ამის მეტი დრო არ მომეცა. ფილადლფოს" (97.94).

2. დოგმატიკურ-კანონიკური კრებული, რომელსაც ერთვის ნუსხურით დაწერილი ანდერძი: „დავჩხიბე ყოვლად უღირსმა ბერმან ნიკოლოს ივლისის [ლ] წელსა ჩყიზ-სა". აქვე ქვემოთ ფანქრით მიწერილია: „ივლისის 30-ს 1817 ბერმან ნიკოლოზ კიკნაძემ (ფილადელფოს) (86.100).

როდესაც ნიკიფორე არქიმანდრიტი იოსტოს ანდრონიკაშვილმა დაარწმუნა, რომ ხალგაზრდა ბერმა ზედმიწევნით შეისწავლა ზემოდასახელებული მეცნიერებანი, მან ფილადელფოსი კვლავ ხირსის მონასტერში წაიყვანა. 1822 წელს ნიკიფორეს თხოვნით ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ იერომონაზონად აკურთხა კიკნაძე ბერი და ფილადელფოსი უწოდა. ეს სახელი შერჩა მას სიკვდილამდე. შემონახულია იოანე ბოდბელის მიერ 1822 წლის 4 ოქტომბერს გაცემული სიგელი: „... მამა კაცი ფილადელფოს კიკნაძე ყოვლითა გულმოდგინებითა გამოვსცადეთ და სარწმუნოთა ძალით მოწმობითა სულიერისა მამისა მისისათა ღირსთ ვყავი ასე აღყუანებად ხარისხსა ზედა იერომონახობისასა" (22.1).

იერომონახ ფილადელფოსს ახლა რუსულის სწავლა მოუსურვებია, რაც კახეთის მონასტერში ძნელი იყო. თავად ნიკიფორე არქიმანდრიტმა, როგორც მისი ნამსახურობის სიიდან ჩანს, რუსული წერა არ იცოდა (74.2),ფილადელფოსს იმპერატორის სახელზე დაუწერია თხოვნა პეტერბურგის რომელიმე მონასტერში მისი განწესების შესახებ, რათა რუსული ენის სწავლის საშუალება მისცემოდა. იგი გამოთქვამს წუხილს თავისი უმოქმედობის გამო და აცხადებს: უქმად ყოფნა „არა არს საკმაო სიყვარულისადმი გლახაკისა ამის ქუეყანისა დ არცა ცხოვნებად თავისა ჩემისა" (23.1). ამის გამო — ამბობს ფილადელფოსი — ჩემი შინაგანი სურვილით საჭიროდ ვრაცხ როსიული და სხვა ენების სწავლას, ხოლო ამის შესრულება შეუძლებელია, თუ რუსეთის რომელიმე მონასტერში არ ვიქნებიო. თხოვნაში ხაზგასმულია, რომ ენების შესწავლა მას იმ მიზნით სურს, რომ უკეთ ემსახუროს მამულს ჩვენი ძველი სასულიერო მოღვაწეების „მაგალითისა-

მებრ". ფილადელფოსი წერს: „თქუენო იმპერატორობითო დიდებულება, ძუელნი მემამულენი ჩუენნი, მეცადინენი განათლებად თავისა თვისისა დ სარგებლობად გლახაკისა ამას ქვეყანასა წარიგზავნებოდნენ ოდესმე ათონსა შინა და შემდგომ მრავალნი მონაზონთაგანნი, ვითარცა თავის უფალნი ყოვლისა სხვისა სოფლიოსა ვალისაგან, ითხოვდნენ კეთილმსახურთა ბერძენთა იმპერატორისაგან განათლებისათვის ყოფად საბერძნეთსა შინა. იქ ისწავლებდნენ და სთარგმნიდნენ საღმთო და სასარგებლოთა წიგნთა ქართულსა ენასა ზედა, ამით აღასრულებდნენ სიყვარულსა მამულისასა და აცხოვნებდნენ სულსა თვისსა" (23.1).

ამ თხოვნის შედეგად ფილადელფოსი რუსეთში არ გადაუყვანიათ, მაგრამ 1826 წელს იგი გადადის თბილისის ფერისცვალების მონასტერში,(რომელიც რუსმა ეგზარქოსმა თეოფილაქტემ გახსნა 1821 წელს დარიას მონასტერში), ხოლო ხირსის მონასტრის ბერების სიაში ჩნდება ჩანაწერი კიკნაძის წასვლის შესახებ. იქვე აღნიშნულია: „მორჩილ არს გარნა სნეულ" (74.4).

ჩვენი აზრით, ფილადელფოსის მიზანი მხოლოდ რუსული ენის სწავლა კი არ იყო, არამედ მას პეტერბურგში წასვლა იმისთვის უნდოდა, რომ ქართველ ბატონიშვილებს დაახლოებოდა. როგორც დავადგინეთ ფილადელფოსს ამ დროს უკვე მიმოწერა ჰქონია სოლომონ დოდაშვილთან, რომელიც 1824-27 წლებში პეტერბურგში იმყოფებოდა, საიდანაც აგულიანებდა მას და ბატონიშვილების მხარდაჭერას ჰპირდებოდა. ამ ფაქტს ფ.კიკნაძე შემდეგ ს. დოდაშვილს შეახსენებს: საქართველოდან პეტერბურგს „მიბარებდი, თუ გსურსო ინებებენო მეფისძენი რომ დაგიბარონო" (56.1). ფილადელფოსის აღნიშნული წერილი დღემდე უცნობი იყო მკვლევართათვის. 1826 წ. 16 მარტს, ანტონ მეორემ ნიენი ნოვგოროდიდან საქართველოს ეგზარქოს იონას მოსწერა წერილი, რომლითაც ქართული წირვა-ლოცის შესასრულებლად მღვდელ-მონაზონისა და იეროდიაკონის გამოგზავნა სთხოვა. ეგზარქოსი კანდიდატურების შერჩევას შეუდგა, მ. ...ეაძ ფილადელფოსისა და იეროდიაკონ დანიელ ანდრონიკაშვილს გარდა მსურველები არ აღმოჩნდნენ (95.1), იოანე ბოდბელის შუამდგომლობითა და თეკლა ბატონიშვილის თანხმობით, ფილადელფოსი დანიელთან ერთად 1826 წლის 21 ივლისს რუსეთს გაემგზავრა (24.6).

§2. ფილადელფოს კიკნაძე რუსეთში.

ფილადელფოსის რუსეთში გამგზავრების ფაქტს ზ.ჭიჭინაძე არასწორად აგვიწერს: "ფილადელფოსის საუბედუროთ, ამ დროს, რუსის მთავრობა ყველა ბატონიშვილებს რუსეთში ასახლებდა. ამგვარად გადაასახლეს ფილადელფოსის მწყალობელი ბატონიშვილებიც და მათთან ანტონ კათალიკოზიც "(144.5)

ფილადელფოსმა ასეთი ობლობა ვერ აიტანა და თავის მფარველებთან წასვლა გადაწყვიტა, მალე რუსეთის გზას გაუდგა. ზ.ჭიჭინაძის მიერ დაშვებული უზუსტობები მხოლოდ კიკნაძეს როდი შეეხება. აქ არეულია საქართველოს ისტორიის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები. გაუგებარია, რომელ წლებს გულისხმობს ზ.ჭიჭინაძე, როდესაც მიუთითებს "ამ დროს".

კარგად არის ცნობილი, რომ 1801 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ქართველი ბატონიშვილები სამშობლოში აღარ გააჩერა და რუსეთში გადაასახლა. ბოლოს იგივე ბედი ეწია ანტონ კათალიკოსს. 1810 წლის 3 ნოემბერს, წირვისა და პარაკლისის გადახდის შემდეგ ანტონ II სამუდამოდ გამოეთხოვა საქართველოს. ფილადელფოსი კი იმ დროს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში სწავლობდა და ანტონ კათალიკოსი არც ენახა. როგორც ის 1833 წელს ჩვენებაში წერს, საქართველოში მას არც მეფე ახსოვს და არც მისი შვილები. ბატონიშვილები მას პირველად მოსკოვში უნახავს, სახელდობრ: მიხეილი, ილია, ოქროპირი და ირაკლი (6.1224). კათალიკოსთან მიმავალმა ფილადელფოსმა 1826 წლის შემოდგომაზე, როგორც ჩანს, საკუთარი ინიციატივით, მოსკოვისკენ გადაუხვია, სადაც ბატონიშვილებს გაეცნო. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი მის ურთიერთობას ოქროპირ ბატონიშვილთან, რომელმაც შემდგომში მას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა ჩაუნერგა. ჩვენი აზრით, ცოტა საეჭვოა, რომ ოქროპირ ბატონიშვილს ერთი კვირის გაცნობილი ადამიანისათვის თავისი ფარული მიზნები გაემხილა. უფრო საფიქრებელია, რომ მას ეს ფილადელფოსის მეორე სტუმრობის დროს გაეკეთებინა, თუმცა როგორც მკვლევარი მ.გოცაძე ფილადელფოსის ჩვენებებზე დაყრდნობით ამტკიცებს, საუბარი 1826 წლის აგვისტოში შედგა (170.191). ჩვენ ამ ვერსიას არ ვუარყოფთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მაშინ საუბარს ფუჭად ჩაუვლია.

მოსკოვში ერთი თუ ორი კვირის სტუმრობის შემდეგ, ფილადელფოსმა ნიჟნი ნოვგოროდს მიაშურა და 5 ოქტომბერს კათალიკოსის წინაშე წარსდგა (20.408).

ზ.ჭიჭინაძე მოგვითხრობს, თითქოს მოსკოვში ფილადელფოსი ბატონიშვილებმა ივანე ხელაშვილს ჩააბარეს, რომელმაც ახალგაზრდა მორჩილის აღზრდა იკისრა. ამ დროს იქ "ნაპოლეონის შემოსევა" მოხდა, ივ.ხელაშვილი პეტროგრადს გადასახლდა და ფილადელფოსიც თან წაიყვანაო. შემდეგ თითქოს, ხელაშვილმა მღვდელმონაზვნად აკურთხა ფილადელფოსი, რომელიც პეტროგრადში ყოფნის დროს ფულსაც შოულობდა, რუსულ ენაზე სწავლობდაო და სხვა (144.5). ამ ვერსიას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. გამოძიების მასალებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ფილადელფოსი "პეტერბურგში არ ყოფილა, მოსკოვში კი 2-ჯერ ცხოვრობდა თითო-თითო ან ორ-ორი კვირით ბატონიშვილებთან"

(20.408). ფილადელფოსის ჩვენებიდან ჩანს, რომ მას ერთი კვირა დონის მონასტერში, მამა არხიმანდრიტ ათანასესთან დაუსვენია (6.1223).

ზ.ჭიჭინაძის ანალოგიურად თ.კუკავაც წყაროს მითითების გარეშე მოკლედ აღნიშნავდა, რომ ფილადელფოსი ბატონიშვილებს გაჰყვა პეტერბურგს, სადაც იონა ხელაშვილს დაემოწაფა და დაუახლოვდა სოლომონ დოდაშვილს.

პეტერბურგში მან რუსული კარგად შეისწავლა და საფუძვლიანი განათლება მიიღო (129.187). შემდეგ, როგორც ჩანს თ.კუკავა დარწმუნდა ამ ვერსიის უსაფუძვლობაში, თავის ახალ ნაშრომში პეტერბურგს აღარ ახსენებს და უფრო ახლოს მიდის სინამდვილესთან, ამტკიცებს, რომ ფილადელფოსი 1826 წელს "გაჰყოლია კათალიკოს ანტონს რუსეთში, ნიჟნი ნოვგოროდში (128.4).

რუსეთში ფილადელფოსს დაპატიმრებამაც მოუწია. ეს ფაქტი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ახსნილი. მ.ბერძნიშვილი წერს, რომ ფილადელფოსმა ცილი დასწამა კათალიკოსის კარის მოურავს კათალიკოსისავე დისწულს ესტატე ციციშვილს და იეროდიაკონს დანიელს. ამავე დროს მ.ბერძნიშვილი სქოლიოში შენიშნავს, "ფილადელფოსს დასწამეს, თითქოს მას ეთქვას, რომ დანიელი მეტად უხამსი სიტყვებით ამკობდა ხელმწიფეს (ფონდი 488, ს. 2042, ფ. 23)". (106.65). ამრიგად, ეს შენიშვნა აბათილებს ზემომოყვანილ მტკიცებას.

სოლომონ ხუციშვილი ამტკიცებს, რომ ფილადელფოსი რუსეთში ყოფნისას მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის დაუპატიმრებიათ (151.420). ამგვარი მტკიცება საფუძველს მოკლებულია. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს ს.ხუციშვილის ცნობა, თითქოს ფილადელფოსი რუსეთში ხვდებოდა ოქროპირ ბატონიშვილის მოძღვარს, პორფირე ბერს (151.420). დასახელებული ბერი ფილადელფოსმა მოგვიანებით, საქართველოში გაიცნო (5.924).

რუსეთში ჩასული ფილადელფოსი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ გარემოსათვის, რომელიც მას ანტონ II-სთან დახვდა. როგორც ჩანს, ყოფილი კათალიკოსის გარემოცვაში ანტიცარისტული განწყობილება იყო გამეფებული. მონასტრებში გაზრდილი ფილადელფოსისათვის ამგვარი სითამამე უცხო იყო. ალბათ, აქ გადამწყვეტი როლი მისმა ბუნებრივმა სიფრთხილემ ითამაშა. ფილადელფოსივით მონასტერში იყო აღზრდილი დანიელ ანდრონიკაშვილიც, მაგრამ მას არ გასჭირვებია ახალ გარემოსთან შეგუება. 1826 წლის 21 დეკემბერს დანიელს, ხმამაღლა, "ფრიად უკანასკნელის და უშვერის სიტყვითა" (24.1) დაუწყია იმპერატორის გინება "ესრეთ რომელ მოხსენებად ესე შეუძლებელ არ" (24.1). დანიელი თავს უსაფრთხოდ გრძნობდა, რადგან თავის თანამოაზრეებად ეგულებოდა ანტონ II და მისი დისშვილი ესტატე ციციშვილი, მაგრამ მისმა

საქციელმა თავზარი დასცა ფილადელფოსს. მისთვის წარმოუდგენელი იყო ამგვარი საჯარო გალაშქრება იმპერატორის წინააღმდეგ, "რომლისათვის ყოველნი ეკლესიანი ქრისტესანი ღაღადებენ ქებასა და ნაწლევნი წმიდათანი ზიარ მისსა არიან" (24.1). ფილადელფოსმა კათალიკოსსა და ესტატე ციციშვილს სთხოვა დანიელის გაჩუმება. ამაზე კათალიკოსს არაფერი უთქვამს, ციციშვილი კი ძალიან გაბრაზებულა: როგორ ბედავ ჩვენს სწავლებასო. მან ფილადელფოსს უყვირა, პირში აფურთხა და სენაკში გამოკეტა. ამასთან დაემუქრა - ციმბირში გაგგზავნიო. შექმნილ ვითარებაში ფილადელფოსს სხვა გამოსავალი ვერ უპოვია და როგორც 1833 წელს საგამომძიებო კომისიას უჩვენებს, მომხდარი ფაქტი წერილობით უცნობებია შინაგან საქმეთა მინისტრისათვის: "დავაბეზღე დანიელიც და რაც გამეგონა შეუსაბამო მოურავისაც დავსწერე, კათალიკოსიც მოვიხსენიე, რომ ერთხელ აქედამ წიგნი მოუვიდათ ამბავი ყიზილბაშის ქალაქზე დაახლოებისა, ბრძანა ისე ხუმრობისავით კათალიკოსმა მე რომ საქართველოს მწუხარება შესმისო ღმერთმა ქნას ისევ იმათი დრო მოხდესო" (10.2262). ეს სიტყვები ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი გულგატეხილი ყოფილა ერეკლეს ვაჟიშვილი, ანტონ II ერთმორწმუნე რუსეთზე. ფილადელფოსი მინისტრს სთხოვდა შველას, რადგან შეშინებული იყო და ციციშვილისგან დიდ საფრთხეს ელოდა. ციციშვილმა დაბეზღების შესახებ არაფერი იცოდა და ერთი კვირის შემდეგ ფილადელფოსს არონ დეკანოზი შემოუგზავნა შესარიგებლად, რომელსაც ფილადელფოსი ყველაფერში გამოუტყდა და შავიც აჩვენა. ის უკვე ნანობდა თავის საქციელს და ასეთ აჩქარებას შიშით ხსნიდა, მაგრამ ახლა გვიან იყო. ციციშვილმა მისი გაძევება გადაწყვიტა.

როგორც ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, ფილადელფოსს მინისტრზე ადრე უწმინდესი სინოდსათვის მიუმართავს. მისი (1826 წლის 23 დეკემბრის) მეორე თხოვნა გაგზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველ ლანსკის სახელზე - და გამსჭვალულია სასოწარკვეთილებით (24.1-2). ამ დროისათვის ესტატე ციციშვილს უკვე სცოდნია დაბეზღების შესახებ და ფილადელფოსისათვის უთქვამს "ჩვენს სახლში რაც უნდა ვსთქვათ, შენ რაო", თან დამუქრებია, რომ ქალალდებს ცეცხლს მოუკიდებდა და იმ ცეცხლში დასწვავდა მას. ციციშვილს ფილადელფოსის თავიდან მოშორების გეგმა შეუმუშავებია და კათალიკოსისათვის გაუზიარებია. ურჩი ბერი საქართველოში უნდა დაებრუნებინათ, კათალიკოსს საქართველოს ეგზარქოსისათვის უნდა მიეწერა, რომ ეს იერომონახი არ გამოდგა, შემაწუხა და ველარ გავუძელიო. ციციშვილი კათალიკოსს ურჩევდა კიკნაძისათვის ოცი თუმნისა და პასპორტის მიცემას და სასწრაფოდ გამოშვებას.თბილისში ბასვლამდე მას არსად არ უნდა ჰქონოდა ერთ ღამეზე დიდხანს გაჩერების

უფლება. ფილადელფოსის მხრიდან უარის შემთხვევაში, იგი პოლიციას უნდა გაეცილებინა "თუ უნდა მოკვდეს გზაზედ მასუკან თვითონ იცისო" (24.7). თუ ფილადელფოსს სინოდი ან კანცისტორია მოიკითხავდა, ციციშვილის რჩევით, კათალიკოსს უნდა ეპასუხა, რომ ავი და ბოროტი კაცი იყო, გავაგდე და ყოველივე ამის გამო მოუგონიაო.

ფილადელფოსი კარს უკან მდგარა და მთელი ეს გეგმა სიტყვა-სიტყვით მოუსმენია. ამის შემდეგ, 3 იანვარს ანტონ II მისთვის მართლაც უბრძანებია საქართველოში დაბრუნება. რუსეთის ყინვებს შეუჩვეველ ფილადელფოსს, თავისი სუსტი ჯანმრთელობის გამო, მგზავრობის შეშინებია და კათალიკოსისათვის გადაწყვეტილების შეცვლა უთხოვია, თან დაურწმუნებია, თითქოს არავისთვის არაფერი მოუხსენებია და არც ახლა მოვახსენებო. ამ გზით აპირებდა ფილადელფოსი კათალიკოსთან დარჩენას, მაგრამ უზომოდ ეშინოდა ესტატე ციციშვილის და დაპირების ასრულებას არ აპირებდა. კიკნაძე სთხოვდა რა ლანსკის ციციშვილის დევნისაგან დახსნას, ამასთან ატყობინებდა, რომ ეს უკანასკნელი ცხადად წარმოჩინდება, როგორც კანონის მოწინააღმდეგე. ციციშვილს უთქვამს: "მე არა მაქვს ფიცი და არცა ხელმწერილობაო ერთგულებასა ზედა ახლის ხელმწიფისასაო," (24.7) აგრეთვე უნატრია: "ღმერთო გაუმარჯვე ყიზილბაშთა ეს უსჯულონი მთას გადმოაცილონო". ეს სიტყვები ნათლად გვიჩვენებს, რომ ესტატე ციციშვილი, ერეკლე II-ს შვილიშვილი და მარიამ ბატონიშვილის შვილი, მტრულად იყო განწყობილი დამპყრობთა წინააღმდეგ და ვერ ეგუებოდა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას, რა ხალაც დედამისი, მწარედ ჰგოდებდა: "დაბრუნდა ეტლი უკუღმა, წარხდა დღე კეთილგზიანი, დაემხო ტახტი მაღალი, რა ბედნიერი, სვიანი". მარიამ ბატონიშვილი თავის ლექსებში პირდაპირ მიუთითებდა რუსეთზე: "დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა", "რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა", ან კიდევ: "დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა" (102.335).

ნიშანდობლივია, რომ ესტატე ციციშვილი ერთმორწმუნე რუსებს "ურჯულოებს" ეძახის. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი 1832 წლის შეთქმულების სათავეებთან იდგა. ესტატე ციციშვილი 1828 წელს გარდაიცვალა. გამოძიების მასალებში მისი სახელი შეთქმულთა შორის არ ფიგურირებს. ციციშვილის ზემომოყვანილი სიტყვები იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც მისი ბიძები, ქართველი ბატონიშვილები პეტერბურგსა და მოსკოვში ქმნიდნენ მომავალი შეთქმულების ბირთვს, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. შეთქმულების ბირთვის არსებობის შესახებ პირველ დოკუმენტურ ცნობად მიჩნეულია სოლომონ დოდაშვილის წერილი, დაწერილი 1826 წლის

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

20 დეკემბერს. მასში ლაპარაკია პეტერბურგის ბირთვზე. დაახლოებით იმავე დროს, ან მ. გოცაძის მტკიცებით, ათი თვით ადრე დასტურდება მოსკოვის ბირთვის არსებობა (170.191). ვფიქრობთ, ესტატე ციციშვილი ჩახედული იყო თავის ახლო ნათესავების გეგმებში და მათ აზრებს იზიარებდა. როგორც ჩანს, პირველ ხანებში იგი ფილადელფოსს ისეთ საკითხებზე ესაუბრებოდა, რომლებიც იქამდე ბერს არსად გაეგონა. ერთხელ მოუყოლია: "იყო რუსეთში დაფარული სექტი, იპოვეს ქაღალდი, რომელშიც იყო რამდენიმე პუნქტი, ბოროტნი განზრახულებანი სარწმუნოებაზე, სახელმწიფოზე, საზოგადოებაზე ამისთვის მრავალნი სასტიკად დასაჯეს და მრავალნი დაშთნენო" (4.685). ფილადელფოსთან ურთიერთობაში ესტატე ციციშვილმა მაინც ვერ გამოიჩინა სათანადო მოთმინება და თანმიმდევრულობა, ვერ გაითვალისწინა, რომ იმპერატორის ლანძღვა-გინება სასულიერო პირისათვის შესაძლოა უჩვეულო ყოფილიყო, მან ვერ აპატია ფილადელფოსს შენიშვნის მიცემა და სასტიკად დაუპირისპირდა მას, რითაც უპატრონო ბერი აიძულა მფარველის ძიება დაეწყო.

რუსეთში ყოფნისას ფილადელფოსი აგრძელებდა სოლომონ დოდაშვილთან მიმოწერას, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოში ჰქონდა დაწყებული. ნიკონი ნოვგოროდიდან მის მიერ გაგზავნილი წერილებიდან ყველას არ მიუღწევია ადრესატამდე. ფილადელფოსის პირველი წერილი სოლომონს 1826 წლის 15 დეკემბერს მიუღია და 20 დეკემბერს პასუხი გამოუგზავნია (45.1). სოლომონი თავს იმართლებს: მე რამდენიმე წერილი გამოგიგზავნეთ, მაგრამ თქვენ მხოლოდ ერთი მიგიღიათო. დოდაშვილი ძველი მეგობრობის და სიყვარულის განახლებას სთხოვს ფილადელფოსს, და უყვება თავისი სწავლა-განათლების და სამომავლო გეგმების შესახებ. იგი მასწავლებლობისათვის ემზადება, მაგრამ სხვა უფრო საიდუმლო მიზნებიც აქვს, რომლებიც საქართველოში უნდა განახორციელოს და რომლებიც მისი აზრით, უფრო სასარგებლო იქნება მამულისათვის. როგორც ჩანს, ამ საქმეში მას ფილადელფოსი შემწედ ეგულებოდა, რის გამოც არ გახარებია მისი რუსეთში გადმოსვლა. ამაზე უფრო ნათლად დაწერა არ შეიძლებოდა. აღნიშნულ დოკუმენტს ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გ.გოზალიშვილი წერს: "ამ წერილში იმდენად ნიშანდობლივ არის ლაპარაკი, რომ შეუძლებელია მისი სხვანაირად გაგება, თუ არა ისე, რომ პეტერბურგში მყოფ ქართველთა შორის შეთქმულების უჯრედი უკვე ჩასახულა, და რაც უფრო საინტერესოა საქართველოში ამ გვარი ამბის მოლოდინში ყოფილან" (110.18).

წერილის მინაწერიდან ირკვევა, რომ ფილადელფოსი უკვე ცნობილი ყოფილა თავისი ქადაგებებით, ბაგრატ ბატონიშვილს უთხოვია მისთვის რომელიმე ქადაგების

გაგზავნა. "სიყვარულით გიკითხაო. თუმცა პირისპირ არ მაქვს ცნობაო, გარნა სული კი ჩემი გიცნობსო" – წერს ფ. კიკნაძეს ს. დოდაშვილი(45.1).

1827 წლის 20 იანვარს კიკნაძე საქართველოში გაამგზავრეს. კათალიკოსმა მას ორმოცი თუმანი ასიგნაცია უბოძა. ციციშვილის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ფილადელფოსისათვის უყიდიათ ჩანთა, ტყავი, ქუდი, ჩექმები, ხელჯაგები, და თოკი, რაშიც ექვსი თუმანი და რვა აბაზი დახარჯულა.

"უეცრად სანა მოატანინეს, ჩამაგდეს შიგ და საქართველოში გამისტურეს" (52.1) - წერს ფილადელფოსი სოლომონ დოდაშვილს. როგორც ჩანს, ის მაინც არ ელოდა საქმის ასეთ დასასრულს და პატიების იმედი ჰქონდა. კათალიკოსის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო არა შურისძიებით, არამედ აუცილებლობით. მან იცოდა, რომ ფილადელფოსის საჩივრებს ხელისუფლება რეაგირების გარეშე არ დატოვებდა, რის გამოც ცდილობდა თავიდან მოეშორებინა საშიში მოწმე. თუ კიკნაძისათვის საქართველოში გამგზავრება მოულოდნელი აღმოჩნდა, დანიელს წინასწარ სცოდნია ამის შესახებ, ამიტომ ადრევე დაუწერია ფილადელფოსისათვის გასატანებელი წერილები. საყურადღებოა მის მიერ თავისი ნათესავი ქალის, ვლადიკავკაზში მცხოვრები მარიამ ჩერქეზიშვილ-სალკაჩოვასადმი მიწერილი წერილი (29.2), რომელშიც ფილადელფოსზე ზრუნვა ჩანს. დანიელი მარიამს ატყობინებს, რომ ბერ ფილადელფოსს აქაურმა ჰაერმა აწყინა, სულ ავად იყო, რის გამოც უკანვე გამოისტუმრეს და მანდ გამოიევლისო. დანიელის სულგრძელობაზე მეტყველებს მისივე თხოვნა: "ეგ კარგი ქმარი და შვილები ნუ დაგეხოცებიან, როგორითაც მე ისრეთვე ეს მიიღე. თუ გზა შეკრული იყოს ნუ გაისტუმრებ და როდესაც წავიდეს კარგს მგზავრებს გაატან..." (29.2). წერილი დათარიღებულია 1827 წლის 10 იანვრით. დანიელს საქართველოშიც გამოუგზავნია წერილები უახლოესი ნათესავებისათვის. თავის ძმისშვილს - ტატო ხვითოს ძეს უსაყვედურებს - რატომ არ მწერო. ყველას სიყვარულით მოიკითხავს: ბიძებს - გოგიას და ნინიას თავისი შვილებითა და რძლებით, მამიდა ანასტასიას, ძალუა მართას და დარეჯანს თავისი შვილებით და სიძეებით. დედას უსაყვედურებს - დიას, მიკვირს თქვენგან ეგრე ჩემი დავიწყებაო. მოკითხვას უთვლის ძმებს, რძლებს და კარგი სანჯლის გამოგზავნას სთხოვს. თან დასძენს: ერთი დიდი კაცისთვის მინდაო.

დანიელის წერილებმა საქართველომდე ვერ მოაღწია. ფილადელფოსმა საქართველოში წამოსვლის ნაცვლად გზას გადაუხვია და მოსკოვში გაჩერდა, რის შესახებ დოდაშვილს სწერდა: "გზაზე ავად გავხდი და იზვოშიკი ფულს დავახარბე და მოსკოვს შემოვბრუნდი. აქ ფილარეტს მოვახსენე და ნება მომცა მოსკოვში ცხოვრებისა" (52.1).

მოსკოვში იგი ბატონიშვილებს დაუახლოვდა, განსაკუთრებით კი ოქროპირს, რომლის სახლშიც ცხოვრობდა

ოქროპირი 9 წლიდან რუსეთში იზრდებოდა. 1803 წლის 19 აპრილს დედამისმა - მარიამ დედოფალმა გენერალი ლაზარევი მოკლა, თუ ხიმშიაშვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა თავის თავზე აიღო. ოქროპირი თავის და-ძმებთან და დედასთან ერთად ძალით გადაასახლეს რუსეთს, სადაც კადეტთა პირველ კორპუსში მიაბარეს, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში ჩარიცხეს. ოქროპირს სამხედრო სამსახური არ იზიდავდა - პორუჩიკის ჩინით სამსახურიდან გადადგა. მას ცოლად ჰყავდა სახელმწიფო საბჭოს წევრისა და სენატორის, ობერჰოფმეისტერ გრაფ პავლე ივანეს ძე კუტაისოვის ქალიშვილი - ანა. ოქროპირის შესახებ მოსკოვის გენერალ გუბერნატორს ასეთი დასკვნა დაუწერია: "ოქროპირი და მისი ორი ძმა დედასთან ერთად ცხოვრობენ მოსკოვში საკუთარ სახლში. ოქროპირი წყნარი და მორიდებული ზნისაა, საზოგადოებას ერიდება, ხვდება მხოლოდ ნათესავებს და თანამემამულეებს. რუსეთში მას ერთგვარი განათლება მიუღია, საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობს რუსულად და ფრანგულად, კითხულობს მისტიკურ წიგნებს , მისი საუბრიდან გარკვევით ჩანს, რომ ძალიან განიცდის სამეფოს დაკარგვას და გაჭირვებით ურიგდება აზრს, რომ იგი აღარასოდეს არ იქნება მეფე. ოქროპირი ძალზე აძაგებს საქართველოში რუსებისაგან შეტანილ მმართველობის სისტემას" (106 .157-158).

ოქროპირს ფილადელფოსისათვის უთქვამს: ქართველმა კაცმა არ უნდა დაუტეხოს ბაგრატიონების და თავისი მამულის სიყვარული. დრო ყოველთვის იცვლება და "ვინც ჭკვიანი კაცია და ჩვენი ერთგულია, თვით ყმაწვილები რომ იზრდებიან იმათაც უნდა ჩააგონოს, რომ იმათაც ვახსოვდეთ" (10. 2174). მეორედ ოქროპირ და ილია ბატონიშვილებმა ფილადელფოსს ჰკითხეს - მოგვიგონებენ ხოლმე თუ არა ქართველებიო. ფილადელფოსმა კითხვითვე უპასუხა: თვით ხელმწიფემ რომ გაათავისუფლოს საქართველო და მოგცეთ, როგორ შეძლებს საქართველო დამოუკიდებლად არსებობასო. ამაზე ოქროპირ ბატონიშვილმა მიუგო: "რატომ არა, ძალიან კარგად შეიძლებაო, როგორ არის ფრანციაო, უნდა დააწყოს რეგული, ასწავლოს ყოველთა კაცთა ჯარის სამსახური, როცა საჭირო იქნება შემოკრიბოს, როცა არა და მიაქციოს ისევ მიწის მუშაობაზე თავის სახლებშიო" (10. 2174). ოქროპირის სახლში გამეფებული ატმოსფეროს მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მისი და - თამარ ბატონიშვილი ს. დოდაშვილს ურჩევდა ეკითხა საქართველოს ისტორია და დაერიგებინა თავისი მოსწავლეები, რომ მათ ჰყვარებოდათ მამული-საქართველო და ქართველი ბატონიშვილები ხსოვნებოდათ

(3. 388). ამასვე ურჩევდა ქართველ ახალგაზრდებს თავად ოქროპირ ბატონიშვილი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას. შეთქმულების მოთავე ბატონიშვილი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ქართველი ახალგაზრდებისათვის თავისი კონკრეტული გეგმები თუ არა, ზოგადად მაინც ჩაენერგა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. 1833 წელს ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებდა: "მხოლოდ ოქროპირ ბატონიშვილის სიტყვებსა ჰქონდა ჩემზე გავლენა, რომელმაც შთამაგონა მთავრობის წინააღმდეგი ჩემი დამღუპველი აზრი. რუსებიო, მეუბნებოდა იგი, შენ თავადობას არ მოგცემენო, შენ ჩვენ არ უნდა დაგვივიწყოო, შეიძლება საქართველო განთავისუფლდეს, შენ სამშობლოზე მეტი უნდა იფიქროო"(7. 1613).

ოქროპირ ბატონიშვილს რუსეთის რომელიღაც მონასტერში ერთი ბერისათვის დავალებული ჰქონია ბაგრატიონთათვის ლოცვა(9. 1980). იგი დაინტერესებული იყო ისტორიით და ეძებდა მასში ისეთ მომენტებს, რომლებიც საქართველოს მომავალ აღორძინებასა და განთავისუფლებაზე მიანიშნებდნენ. 1833 წელს ის იძულებული ხდება ამ საკითხის თაობაზე ნაწილობრივ გაამხილოს სიმართლე: "არ დავმალავ, რომ, ვთარგმნიდი რა საქართველოს ისტორიას, მასში ვპოვე მოხსენებული წინასწარმეტყველება, რომელიც ჩემთვის ცნობილი არ იყო და ეს ვაცნობე მას (ს. დოდაშვილს – მ. ხ.), როგორც ისეთ ადამიანს , რომელიც მისდევდა მეცნიერულ საქმიანობას. არა ვფიქრობდი რამე ბოროტს. ეს წინასწარმეტყველება შემდეგს შეიცავს: როდესაც ბერძენთა იმპერატორმა გაილაშქრა მაჰმადის მიმდევართა წინააღმდეგ ერთი მწერი მივიდა მასთან და უთხრა, რომ ამაოდ აღიჭურვა იგი იარაღით, რადგან ღვთის განგებით, ეს მხარე უნდა მათ ეკუთვნოდეთ 1200 წლის და მეტის განმავლობაში. რომ მაშინ განთავისუფლდება საბერძნეთი და აღსდგება ივერია, ე. ი. საქართველო და მაშინ ბერძნები მოითხოვენ სიის მიხედვით თავიანთ საგანძურს, რომელიც დამალულია ქალაქ ტონთიოში, ეხლანდელ გორში (16. 3794). ოქროპირისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო XI ს-ის ისტორიკოს ჯუანშერისგან მომდინარე ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ბიზანტიის იმპერატორმა ერეკლემ გორში ჩაფლა განძი "რომელნი თანა ვერ წარქონდეს. სახელი გორისა მის არს ტონითიო და თარგმანებით "მთა ოქროსა"(140.149). ამ ცნობას ვახუშტიც მოიხსენიებდა (90.73), ამჯერად, ჩვენ ყველაზე უფრო მეტად ის გვაინტერესებს, თუ რა მიზნით გაიხსენა ეს თქმულება ოქროპირ ბატონიშვილმა. ს. დოდაშვილი ამ საკითხის თაობაზე უჩვენებს : "ოქროპირ ბატონიშვილი მიამბობდა საბერძნეთისა და საქართველოს ისტორიას. მან თქვა, რომ ვილაც წინასწარმეტყველმა (სახელი არ მახსოვს) თქვაო, რომ საბერძნეთი ამდენსა და ამდენს წელს ხხვის ბატონობის

ქვეშ იქნება და შემდეგ განთავისუფლდებაო; აგრეთვე საქართველოზედაც თქვა ამდენისა და ამდენს წელს უცხო მართველობის ქვეშ იქნება და მერე განთავისუფლდებაო. ეს გარემოება პირველად ეხლა გამახსენდა. მაგრამ რამდენი წელი თქვა არ მახსოვს. ამიტომაო იმედი მაქვს საქართველოში დაბრუნებისაო, არ დამივიწყოო" (2. 173). მართალია, ოქროპირ ბატონიშვილმა ეს თქმულება ს. დოდაშვილს საქართველოში ყოფნისას უამბო, მაგრამ საქართველოს დაბრუნების აზრი მას ხომ მოსკოვში დაებადა. როგორც ფილადელფოსმა შემდგომ დავით ნათალიშვილსა და ეფრემ ალექსი-მესხიშვილს გაანდო, თურმე მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ესაუბრებოდა მას. ესტატე ციციშვილისაგან განსხვავებით, ოქროპირმა შესძლო ფილადელფოსის ნდობის მოპოვება, რომელსაც უკვე რუსეთშივე სცოდნია შეთქმულების შესახებ - ბატონიშვილებთან საუბარი მუდმივად მხოლოდ ამაზე იყოო (17. 4150).

საქართველოს ისტორიით ოქროპირ ბატონიშვილის დაინტერესებაზე ისიც მეტყველებს, რომ როგორც თავად ამბობს, ის თურმე ისტორიას თარგმნიდა . ოქროპირი ცნობილია თავისი ლიტერატურული ნაწარმოებით: როგორც მკვლევარი მიხეილ გინიკიშვილი ამბობს, ოქროპირს მწერლობა იზიდავდა, სცადა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოუვიდაო (114 . 181). ის არის ავტორი ტრაგედიისა, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა ასეთი სათაურით: " ოქროპირ ბატონიშვილი. ვეფხისტყაოსანი. ტრაგედია, თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან, მოსკოვს ივანე სერიკოვის სტანბაში 1853(106.159). ხოლო მის მიერ თარგმნილი რაიმე ისტორიული ხასიათის თხზულების შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობა არ მოიპოვება, თუმცა ჩვენ შეგვიძლია ერთი ჰიპოთეზა წარმოვადგინოთ: არსებობს ოქროპირ ბატონიშვილის უფროსი ძმის, თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის "ცხოვრება შემოკლებით საქართველოისა გინა გიორგიისა რომელ არს სრულიად ივერია" - ხელნაწერი თარგმანები რუსულ და ფრანგულ ენებზე, რომლებიც შესრულებულია XIX ს-ის I მეოთხედში, პეტერბურგში. მთარგმნელები უცნობი არიან (158 .38). ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ მთარგმნელი სწორედ ოქროპირ ბატონიშვილი იყოს, მაგრამ ამ საკითხს საგანგებო შესწავლა სჭირდება. ოქროპირი ლექსებსაც სწერდა (16. 3858).

ოქროპირ ბატონიშვილთან ურთიერთობამ, ჩვენი აზრით, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ფილადელფოს კიკნაძის მსოფლმხედველობაზე და ხელი შეუწყო მისი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

მოსკოვიდან ფილადელფოსმა ს. დოდაშვილს მისწერა, რომელშიც, რომ მიიღო მისგან წერილი "თანაწარმოგზავნილითვე ჩემგან დაეედრებულითა" (56.1). რისთვისაც მადლობას უხდის : "თანაწარმოგზავნილში" ის თანხა იგულისხმება,

რომლითაც ფილადელფოსს მისივე თხოვნით ს. დოდაშვილი დაეხმარა და თან დასძინა: "გთხოვ სხვანიცა სამსახურნი მიბრძანოთო"(43.1). ფილადელფოსი თავის ლოცვა-კურთხევას უგზავნის ერთგულ მეგობარს და დიდ სიხარულს გამოხატავს დოდაშვილის მიერ მასზე მზრუნველობის გამოჩენის გამო. ამავე დროს აცნობებს, რომ მას კვლავ საქართველოში ისტუმრებენ. სიკვდილისაგან თუ მიხსნის ვინმე ეს დიდი მადლი იქნებაო: " კნიაზი ევსტათი ციციანოვი პოლიციით მგზავნიდა, კნიაზ გიორგი ალექსანდრეიჩს ვსთხოვე და დამიფარა ამ აბიდისაგან, მაგრამ ექსარხს კი მისწერეს, რომ ეს ბერი უკანვე მიიღეთო და მე აქავ სული მიმდის, გლეხურათ ვიტყვი, ვიცი რომ ვერ მივაწევ ცოცხალი"(52.1). ხსენებული თავადი - გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი უნდა იყოს, ვახტანგ VI-ის და ბაქარ ბატონიშვილის ჩამომავლები ნიჟნი ნოვგოროდის მიმდებარე სოფლებში სახლობდნენ. გიორგი ალექსანდრეს ძე 20 წლის განმავლობაში ადგილობრივი თავადაზნაურობის გუბერნიის მარშალი იყო. ნიჟნი ნოვგოროდში ყოფნისას ფილადელფოსი დაახლოებულა მასთან. სწორედ "კნიაზ ალექსანდრიჩს" ურჩევია ფილადელფოსისათვის: საქართველოში ნუ წახვალ, მოსკოვში მოიცადეო (10. 2262). სიმართლეს შეესაბამება წერილში მოხსენიებული ფაქტი: ანტონ II მართლაც მისწერა საქართველოს ეგზარქოს იონას, რომ ფილადელფოსმა ესოდენ მცირე დროში უკვე გამოამჟღავნა თავი როგორც მოუსვენარმა პირმა და რომ კათალიკოსს აღარ სურს მისი თავისთან დატოვება. ეგზარქოსმა უპასუხა: ჩემი შეკითხვის გარეშეც ნებისმიერ დროს შეგეძლოთ და ახლაც შეგიძლიათ, ფილადელფოსი საქართველოში გამომიგზავნოთო (95.1). აღსანიშნავია, რომ 1903 წელს მღვდელი პ. კარბელაშვილი გაზეთ "ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში სვამს კითხვას: "რა იყო ნამდვილი მიზეზი ფილადელფოს ბერის ასე სიჩქარით (ოთხი თვის შემდეგ) დათხოვნისა?" შემდეგ გამოთქვამს თავის ვარაუდს, რომ ფილადელფოსმა ოქროპირს საქართველოდან თეკლე და თამარ ბატონიშვილებისა და სხვათა საიდუმლო წერილები ჩაუტანა, ხოლო "მათი სალაპარაკო საქართველოს აღდგენა იყო. ამიტომ კიდევ ეჭვი არა გვაქვს, რომ ანტონ კათალიკოზი ოსტატურად მოიქცა და ფილადელფი მართლა-კი არ დაიწუნა, არამედ ოქროპირ ბატონიშვილმა და სხვებმა სთხოვეს მას ფილადელფი ბერი საქართველოში გაესტუმრებინა, რადგან ფილადელფი ერთი უნიჭიერეს ქართველთაგანი და ფრიად განათლებული იყო იმ დროში. რა თქმა უნდა გულჩათუთქული ანტონ კათალიკოზი თანაუგრძნობდა ამ სახიფათო მოძრაობას"(171.3). პ. კარბელაშვილის ეს საინტერესო ვარაუდი ჩვენ მიერ მიკვლეული დოკუმენტების ფონზე არ მართლდება.

ეგზარქოსის პასუხი დათარიღებულია 1827 წლის 28 თებერვლით. ამ დროს

ფილადელფოსი უკვე გამოგზავნილი ჰყავდათ საქართველოში, მაგრამ მან როგორც ვნახეთ, მოსკოვს შეაფარა თავი. აუწერდა რა ს. დოდაშვილს თავის პანიკურ შიშს, რომელსაც ესტატე ციციშვილს მიმართ გრძნობდა, იგი მაინც არ უხსნიდა მეგობარს ციციშვილთან ესოდენ სასტიკი დაპირისპირების მიზეზს და დასძენდა: "მიზეზებს ნუ გამოიძიებ". ფილადელფოსი მოკითხვას უთვლიდა მამა იონას (ცხადია, იონა ხელაშვილს) და ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა ბატონიშვილებს. სოლომონს კი უმტკიცებდა : "მე თქვენ უწყით არარაი გულად მედვა გარნა ყოვლად უმორჩილესი პატივი ძეთა მეფისათა. მაგრამ ციციანოვ ყოველთა ალემატება ხელმწიფობით" (56.1). კიკნაძის შიში გამართლდა. ის დააპატიმრეს. ციციშვილის დევნამ მას მოსკოვშიც მოუსწროო - წერს თ. კუკავა (128.5). ამასვე ფიქრობდა თავად ფილადელფოსიც, მაგრამ მისი დაპატიმრება ციციშვილის ბრალი არ ყოფილა. როგორც არქივში გამოვლენილი დოკუმენტებიდან ჩანს, ფილადელფოსის საჩივრებს ხელისუფლებამ მსვლელობა მისცა. სამოქალაქო ხელისუფალთა განკარგულებით დანიელ ანდრონიკაშვილი დააპატიმრეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მონასტერში გამოკეტეს(64.23). მისი დანაშაულის დამტკიცება ვერ ხერხდებოდა, ამიტომ ფილადელფოსს ბრალი დასდეს, რომ მან ცილი დასწამა ესტატე ციციშვილსა და დანიელს, რის გამოც მოსკოვში მოძებნეს და დააპატიმრეს.

6 კვირის განმავლობაში მოსკოვში ციხეში ჯდომის შემდეგ, ფილადელფოსი ქვეითი, ბორკილგაყრილი ნიჟნი ნოვგოროდში წაიყვანეს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, იგი გზიდან უგზავნის წერილს ვინმე გავლენიან პირს და დახმარებას სთხოვს მას. ამასთან, ყველაფერში ციციშვილს ადანაშაულებს: "...რა ვქმნა თვინიერ თქუენის ბრწყინვალებისა არავინ არს კაცთაგანი ქვეყანაზე შემწე ჩემი და არავის ძალუძს გამოყვანება ჩემი განსაცდელისა ამისგან, რომელშიაც შემიყუანა მე მათმა ბრწყინვალებამ (იგულისხმება ე. ციციშვილი - მ. ხ.) და მოსკოვიდან ქვეითად ოცდაცხრა დღე არის მოვდივარ და მეტის მწუხარებისაგან თითქმის სახელი ღვთისა დამავიწყდა და ეკლესიისგან სრულიად განშორებული ვარ"(24. 8). ბოლოს, კვლავ უმეორებდა თხოვნას - "კნიაზ ციციანოვისაგან" დამიხსენით და განმარიდეთ იმ განსაცდელს, რომელსაც მიმზადებსო. ნიჟნი ნოვგოროდში ჩასვლისთანავე ფილადელფოსი კვლავ პატიმრობაშია და ახლა მიხეილ ბატონიშვილს უგზავნის წერილს - "შემდგომ თქუენი წაბრძანებისა გამომაგდეს ქვეითად და ოცდათორმეტი დღე გზაზე ვიყავ და სხვა შეწუხება რალა მოგახსენო". ფილადელფოსი ინანიებს თავის საქციელს, მაგრამ ამავე დროს თავს იმართლებს: "რა ვქნა არ უნდა მექნა, მაგრამ დაფიცებული ვიყავ და ცხებულის მეფისათვის უსჯულოსაც გული შესტკივდებოდა და ეს კი არ ვიცოდი თუ ესოდენ დიდს

საშიშარს საქმეში შევდიოდი...'' (4. 534). აღნიშნულმა წერილმა ბატონიშვილამდე ვერ მიაღწია. ამის იმედი ფილადელფოსსაც არ ჰქონია. მინაწერში დასძენს: ''ძვირად მიჯდება ამ წიგნის მირთმევა'' და ისიც არ ვიცი მიიღებთ თუ არა''. როგორც ჩანს, ფილადელფოსმა წერილი ტულაევს გაატანა. მან თავის მხრივ სოლომონ დოდაშვილს გადასცა, რომელსაც მისეილ ბატონიშვილისთვის აღარ მიუცია იგი (4. 535).

1827 წლის 2 ივლისს შეწუხებული დოდაშვილი იონა ხელაშვილს მოსკოვიდან ატყობინებდა: ''კვალად ფილადელფი შეპყრობილი ჰყოლიათ ერთი თვე აქა და აქითგან ქვეითი ნიჟნი ნოვგოროდს წაუყვანიათ, რომელიცა დიდ ფრიად შესაწუხ არს. ღმერთმან ინებოს და იხსნას თავი თვისი ამ განსაცდელისაგან'' (119. 383). სწორედ აღნიშნული ცნობის საფუძველზე დაასკვნა სოლომონ ხუციშვილმა, რომ ფილადელფოსი მოსკოვში ყოფნისას მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებისათვის იყო პასუხისგებაში მიცემული და ''დაპატიმრებული იყო 1827-28 წლებში ჯერ პეტერბურგს, შემდეგ ნიჟნი ნოვგოროში'' (152.156).

როგორც ირკვევა, ფილადელფოსი წერილს წერილზე აგზავნიდა და ბატონიშვილებს შველას სთხოვდა, მაგრამ მათგან ქმედითი დახმარება არ მიუღია. ეს კარგად ჩანს დიმიტრი ოქრიაშვილის წერილიდან, რომელიც ბატონიშვილებს შეახსენებდა ფილადელფოსისათვის პასუხის გაცემას, მაგრამ ილია ბატონიშვილს უთქვამს: მე ბერის წერილი არ მომსვლია ''და რა პასუხი უნდა მივწეროო, რომ არა ვიცირაო''(6. 1250. 1251). თამარ ბატონიშვილს ფილადელფოსის წერილი მიუღია და დიმიტრი ოქრიაშვილისთვის დაუვალებია პასუხის გაცემა: ''ასე მისწერეო, რითაც ღონე არს მანდაურ ღუბერნატორთან უნდა ეცადო - საბაკინთან სხვა მეტი ღონე არა გექნება რაო და ყოველი წვრილათ შეატყობინო და მაგისიდამ უნდა გარიგდეს როგორი იქნება საქმეო''(6. 1251).

1827 წლის 18 მარტს პატიმრობაში მყოფი დანიელ ანდრონიკაშვილი წერს პასუხს (24. 10) ფილადელფოსის მიერ უწმინდეს სინოდში გაგზავნილ საჩივარზე. დანიელი ამტკიცებს, რომ მას არ მოსვლია ფილადელფოსთან არავითარი შფოთი და ''შფოთსა მას შინა'' არ უსსენებია ავი სიტყვით მისი იმპერატორებითი დიდებულება. ჩვენ ანტონ კათალიკოსს ვახლდით და მისი უწმინდესობა არ არის შენიშნული იმაში, რომ ვინმეს იმპერატორის აუგად ხსენება მოუთმინოსო. ფილადელფოსის ნათქვამი რომ მართალი იყოს, მაშინ რატომ პირველად კათალიკოსს არ მოახსენაო ''და როდესაც ამათი უნეტარესობა მე დამფარავდა და არ გამამაცხადებდა, მაშინ აღმოჩნდებოდა იგი მართლად და მე ცრუთ'' (24. 10) – აცხადებს დანიელი. მან იცის რომ მას არავინ გასცემს, რის გამოც უშიშრად აცხადებს: თუ ფილადელფოსი თავის სიტყვას დაამტკიცებს, თუ მას ვინმე,

თუნდაც ჩემი მტერი დაემოწმება, მაშინ დაე ისე დამსაჯონ, როგორც ხელმწიფის მუხანათი იმსახურებსო. დანიელი ამტკიცებს, რომ მას არასოდეს შემთხვევია მსგავსი რამ. 12 წლისა ყოფილა, როდესაც ნათლისმცემლის მონასტერში შეუყვანიათ, შემდეგ მიტროპოლიტ თეოფილაქტეს შუამთის მონასტერში გადაუყვანია. დანიელი მოითხოვს, რათა მის შესახებ "ეკითხოსთ ორთავე მათ მონასტერთა კრებულთა," ხოლო ფილადელფოსს ახასიათებს, როგორც მშფოთვარე და უარყოფითი თვისებების მქონე ადამიანს. დანიელი უწმინდეს სინოდს ჩამოუთვლის იმ პირებს, რომლებსაც, თითქოსდა შეეძლოთ მის მიერ ფილადელფოსის შესახებ გამოთქმული აზრის დადასტურება. იგი ასახელებს ბოდბელ მიტროპოლიტ იოანეს, არქიმანდრიტ ნიკიფორეს, არქიმანდრიტ ილარიონს, სიღნაღის მაზრის სამღვდელოთ და საერო საზოგადოებას - მართლმადიდებლებს და სომხებს, კახეთის თავადებს - ანდრონიკაშვილებს, ვაჩნაძეებს, აბაშიძეებს, ჯანდიერებს, ჭავჭავაძეებს, ქობულაშვილებს, მაყაშვილებს, ნათალიშვილებს, ჩოლოყაშვილებს და სხვა თავადებს და სამღვდელო პირებს, მღვდელ იოანე მეკაევს, ღენერალ გიორგი ერისთავს, "შირვანცკის პოლკის" პოლკოვნიკს ვასილ ვასილიჩ კავალოვს, ამავე პოლკის მაიორებს, კაპიტნებს და ოფიცრებს, დრაგუნთა პოლკის ოფიცრებს, ყარაღაჯის მცხოვრებლებს, ფერისცვალების მონასტრის ხაზინადარ იოანეს და იერომონახ სერაპიონს, აგრეთვე ქალაქის თავადებს და სამღვდელოთ -"ეკითხოს ქალაქიდამ ჩვენთან მოგზაურთა უფალს კაპიტანს იოსებ ყორღანოვს და კეთილშობილს ოსეფ მდივანოვს თფილისის ქალაქელთ, ეკითხოსთ კვალად თფილისიდამ წარმომყვანელთა ჩვენთა ცარიცინელთ იზბოშიკთ ივან ეკდაკიმიჩს და მის ამხანაგთ, და აგრეთვე მოსკოვიდამ წარმომყვანელსა ჩვენსა ნიჟნა გოროდის ღუბერნიის კნეღონინის უეზდის სოფლის ნელიუბოვის კირილეს შვილს სტეფანეს." დანიელი ასახელებს აგრეთვე ფარსადან ციციშვილს, ანტონ კატალიკოსს, ესტატე ციციშვილს, მათ მოსამსახურეებს და სხვა. დანიელი დარწმუნებულია საკუთარ უცოდველობასა და იმაში, რომ აღმოჩნდებიან მრავალნი სამღვდელონი გვამნი ფილადელფოსისაგან "სიცრუით შესმენილნი". თუ მან თავისი "მაკურთხეველი ღვდელმთავარი და თვისი აღმზრდელი არ დაინდო, რაღა საკვირველ არს ჩემ ზედა შეიძლოს ამგვარი შესმენაო"-ამბობს დანიელი და სინოდს სთხოვს ამ საქმის გამოძიებას. დანიელი ხელს აწერს როგორც იერომონახი. ნიშანდობლივია, რომ ყოფილი იეროდიაკონი ანტონ კათალიკოსს დაუწინაურებია. 1827 წლის ზამთარში იგი ნოვგოროდში მღვდელმონაზონად იქნა ხელდასმული ათანასე ეპისკოპოსის მიერ (66.4).

დანიელი მეტად სერიოზული ბრალდებით იყო დაპატიმრებული და ცხადია, როგორმე უნდა ემართლებინა თავი. მაგრამ მისი მტკიცება თითქოს ფილადელფოსს

ადრეც ჩაედინოს მსგავსი რამ — ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებით არ დასტურდება. პირიქით, დანიელის მიერ მოხსენიებულმა ნიკიფორე არქიმანდრიტმა 1830 წელს თავის აღზრდილ ფილადელფოსს შესანიშნავი დახასიათება მისცა (26.1). დანიელის ბრალდება თავად ფილადელფოსმა საკმაოდ დამაჯერებლად გააბათილა თავის პასუხში, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდის სასამართლოში დაუწერია. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დანიელი ჯერ წერს-მხოლოდ ორ მონასტერში მიცხოვრიაო, შემდეგ კი სრულად აღრიცხავს საქართველოს გუბერნიაში მცხოვრებ არქიერებს, არქიმანდრიტებს, გენერლებს, პოლკოვნიკებს, ოფიცრებს, მთელ არმიას, მოქალაქეებს, სამღვდელოებს, მართლმადიდებლებსა და სომხებს. "მიკვირს მყოფმან მხოლოდ ორსა მონასტერსა შინა ვითარ უძლო ესოდენისა ერისა გულისა და გონებისა გამოძიება, რომელ ისინი ყოველნივე აღმიარებენ მე ავ კაცად"(24.14) —ამბობს ფილადელფოსი და განმარტავს, რომ დანიელის მიერ აღრიცხულ პირთაგან ზოგს იცნობს, როგორც თავის მწყალობელთ და კეთილისმყოფელთ, ზოგის შესახებ გაუგონია, ზოგის კი სახელიც არ სმენია, ისევე როგორც არც მათ სმენით მისი სახელი. ფილადელფოსს არ ეშინია თავისი წარსულის და თამამად მოითხოვს, რომ თუ ახლანდელი საქმის გამოძიება მისი წარსულის შემოწმებას საჭიროებს, მაშინ უნდა განიხილონ თუ როგორ წარადგინა იგი ბოდბელმა მიტროპოლიტმა დიაკვნობაზე, შემდეგ მღვდლობაზე, დაბოლოს "ვითარ წარმომადგენს მე მათის მეუფება ექსარხი იონასადმი, რომლისა შემდგომ აღარ მიხილავს მათი მეუფება მაკურთხეველი ჩემი და ვერცარას შევწამებდი და ვერცარას შევსცოდებდი"-ამბობს ფილადელფოსი და ირწმუნება, რომ არასდროს დაუსმენია არც სამღვდელო პირნი, არც ერის კაცნი და რომ მსგავსი რამ არასდროს შემთხვევია. თუ ასეთი შემთხვევა ადრეც მქონია, მაშინ ახლაც დამნაშავედ ჩამთვალეთო.

კიკნაძემ იცის, თუ რატომ მოითხოვს დანიელი ბოდბელი მიტროპოლიტის აზრის გაგებას. ციციშვილს უთქვამს-ბოდბელს მივწეროთ, რომ ფილადელფოსი ავ კაცად წარმოადგინოსო. ალბათ, ამის იმედი ჰქონდა დანიელს, მაგრამ ბოდბელის მონაწილეობა ამ საქმეში არ ჩანს. ფილადელფოსი კვლავ ხაზგასმით ამტკიცებს, რომ არავითარი ცოდვა არ მიუძღვის თავისი მაკურთხეველისა და აღმზრდელის წინაშე.

ფილადელფოსი იმასაც განმარტავს, თუ რატომ არ მოახსენა კათალიკოსს ვიდრე იჩივლებდა. მისი თქმით, მას ეშინოდა,რომ კათალიკოსისაგანაც იგივე პასუხი არ მიეღო, რაც ციციშვილისგან მიიღო. ფილადელფოსს არ სურდა ანტონ II გარევა ამ საქმეში, თუმცა აღნიშნავდა, რომ კათალიკოსი ყველაფერს თავისი დისშვილის, ესტატე ციციშვილის რჩევით აკეთებდა. ამავე დროს

ფილადელფოსი ხაზს უსვამდა, რომ" შორს ბრძანდება ამ საქმისგან ბატი უწმინდესობა"(24.14).

კიკნაძის მიერ 1833 წლის 29 მარტს საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემული ჩვენებიდან (10.2262) ვიგებთ, რომ 1827 წელს ნიჟნი ნოვგოროდში მასთან კათალიკოსის თარჯიმანი მისულა და დაურიგებია: კათალიკოსმა შემოგითვალა, თუ გკითხონ რამე, სთქვი რომ ავად იყავი, სიცხე გქონდა და არ იცი რა დაწერე, ან თქვი – ტყუილად, ყრმაწვილობით მომივიდათქო. კათალიკოსი ჰპირდებოდა-ხელმწიფეს ვთხოვ შენს პატიებას და ისევ ჩემთან იქნებიო. ფილადელფოსიც თურმე ორ-სამ თვეს ელოდებოდა პატიებას, შემდეგ იმ მონასტრის ბერებმა, სადაც დაჭერილი იყო უთხრეს, რომ ყველას დაუფიცია: არაფერი გაგვიგონია, ფილადელფოსმა ყველაფერი მოიგონაო. ახლა მას ციმბირში გაგზავნას უპირებდნენ. შეშინებულ ფილადელფოსს იმპერატორისათვის გაუგზავნია თხოვნა თავისი განთავისუფლების შესახებ. თუ აქამდე იგი ქართულად წერდა და რუსულის არცოდნას იმიზეზებდა, ამჯერად რუსულად მოუყრია თავი თავისი აზრებისათვის. ამ დოკუმენტის შავი შემონახული აღმოჩნდა საისტორიო არქივში (25.1).

ფილადელფოსი იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს ძეს სწერს: ჭეშმარიტად მეშინია თქვენი უდიდებულესობისა, მაგრამ საზოგადოება თქვენ "ყოვლადმოწყალე მონარქს" გიწოდებთ. ბავშვობიდან ჩემი სამსახური იყო თქვენზე ლოცვა. ამას მავალებს საღვთო სჯული როგორც ეკლესიაში, ისე სახლში, დღითა და ღამით. როგორც მხოლოდ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს ვცნობ, ასევე მხოლოდ ერთ დიდებულ და მართლმადიდებელ მონარქს ვცნობ და მიყვარსო. შემდეგ ფილადელფოსი მოუთხრობს მონარქს, თუ როგორ მოხვდა ანტონ კათალიკოსთან,რომლის სახლშიც არაერთხელ მოუსმენია "უკანონო სიტყვები", რის შესახებაც ბოლოს განაცხადა, რადგან ამას მოითხოვდა მისგან კანონი და ფიცი. კიკნაძე წერს, რომ მისი რწმენით, სინდისიერ და ქრისტიან ადამიანს ასეთი რამ არ უნდა დაეფარა, მაგრამ ახლა ვხვდები-ზოგიერთი ადამიანი არაფრად აგდებს კანონსა და სამართლიანობას. აქედან გამომდინარე,არსად არ შემიძლია თავის მართლება, გარდა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშეო. ფილადელფოსი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ აგზავნიდნენ მას, ავადმყოფს საქართველოში, როგორ გაჩერდა მოსკოვში, საიდანაც ბორკილგაყრილი ჩამოიყვანეს ნიჟნი ნოვგოროდში. უკვე ექვსი თვეა, რაც სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფები, საქმე კი არ იძვრისო. ფილადელფოსი ჩიოდა, რომ უცხო მხარეში იმყოფებოდა, არც ენა იცოდა, არც ნაცნობობა ჰყავდა და არ შეეძლო დაემტკიცებინა ის, რაც გაიგონა და ნახა. არც კანონები ვიცი და არც გამოცდილება მაქვს ამგვარ

საქმეშიო. თავისი დამტერეული რუსულით, ფილადელფოსმა მოახერხა დაერწმუნებინა იმპერატორი მისდამი თავის უანგარო სიყვარულსა და ერთგულებაში და როგორც უდანაშაულოდ დასჯილმა ადამიანმა, მის უზენაეს ნებას მიანდო თავისი ბედი. თხოვნა დათარიღებულია 29 ოქტომბრით. იგულისხმება 1827 წელი. ამჯერად, ფილადელფოსს გაუმართლა. თამარ კუკავა წერს, რომ კიკნაძე კათალიკოს ანტონის თხოვნით გაათავისუფლეს (128.5). მკვლევარი არ უთითებს წყაროს, შესაძლებელია ის ეყრდნობოდეს ს. ხუციშვლის ცნობას იმის თაობაზე, რომ კიკნაძე" 1827 წელს ანტონ II კათალიკოსის გავლენით გაუთავისუფლებიათ" (119.420). ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება. ანტონ კათალიკოსი 1827 წლის 21 დეკემბერს გარდაიცვალა 63 წლის ასაკში. არ გამოვრიცხავთ, რომ მის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა დანიელისა და ფილადელფოსის დაპატიმრებასთან დაკავშირებულმა ნერვიულობამ. ფილადელფოსი კი იმპერატორის ბრძანებით გაანთავისუფლეს. სინოდის ობერ-პროკურორს, თავად პეტრე სერგის ძე მეშჩერსკის იმპერატორისათვის წარუდგენია მოხსენება ფილადელფოსის თხოვნის შესახებ, რაზედაც 1828 წლის 21 იანვარს იმპერატორმა საკუთარი ხელით წააწერა რეზოლუცია: "იერომონახი ფილადელფი პასუხისგებიდან განთავისუფლდეს და გაიგზავნოს საქართველოში, მიეცეს სამგზავრო ფული, მაგრამ ჩამოერთვას ხელწერილი, რომ იქ ამოირჩევს ადგილსამყოფელს სადაც მოისურვებს. უმკაცრესად იქნას გამოძიებული, თუ რატომ წაიყვანეს ბორკილდადებული" (64.1). იმპერატორის ნება-სურვილი მეშჩერსკიმ გამოუცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მმართველებს, აგრეთვე უწმინდეს სინოდს. 27 იანვარს მისწერეს ნიჟნი ნოვგოროდის ეპისკოპოს ათანასეს და დაავალეს, რომ მას ფილადელფოსის საქართველოში ჩასვლისთანავე ეცნობებინა სინოდისათვის, თუ რომელ მონასტერს აირჩევდა იგი. საქმე სერიოზული იყო და უმაღლეს დონეზე წყდებოდა. ფილადელფოსის განთავისუფლების შემდეგ კვლავ გრძელდება მაღალჩინოსან მოხელეთა და სასულიერო პირთა მიმოწერა. მოსკოვის სამხედრო გუბერნატორს და ნიჟნი-ნოვგოროდის გენერალ-გუბერნატორს დაევალათ მმართველი სენატისათვის მოხსენება იმისა, თუ რას დაადგენდა ძიება ფილადელფოსისათვის ბორკილების დადების თაობაზე (64.4). "თავისთავად იგულისხმება"-ნათქვამია ერთ დოკუმენტში, რომ თუ ფილადელფოსმა დაამტკიცა იმათი დანაშაული, ვისაც ასახელებდა, მაშინ "ამ პირთა შესახებ საქმეს უნდა მიეცეს დადგენილი მსვლელობა"(59.3).

1828 წლის 14 თებერვალს ნიჟნი ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიამ გასცა პასპორტი (59.10) იმერელი იერომონახი ფილადელფოსის სახელზე, რომლითაც მას დაუბრკოლებლად შეეძლო თბილისამდე ჩასვლა, სადაც ჯერ

საქართველოს ეგზარქოსთან უნდა გამოცხადებულიყო და შემდეგ სამუდამოდ ფერისცვალების პირველი კლასის მონასტერში უნდა დაედო ბინა. როგორც საქართველოს ეგზარქოსის მიერ უწმინდესი სინოდისათვის გაგზავნილი პატაკიდან ჩანს, ფილადელფოსი 1828 წლის 24 აპრილს ჩამოსულა თბილისს და მასთან გამოცხადებულა(64.15).

კიკნაძე თბილისში სულ ერთი კვირის ჩამოსული იყო, როდესაც ნიჟნი ნოვგოროდში მაისის პირველ რიცხვებში გარდაიცვალა ესტატე ციციშვილი, ანტონ კათალიკოსის დისშვილი და მემკვიდრე, რომელსაც ფილადელფოსი ადრე ესოდენ უარყოფითად ახასიათებდა. კიკნაძის თქმით, ციციშვილს თავისი ვერაგობით დამონებული ჰყავდა კათალიკოსი, მის მაგივრად იღებდა ყოველგვარ გადაწყვეტილებას, აბნევდა მის ქონებას და სხვა. კათალიკოსი ტყვეობაში იმყოფება და მისი ნათესავები თუ სხვა პატიოსანი ადამიანები ღვთისადმი ვედრებას აღავლენენ, რათა იგი ესტატე ციციშვილისგან განთავისუფლდესო (24.6).

ჩვენის აზრით, ანტონ კათალიკოსისა და ესტატე ციციშვილის ურთიერთობა სიყვარულსა და პატივისცემაზე იყო დამყარებული. ხელთ გვაქვს კათალიკოსის ანდერძი (96.1), რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ უსახსრობის გამო ვერ შეძლო დაეჯილდოებინა ესტატე ციციშვილი მის მიერ გაწეული დახმარებისა და მზრუნველობისათვის. მთელი თავისი ქონება, რომელიც საქართველოში დარჩა, კათალიკოსს უკვე სვეტიცხოვლის ტაძრისათვის შეუწირავს, ხოლო იმ მცირედ ქონებას, რომელიც ორას თუმანზე მეტს არ შეადგენდა და ფულს, რომელიც მის შემდეგ დარჩებოდა, ანტონი უანდერძებდა თავის დისწულს, თავად ესტატი დავითის ძე ციციშვილს და დასძენდა: "ნიშნად ჩემის გულითადის მისდა მადლობისა, მისის ჩემდა წრფელის სიყვარულისა და ერთგულებისა და განმეორებად ჩემის მისდა უზადო სიყვარულისა." ანდერძი დათარიღებულია 1825 წლის 13 დეკემბრით. (ხოლო 1830 წელს დიმიტრი ფურცელაძემ გამოსცა "ანდერძი ანტონ II საქართველოს კათალიკოსისა", რომელსაც დაურთო ცნობა (138.8), რომ ანტონ კათალიკოსი გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული 1822 წელს. როგორც პ. კარბელაშვილმა 1890 წელსვე დაადგინა, ბ. ფურცელაძის მიერ გამოქვეყნებული ანდერძი ეკუთვნის ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მთავარ ეპისკოპოსს ანტონ ჩიჯავაძეს) (85.1). როდესაც ანტონ კათალიკოსსა და მის დისშვილს შორის არსებულ ურთიერთსიყვარულზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხოლოდ კათალიკოსის ზემოთ დამოწმებულ ანდერძს როდი ვეყრდნობით. პოლიევქტოს კარბელაშვილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ანტონ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, მის დისშვილს ხუთი თვეც არ უცოცხლია და ასკვნის: "ესტატე ციციშვილმა თავი

შესწირა ანტონს" (124.204). ეს მოსაზრება სავსებით მისაღებად მიგვაჩნია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: მართალია ესტატეს და დანიელს დანაშაული ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ მათზე ეჭვი მაინც მიიტანეს. დანიელი პატიმრობაშიც კი იყო აყვანილი. ჩვენ არ ვიცით, რა ზომით შეეხო გამოძიება თავად ციციშვილს და რა უსიამოვნება შეახვედრა მას. ყოველ შემთხვევაში, მისი გარდაცვალების დროისათვის საქმე ჯერ დამთავრებული არ იყო. ჩვენი ღრმა რწმენით, ესტატე ციციშვილი იმ ადამიანების გვერდით იდგა, რომელთა წრეში ჩაისახა საქართველოს განთავისუფლება შეთქმულების გზით. ციციშვილსა და კიკნაძეს შორის არსებული სასტიკი დაპირისპირების მიუხედავად, ციციშვილის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მისი სიძულვილი სამშობლოს დამპყრობთა მიმართ მიუღებელი არ ყოფილა ფილადელფოსისათვის, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ებმება და საქართველოს განთავისუფლების იდეებს ეწირება კიდეც.

ესტატე ციციშვილის გარდა კიდევ ერთ პიროვნებაზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ეს არის დანიელ ანდრონიკაშვილი. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მასზე არაფერია ნათქვამი, თუ არ ჩავთვლით მ. ბერძნიშვილის ორიოდე წინადადებას იმის თაობაზე, რომ ფილადელფოსი რუსეთში გაემგზავრა შუამთის მონასტრის იეროდიაკონთან დანიელ ანდრონიკაშვილათან ერთად, რომელსაც შემდგომ ცილი დასწამა. საარქივო მასალის საფუძველზე დავადგინეთ, რომ თუ ფილადელფოსი ჯერ კიდევ სასამართლოს დადგენილების მიღებამდე იქნა განთავისუფლებული 1828 წლის იანვარში, დანიელის განთავისუფლების შესახებ დადგენილება 11 ოქტომბერს (წელი არ არის მითითებული) გაეგზავნა ხარების მონასტრის არქიმანდრიტ იოაკიმს, ვინაიდან დანიელი ამ მონასტერში იმყოფებოდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ (64.23). ნიჟნი-ნოვგოროდის სისხლის სამართლის პოლიციის გადაწყვეტილებით, რომელიც მმართველმა სენატმაც დაამტკიცა, იერომონახი დანიელი და ციციშვილი, რომლებსაც დანაშაულის ჩადენაში დასწამეს ცილი, უდანაშაულობის გამო პასუხისგებიდან თავისუფლდებიან.

დანიელ ანდრონკაშვილი კათალიკოსის გარდაცვალებამდე მასთან დარჩენილა. შემდეგ საქართველოში დაბრუნება მოუსურვებია და პასპორტი მოუთხოვია ათანასე ეპისკოპოსისათვის (64.25). დანიელი 1829 წელს უკვე საქართველოშია. 1830 წლის 3 იანვარს ის სწერს თხოვნას საქართველოს ეგზარქოსის სახელზე: "ახლა შევიტყვე რომელ ნაკლულევანებისა გამო მონაზონთასა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში არის თურმე მღვდელმონაზონის ადგილი, რომელისათვისაცა მსურს რა შესვლა მას უდაბნოსა შინა (66.4). როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, მისი თხოვნა დააკმაყოფილეს (66.8,9). შემდგომში,

საერო საქმეებში მისი ჩარევის კვალი არ ჩანს.

ამრიგად, ზემომოყვანილი მასალა გვიჩვენებს, რომ ფილადელფოსი რუსეთში ყოფნისას არც მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის დაუპატიმრებიათ, და არც ესტატე ციციშვილის მხრიდან მისი დევნის გამო. ყოველივე რაც მას რუსეთში შეემთხვა, განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომელშიც ის გაიზარდა, ბუნებრივი სიფრთხილით, აგრეთვე მისი და ციციშვილის ურთიერთუნდობლობით. მიუხედავად ამისა, რუსეთში ყოფნამ დადებითი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში, რადგან ოქროპირ ბატონიშვილთან ურთიერთობამ გარდატეხა მოახდინა ფილადელფოსის ცნობიერებაში და საქართველოს განთავისუფლების იდეა ჩაუნერგა მას.

სანამ ფილადელფოსის პირველი დაპატიმრების საკითხის განხილვას დავასრულებთ, უნდა გავარკვიოთ, თუ რა ბედი ეწია მის ნაწერებს. თ. კუკავა წერს, რომ კიკნაძის შრომების მთავარი ნაწილი დაპატიმრების დროს განადგურდა. პირველი პატიმრობის დროს მას თავისი ნაწერები უნახავს სასამართლოში ერთად შეკრული. ამიტომ, მკვლევარი ვარაუდობს, რომ რადგან ფილადელფოსი პირველ პატიმრობას ნიჟნი ნოვგოროდში ისდიდა, შესაძლებელია იქაურ არქივებში დაიძებნოს რაიმე მისი თხზულებებიდან (128..13). თ. კუკავა ეყრდნობა ფილადელფოსის ჩვენებას (8.1713), რომლიდანაც ვიგებთ, რომ დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ მისთვის ქაღალდები წაურთმევიათ. განთავისუფლებისას კი სასამართლოში დაუბარებიათ, სადაც მას თავისი ქაღალდები ერთად შეკრული უნახავს ორი ქაღალდი კლებია, ანუ ფილადელფოსის თქმით, მოპარული ყოფილა. მისი ქაღალდები ჯერ გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკისთვის გაუგზავნიათ სათარგმნად, მაგრამ მას არ უთარგმნია და ერთ კვირაში უკან დაუბრუნებია. შემდეგ პეტერბურგიდან ჩამოუყვანიათ თარჯიმანი, ვინმე იმერელი თავადი. ფილადელფოსის ჩვენებიდან ჩანს, რომ მისთვის ამ ქაღალდებიდან არაფერი გამოუტანებით საქართველოში, მაგრამ არ ჩანს, თუ რა სახის იყო ეს ქაღალდები, ერია თუ არა მათ შორის ფილადელფოსის თხზულებები. ჩვენ კატეგორიულად არ უარვყოფთ თ. კუკავას ვარაუდს იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ნიჟნი ნოვგოროდის არქივში აღმოჩნდეს კიკნაძის რაიმე თხზულება, მაგრამ პირველ რიგში ვეყრდნობით ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალას, საიდანაც შემდეგი ირკვევა: ფილადელფოსის მეორედ დაპატიმრების შემდეგ საგამომძიებლო კომისიას 1833 წლის 8 მარტს ნიჟნი ნოვგოროდიდან გამოუთხოვია მისი ქაღალდები (21.38), რომლებიც იქაურ გუბერნატორს 13 ივნისს გადმოუგზავნიათ თავის (№502) მიწერილობასთან ერთად. როგორც ჩანს, კომისიას ეს ქაღალდები მაშინ მიუღია, როდესაც ფილადელფოსი ცოცხალი აღარ იყო, რადგან იგი

მოიხსენიება, როგორც "გარდაცვლილი იერომონახი". დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კომისიას მიღებული ქაღალდები ფილადელფოსის სხვა ნაწერებში შეურევია და შინაარსის მიხედვით გადაუნაწილებია. ყოველ შემთხვევაში, ის მასალა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია საერთო სათაურით "Бумаги Грузинския покойного иеромонаха Филадельфа Кикнадзе присланные из Нижнего Новгорода" (63.1) –ნიჟნი ნოვგოროდიდან გამოგზავნილი არ უნდა იყოს: აქ გვხვდება სხვადასხვა უმნიშვნელო ჩანაწერები და ნაჯღაბნები, რომლებსაც არავითარი ღირებულება არ გააჩნდათ კომისიათვის, რის გამოც ისინი გამოძიებას საქმეში არც შეუტანიათ. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ვინმე დედა ანნას ბარათი, რომლითაც იგი ფილადელფოსს შობის დღესასწაულს ულოცავს. ბარათი დათარიღებულია 1833 წლის იანვრით, ხოლო კონვერტს რუსულად აწერია: "მამა იერომონახ ფილადელფოსს თელავში, შუამთის მონასტერში" (63.17). ე. ი. ამ დოკუმენტს არაფერი აქვს საერთო ნიჟნი ნოვგოროდთან. აღნიშნულ საქმეში ჩაკერებულ ჩანაწერებში აღნიშნულია სხვადასხვა პირთაგან მიღებული შესაწირავი, მაგ. "მართას საწირავი ორი მან." აქვეა ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე ფარსადან ციციშვილის მიერ ხელმოწერილი ბარათი, რომლითაც იგი მღვდელ-მონაზონ იოანეს ანჩისხატში რომელიმე მთავარდიაკვანის სასწრაფოდ გამოგზავნას სთხოვს (63.9). ამავე საქმეში აღმოჩნდა 1801 წელს რუსეთის იმპერატორის მიერ საქართველოს შეერთების მანიფესტიდან ამოხეული ორი ფურცელი, ქართული და რუსული პარალელური ტექსტებით (63.19-20). ისმის კითხვა: მოაღწია თუ არა ჩვენამდე ნიჟნი ნოვგოროდიდან მიღებულმა მასალამ? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება, მხოლოდ, როგორც უკვე ვთქვით, ეს მასალა სხვადასხვა ფონდებში უნდა ვეძებოთ. ცხადია, გამოგზავნილ მასალას მიეკუთვნება ჩვენ მიერ დამოწმებული დოკუმენტები, რომლებიც ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველში შევა ის ქაღალდები, რომლებიც ფილადელფოსს დაპატიმრებამდე ექნებოდა, ანუ რომლებიც მას დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ ჩამოართვეს: სოლომონ დოდაშვილის 1826 წლის 20 დეკემბრის წერილი, დანიელ ანდრონიკაშვილის მიერ თავისი ნათესავებისადმი მიწერილი წერილები, რომლებსაც ფილადელფოსს თან ატანდა, თავად ფილადელფოსის დაწერილი ორი საჩივარი (შავი ეგზემპლარები) სინოდისა და შინაგან საქმეთა მმართველის სახელზე. მეორე ჯგუფში შევა ის დოკუმენტები, რომლებიც ფილადელფოსის დაპატიმრების შემდეგ შეიქმნა: დანიელ ანდრონიკაშვილის პასუხი, რომელიც მან დაპატიმრების შემდეგ დაწერა, ფილადელფოსის პასუხი დანიელის პასუხზე, რომელიც მას ნიჟნი ნოვგოროდის სასამართლოში დააწერინეს. აგრეთვე, ფილადელფოსის მიერ იმპერატორისათვის გაგზავნილი თხოვნის შავი ეგზემპლარი.

მთელი დასახელებული მასალიდან მკვლევართათვის დღემდე მხოლოდ სოლომონ დოდაშვილის წერილი იყო ცნობილი.

ფილადელფოსი ამბობს: "მე კი ნიჟეგოროდიდამ რომ წამოველ სხვა ქალალდი არა მქონია უქაზის პირისა და ერთი არზის შავი ბილეთი და პადაროჟნის გარდა". (8.1781). საისტორიო არქივის ფონდში №1811 შემავალ საქმეთა შორის არის მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული გეოგრაფიული პუნქტების ნუსხა, მანძილის აღნიშვნით (39.17). არქივის თანამშრომლებს ეს ნუსხა ფილადელფოსის ავტოგრაფად მიუჩნევიათ და მისი შედგენის თარიღად მიუთითებიათ 1832-1833 წლები. ჩვენი აზრით, იგი ფილადელფოსს რუსეთში, უფრო ზუსტად მოსკოვში ყოფნის დროს უნდა გადაეწერა. ნიჟნი ნოვგოროდიდან საქართველოში გამომგზავრებისას მისთვის სვლა-გეზი რომ მიეცათ, მაშინ მასში დასახელებული ქალაქი იქნებოდა აღნიშნული, რასაც მოცემულ ნუსხაში ვერ ვხედავთ. იმავე საქმეში №27 შედის ფილადელფოსის უთარიღო ჩანაწერები, მათ შორის – უწყება ტაძრისათვის სოლომონისა" (39.3). ეს არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, ურომლისოდაც შეუძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას: იცოდა თუ არა ფილადელფოსმა მასონობის შესახებ. ამ საკითხს შემდეგ დავუბრუნდებით. ახლა ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩანაწერები გაკეთებული უნდა იყოს მოსკოვში, იმ ლიტერატურის ზეგავლენით, რომელსაც ფილადელფოსი ოქროპირ ბატონიშვილთან გაეცნო.

დაბოლოს, განვიხილოთ ზ. ჭიჭინაძის მტკიცება, რომლის მიხედვით, კიკნაძე რუსეთში ყოფნის დროს წერდა პატრიოტულ ლექსებს, მათ შორის 1820 წელს დაუწერია ლექსი "აღსდეგ გმირთ გმირო, ნუ გძინავთ, მტერთა ისმიან ხმანია" და ბატონიშვილებში გაუვრცელებია. ზ. ჭიჭინაძის თქმით, კიკნაძეს ეს ლექსი გოდერძი ფირალიშვილისთვის გადაუცია, რომელიც დაბეჭდვას დაპირდა, მაგრამ შემდეგ მიითვისა და თავის წიგნში ჩაურთო "ზედ არც ცენზურა აწერია და არც სხვა რამ ცნობანი"- დასძენს ჭიჭინაძე (172.4).

ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. ერეკლე მეორისა და გიორგი XII-ს სამეფო კარზე მდივნობის შემდეგ, გოდერძი ფირალიშვილი XIX საუკუნის დამდეგიდან რუსეთში, კერძოდ პეტერბურგში ცხოვრობდა, სადაც 1823 წელს გარდაიცვალა. ფილადელფოსი კი მხოლოდ 1826 გაემგზავრა რუსეთს, ე. ი. მათი შეხვედრა და ურთიერთობა გამორიცხულია. ზ. ჭიჭინაძის მიერ დასახელებულ ლექსს ეწოდება "თუშთა, ფშავთა და ხევსურთა გლოვა ირაკლი მეორისა" და იწყება სიტყვებით "აღსდეგ, გმირთ-გმირო..." იგი ცალკე ფურცელზე დაბეჭდილი, ჩაკრულია გოდერძი ფირალიშვილის 1821 წელს პეტერბურგში გამოცემული წიგნის "საზოგადო მდივნობის" ზოგიერთ ცალში. მისი ავტორობის საკითხი

მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში საკამათო იყო, მაგრამ ამჟამად პირვანდელი ცნობა გოდერძის ავტორობის თაობაზე, სარწმუნოდ არის მიჩნეული (116.636).

თავი II

ფილადელფოს კიკნაძე და 1832 წლის შეთქმულება.

§1.ფილადელფოსი – ოქროპირ ბატონიშვილის თანამზრახველი

ფილადელფოს კიკნაძე 1828 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა საქართველოში. იმავე წლის ოქტომბერში ეგზარქოსმა გააცნო მას სინოდის გადაწყვეტილება მის შესახებ და ხელი მოაწერინა (64.21). საკუთარი სურვილისამებრ მას თბილისის ფერისცვალების მონასტერში ამწესებენ. აქ მან გაიცნო ბერი პორფირი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში იმყოფებოდა ბატონიშვილებთან. იგი გამოყვანილი ჰყავს იოანე ბატონიშვილს თავის "კალმასობაში". თხზულებაში აღწერილია პორფირის შეხვედრა იოანე ხელაშვილთან, რომელსაც მან თითქოსდა ფილოსოფიის სწავლება სთხოვა (100.565). 1833 წლის 21 მაისს ფილადელფოსი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს, რომ პორფირისთან ერთ სენაკში არ მდგარა. მათ ჰქონდათ საკუთარი სენაკები ერთიმეორის გვერდით. სადილი და ვახშამი საერთო ჰქონდათ და უმეტესად ერთად იყვნენ (13.3024). მათ დაახლოებას ალბათ იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ პორფირი ოქროპირ ბატონიშვილის მოძღვარი იყო. როგორც სამონასტრო ჩანაწერებიდან ჩანს (65.13), იგი დაბადებული უნდა იყოს 1779 წელს. დავით-გარეჯის უდაბნოში 1789 წელს მისულა, ბერად აღიკვეცა 1802 წელს, იმავე წელს ანტონ კათალიკოსმა იეროდიაკონად აკურთხა, 1808 წელს ხელდასხმული იყო იერომონახად, ხოლო 1813 წელს რუსეთში გაამგზავრეს იულონ ბატონიშვილის მოძღვრად. 1826 წელს საკუთარი სურვილისამებრ ჩაირიცხა თბილისის ფერისცვალების მონასტერში, რის შემდეგ ეგზარქოსის განკარგულებით დაინიშნა რუისის ეპარქიის და ქართლის სხვა ეკლესიების მამულების მმართველად. 1829 წლის 1 ივლისიდან ფერისცვალების მონასტერში იმყოფება. ამ მონაცემებიდან არ ჩანს, თუ როდის იყო პორფირი ოქროპირ ბატონიშვილის მოძღვრად, მაგრამ საგამომძიებლო კომისიის მასალებიდან ირკვევა, რომ პორფირი ბერი ოქროპირ ბატონიშვილის თბილისში ყოფნისას, 1830 წელს ყოფილა მისი სულიერი მოძღვარი (21.51) . ამ ფაქტს თავად ოქროპირიც ადასტურებს, როდესაც ამბობს- ფილადელფოსი ჩემს სულიერ მოძღვართან ერთ მონასტერში ცხოვრობდაო (16.3794). პორფირიმ თავის მხრივ ხელი შეუწყო ფილადელფოსისა და ოქროპირ ბატონიშვილის შემდგომ დაახლოებას. 1829 წელს ოქროპირი საქართველოში ჩამოვიდა კავკასიის მინერალური

წყლებიდან, სადაც სამკურნალოდ იყო წასული. საქართველოში ჩამოსვლამდე მას, ისევე როგორც დიმიტრი ბატონიშვილს, დიდი სამუშაო ჰქონდა ჩატარებული ქართველი ახალგაზრდების შეთქმულებაში ჩასაბმელად. ახლა ოქროპირ ბატონიშვილმა თვით საქართველოში დაიწყო შეთქმულების მომზადების ხელმძღვანელობა. იმ დროისათვის უკვე არსებობდა შეთქმულების ხელმძღვანელთა ბირთვი: ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი და ელიზბარ ერისთავი; რომელიც ოქროპირის შემდეგ, 1830 წელს ჩამოდის საქართველოში პეტერბურგიდან, სადაც მან 1828 წელს დიმიტრი და გიორგი ერისთავებთან ერთად დადო შემდეგი ხელშეკრულება: "წელსა 1828-სა დღესა 13 მაისისა შევკარით კანდრახტი, ასე რო რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია ვინც უმტყუვნოს ამ ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის იყოს შეჩვენებული ღვთისაგან" (1.829). ეს იყო შეთქმულების პირველი ფორმალური ჩამოყალიბება.

მიმოიხილავს რა ოქროპირ ბატონიშვილის ჩამოსვლამდე არსებულ მდგომარეობას, გ. გოზალიშვილი იმის გათვალისწინებით, რომ პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილი ყველა საქართველოში მომავალს საიდუმლო საზოგადოების შედგენას ავალებდა-ვარაუდობს, რომ ს.დოდაშვილს ასეთი საზოგადოება უკვე ჰყავდა. მკვლევარი დარწმუნებულია, რომ ყოველ შემთხვევაში ფილადელფოსს თავის მხრივ უკვე ჰყოლია ხალხი შეძენილი, მათ ურთიერთ შორის მიწერ-მოწერაც გაუმართავთ (110.24). ამის ნიმუშად გ.გოზალიშვილი ასახელებს დავით ერისთავის ერთ წერილს ფილადელფოსისადმი "შენი წერილი მებოძა, რომელიც ავანტყოფი მწოლიარე აღმადგინა სარეცლით. შენ ულმერთოვ პატარა ადრე მოგეწერა, რა მადლი გინდოდა... გარდა ამასა ცხენს ნუ იყიდიო. ადრეევე მოგახსენე, არ გინდა ცხენის ყიდვა მეთქი და არ დამიჯერე და ახლა იმას მოგახსენებ ჩემი ცოდვა გქონდეს თუ როდესაც ცხენი დაგჭირდეს აქედგან დამიბარო. რა დაგემართა აგრე უნდა ერთობა... თუ დიდი დამაბრკოლებელი საქმე არა გქონდეს ცხენებს მოგართმევ და ამოდი და მნახე დიდი საქმე მაქვს შენთან. აღარ გახსოვს რა ერთი დრო არის განვლილი რაც შენთან ლაპარაკი არა მქონია.

მოგილოცამ ურიათუბანს ყოფნა და სხვა ალაგებშიაც მძიმედ იყავ. რა გინდა ჩემგან.

შენი დავით ერისთავი ოკდონბრის ბ-სა.

არ მეგონა ქალაჩუნა ჰყოფილხარ აკი ანბობდი რომ რასაც შენ მეტყვი იმას ვიქო, აკი გითხარ შიშია. ახალი ანბავი რაც იცოდე მაცნობე" (110.25).

წ.ილი უთარიღოა. ჩვენი აზრით, არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი ოქროპირის ჩამოსვლამდე იყოს დაწერილი.

გ.გოზალიშვილის ნაშრომში დამოწმებულ წერილს უშუალოდ მოსდევს მკვლევარის შემდეგი დასკვნა: "ასეთი მდგომარეობაა 1829 წლის შემოდგომამდე. ამ დროისათვის საქართველოში ჩამოდის ოქროპირ ბატონიშვილი, მას თან მოჰყვება ელიზბარ ერისთავი 1830 წ. და შეთქმულებას უკვე მტკიცე ორგანიზაციის საფუძველი ეყრება" (110.25). გ.გოზალიშვილს წერილის უკანა გვერდზე ვერ შეუნიშნავს შემდეგი წარწერა: "ფილადელფოსს მიერთოს მდაბლად შუამთას". შუამთის მონასტერში კი კიკნაძე 1830 წელს ოქროპირ ბატონიშვილთან შეხვედრისა და მისგან დავალების მიღების შემდეგ გადავიდა. როდესაც აღნიშნული წერილი საგამომძიებლო კომისიას ჩაუვარდა ხელში, ფილადელფოსმა თავის განმარტებაში შეთქმულების შესახებ არაფერი სთქვა: "დავით მწერს არ ვიცოდი თუ შენ მოშიშო იყავო აკი გეუბნებოდი, რომ საშიში არისო, დავით მეტყოდა ხოლმე არხიმანდრიტი არ არის კეთილი კაცი ბოროტის მყოფელი არისო გაუფრთხილდი თორემ არ დაგინდობსო საშიში არისო, როცა რო შეიტყო რომ ვითომ მე არხიმანდრიტს დავებეზღებინე ეგზარხოსთან მანიშნებს რომ აკი გეუბნებოდი რომ საშიში კაცი არისო, შვილი მებარა ამისი, არხიმანდრიტის შიშით ველარ დავაყენე. გაუგზავნე და ის იმისთვის მოუწერია რათ შეშინდი არ მეგონა თუ მოშიში იყავო" (5.892).

დავით ერისთავის სხვა წერილიდან კარგად ჩანს, რომ მან პირველად 1830 წელს შეიტყო ფილადელფოსის მიერ წამოწყებული საქმიანობის შესახებ. 1830 წლის 27 მაისს იგი ფილადელფოსს სწერდა:" აქ თურმე საქმეებზედ მიწერ-მოწერა გაქვს და მე კი არას მატყობინებთ. უეჭველად სარწმუნო უნდა ბრძანდებოდეთ, რომ თქვენის საქმისათვის ანუ როგორიმე კეთილობისათვის მე სხვათაზე უგულსმოდგინებით ვეცდები... გთხოვ ყოველი თქვენი მდგომარეობა მაცნობოთ, რომლითაც, თქვენ უწყით, რომ დიდათ ვიხარებ. მამა პორფირს ვთხოვ ჩემ მაგიერ თაყვანისცემა და პატივი განუცხადოთ" (48.1). პორფირის ხსენება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ იმ დროს ფილადელფოს კიკნაძე ფერისცვალების მონასტერში იმყოფებოდა, ე.ი. დავით ერისთავი მაშინ უკვე იცნობდა მას. მიუხედავად ამისა, 1833 წელს, დავითი საგამომძიებლო კომისიის წინაშე უარყოფს ამ ფაქტს: "იერომონახი ფილადელფოსი გავიცან შუამთის მონასტერს შინა სხვათა ბერებთა თანა. მასთან არ რაი კავშირი მეგობრობისა არა მქონია და არც განსხვავებული ერთობა..." (13.2976). გ. გოზალიშვილის მიერ დასახელებულ წერილზე მეტად საისტორიო არქივში ჩვენ მიერ მიკვლეულმა ვინმე ლაზარე ბერის ორმა წერილმა შეიძლება მიგვანიშნოს, რომ ფილადელფოსმა ოქროპირის ჩამოსვლამდე დაიწყო მოქმედება. 1828 წლის 16 ივნისით დათარიღებულ წერილში ლაზარე ბერი გამოთქვამს დიდ სიხარულს

ფილადელფოსისგან ორი წერილის მიღების გამო, მაგრამ შენიშნავს, რომ წერილით ვერ აცნობებს მას თავის მდგომარეობას (50.1). მინაწერში ვკითხულობთ: "მაღალ ღირსებადი გაბრიილ ბერი შესაბამით პატივით და თაყვანის ცემით გავედრებთ მოკითხვას." ჩვენი ვარაუდით იგულისხმება ბერი გაბრიელ მაყაშვილი, რომელიც იმ დროს დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობდა (10. 2227) და როგორც შემდგომ დაინახავთ, ფილადელფოსის თანამოაზრე იყო. ლაზარე ბერის მეორე წერილიც საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს მის პირად პრობლემაზე; ლაზარე ბერს უსიამოვნება ჰქონია ვინმე გრიგოლთან: "ვერც მოვშორდი ჭირს რაც გრიგოლ დავითხოე. თქუენ უადრეს მიბრძანებდით, რომ ეგ ავი სისხლსა არისო, მაგრამ თქმამ რა ქნას თუ კაცი არ დაიჯერებს" (50.2).

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფილადელფოსმა რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე დაიწყო თავის ნაცნობი, სანდო სასულიერო პირების ჩაბმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაგრამ "ფარული საზოგადოების" შედგენა მან აქტიურად ოქრპირის ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო.

ყველაზე სარწმუნოდ მიგვაჩნია ის, რაც ფილადელფოსმა გულახდილად უამბო ეფრემ ალექსი-მესხიშვილსა და დავით ნათალიშვილს, სახელდობრ: როდესაც ოქროპირ ბატონიშვილი თბილისში იყო, ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს. ოქროპირს კიკნაძე დაერწმუნებია, თითქოს იმპერატორს განზრახული ჰქონდა საქართველოს დატოვება, მაგრამ უმიზეზოდ ამის გაკეთება არ სურდა, ხოლო თუ საქართველო რაიმე მიზეზს მისცემდა, იგი დაუყოვნებლივ დატოვებდა მას. ფილადელფოსს ოქროპირისთვის უთქვამს, რომ მიზეზის მიცემა ადვილად შეიძლებოდა-ამისთვის საჭირო იყო ოქროპირის კახეთში ჩასვლა და ხალხის მომხრობა. ამ მოსაზრებას ოქროპირი არ დათანხმებია და უპასუხია: "მამაო, მე რომ იქ ჩავიდე ხალხი რას იფიქრებს ჩემზე, მე უბრალო ადამიანი ვარ, მეფური არაფერი გამაჩნია, რომ ხალხს ვაჩვენო, ხალხის წინაშე საჭიროა წარვსდგე დიდებულობითა და ბრწყინვალებით, რაც მე არ მომეპოვებაო, ამიტომ თქვენ უფრო შეგიძლიათ დაარწმუნოთ ხალხი და უთხრათ, რომ მე ჭკვიანი ადამიანი ვარ, დაიწყეთ ზრუნვა და ჩააგონეთ ხალხსო" (15.3690). ფილადელფოსი დათანხმდა ოქროპირ ბატონიშვილის წინადადებაზე: "მე ამაზე დავეთანხმე და დავიწყე სხვადასხვა თხზულებათა წერა, მაგრამ მერე მივხვდი რომ ჯერ უნდა გადმომეპირებინა თავადები და მათი საშუალებით მდაბიო ხალხის შთაგონებასაც შეეძლებდიო" (15.3690). სხვათაშორის, საქართველოში ყოფნისას, ოქროპირ ბატონიშვილს თავად ეაუწერია ლექსი (რუსულ ენაზე), რომელშიც გამოხატავდა სიამოვნებას საშობლოში დაბრუნების გამო (21.51).

ოქროპირი ფილადელფოსს დაჰპირებია-თუ ხალხს საქართველოში მეფობის აღდგენასა და არეულობის მოხდენას ჩააგონებ, მაშინ მეფობის აღდგენის შემთხვევაში რომელ ეპარხიაზეც გსურს მღვდელმთავრად გაკურთხებ და სასწავლებელს მოგანდობო. ფილადელფოსი დაინტერესდა, თუ ვინ იცოდა მის გარდა ოქროპირის განზრახვის შესახებ და ისიც დაუმატა: თუ არ გამომიცხადებ, გაგცემო. ბატონიშვილი იძულებული გახდა გაემხილა მისთვის: "ეს საქმე იციან შაჰზადასთან რომ ლეკარი არი იმან და ერთი ეგრეთვე წვერნაღები მოხუცი კაცი დადიოდა იმანაც იცის და პორფირი ბერმაო და სხვამ არავინ იცისო" (15.3696). ცხადია, ოქროპირის პასუხი არ იყო გულწრფელი. მის მიერ ჩამოთვლილი პირების გარდა, მას სხვებისთვისაც ჰქონდა განდობილი თავისი გეგმები, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩამოთვლილთა შორის არის პორფირი ბერი, რომელთანაც ფილადელფოსს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა და მისივე თქმით, ერთმანეთს არაფერს უმალავდნენ (8.1781). პორფირი ხშირად არწმუნებდა ფილადელფოსს; "შემდგომ მცირედისა ხანისა რუსნი აღარ იქნებიან საქართველოში" (4.550). აგრეთვე სთხოვდა ისეთი თხზულებების დაწერას, რომელშიც რუსების მიერ საქართველოს შევიწროება იქნებოდა გადმოცემული, თუმცა ამგვარი აზრი თავად ფილადელფოსსაც გაუჩნდა ოქროპირთან საუბრის შემდეგ. მისი პატრიოტული ხასიათის თხზულებებიდან ჩვენამდე მხოლოდ ორმა მოაღწია. ესენია: სიყვარული მამულისა" და "გოდებანი იერემიასნი, ძისა ენეისნი-ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა აწინდელსა ზედა". ამ თხზულებებს ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ, ისევე როგორც ფილადელფოსის უმთავრეს ნაშრომს-1832 წლის შეთქმულების წესდებას, რომელსაც "აკტი გონიური" ეწოდება. მისი შედგენისას ფილადელფოსს უსარგებლია პორფირი ბერის მიერ მისთვის საიდუმლოდ ნაჩვენები ორი დოკუმენტით, ანუ აქტით, რომლებიც მან მალულად გადაიწერა. დედნები კი პორფირიმ დასწვა. მან იერომონახს გერმანეს წირვის ჩატარების უფლება სთხოვა, ფილადელფოსი კი გვერდით დაიყენა-მოხუცი ვარ არა შემცდეს რაო, შემდეგ აიღო წმინდა ბარძიმი და ფეშხუმი და დააფიცა მას: ამასგან იყავ წყეული თუ შენს სიცოცხლეში სადმე თქვაო. ფილადელფოსს შეეშინდა , მიწაზე დაემხო და თაყვანი სცა. წირვის შემდეგ პორფირიმ მას უთხრა: "განგებ დღეს ამისთვის ვწირე რომ ასე მინდოდა. ვიცი შენ საიდუმლოს არ შეინახავ მართლა რომ უთხრა ვისმე მთავრობამდი მიაღწიოს, მართლა მაგაში დავისჯებოდიო. აანთო ცეცხლი სენაკში დამიძახა და დასდვა ცეცხლზე. აი დაინახე წყეული თუ არის ჯოჯოხეთში გავგზავნეო, გათავდა ეს საქმე ასე, დარჩა ის ნაჩხაპები..." (8.1782). როგორც მასალის შესწავლამ გვიჩვენა, ხსენებული აქტები ოქროპირისაგან

მომდინარეობდა. პორფირე იყო დამაკავშირებელი რგოლი ოქროპირ ბატონიშვილსა და ფილადელფოსს შორის. ვფიქრობთ ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან აახლოებდა აგრეთვე შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი – სოლომონ დოდაშვილი. მართალია ამის წერილობითი საბუთი არა გვაქვს, მაგრამ ვითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: 1. ს.დოდაშვილს ფილადელფოსთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა და ჯერ კიდევ პეტერბურგში მყოფს იგი თავის მომავალ თანამზრახველად ეგულებოდა. 2. თბილისში ჩამოსულმა ოქროპირ ბატონიშვილმა თავად ჩაახედა ფილადელფოსი და ს.დოდაშვილი თავის გეგმებში და აქტიური მოქმედება დაავალა, რამაც მათი საერთო მიზანი განამტკიცა. ვფიქრობთ, ისინი ერთმანეთს არ დაუმალავდნენ ოქროპირთან ურთიერთობას. პირიქით, ეცდებოდნენ მოქმედების გეგმა ერთმანეთთან შეეთანხმებინათ.

ოქროპირ ბატონიშვილი დიდად აფასებდა სოლომონ დოდაშვილს. მას ალექსანდრე ორბელიანისათვის უთქვამს: "სოლომონ დოდაევი ჩვენთვის თავდადებული კაცი არისო, მე ვიცი ისიც იყაბულებსო" (1.137).

არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ ოქროპირი სოლომონის ვაჟის-ივანეს ნათლობასაც დაესწრო (106.157). ბატონიშვილმა თბილისში ცხრა თვეს დაჰყო, რაც სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ მომავალი შეთქმულებისათვის მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. შემდეგ კავკასიის წყლებზე გაემგზავრა და მკურნალობის კურსის დამთავრებისთანავე დაბრუნდა რუსეთში (16.3794). საგულისხმოა, რომ სოლომონ დოდაშვილმა ოქროპირ ბატონიშვილი მცხეთამდე გააცილა. ბატონიშვილის წასვლის შემდეგ გრძელდება სოლომონის და ფილადელფოსის ურთიერთობა. არსებობს დოდაშვილის წერილი, დათარიღებული 1830 წლის 20 მაისით "უსაყვარლესო მეგობარო ფილადელფოს. ორივე მოწმობა თარგმნილი რუსულად ორშაბათს მივართვი, წარიკითხა და სთქუა Очень хорошо უნდა წარვადგინოვო, შეიტანა შინ და სტოლს წინ დაიდუა, ვჰგონებ მალე წარადგინოს. მეც ვსთხოვე და აწ არ ეუწყი; სილნალს წარსელა არ ვიცი სწორად რომელს რიცხვში მოგვიხდება, ვგონებ ივნისში წარვიდეთ ანუ ნახევარს, ანუ გასულს" (6.1246). წერილიდან არ ჩანს თუ ვის წარუდგინა ს. დოდაშვილმა თარგმნილი მოწმობები, მაგრამ ჩვენი აზრით ის თბილისის გიმნაზიის დირექტორს-ევერესტ ანდრიას ძე გრუბერს გულისხმობს, რომელიც მისი შვილის, ივანეს ნათლია იყო. როგორც ჩანს, გრუბერი გიმნაზიის დირექტორობასთან ერთად კავკასიის სასწავლებლების დირექტორობასაც ითავსებდა. მას შეეძლო ფილადელფოსი მასწავლებლად დაენიშნა ან ეგზარქოსისთვის წარედგინა შუამდგომლობა მისი დანიშვნის შესახებ. ფილადელფოსს კი მასწავლებლობის დიდი სურვილი ჰქონდა და ცდილობდა როგორმე მასწავლებლის ადგილი ეშოვა.

სოლომონ დოდაშვილის მტკიცებით, მას უკანასკნელად 1830 წელს უნახავს ფილადელფოსი, რომელიც მისულა მასთან სახლში და საღვთო რჯულის მასწავლებლის ადგილის გამოძებნა უთხოვია. ს.ხუციშვილი ვარაუდობს, რომ ამ სტუმრობას უძღოდა წინ სოლომონ დოდაშვილის მეორე უთარიღო ბარათი: "უსაყვარლესო ფილადელფ! მცირედ შეუძლო გახლავარ და ამისთვის არ ძალმიძს ხლება. უკეთუ ინებებთ და თქვენ აქ გამობრძანდებით, დიდად დამავალებთ და სასიამოვნოთ განვატარებ დროსა" (151.301). მკვლევარის აზრით ეს ბარათი 1830 წლის მაისში უნდა იყოს დაწერილი, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. გამიდო თუ არა რაიმე შედეგი ს.დოდაშვილის მცდელობამ? ვფიქრობთ, ს.დოდაშვილის ძალისხმევას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ იმავე 1830 წლის დეკემბერში თბილისის გიმნაზიისა და კავკასიის სასწავლებლების დირექტორს (ეიგრუბერს) გადაუწყვეტია ფილადელფოსის მასწავლებლად დანიშნა თელავის სამაზრო სასწავლებელში, რაც ამ სასწავლებლის დირექციისთვის უცნობებია. საარქივო ფონდებში მივაკვლიეთ თელავის სასაწავლებლის ზედამხედველის მიმართვას ფ.კიკნაძისადმი, რომლითაც აუწყებს მას რომ იგი თავისი ხელფასიანობრ აუცილებლად დანიშნული იქნება საღვთო რჯულისა და "ადგილობრივი" ენის მასწავლებლად თელავის სამაზრო სასწავლებელში (27.1). მიმართვა დათარიღებულია 1830 წლის 9 დეკემბრით და გაგზავნილია ფილადელფოსთან შუამთის მონასტერში, სადაც იგი იმჟამად იმყოფებოდა.

§2. ფილადელფოსის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ქახეთში

თბილისში ხოლერის ეპიდემია გავრცელდა, რომელმაც ბორჯომის ხეობაზე შეიწირა. ფილადელფოსმა შუამთის მონასტერს შეჯავრა თავი, საიდანაც ეგზარქოსს სთხოვა ამ მონასტერში გადმოყვანა, მაგრამ ეპიდემიის გაქცევის შემდეგ მან როგორც ჩანს ინანა თავისი თხოვნის შესახებ და ეგზარქოსს წერილობით განუმარტა, რომ თხოვნა ისეთ მდგომარეობაში დაწერა, როდესაც ავადმყოფობის, სიცხისა და შიშისაგან სრულ ჭკუაზე არ იყო, არც იმის იმედი ჰქონდა, რომ როდესმე კვლავ ჩამოვიდოდა თბილისში. ახლა კი-სწერს ფილადელფოსი - ღმერთმა ჯანმრთელობა მიბოძა, მე ჩემს ძველ საცხოვრებელს დავუბრუნდი, სადაც მიჩვეული ვარ და სულიერ სიმშვიდეს განვიცდიო. მას უჭირდა მონასტრის (ფერისცვალების) წინამძღვართან და ბერებთან განშორება, რის გამოც ეგზარქოსს სთხოვდა ისევ ძველ ,ადგილზე დატოვებას და დასძენდა: ბერისთვის არ არის კარგი სხვადასხვა ადგილებში ხეტიალი (28.1). კიკნაძის ეს ახალი თხოვნა ითნა ეგზარქოსს აღარ გაუთვალისწინებია. 1830 წლის 1 ნოემბრიდან მან

ფილადელფოსი ოფიციალურად განაწესა შუამთის მონასტერში, სადაც ის დაპატიმრებამდე დარჩა. აქ იგი აქტიურ მოღვაწეობას აჩაღებს, უახლოვდება კახელ თავადებს და აბამს მათ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც მას ეს ოქროპირ ბატონიშვილისაგან ჰქონდა დავალებული. ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც შეიტყო ულებაში ჩაება აბელ ჩოლოყაშვილი იყო. ფილადელფოსი შუამთის მონასტრიდან ჩავიდა მასთან თელავში, მღვდელ ივანე ზურაბაშვილის სახლში, სადაც მას ჩაით გაუმასპინძლდნენ. ჩაის შემდეგ აივანზე სეირნობისას ფილადელფოსმა შენიშნა, რომ აბელ ჩოლოყაშვილი ხშირად ოხრავდა და წუხილის მიზეზი ჰკითხა. აბელმა უპასუხა, რომ მისი წუხილის საგანი ქართველების უუფლებო მდგომარეობა იყო. სიმართლის თქმა რომ გვინდოდეს, ხმა ვერ ამოგვიღია, ქართველებს გაუნათლებელ, უვიც, ყველაზე უარეს ადამიანებად გვთვლიან "უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე ცხოვრება ქვეყანაში, სადაც რუსები უკეთესად ითვლებიანო" (15.3690). ფილადელფოსმა შემთხვევით ისარგებლა, განუცხადა მას ოქროპირ ბატონიშვილის ნათქვამი იმპერატორის მიერ საქართველოს დატოვების განზრახვის შესახებ და უთხრა, რომ უმჯობესი იყო ქართველებს მიეცათ საამისო მიზეზი, რუსები კი საქართველოს მიატოვებდნენ. ისიც განუმარტა, თუ რა გზით შეიძლებოდა მიზეზის მიცემა: შენ უნდა ეცადო აამხედრო ფშავ-ხევსურები, რომელთაც შენ უყვარხარ, სხვა კუთხეების ხალხის ასამხედრებლად სხვა კაცები მყავს, მაგრამ თქვენ ერთი მეორეს არ უნდა იცნობდეთ, რათა გამომეღალვების შემთხვევაში ერთმანეთი არ გასცეთო. მათ შორის ფილადელფოსს უნდა ემოქმედა და საქმის სრული ვითარება მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა როგორც ხელმძღვანელს. ჩოლოყაშვილი დათანხმდა და საქმით დაამტკიცა სამშობლოს განთავისუფლების სურვილი. ფილადელფოსმა გააფრთხილა, რომ მის გარეშე არ დაეწყო: როცა დრო მოვა, მე თვითონ გაცნობებთ და ყველგან ერთიდროულად უნდა დაიწყოთო. აგრეთვე ურჩია კარგი იქნება თუ მთიელებს თოფის წამლის დასამზადებლად ფულს მივცემთო, რაც აბელ ჩოლოყაშვილმა შეასრულა კიდეც: მთაში თოფის წამლის დამზადება დაიწყეს. 1832 წელს ხელისუფლება აპირებდა მთიელთა წინააღმდეგ თელავის მაზრის მცხოვრებთა და ფშავ – ხევსურთა მილიციის რაზმის გამოყვანას პოდპოლკოვნიკ იევნე ერისთავის მეთაურობით. ფილადელფოსმა განზრახვის ჩაშლა გადაწყვიტა. მან ურჩია აბელ ჩოლოყაშვილს დაებარებინა ფშავ-ხევსურთა მამასახლისები და ეთქვა მათთვის, რომ ისინი თავიანთი საზღვრის გარეთ არ გასულიყვნენ თავისი მეზობელი ქისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მეზობლების დამარცხებით, თვითონაც დაილუპებოდნენ, რადგან აღარ ექნებოდათ ძალა. რუსები კი მათი სისუსტით ისარგებლებდნენ, დიდ გადასახადებს დააკისრებდნენ და ჯარშიაც

წაიყვანდნენ. აბელ ჩოლოყაშვილი ფილადელფოს დაეთანხმა, დაიბარა ფშავთა მამასახლისები და დაარიგა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მამასახლისებმა დაუჯერეს მას, თავიანთ საზღვრებს გარეთ წასვლაზე უარი თქვეს და პრისტავის დიდი მცდელობის მიუხედავად შინ დაბრუნდნენ. ბოლოს პრისტავიც თან გაჰყვა მათ. ხოლო ივანე ერისთავმა ოპერაციის ჩაშლის შესახებ აცნობა მთავრობას და ფშავ-ხევსურთა პრისტავს უჩივლა, რადგან მისი ბრალი ეგონა და არ იცოდა, რომ ეს ყოველივე ფილადელფოს კიკნაძის მეთაურობით მოხდა (15.3690).

თუ ფილადელფოსმა ფშავ-ხევსურების გადმობირება აბელ ჩოლოყაშვილს დაავალა, არაგველების გადმობირება კახეთში მცხოვრებ დავით არაგვის ერისთავს მიანდო. მას უნდა აემხედრებინა მოსახლეობა მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ფილადელფოსისაგან ნიშანის მიღებამდე აჯანყება არ უნდა დაეწყო. ჩოლოყაშვილის მსგავსად, ერისთავსაც არ უნდა სცოდნოდა ფილადელფოსის მიერ სხვადასხვა მხარეებში განპირობებული აჯანყების ხელმძღვანელთა ვინაობა და მათთვის დაწესებული სხვადასხვა ნიშნები. საერთო ხელმძღვანელობა ფილადელფოსის ხელში რჩებოდა. მას მიმოწერა ჰქონია დავით ერისთავთან, რომლის ზემომოყვანილი წერილი, ჩვენი აზრით, სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის. შემდგომში იგი საგამომძიებლო კომისიას ჩაუვარდა ხელში.

ფილადელფოსის გეგმები სცილდებოდა კახეთს. მას განზრახული ჰქონდა ბრძოლაში კავკასიელი მეზობლების ჩაბმა. ამიტომ დიდოეთის პრისტავ ნოდარ ჯორჯაძეს დიდოელებისა და დაღესტნელების აჯანყება დაავალა.

ფილადელფოსისაგან სათანადო ნიშნის მიღების გარეშე არც მათ არ უნდა დაეწყოთ აჯანყება. შუამავლობას კვლავ ფილადელფოსი კისრულობდა.

თავისი განზრახვა ფილადელფოსმა გაანდო აგრეთვე რევაზ მაყაშვილს, ერთ თელაველ ვექილს და თელავის მაზრის მკურნალ ფარისოვს. მაყაშვილს ჩააგონა, რათა თავისი გლეხებისათვის მოეთხოვა იარაღის მზადყოფნაში მოყვანა. თავად კიკნაძე ბერი თავის ჩანაფიქრს გლეხებს არ უზიარებდა, მაგრამ აჯანყების შემთხვევაში მათი ჩაბმის იმედი ჰქონდა, რის გამოც წინასწარ იჭერდა თადარიგს და ეუბნებოდა მათ-მე ბერი ვარ, იარაღი კი წესრიგში მაქვსო. თვითონ ორი დამბაჩა ჰქონდა.. ამით გლეხებს მაგალითს აძლევდა. ფილადელფოსს ქიზიყში ისეთი საიმედო თანამზრახველები ჰყავდა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შესძლებდნენ " გაღმა ლეკებისა და გაძოღმა ხალხის არევას" (15.3696). კახელი გლეხების აჯანყება მას ადვილ საქმედ მიაჩნდა. ამისთვის საკმარისი იყო გლეხებისათვის მხოლოდ იმის თქმა, რომ რუსები "სალდათს ითხოვენ" და გლეხებიც აჯანყდებოდნენ.

1831 წელს, ფილადელფოსი ჩოლოყაშვილებთან იყო მიწვეული დაკრძალვაზე,

სადაც გაიცნო თბილისიდან ჩამოსული გიორგი დავითის ძე ერისთავი. ღამე სოფელ ქისტაურში გაათენეს. მათ შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც გიორგი ერისთავმა ფრთხილად გაანდო ფილადელფოსს თბილისში საიდუმლო საზოგადოების არსებობა, რომლის მიზანი თითქოსდა ლიტერატურული მეცადინეობა, რუსული წიგნების თარგმნა, თხზულებების წერა და საერთოდ ქართული ლიტერატურის აღორძინება იყო (14.3020). რაც მთავარია, მათ სამშობლოსათვის სარგებლობის მოტანა სურდათ. ფილადელფოსი მიხვდა საზოგადოების ნამდვილ მიზანს—იმგვარი ალეგორიით ვილაპარაკებთ, რომ ორივე მივხვდით ერთმანეთის აზრსო. მას გიორგი ერისთავისათვის უთქვამს: "ვმადლობ ღმერთს, რომ ახალგაზრდებს დაებადათ ასეთი ღვთის მოსაწონი აზრი" (14.3146). გიორგიმ განუმარტა, რომ მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი ძველი დროიდან მომდინარე ურთიერთმტრობის აღმოფხვრა. ფილადელფოსი დაეთანხმა და ურჩია, რომ მათ უნდა ჰქონოდათ რაღაც სახელმძღვანელო, რომელიც ახალგაზრდების მეგობრობას მეტ ძალას მიანიჭებდა. ამასთან, დასძინა, რომ უკვე მოიგონა საშუალება, რომელიც მათ მეგობრობის განმტკიცებაში დაეხმარებოდა. მან გიორგი ერისთავი შუამთის მონასტერში დაიბარა, სადაც გადასცა "აკტი გონიური". ამ დოკუმენტს საიდუმლო საზოგადოების წესდების ფუნქცია დაეკისრა. მართალია, მასში არ იყო განცხადებული საზოგადოების ნამდვილი მიზანი, მაგრამ თვით საიდუმლო საზოგადოების ჩამოყალიბების, წევრების მოძიებისა და კონსპირაციის დაცვის ნამდვილ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ფილადელფოსს სურდა, რომ თბილისშიც ისევე დაეცვათ სიფრთხილე, როგორც ის კახეთში იცავდა: "ამოიარა მონასტერში გიორგიმ და მივეცი აკტი და თუმცა იქ ეწერა კანონი თუ როგორ ერთს მეორისათვის გამოეცხადებინა, მაგრამ როგორც მე მქონდა კახეთში დაწყობილი რომ ჩემს მეტმა და იმის მეტმა არავინ იცოდნენ ვისაც მე ვეუბნებოდი, ე.ი. იმათ ერთმანეთისა არ იცოდნენ თუ სახელდობრ რომელმა იცოდა ეს საქმე და რომელმა არა (15.3696). აქტი აგრეთვე შეიცავდა ფიცს, რომელიც უნდა დაედოთ საიდუმლო საზოგადოების წევრებს.

ფილადელფოსმა გიორგი ერისთავს აქტთან ერთად, თავისი გამოგონილი საიდუმლო ანბანიც გადასცა, რომლის მეშვეობითაც შეთქმულნი ერთიმეორესთან მიმოწერას აწარმოებდნენ. სწორედ ასეთი ანბანით დაწერილი წერილი აცნობა შემდგომ გიორგი ერისთავმა კიკნაძე ბერს, რომ თავად სალაშქროდ მიდიოდა, მაგრამ რჩებოდნენ შეთქმულების წევრები-ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები (15.3695).

გიორგი ერისთავისთვის "აკტი გონიერის" გადაცემა ფილადელფოსის მხრიდან მეტად გაბედული ნაბიჯი იყო და თავგანწირვას უდრიდა. ამიერიდან ოვი

შეოქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ხდებოდა. მას უნდა სცოდნოდა საიდუმლო საზოგადოებაში ყოველი ახალი წევრის მიღების შესახებ, მიელ ინფორმაციას მასთან უნდა მიეტანა თავი, მაშინ, როდესაც თვითოეულ წევრს უნდა სცოდნოდა მხოლოდ ორი პიროვნების ვინაობა: 1.რომელმაც იგი მოიყვანა და 2. რომელსაც ის თავად მოიყვანდა.

ფილადელფეხი განაგრძობდა კახეთში აქტიურ მოქმედებას. მოლაპარაკებას აწარმოებდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და იმედი ჰქონდა, რომ ის მიელ კახეთის შეოქმულებს გვერდში ამოუდგებოდა და დაუჭერდა. ფილადელფეხს თავის დამხმარედად ეგულებოდა ავრეთვე ვინმე შატუხოვი, ფარეხოვი ლევანი, ეჭიმი პიტიკა და სხვა. მან შეკრიბოდა ნიშანი, რომლითაც შეოქმულები ერთმანეთის ცნობას შეძლებდნენ, თავადაზნაურთა საკრებულოს არჩევნებზე მიმავალ ლევან ერისთავს დაავალა კენჭი იმისთვის ჩაეგდო, ვინც შუბლზე ანიშნებდა და განუმარტა - მეგობრები ერთმანეთს ასე ანიშნებენო. სიტყვაში "მეგობრები" ოგულისხმებოდა "აკტი ვონიერის" ძალით დამეგობრებული და გაერთიანებული შეოქმულები.

ფ.კეკანაძე, როგორც შეოქმულთა სხვადასხვა ჯგუფებისა და პიროვნებების შუამავალი და გამაერთიანებელი, უეჭველბამოსილად თელიდა თავს, რომ უცხოეთშიც ეძებნა მხარდაჭერა. მას უთქვამს: "ერთს კარგ სპარსულის მცოდნეს ვეძებდი რომ ყველთან გამეგზავნა საიდუმლო კონტრაქტის შესაკრებლათა მეოქი და მქონდა მზად შეთხზული არტიკულები მეოქი" (15.3685).

ფილადელფეხისათვის თავისი გამოგონილი ანბანის გარდა ცნობილი ყოფილა საიდუმლო მიმოწერის სხვა ხერხები, რომლითაც შეოქმულნი სარგებლობდნენ და რომელიც დიმიტრი ბატონიშვილისგან მიმდინარეობდა: 1830 წლის თებერვალში, პეტერბურგიდან საქართველოში გამოგზავრების წინ, ელიზბარ ერისთავი ბატონიშვილს დაუბარებია და უთქვამს, რომ მას საქართველოში უნდა ხსომებოდა ის, რაც პეტერბურგში დიმიტრიმ ყველას ჩააგონა სახელდობრ: საქართველოს განთავისუფლებას უნდა ეცადოთო. ამასთანავე ბატონიშვილმა ელიზბარ ერისთავს გადასცა ფოსტის ქაღალდის ნახევარი ფურცელი, რომელიც ადგილ-ადგილ ამოჭრილი იყო, ხოლო მეორე ასეთივე ფურცელი თვითონ დაიტოვა და უთხრა: "ამ ქაღალდის საშუალებით შემდეგში შენ მე მაცნობებ, რასაც ამ საქმის შესახებ მოასწრებო" (6.1154). 1832 წელს დიმიტრი ბატონიშვილს დიმიტრი ერისთავისთვისაც გადაუცია ამოჭრილი ქაღალდი. ასეთი ქაღალდის ნიმუში მას მოსკოვში გაელის დროს ოქროპირ ბატონიშვილისთვის დაუტოვებია (6.1296).

ღღეს ძნელია იმის თქმა, თუ რამდენნაირი ნიმუშით სარგებლობდნენ შეოქმულნი.

ამოჭრილი ქალაღლის გამოყენების წესი შემდეგი უნდა ყოფილიყო: მას დააყარებდნენ წერილს და ამოჭრილ ადგილებში მხოლოდ ის სიტყვები გამოჩნდებოდა, რომელთაგანაც წინადადება შედგებოდა. უაზრო ტექსტებით შედგენილი წერილის დანარჩენი ნაწილი კი ქალაღლით იფარებოდა. ეს წესი სცოდნია ფილადელფიასაც. შემონახულია მისადმი მიწერილი ერთი ხალიუმლი წერილი: "გაიხარიდეს მამანი სულო ჩემო დღეს. იყო ერთმა ნეოზედ მეგობარმა, მყოფი მითხრა სწორე იგი არის წყველი შენ. გამოუცვლიათ ცა. ხარ. და ცელათ და მეც ვიცი და ეგ ეალესია არაფინ იცის ქრისტე იქ იყო ფიერესთვის.

მიუბარებიათ თუ არა მაცნიბე სწორეია, შენით ასე.

არას და არა ხეკეთ მერწმუნე გარწმუნებ."

ეს ერთი შეხედეთ უაზრო წერილი, შესაბამისი ამოჭრილი ქალაღლის დაყარების შემდეგ ასე იკითხება:

"გიხარიდეს მამანი,

სულო ჩემო. დღეს ერთმა მეგობარმა მითხრა: ის წყველი გამოუცვლიათ, - და მეც ვიცი, - ეგ ეალესია ქრისტეფორესათვის მიუბარებიათ. მაცნიბე სწორეია ასე არის თუ ხეკეთ. მერწმუნე. გარწმუნებ" (III.36). გგონია ეჭვი ეარაუდობს, რომ ამ ხალიუმლი წერილის ავტორი დავით ერისთავია (III.36). ამ ვარაუდის ხრული საფუძველს იძლევა გიორგი ერისთავის ერთი ჩვენება, რომელშიც ის ამბობს, რომ მისი თელავში ყოფნის დროს დავით ერისთავმა მისწერა ფილადელფიის წერილი, რომლითაც ატყობინებდა თითქოს მისი ბიძა ხოფრინ არქიმანდრიტი მისი თხზულთ გადაუწერებიათ, ხოლო მონასტრის წინამძღვრად ბერი ჩოლოყაშვილი დაუყენებიათ (5.827). ერთი შეხედეთ, ამ წერილებს თითქოს არაფერი აქვს საერთო შეიქმნელებასთან, მაგრამ მიგვანიშნებს იმ დამძიმებულ მდგომარეობაზე, რომელშიც ფილადელფიის უხლებოდა ცხოვრება. მას დიდი ძალისხმევა ხჭირებოდა თავისი საქმიანობის შესანიღბავად. საბინასტრო ცხოვრების წესები მეტად მკაცრია, ფილადელფიის კი ხშირად უხლებოდა მონასტრიდან გასვლა და შეიქმნელთა მონახულება. ხოფრინ არქიმანდრიტი აფრთხილებს მას: "ყოველად პატიოსანი მამაო ფილადელფიის

ქრისტეს მიერ ძმაო..

წერილი შენი მიეიღე რომლითაც ვსცან ძმათ არა მყოფობისა გამო მონასტრისა შინა მწერლობისა ჩემისა აღუსრულებლობა. მამაო პატიოსანო თქვენ კეთილად შეწყეთ კანონნი მონასტრიულნი და მორჩილება მეუფეთისეთა. არა ჯერ არს ცალიერ ყოფა მონასტერსა ძმათაგან, ოდეს ერთი და ორი ძმათაგანი განეყოს მონასტრიდამ საჭიროებისათვის ხვანი ნელარ გაელენ გარე ...არა ჯერ არს ...ხშირად სიარული სოფლისა შინა, ორგზის და სამგზის დ მამაოსა და

ყოველთვის დაფანტულნი არიან მე მაქვს სიყვარული ძმათა და მოთმინება და თუ მე მაქვს ჯერ არს მათცა აქნდეს პატივისცემა ჩემი და სიტყვისა შესმენა რომლისა აღუსრულებლობისათვის არა ვიქმნე იძულებულ ძმათა წყენისა რომელსზედა მარადის მამხილებს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი იონა მიტროპოლიტი და დამიდგენს ვალად რათა მაქვნდეს მღვიძარედ თვალყურის მიპყრობა ძმათა ზედა რწმუნებულისა ჩემდა მონასტრისათა...

მოწერილობა ესე ჩემი წარუკითხე ერთობამ ძმათა და შენცა საყვარელო ძმაო ჩემო იქმენ სახისაებრ მათისა მყუდრისა და მშვიდისა შედგომილ და გავლილნი დრონი შენნი მიაქციენ სხვებრ შეცვალებულად საიდამაც მიიღებ ხორციელსა მშვიდობასა და სულიერთა დაწყნარებასა და ლხინებასა და იქმანები ჩემდა და ხარცა სასიქადულო... მე მარადის მსურს შენთან წიგნის წერა და დარიგების მოცემა ვითარცა ოქრომჭედელსა ოქროს ქანდაკება და განწმენდა უმეტესისა სიწმინდისადმი გარნა ცოდვათა ჩემთაგან ვარ შებმული და შერთული სოფლიურთა საქმეთა რომლისათვის ვსთხოვ ღმერთსა გამომიყვანოს ბნელისაგან და აჩრდილისა ამას კეთილის სიტყვისგებითა აწ დაუტევებ ვინადგან უცილობა საუფლოსა საბლითა მიმათრევს.

არხიმანდრიტი სოფრონიოს.

მუშაკებისათვის სამონასტროს თავლისა ვგზავნი ექვს ჩაფს ღვინოს...''

როგორც ვხედავთ, სოფრონ არქიმანდრიტი მოუწოდებს ფილადელფოსს, რომ იგი ეცადოს რაც შეიძლება მშვიდად იცხოვროს. ''არა ჯერ არს ხშირად სიარული სოფელსა შინა'' (51.23-24). ფილადელფოსმა ვერ აიცდინა თავიდან სოფრონ არქიმანდრიტთან დაპირისპირება, რომელსაც როგორც ჩანს შუამთის მონასტერში თავისი ინფორმატორი ჰყავდა სერაპიონ ბერის სახით. სხვათა შორის, ზ.ჭიჭინაძეს სერაპიონ ლეჩხუმელი ფილადელფოსის თანამზრახველად და ''ფარული საზოგადოების'' ერთ-ერთ მეთაურად გამოჰყავს (118..32). ასეთი პიროვნება 1832 წლის შეთქმულების მასალებში დაფიქსირებული არ არის. შესაძლებელია, ზ.ჭიჭინაძე სწორედ სერაპიონ ბერს გულისხმობს, რომელიც წარმოშობით იმერელი ყოფილა (62.18). ჭიჭინაძეს ალბათ ყური ჰქონდა მოკრული, რომ სერაპიონს რაღაც შეხების წერტილი ჰქონდა ფილადელფოსთან, იმას კი აღარ ჩაუკვირდა, თუ რა სახის ურთიერთობა იყო ამ ორ პიროვნებას შორის. ფილადელფოსთან მონასტერში უამრავი ხალხი დადიოდა, მას წერილებიც მოსდიოდა სხვადასხვა პირებისაგან. ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სერაპიონს, რომელიც შესაძლოა ყოველივეს სოფრონ არქიმანდრიტს ატყობინებდა. 1832 წლის 22 აპრილს სოფრონი სწერს ქრისტეფორესა და სერაპიონს: ''რასაც

დროსა ჩემი მიწერილობა მიიღოთ მაშინვე გთხოვთ ყოველნი მოსწავლენი დაითხოვოდ დიდნიც და პატარებიც. თვინიერ ორის დიაკონისა, რომელნიც არიან ექსარხოსის ბრძანებით მანდ შემოსულნი. ისინი იყვნენ და სხვანი ყოველნივე ახლავ თავთავის სახლებში წავიდნენ... და აღარავინ მოსწავლე აღარ შეიწყნაროთ თვინიერ ცნობისა ჩემისა" (55.1). იმავე დღეს სოფრონმა ფილადელფოსსაც გამოუგზავნა ბრძანება, რომლითაც გარეშე პირთა მიღებას უკრძალავდა. "მოიწია ჩემს ცნობადამდე", რომ ჩემი ნებართვისა და ბერების თანხმობის გარეშე მონასტერში სხვადასხვა პირები შეგყავსო – სწერდა არქიმანდრიტი ფილადელფოსს. ამიერიდან ფილადელფოსს. ეკრძალებოდა ნებართვის გარეშე მონასტრიდან გასვლა. ასევე მონასტერში ვისიმე შემოყვანა ან სწავლება. სოფრონ არქიმანდრიტი უბრძანებდა მას მოსწავლეების დათხოვნას და განუმარტავდა-თავად უსწავლელი ხარო (6.234; 31.1).

ეს მძიმე დარტყმა იყო ფილადელფოსისათვის. ჯერ ერთი ძალიან ძნელდებოდა შეთქმულებთან ურთიერთობა, ამავე დროს იგი მოწოდებით მასწავლებელი იყო და დიდ სიყვარულს აქსოვდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, რაზედაც ახლა უარი უნდა ეთქვა. ალბათ, ამ დროს თუ დაწერა მან საიდუმლო ანბანით ორი ლექსი სოფრონ არქიმანდრიტზე, რომლებშიც უშვერი გამოთქმებით გამოხატა მისდამი ზიზღი და სიძულვილი (32.7,8). ლექსში სხვათაშორის ნათქვამია - სოფრონ არქიმანდრიტი ეგზარქოსის შველას მოელისო. როგორც ჩანს, მასვე გულისხმობდა კიკნაძე ბერი, როდესაც საიდუმლო ანბანით უმისამართო ჩანაწერს აკეთებდა: "მანამ მე და შენ დავიბადებოდით, თქვენი გვარი სჯობდა ჩემს გვარს, ახლა ისი სჯობს, ვინც ამას მართლა დაამტკიცებს" (32.3). სოფრონი ხომ არაგვის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. მისი საერო სახელი სპირიდონი ყოფილა, როგორც ეს მწერალ რაფიელ ერისთავის მიერ მარი ბრუსესადმი გაგზავნილი არაგვის ერისთავთა გენიალოგიიდან ჩანს (171.415). თავად მწერლის მამა, ფილადელფოსის მეგობარი დავითი – სოფრონ არქიმანდრიტის ძმისშვილი იყო.

როდესაც სოფრონმა ფ.კიკნაძეს მოსწავლეების ყოლა აუკრძალა, როგორც ჩანს ამ უკანასკნელმა გულდაწყვეტით აცნობა ეს ახალი ამბავი მოსწავლეთა მშობლებს. ერთ-ერთი ასეთი წერილის შავი უნდა იყოს მის ქალალდებში არსებული ჩანაწერი: "თქუენო ბრწყინვალებავ კნიაზო გულბაათ. ... არხიმანდრიტმა სოფრონმა არ ინება თქუენის შვილის აქ ყოფნა" (37.4).

მთელი თავისი სიფრთხილის მიუხედავად, ფილადელფოსს ვერ შეუკავებია თავი სერაპიონის თანდასწრებით სოფრონის აუგად ხსენებისაგან, რამაც კიდევ უფრო გაურთულა მდგომარეობა. არსებობს ამ საკითხის თაობაზე მის მიერ

სოფრონ არქიმანდრიტისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის წერს-თქვენ მე მიბრძანებთ "მე თქვენ ვითამც ყოველთვის გლანძლავ, ვის რა საქმე აქვს, ლანძღვა თქვენი და ლანძღვა კაცობრივი დიახ მცირე არის... (52.1). იგი ფაქტობრივად არ უარყოფს ამ ბრალდებას, მხოლოდ აზუსტებს, რომ ეს არაფერია იმ ცოდვასთან შედარებით, რომელიც სერაპიონმა ჩაიდინა: მას შეუგინებია იმისათვის, რასაც ფილადელფოსი ტრაპეზზე შესწირავდა. ეს კი უდიდესი ცოდვა იყო, რომელიც არ შეედრებოდა რომელიმე მოკვდავი ადამიანის შეურაცხყოფას. ფილადელფოსი ამბობს, თუ გინდათ პირადად მე მაგინოს ვინმემ, თუნდაც სიკვდილამდე მცემოს, მაგრამ "რა ბრალი არს წმინდისა ევხარისტიისა უკეთუ მე ვაწყინე ვისმე..." (52.1). ევქარისტიის საიდუმლოს დროს ხომ პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქმნება. ამიტომ რა უნდა ყოფილიყო ბერისათვის იმაზე დიდი ცოდვა, ვიდრე წმინდა ევქარისტიის შეგინება! ქრისტიანული სარწმუნოებით ესეთი დამნაშავე დასჯას იმსახურებს, მაგრამ ფილადელფოსი მკაცრი სასჯელის ნაცვლად მოთხოვდა, რომ სოფრონ არქიმანდრიტს, სიტყვიერად მაინც დაერიგებინა სერაპიონი "რათა სულიერისა მამობრიობისა თქვენისა მიმართვით ეკმაროს მას შესატყობელად შეცთომილებაი ესე, და თუ არა და ყოველივე არიან მსმენელ, უწყიან სჯულთა კანონი ამისი" (58.1). ბოლოს ფილადელფოსი უფრო რბილად სწერდა: ნუ გეწყინებათ, "სულიერის მწუხარებით შეურვებული გწერთო". წერილი დათარიღებულია 1831 წლის 25 მაისით. სოფრონ არქიმანდრიტს სერაპიონის დარიგების ნაცვლად მის წინსვლზე უზრუნია. არქივში მივაკვლიეთ 1832 წლის მაისსა და ივნისში სოფრონოსა და იონა ეგზარქოსის ოფიციალურ მიმოწერას "შუამთის მონასტრის ძმათაგანის", იეროდიაკონ სერაპიონის იერომონახად კურთხევის შესახებ (67. 6) რასაც-ერთვის თვით სერაპიონის თხოვნაც. ფილადელფოსი კი სოფრონ არქიმანდრიტმა ეგზარქოსთან დააბეზღა. ფილადელფოსს დროულად უცნობებია ამის შესახებ გიორგი ერისთავისთვის, რომელსაც მისთვის საპასუხო წერილი გამოუგზავნია. დაპატიმრების შემდეგ კიკნაძემ თავის თავზე აიღო ამ წერილის ავტორობა, რათა გიორგი არ გაეცა და საგამომძიებო კომისიას თავისი ვერსია მიაწოდა: "ხოლო წერილი იგი რომელიცა მაჩვენეთ მე საიჭველიაო ეს მე დავსწერე ამ შემთხვეულობისა გამო რომ არხიმანდრიტს სოფრონს მოეწერა ჩემთან ნომერით არხიერს მივსწერე და დაგაბეზღეო, მე ეს მოვიჩივლე ვითარცა ჩემს ძმებთან ისე სხვა მცნობთან, დარწმუნებისთვის მათისა რათამცა მე გამეჯავრებინა ხალხი არქიმანდრიტზე დავსწერე ვითომ აქედამ მცნობი ვინმე მწერდა, და უჩვენე იერომანახს ქრისტეფორეს, და ბერს გიორგის და სხვათაც

ზოგთა მგონია, აი როგორ მოუწერია არხიმანდრიტს, ჩემი მეთქი (წერილი — მ. ხ.) ქალაქიდამ ჩამოვიდა მეთქი, მე მინდოდა ქალაქს წამოსვლა ისიც დავსწერე, თუ წამოხვალ ბევრნი ვართ შეგეწევით, და იმის მოწერილს საქმეს აღმოვსცეთ, და თუ არა და რა ვქმნათ მეთქი ვითომც აქედან მწერდნენ, ამის მეტი იმაში არა ეწერა" (4. 688). ფილადელფოსი რომ კომისისთან გულწრფელი არ არის და წერილი საკუთარი თავისთვის თვითონ რომ არ გაუგზავნია, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ჩავუკვირდებით ხსენებულ წერილს, რომელიც სინამდვილეში გ. ერისთავის დაწერილია. მასში ნათქვამია: "შენი წერილი მივიღე ერთისა უცნაურისა კაცისაგან, ვსცან რაც მოგეწერა. იგი მართალია..." (6. 1237). გიორგის მოუხერხებია ამ საჩივრის წაკითხვა, რომელიც ჯერ თარგმნილი არ ყოფილა, მაგრამ მის შესახებ ეგზარქოსის ჩათვლით უკვე ყველას სცოდნია. სოფრონი წერდა, რომ ფილადელფოსი ყოველთვის "აჩვენებდა უწესოს ცხოვრებას", რის შესახე ძმებიც ჩიოდნენ, მაგრამ ვითომენდი და მოხსენებას ვერ ვბედავდიო. ახლა კი სოფრონ არქიმანდრიტი შუამთის მონასტრიდან ფილადელფოსის გაძევებას მოითხოვდა - მახლობლად ცხოვრების ღირსი არ არის, რათა ყოველთა მონაზონთა სირცხვილი არ იყოსო. გიორგი ერისთავი ფილადელფოსს სწერდა: "ვაი, ვაი, რა უბედურნი დავიბადენით მე და შენ" და ეკითხებოდა, რა მოიმოქმედე მაგისთანა, რომ ყველამ მოგიძულაო. ამავე დროს ანუგეშებდა: "არხიმანდრიტმა ეგეენმა ყველგან განგამართლა. მე ორ წლობით გამოვსცადეო. არ არის ის მაგისთანაო, უკეთუ შეიძლებოდეს თქმად ყველასა ჩემს ბერებს ის სჯობდაო". გარდა ამისა, გიორგი ერთ "შეკრებულებას" დასწრებია, სადაც გავლენიან კაცებს მოუსურიათ თავი. ერთ-ერთ მათგანს ფილადელფოსის ქება დაუწყია. გიორგი ერისთავსაც დრო უხელთია და ფილადელფოსის გასაჭირზე ჩამოუგდია საუბარი, რათა მისთვის ამ გავლენიანი ხალხის მხარდაჭერა მოეპოვებინა. გიორგი მეგობარს ამშვიდებს - ნუ აჩქარდებით, რაც მოხდეს სულ სიხარულად მიიღეო. ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ ფილადელფოსს ქრისტეფორე ბერის შესახებ დაწერილი თხზულებაც ჰქონია გაგზავნილი გიორგისთვის, რომელიც ატყობინებდა - ამბობენ, ეგ მონასტერი მალე შენს საყვარელ ქრისტეფორეს ჩაბარდება, სოფრონს კი დაითხოვენო. წერილი უთარიღოა. ხელს აწერს გიორგი, საინტერესოა წერილის მინაწერი: "თუ შეძლო ჩამოდი. თუ ჩამოხვალ ბევრნი ვართ. მოჟნა ისტრებით თუ არა და რა ვქნა. კიდენ მალე შეგატყობინებ. შენ წიგნს ნუ მომწერ" (6. 1237). ნათელი ხდება, რომ ლაპარაკია შეთქმულთა დიდ ჯგუფზე. სოფრონ არქიმანდრიტი მათ ბანაკს არ ეკუთვნის და თავისი მოქმედებით აფერხებს შეთქმულებისათვის მზადებას. სწორედ ამ ნიადაგზეა წარმოშობილი კონფლიქტი მასსა და ფილადელფოსს შორის. როგორც ვხედავთ, შეთქმულნი დარწმუნებული

არიან სოფრონ არქიმანდრიტის გადაყენებაში, რისი გაკეთებაც ეგზარქოსის ხელში იყო. ისმის კითხვა: რას ემყარება მათი ვარაუდი? საარქივო მასალები ირკვევა, რომ 1832 წლის 2 აპრილს შუამთის მონასტრისა და კახეთის საეკლესიო ქონების გამგებელს, სოფრონ არქიმანდრიტს, საქართველოს ეგზარქოსისათვის გაუგზავნია თხოვნა განთავისუფლების შესახებ (69. 1,2), რასაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით ასაბუთებს: საეკლესიო ყმათაგან გადასახადის ასაკრეფად, თელავისა და სიღნაღის სხვადასხვა სოფლებში სიარული მიხდება, დავუძლურდი, სხეულის სიმრთელე შემერყა და "შევიქმენ შეპყრობილ" სხვადასხვა სნეულებითო. სოფრონ არქიმანდრიტი თანამდებობიდან განთავისუფლებასთან ერთად მოითხოვდა შუამთის მონასტრის ძმათა რიცხვში ჩარიცხვას. იგი არ ახსენებს იმ მრავალრიცხოვან საჩივრებს, რომლებიც მასზე იწერებოდა კახეთის მკვიდრთაგან და რამაც ის აიძულა თავად მოეთხოვა განთავისუფლება.თბილისში გავრცელდა ხმა სოფრონ არქიმანდრიტის გადაყენების შესახებ, რაც ფილადელფოსის მეგობრებმა სარწმუნოდ მიიჩნიეს, მაგრამ ხმები არ გამართლდა. 1833 წლის 1 სექტემბერს საბოლოოდ გადაწყდა სოფრონ არქიმანდრიტის ძველ თანამდებობაზე დატოვება, ამასთან მას მიეთითა, რომ შემდგომში ეცადოს არავის მისცეს საბაბი მასზე საჩივრების წერისათვის. აქვე დავძენთ, რომ მან ეს ვერ მოახერხა. 1834 წლის 17 თებერვალს იგი კვლავ ძიმართავს ეგზარქოსს და სთხოვს დაცვას დავით ერისთავისა და სოლომონ ანდრონიკაშვილისაგან, რომლებიც თითქოსდა სოფლებში დადიოდნენ და აიძულებდნენ გლეხებს, რათა მათ სოფრონზე რაიმე საჩივარი მოეგონებინათ (71. 2). 1834 წლის ნოემბერში უწმინდესი სინოდი ავალებს საქართველოს ეგზარქოსს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არქიმანდრიტ სოფრონის საქმეს და გამოარკვიოს, რამდენად შეესაბამება იგი დაკავებულ თანამდებობას (72. 3) და ასე გრძელდება 1837 წლამდე, ვიდრე სოფრონი შუა მთის მონასტრიდან სადღაც არ გაიპარება "წადილთა მოკლებად ცხოვრებისა თავისასა" (78. 1). იგი ტოვებს წერილს ნიკიფორე არქიმანდრიტის, მამა ქრისტეფორესა და სხვა ძმების სახელზე, რომელშიც ატყობინებს მათ, რომ დიდ ვალში ჩავარდა და თავის მოკვლა გადაწყვიტა: "ძრავალ ვიფიქრე, რომ სხვარიგად როგორმე ჩემი თავი გამომეხსნა ამ საფრთხისაგან და სხვა ღონისძიება ვერ მოვიპოვე რა, რასაც დროს ჩემი ვალი გამოსცხადდებოდა, ხომ მაშინვე დამიჭერდნენ, ციხეში დამაბამდნენ და გავიტანჯებოდი" (73.30). წერილში სოფრონი ბერებს სთხოვდა, რომ მისი თვითმკვლელობა დაეფარათ და ხმა გაევრცელებინათ, თითქოს დამბლისაგან გარდაიცვალა. დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარმა იოანე არქიმანდრიტმა შეიტყო მისი დამალვის ადგილი და რამდენიმე პირის თანხლებით მივიდა მასთან, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. მაშინ ყარაულები

მიუჩინა და საგარეჯოს ნაცვალს მისწერა, რომ სასწრაფოდ რამდენიმე ცხენოსანი კაცი გამოეგზავნა დასახმარებლად, ვინაიდან სოფრონი თავისი ნებით სენაკიდან არ გამოდიოდა: "დიდად უარობს ცოცხალს ვერ წამიყვანთო. ყოველივე დაუტევეო, შიშველი მოვიდიო, ჩემთან არავითარიმე საკითხავი არავისმე აქვსო, რომელნიც აღმირჩევია და მიმინდვია ჩემი ქონება ყოველსავე პასუხს ისინი მისცემენო" (73. 18). სოფრონის ქონება აღწერეს. ჯერ ღვინო გაუყიდეს, შემდეგ აუქციონზე გაყიდეს რქოსანი პირუტყვი და არქიმანდრიტის სხვადასხვა ნივთები (73.45, 46,48). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, სოფრონი ფერიცვალების მონასტერში იხდიდა სასჯელს, სადაც მას, 1841 წელს "დროსა ტფილისის ქალაქსა შინა პატიმრობისა" (89. 225-226) თავისი დისათვის, ანა მაყაშვილისათვის "არჩილიანი" გადაუწერია. მისი ძმის შვილიშვილი, მწერალი რაფიელ ერისთავი მარი ბროსეს 1849 წელს სწერდა: "სოფრონ ახიმანდრიტი დავით გარეჯის მონასტერშია ბერათ" (119 .414). აქედან ვიგებთ, რომ სოფრონი დავით - გარეჯის მონასტერში გადასულა. მისი გარდაცვალების თარიღი ჩვენთვის ცნობილი არ არის. მ. ბერძნიშვილი, რომელიც ამ რთულ პერიპეტიებს არ ეხება, წერს: "სოფრონ ცოცხალია 1869 წელს - იგი იღვწის დავით გარეჯში (A -1590); იგი გარეჯის წინამძღვარია (კავკასიის კალენდარი, 1869. გვ. 48)" (106 .178). ჩვენ ეს ცნობა გადავამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ საქმე ეხება სხვა პიროვნებას. ნამსახურობის სიების შედარებით გამოვარკვიეთ, რომ სოფრონ ერისთავი დაბადებული უნდა იყოს 1783 წელს (1829 წელს იგი 46 წლისაა) (65.1), ხოლო დავით გარეჯის წინამძღვარი სოფრონ არქიმანდრიტი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1870-იანი წლების დასასრულამდე დარჩა - 1812 წელს არის დაბადებული (79; 80; 81; 82; 83; 84). იგი ბერად 1836 წელს აღკვეცილა, ხოლო არქიმანდრიტის ხარისხში მხოლოდ 1846 წელს ყოფილა აყვანილი. ამასთან იგი წარმოშობით სასულიერო წოდებისაა, მაშინ როდესაც სოფრონ ერისთავი "საქართველოს თავადთაგანი " იყო. ამდენად, ცხადია, რომ დავით გარეჯის მონასტერში სხვა სოფრონ არქიმანდრიტი იყო წინამძღვრად, და არა ის, რომელსაც 1830-იან წლებში ფ. კიკნაძე და სხვა შეთქმულები დაუპირისპირდნენ. სოფრონ არქიმანდრიტისადმი ჩვენი ინტერესი იმითაც არის განპირობებული, რომ ნ. ტარსაიძეს თავის ნაშრომში "ისტორიული ეტიუდები" მოჰყავს შემდეგი ფაქტი: პეტერბურგში მყოფ პლატონ იოსელიანს თავის ერთ-ერთ კუთვნილ წიგნზე წაუწერია, რომ 1833 წლის 29 აპრილს სოფრონ არქიმანდრიტი საქართველოში გამოემგზავრა. ნ. ტარსაიძე ვარაუდობს, რომ სოფრონი ჩარეული ყოფილა შეთქმულებაში, რადგან ფ. კიკნაძე მას შეთქმულების საქმეზე 1833 წლის 19 და 28 იანვარს მიცემულ ჩვენებებში ახსენებს. ამით ამოიწურება ნ. ტარსაიძის

მთელი ინფორმაცია სოფრონის შესახებ. მის მიერ მითითებულ ჩვენებებში კი არაფერია ნათქვამი შეთქმულებაში სოფრონის მონაწილეობის თაობაზე. როგორც ჩვენ მიერ მოკვლეული დოკუმენტებიდან ირკვევა, იგი მხოლოდ დაბრკოლებებს უქმნიდა ფილადელფოსსა და სხვა შეთქმულებს. ჯერჯერობით იმისი საბუთიც არ არის გამოვლენილი, რომ სოფრონი 1833 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ყოფილიყო. გაურკვეველია, თუ ვის გულისხმობდა პ. იოსელიანი. დამაფიქრებელია, რომ, იმ წლებში კიდევ ერთი სასულიერო პირი მოღვაწეობდა სოფრონის სახელით — იმერეთის არქიეპისკოპოსი სოფრონ წულუკიძე (155.. 70-71). ყოველ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს, რომ სოფრონ ერისთავი შორს იდგა შეთქმულებისგან. ამაზე შემდეგი დოკუმენტიც მეტყველებს. 1832 წელს უნდა იყოს დაწერილი დავით ერისთავის მცირე ზომის ბარათი: "ფილადორფოს, საყვარელო ჩემო. ეს წაიკითხე და სცან ჩემი, შენი და ქრისტეფორეს ბედნიერება. ნახე დაღონებულ კაცს ღმერთი საიდგან უშველის. ის იუდა ალარ არის უფროსად თქვენდა"(45.4). ამ უთარიღო ბარათიდან ისიც ჩანს, რომ ქრისტეფორე ბერი შეთქმულებს თავისიანად მიაჩნდათ, ის აბელ ჩოლოყაშვილის ძმა იყო (3.381), მაგრამ შეთქმულებაში მისი უშუალო მონაწილეობის საბუთი არ მოგვეპოვება. ქრისტეფორე უნდა ეგულისხმა დავით ერისთავს, როდესაც 1832 წლის 5 მაისს ფილადელფოსს სწერდა - მაგ შავ ბერს ნულარ ეშინიაო (48.2). ამავე წერილში ვკითხულობთ: "თქვენი ორი წერილი მებოძა სიცოცხლისა ჩემისა მოსამატებლად, მაგრამ ის ლექსი (სიტყვა - მ.ხ.) კი ცუდი იყო, რომ ბევრის წერით გაწუხებო. მე გთხოვ ამის შემდგომ ნულარ მიბრძანებ მაგისთანა ანბავს. ახალი ანბავი არა იყო რა და ამისთვის აქამდინ ვერა მოეწერარა: ამას გარდა ორისავ ორდერები მიტომ ვერ მოვიდა, რომ კანტორაში არეულობა იყო. ასე მწერენ იქიდგან..." წერილის შინაარსი გასაგები გახდება, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ მისი დაწერიდან ერთი თვით ადრე, 2 აპრილს, როგორც უკვე ვთქვით, სოფრონ არქიმანდრიტმა დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება სთხოვა საქართველოს ეგზარქოსს. აქედან გამომდინარე, დავით ერისთავის წერილში ლაპარაკია სოფრონის განთავისუფლებისა და ქრისტეფორეს დანიშვნის ორდერებზე, რომელთა მიღებას თბილისიდან ელოდა, მაგრამ მისთვის მოუწერიათ, რომ "კანტორაში" ანუ საქართველო - იმერეთის სინოდალურ კანტორაში არეულობა იყო. დავითს ეჭვი არ ეპარებოდა ამ საქმის წარმატებით დასრულებაში და ამავე დროს ფილადელფოსს ატყობინებდა: "მე კვირას დილას მიედივარ ახმეტას. გიორგი იქავ არის. აი იმის წიგნიც მოგართვი. ვგონებ ორშაბათს თქვენს ახმეტას იქნებით როგორც იქ წვეული" (48.2). წერილში დასახელებული გიორგის ვინაობა ადვილი დასადგენია. გიორგი ერისთავს დავითი

ფილადელფოსისადმი მიწერილ სხვა წერილშიც ახსენებს: "მე რომ ქალაქური წერილი გამოგიგზავნე, წაიკითხე და ისევ მიბოძე მეთქი, რატომ არ მობოძე მიკვირს. გიორგი აქ ალარ არის" (48. 9). წერილი უთარიღოა.სხვა წერილიდან ვიგებთ, რომ გიორგი ერისთავი დავითთან ჩადიოდა სტუმრად და საქმეზე მოსალაპარაკებლად. გარდა ამისა, ისინი წერილობით ატყობინებდნენ ერთმანეთს. საქმის ვითარებას. ერთ წერილში გიორგი ერისთავი დავით ერისთავს საყვედურობს, რომ მისგან ალარაფერი ისმის: "უსაყვარლესო დავით. კიდევ აქა ვარ! უშენოთ, შენი წიგნიც ალარ მომდის. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა. შენ შეექცევი და გართულ ხარ ხალხში და ერთხელ არ მოიგონებ მეგობარსა შენსა... ხვალ ვაპირებ, თუ გამიშვეს წასვლას" (6.1240). გიორგი დავითს სთხოვს, თუ შუამთაში ვინმეს გაგზავნი, ჩემი წერილი ფილადელფოსს მიუტანოსო. ერთ წერილში, დავით ერისთავი ფილადელფოსს სწერს: "თქმული თქვენ მიერ 1 არავითარსა მანდაურსა და 2 მეორე დაფუძნებული მანდაურთა მართველად. 1 არაფერში არ იქნება არც მანდა და არც სხვაგან. თქვენ მიერ ბრძანებული სრულად მოგართვით - გარნა თუნგი ვერ ვიშოვნე და ვაკათებინებ, შენმა ნაწერმა გამაცოცხლა. მეცა და ჩემი სტუმარიც გიორგი ერისთავიც. რაფაელმა თქვენის შრომილის ბოძებისათვის მადლობა განგიცხადათ და იხარა დიდის სიამოვნებით. ამას გარდა, მე და გიორგი ამალამ რევაზ მაყაშვილთან ვართ დაპატიჟებული და იქ მობრძანდი თუ შეიძლებოდეს. მოგართვით..." (6. 1244). წერილში ნახსენები რევაზ მაყაშვილი ის პიროვნებაა, რომელსაც ფილადელფოსმა ჩააგონა, რომ თავისი გლეხებისათვის იარაღის მზადყოფნაში მოყვანა მოეთხოვა. ფილადელფოსმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ოქროპირ ბატონიშვილის დავალებას - კახელ თავადებს დაუახლოვდა და მათი მომხრობა შესძლო. ამაში მას ის გარემოებაც დაეხმარა, რომ ბავშვობა კახეთში ჰქონდა გატარებული და ბევრს იცნობდა. თუ ჩვენამდე მოღწეული წერილებით ვიმსჯელებთ, ფილადელფოსს განსაკუთრებული ახლობლობა მაყაშვილებთან ჰქონია. მას სწერდნენ ათანასე, (51.1), მიხეილ, ქეთევან, (52.2) თამარ (53.1) და ინდო (54.1) მაყაშვილები. კახეთის საიდუმლო საზოგადოების წევრის რევაზ მაყაშვილის ძმა - გაბრიელ მღვდელ-მონაზონი, ფილადელფოსმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაიცნო ბოდბეში (სხვათა შორის, ბოდბელი მიტროპოლიტი იოანეც მაყაშვილი იყო). ბოდბის მონასტრიდან გაბრიელი შემდეგ ნათლისმცემლის მონასტერში გადაუყვანიათ (10. 2227). ეს ბერი წერილს უგზავნის ფილადელფოსს. როგორც ჩანს, გაბრიელმაც იცოდა შეთქმულების შესახებ. იგი გამოთქვამს აღფრთოვანებას ვინმე გიორგის საქციელით: "...მაცნობე სად არის გიორგი კაცი გულითადი ჩემი...მაგის ანბავი სრულიად არა უწყი რა ვაშა ვაშა" (48.7). წერილი დაწერილი უნდა იყოს 1830 წელს, იმ დროს,

როდესაც პორფირი ბერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ფილადელფოსი კი უბრალო შუამთაში იმყოფებოდა. გაბრიელი მას სწერს: "უფალი მამა პორფირ მოგიკითხავთ თხოვნით". თავად გაბრიელ მაყაშვილი კი 1831 წელს გარდაიცვალა.საინტერესო დეტალია, რომ გაბრიელ, ათანასე, მაყა და რევაზ მაყაშვილების დედა - ანა ბეჟანის ასული ერისთავი სოფრონ არქიმანდრიტის და იყო. მიუხედავად ამისა, რევაზ მაყაშვილი, როგორც შეთქმულების წევრი ფილადელფოსის მხარდამჭერი ჩანს და არა თავისი ბიძისა. დავით ერისთავის ზემოთ ციტირებულ წერილში, რომლითაც იგი ფილადელფოსს რევაზ მაყაშვილთან იწვევს, ქარაგმულად არის ნათქვამი: "1 არაფერში არ იქნება არც მანდა და არც სხვაგან," ე. ი. სოფრონი არსად აღარ იქნება უფროსად, ხოლო "მეორე დაფუძნებული მანდაურთა მართველად" - ნიშნავს, რომ ქრისტეფორეს დანიშნავენ მმართველად. ამ საკითხის გასაიდუმლოება და შეთქმულთა ესოდენ დიდი დაინტერესება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქრისტეფორეც თანაუგრძნობდა შეთქმულებას. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რადგან ქრისტეფორე არ შებოჭავდა ფილადელფოსს და აქტიური მოქმედების საშუალებას მისცემდა მას, ხოლო მონასტრიდან საკუთარი სურვილით გასვლა შეთქმულთა მოსანახულებლად - ადვილი საქმე არ იყო. ფილადელფოსს რომ ხშირად სჭირდებოდა მეგობრებთან მისვლა, ამაზე დავით ერისთავის კიდევ ერთი ბარათი მეტყველებს: "რაც ადამიანი მიბრძანე თითონ არ იყო... ავათა ვარ. ცხენს მოგართმევ თუ მნახამ დიდი საჭირო საქმე მაქვს (45.7).

ფილადელფოსის ფარული საქმიანობა მარტო კახეთით არ შემოიფარგლებოდა. გიორგი ერისთავისთვის "აკტი გონიურის " გადაცემის შემდეგ იგი თბილისში არსებული საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთი თავკაცი ხდება. მის ჩასვლას თბილისშიც მოელიან. ფილადელფოსი შეთქმულთა იდეოლოგია. გიორგი ერისთავი მადლობას სწირავდა ღმერთს იმისთვის, რომ ფ. კიკნაძისთანა დამრიგებელი ჰყავდა და თავის თანამოაზრეებთან იყო შეკავშირებული: "ჰოი მამაო ზეციერო, გმადლობ შენ რომელსა მომეც გრძნობა და განრჩეულ მყავ პირუტყვთაგან - უფალო გმადლობ! რომელმან მომეც სურვილი სწავლისა და მეცადინეობისა - გმადლობ შენ კეთილ განგებაო, რომელმაც შემაკავშირე კეთილთა გვამთა და მომეც მოძღვრად ფილადელფოს!" (46.1) წერილი მიწერილი იყო საიდუმლო ანბანით. ჩვენი აზრით, ამ ბარათის პასუხად უნდა მიეწერა ფილადელფოსს გიორგი ერისთავისთვის წერილი, რომელშიც მეტად ამაღლებულად გადმოსცემს თავის სიხარულს, გამოწვეულს სულთა სიახლოვით: "...მოხედე შენ ჰოი უნეტარესო ქმნილებაო ვინ ხარ შენ, ვინ მე და ვინ არს რომელიცა გარდამოსთხევს ჩვენთანა უწმინდესსა კავშირსა ორთა მოკვდავთა მათ შორის. აღარა ჯერ არს მოუბნარობა,

ჩვენ თვინიერ ქალალდისა და მელნისა ძალ გვიცს შემეცნებად სულიერთა მიმოქცევათა...” (6.1254). გიორგი ერისთავს სწამდა, რომ თუ გამრავლდებოდნენ კიკნაძისთანა მოძღვარნი, მაშინ საქართველოზე გამობრწყინდებოდა მზე, გაანათებდა მას და საქართველო სხვა ქვეყნების ყურადღებასაც მიიპყრობდა: “მაშინ ნამდვილად ყოველი სოფელი მოაქცევს შენზედა მხედველობასა”. ამ იმედით აღფრთოვანებული გიორგი შესძახებდა: “გიხაროდენ ივერიაო! არამედ ვხედავ შენ შორის, რომელ მცირედ გეხდების საბურველი იგი, რომელიცა დროებისაგან მოფარებულიყო შენზედან!” (6.1238). ჩვენი აზრით, წერილში გამოხატულია სიხარული ივერიის მომავალი განთავისუფლების გამო. თავად ფილადელფოსი შემდგომ ეცდება კომისიისათვის წერილის ნამდვილი აზრის დამალვას: “მოწერილი გიორგის წიგნი გიხაროდენ ივერიაო, რომ მცირედ გეხდებისო საბურველი, საბურველი არის უგუნურება და უსწავლელობა, ახლა რადგანაც შემოსვლითა განათლებულის ერისათა, შემოდის საქართველოში სწავლა იხდების საბურველი ამით სიტყვით მაქებს ვითომ, სხვა არ ვიცი ამისი აზრი”(5. 892. 893). ლაშქრობაში წასვლის წინ გიორგი ერისთავი საიდუმლო ანბანით სწერს ფილადელფოსს და აცნობებს, რომ “აქტი გონიური” უკვე მოქმედებაშია. თავად გიორგის სამი წევრი მოუპოვებია და სხვა საიმედო პირებიც შეურჩევია. ეს წერილი იმდენად მნიშვნელოვნია, რომ აუცილებელია მისი მთლიანად მოყვანა: “მამაო ფილადელფოს, ვგონებ მიწყრებით და ჰფიქრობთ ის რა პლუტი ჩავიგდე ხელშიო, ერთხელ წიგნი არ მომწერაო? მამაო! მიზეზი ჩემის მდუმარებისა ის იყო, რომ კარგი მგზავრი ვერავინ ვიშოვე და ფოსტით არ მოგწერე ამისათვის, რომ როცა პახოდობა შეიქმნება ხოლმე ყოველთვის ხსნიან წიგნსა, აგრეთვე თქვენცა გთხოვთ ფოსტით ოარ მომწეროთ.მომილოცავს ალექსანდრეს აქტის ჩლენობა თავისი ძმითურთ, აგრეთვე ჩემის ბიძაშვილისა შანშეს შვილისა, ამათ ბევრი პარტია ჰყავთ და ცდილობენ მათს მოყვანას. ჩემს წილათ ესენი ვიშოვნე და უნდა ვიშოვნო: ალექსანდრე და ვასტანგ ორბელიანნი, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავნი. ამ ოთხთ უკვე იციან.ამ ერთს კვირაზედ თავს დაგიკვრენ შემდგომნი.თავადი დავით ჯორჯაძე, სოლომონ დოდაევი.იოსებ მამაცაშვილი ეს არის განათლებული აზნაურიშვილი რუსულისა და ქართულის მცოდნე, ამას თითქმის არავინა სჯობს, სუდა ი რასპრავის პერევოდჩიკი. დიმიტრი ყიფიანოვი ყმაწვილი კაცი რუსულისა და ქართულის კარგათ მცოდნე სკოლაში უჩიტელი და პერევოდჩიკი დეპუტატ სობრანიაში. სოლომონ რაზმაძე, ეს ეხლა გადმოვიდა რუსეთიდან. ბატონიშვილებთან იყო. კარგი და განათლებული კაცი - ესენი ყოველ დღე ერთათა ვართ და ადვილად შეიძლება ამათი მოქცევა - მამაო მწერთ პოპეიკა გაიცან ჩემთვის საჭირო არისო. იმას თუმცა ვიცნობ, მაგრამ ახლო ვერ ვიცნობ. ალექსანდრე კარგათ

იცნობს და სულ ერთია თუნდა მე მიცვნია. ოღონდ შენ ჩამოდი თორემ სულ ყველა ადვილია. ხომ ვიცი ჩამოხვალთ არქიერის სანახავათ. ძალიან კარგი კაცია კარგათ გაზრდილი და განათლებული. ამას აქვს ხარისხი დოქტორ ფილოსოფიისა. ჩამოდი სულ ყველაფერს კარგათ მოვახერხებთ. შენზედ ცუდი აზრები მანდავ მოგახსენე ჰქონდათ მაგრამ მე და დოდაევმა ყველას გაუქარვეთ. ყველასა სურს შენი ხილვა. მე პახოდში ვაპირებდი ჩვენი საზოგადოების აზრით, რადგანაც ბევრნი თავადნი მიდიოდნენ ისინი მეშოვნა ჩლენათ, მაგრამ ისეთები მიდიან პურის ჭამაც არ იციან. მე ღუბერნატორთან ვაპირებ შესვლას. კიდეც მიმიღო. ჯერ კი არ ვიცი რა ხელობაში ვიქნები. შენი გიორგი. 15-ს ივნისს" (4. 697). ამ წერილის მიღების შემდეგ ფ. კიკნაძეს გადაუწყვეტია თბილისში ჩასულიყო და გიორგი ერისთავის მიერ მოპოვებული წევრებისათვის პირადად აეხსნა, თუ როგორ უნდა დაეცვათ სიფრთხილე, მაგრამ ველარ მოასწრო. ამ საკითხის თაობაზე მას უთქვამს: "მე ველოდებოდი მთავარსარდალის დაბრუნებას, მაშინ ჩავიდოდი თბილისში და იმათაც დავარიგებდი, რათა თვითეულს მარტო ერთი ვინმე სცნობოდა და არა ყველანი, მაგრამ მალე გამომეცხადა და მე ველარ მოვასწარი გადამეცა მათთვის ჩემი დარიგება; რომ მომესწრო, ველარავინ შესძლებდა მის აღმოჩენას" (15. 3690). რაც შეეხება გიორგი ერისთავის მიერ მოხსენიებულ მკურნალ პოპეიკას, მან იცოდა ფილადელფოსის ფარული საქმიანობის შესახებ, რომელსაც წერილი გაუგზავნა და სთხოვა მასთან მოსალაპარაკებლად თბილისში ჩასულიყო. კახეთში ფილადელფოსს ძველი ნაცნობობა აკავშირებდა აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რომელიც მისი აღმზრდელი ნიკიფორე არქიმანდრიტის სიძე იყო. აქვე განვმარტავთ, რომ "სიძე" შეიძლება ნიშნავდეს ნათესავის ქმარს და არა იმას, რომ თითქოს ნიკიფორე არქიმანდრიტი ალ. ჭავჭავაძის სიმამრი ყოფილიყოს, როგორც ამას თ. კუკავა ფიქრობს (123.10). ალ ჭავჭავაძის სიმამრი იოანე ორბელიანი იყო (123.10), ხოლო ნიკიფორე არქიმანდრიტის გვარი - ჯორჯაძეა. ამ საკითხის თაობაზე მ. ბერძნიშვილი შეცდომით წერს: "ფილადელფოს კიკნაძის სიტყვით, ნიკიფორე სიძეა ალექსანდრე ჭავჭავაძისა (გზლ. 276)" (106.119). სინამდვილეში, პირიქით არის. ფილადელფოსი ამბობს: "ცნობაი მათის ბრწყინვალებისა, ღენერალის ალექსანდრე ჭავჭავაძისა მაქვს დიდი ხნით ამა შემთხვეულებისა გამო რომ ვიყავ და ვმსახურობდი ქიზიყს ხირსის მონასტრის არხიმანდრიტს ნიკიფორესთან, ალექსანდრე ჭავჭავაძე არის სიძე არხიმანდრიტის ნიკიფორესი. ამისთვის შემთხვეულებისამებრ მოვიდოდა იგი მასთან, და მნახავდნენ მეცა იქ და მიბრძანებდა მოწყალებისა სიტყვასა..." (4. 671). შეთქმულებაში ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობა ცალკე შესწავლას მოითხოვს. ჩვენ შემოვიფარგლებით მისი ურთიერთობით ფ. კიკნაძესთან. საისტორიო

არქივში მივაკვლიეთ ფილადელფოსის დღემდე უცნობ წერილს, საიდანაც ვიგებთ, რომ ის ადრეც სწერდა ხოლმე ალ. ჭავჭავაძეს: „რომელიც რომ წიგნი მოგახსენე მაქვს მეთქი რავდენიმე რვეული გასაშინჯად თქვენდა გადავაწერინე და მოგართვი და მას დედანსა შინა არიან მრავალნი მარფნი ესე იგი ფიგურანი, და მე ვერც ამჟამად გაკეთება შევიძლე და ვერც წერა. ესეც შაგირდსა გადავაწერინე და შემდგომ იმასაც შევასრულებ და მე მოგართმევთ, გარდა ამისა ერთი ქვის ხატი მოგართვი ჩემი ნაშრომი ბუნებითს ქვაზე გამოკვეთილი ალექსანდრე კნიაზი ნევსკის და გთხოვთ მზის საათი უჩვენოთ ამ დიაკონს რომ გადაიღოს მე კარგი ქვები მაქვს რომელზედაც შეიძლება კარგები გავაკეთო“ (59.1). ფილადელფოსი წერილს საკუთარი ლექსით ამთავრებს, რომლითაც ალექსანდრეს ღვინოს სთხოვს: „შემდომ მცირედ თქვენის კეთილის ღვინისას გთხოვთ შემდგომით ამით სტიხითა

ძლიერის ჩემის სიმტიკიცით წყლად მჩანს სასმელი ყოველი
თქვენი თუ ერქმის სახელი როს უნდა შევქმნა სოფელი
წყალიმცა იყოს დამათრობს ამას უცილოდ მოველი
მაგრამ სჯობს ნივთი პატრონის იქმნეს არს მაგალითი ცხოველი“(59.1).

ამ წრილის საპასუხოდ, ალ. ჭავჭავაძე 1832 წლის 22 მარტს ფილადელფოსს სწერს, თქვენს რვეულებს წავიკითხავ და შემდეგ მოგახსენებ, თუ რას ვპოვებ მასში სასარგებლოსო (6.1248). ალექსანდრე ლექსზე, როგორც თვითონ ამბობს „ლოთური ლექსით“ პასუხობს და ცოტაოდენ ღვინოს აგზავნის. წერილიდან ვიგებთ, რომ ფილადელფოსს ალ. ჭავჭავაძისგან ადრე ასტრონომიული იარაღები წაულია, ახლა კი ალექსანდრეს მისთვის მზის საათი გამოუგზავნია „გარდასალეად“ ჩვენი აზრით, ამ ნიმუშის მიხედვით უნდა გაეკეთებინა ფ. კიკნაძეს ის საათი რომელიც შემდეგ ი. კერესელიძემ აგვიწერა. 1861 წელს სოფ. ქისტაურში მას კიაზო ერისთავის სახლში უნახავს კიკნაძე ბერის მიერ მარმარილოს ქვაზე ამოჭრილი მზის საათი ქართული რიცხვებით, რომელსაც გაუოცებია იგი. არა მგონია, - ამბობს ივ. კეკელიძე - რომ “ღრმად განათლებულმა ევროპიელმა ასე ჩინებულად გამართოს საათი და ასე სწორადო” (15. 355). ფილადელფოსისა და ალ. ჭავჭავაძის სიახლოვეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პოეტი სწერს მას: “შენს მადლს როცა მოიცლი დაგვხედე” — ამით დამავალებთო. ფ. კიკნაძის ქაღალდებში აღმოჩნდა მის მიერ გადაწერილი ალ. ჭავჭავაძის ლექსები (38). ის იმდენად აფასებდა პოეტს, რომ “სიტყვიერების ზღვას” უწოდებდა მას (59.1).

თავისი მეგობრების საშუალებით, ფილადელფოსი მამუკა ორბელიანსაც დაკავშირებია და მათ შორის მიწერ-მოწერა გაბმულა. “წიგნის მოწერა ჩემი შენთანა ხომ არ იქნება შენთვის შეურაცხება. არა ვგონებ” სწერს ფილადელფოსი

(6.1256). მისი წერილიდან ირკვევა, რომ მამუკა ორბელიანისათვის უკვე ცნობილია "აკტი გონიურის" შესახებ. კიკნაძე ჰპირდება, რომ პირადი შეხვედრისას გაუმხელს დანარჩენ აზრს, და სიკვდილამდე ექნება მისდამი ერთგულება და წმინდა სიყვარული. ამავე დროს, ფილადელფოსი არასოდეს ივიწყებდა სიფრთხილეს, რის გამო სურდა, რომ ეგზარქოსს კარგი აზრი ჰქონოდა მასზე. ამ საქმეში მამუკა ორბელიანს უკისრია შუამავლობა. "თხზულებასა შენსა მივართმეე ექსარხოსსა" - უთქვამს მას კიკნაძისთვის, რომელსაც მადლიერებით მიუღია ეს წინადადება. სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ეგზარქოსი შუამთაში აპირებდა ჩასვლას. ფილადელფოსს მისასალმებელი სიტყვა დაუწერია, ხოლო მამუკა ორბელიანს მისთვის შეუთავაზებია: "ეგ რეჩი, რომელსაც სწერ თუ ექსარხოსი აქ არ მოვიდეს და ვერ მოახსენო, მე გამომიგზავნე და მივართმევ და კარგს რეკამანდაციას გიზამ, შეიძლება მასუკან სხვა საქმეცაო..." (10. 2227). კიკნაძეს თავისი სიტყვა აღარ გაუგზავნია, დაპატიმრების შემდეგ ვარაუდობდა, რომ "რეჩი იგი ქაღალდებში იქნება, პატარა არის, მოკლე მივეც მამუკას ერთი ჩემი დაწერილი ქადაგებაც" (10. 2227). ძნელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რომელი ქადაგება გაუგზავნა კიკნაძემ მამუკა ორბელიანს, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს ყოფილიყო "სწავლა სარწმუნოებისათვის", რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ. ფილადელფოსის მიერ დაწერილ მისასალმებელ სიტყვას კი მის ქაღალდებში მართლაც მივაკვლიეთ:"კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათამაღალ ყოვლად უსამღუდელოესო მეუფეო,შესვლითა ქრისტესითა დიდსა ქალაქსა შინა იერუსალიმისასა, მცხოვრებთა მას შინა აქუნდათ უსანატრელესი ნაწილი ღირსებისა, გამოჩინებად უსაგრძნობელესისა თვისისა შინაგანისა პატივისცემისა, სიმდაბლით მიმავალსა იესოსადმი, სიღრმით აღტაცებულისა სულითა გამოვიდოდეს შემთხვევად მისსა, რომელნიმე მოკაფდეს რტოებსა ხეთაგან, და დაყრიდეს გზასა ზედა, რომელნიმე მოიხსნიდეს შესამოსელთა და დაუფენდეს ფერხთა ქუეშე, და ყრმანიცა ჯერეთ უცნობნი მსოფლიურთა შფოთთანი, წვრილის ხმით უგალობდეს უმანკოითა გულითა ოსანნასა.დღეს ჩუენ გლახაკნი მონაზონნი ვითარცა ყრმანი ღირს ვიქმენით უსამღთოესისა გუამისა თქუენისა ხილვად და წმინდისა მარჯუენისა თქუენისა აღტაცებულისა სულითა ამბორებად, რომლითაცა განცხოველებულნი გიღაღადებთ ჩუენცა ხმასა კურთხევისასა თქუენ ჭეშმარიტსა ხატსა, მწყემსთმთავრისა იესოსსა, გვმოსიეს ჩუენ უმეცრება და უძლურება ვითარცა ყრმათა ვერ გამოთქმად მართლად შინაგანთა გრძნობათა ჩუენთა და ვერცა შესაბამ პატივისა თქუენისა, ბრძენო ეზოს მოძღვარო სახლისა უფლისაო, რომელიცა გამოცდილებასა შინა არა ისაჭიროებ აღძრცვილებასა და აღძრცვილებასა შინა გამოცდილებისა, ამისთვის ოდენ მდუმარედ თაყუანისგცემთ.

თაყვანისვსცემთ თავსა სადაცა გამოხატულ არიან ყოველნი სამღთონი ნივთნი განმამდიდრებელად ბედნიერებისა ჩუენისანი თაყვანისვსცემთ ხელთა რომელთა შინა გიპყრიან კლიტენი სასუფეველისა ცათასანი. თაყვანისვსცემთ მკერდთა სადაცა განსვენებულ არიან სამ ნეტარნი გვამნი წმინდისა სამებისანი თაყვანისვსცემთ ბეჭთა დამძიმებულთა ჯვარებითა, შემდგომ თაყვანისვსცემთ ფერხთა თქუენთა მოციქულებრთა მახარებელთა ჩუენდა მშვიდობასათა გლახაკისა. ივერიისათვის, მოვედ და იმეფე მეფეო ახლისა ისრაილისაო ახალსა ზედა ქალაქსა წმინდასა იერუსალიმისასა თვით გულსა შინა ჩუენსა ამინ: ფილადელფ''(42.3).ზ ჭიჭინაძე გადმოგვცემს, რომ ფილადელფოსი საჯაროდ ქადაგებდა საქართველოდან რუსების გაყრის აუცილებლობის შესახებ. ქადაგების ტექსტი ჩაწერილი ჰქონია ნიკ. ჯობინაშვილს, ვისგანაც იგი ჭიჭინაძეს გადმოუწერია 1884 წელს, ქვათახევის მონასტერში. ეს ქადაგება გამოძიების მასალებში ნახსენები არ არის. ფილადელფოსს ასეთი ანტირუსული ქადაგება საჯაროდ რომ ეთქვა, შეუძლებელია ეს გამოძიებისთვის არ გამხდარიყო ცნობილი. ზ. ჭიჭინაძის მტკიცებით, ეს ქადაგება კიკნაძეს 1832 წ. ალავერდის ტაძარში უთქვამს ალავერდობის დღესასწაულზე, რის გამოც იგი მთავრობასთან დაუბეზღებიათ, რაც მისი დაპატიმრების მიზეზი გამხდარა (133.4). საარქივო მასალებით ზ. ჭიჭინაძის ცნობა არ დასტურდება, მაგრამ მის მიერ გაზეთ "ტრიბუნაში" 1922 წელს გამოქვეყნებული ქადაგების ტექსტი მაინც საყურადღებოა: "ქართველებო, უნდა იცოდეთ, რომ საქართველოს ოსმალო სპარსელები სულ რუსების მეოხებით გვმტრობდნენ, იმათ ჩვენს სამტროდ და დასალუპათ ყოველთვის რუსები რაზმავდნენ და აქეზებდნენო. როცა ალა მაჰმად-ხანი შემოვიდა ტფილისში, მეფე ერეკლეს წინააღმდეგ 1795 წ. მაშინ, მას რუსის ზარბაზნები მოჰყვა თან საქართველოს ასაკლებად". რუსები ამას იმიტომ ჩადიოდნენ, რომ რაც უფრო შეავიწროვებდნენ თურქები და სპარსელები ქართველებს, მით უფრო ადვილად დათანხმდებოდნენ ქართველები ერთმორწმუნე რუსეთთან გაერთიანებაზე. ქადაგებაში ნათქვამია, რომ ჩვენი აოხრების და აწიოკების მიზეზი სულ ამ ბოროტებაში იფარება. ბევრი სამხედრო ფაქტი ამტკიცებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ ოსმალებსა და სპარსელებს რუსები აქეზებდნენო. მეფე ერეკლეს დროს რუსებმა ვერ ჩაიგდეს ხელში საქართველო, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ "მათ შეისყიდეს გარსევან ჭავჭავაძე და მისი ამხანაგები და ამათის დახმარებით და მეფე გიორგის მოტყუილებით შემოვიდნენ საქართველოში". ქადაგებაში ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ რუსებმა გიორგი მეფის მოტყუების გზით ჩაიგდეს საქართველო და შემდეგ ქართველების გარუსებას მიჰყვეს ხელი: "დღეს, რუსეთი სპობს საქართველოს და ქართველ ერსაც არუსებს, ჩვენ,

ქართველები რაც დღესა ვართ შემდეგ დროში, რუსებისაგან აღარც ეს ვიქნებით. ჯერეთ დღეს, როცა რუსებს საქართველოში ფეხი არა აქვსთ გამაგრებული და ჩვენ კი ასე გვიხერხებენ საქმეს და გვსპობენ, შემდეგ დროს, როცა ეგენი საქართველოში ფეხს გაიმაგრებენ, მაშინ თქვენი მტერი, რას უზავენ ეგენი მთელ ქართველობას - საქართველოს. ქართველებო, თუ კი ხართ სადმე, გონებას მოდით, თვალები გაიხილეთ, აღსდექით ამ ძალათ მოსული სტუმრების შესახებ და საქართველოს უშველეთ, თორემ მერე ამათი გაძევება ძნელი იქნება, რადგანაც მაშინ იგინი ფეხს გაიმაგრებენ და ჩვენ შვილის შვილებსაც დიდათ გაუძნელდებათ მათი გაძევება. ამიტომ ჩვენ რაღა ვიქნებით მაშინ, არაფერი. ჩვენ გავხდებით გასაკიცხნი ჩვენის შვილების წინაშე. რომ ჩვენ არ გავხდეთ ჩვენის შთამომავლობის წინაშე გასაკიცხნი და სალანძღავი, ამიტომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ეს მოტყუილებით შემოსული სტუმრები აქედამ უსათუოთ უნდა განვდევნოთ, თორემ მერე გვიან იქნება, ჩვენი შთამომავლობა მათს წინაშე ვერას გააწყობს. ამიტომ მაშინ ჩვენც მათგან საუკუნო წყევლას დავიმსახურებთ" (173 .4). ვისი დაწერილიც არ უნდა იყოს ეს ქადაგება, ცხადია, რომ ჭიჭინაძე თავისი სიტყვებით გადმოგვცემს ტექსტს. ჩვენ არქივში მივაკვლიეთ ფილადელფოსის ქადაგებებს, რომელთა სტილი სრულიად განსხვავდება ზემომოყვანილი ქადაგების სტილისაგან. არ ვიცით, რა მასალა გამოიყენა ზ. ჭიჭინაძემ. უნდა ითქვას, რომ მის მიერ გამოქვეყნებული ქადაგების შემდეგი სიტყვები - "ქართველებო, თუ კი ხართ სადმე, გონებას მოდით, თვალები გაიხილეთ, აღსდექით..." სიტყვა-სიტყვით გვაგონებს სოლომონ დოდაშვილის ლექსის ("მაისის") შესაბამის სტრიქონებს: "ჩვენ მამულისა მაოხრებელნი, წარვიდნენ აქით, არ იყვნენ აქა, ქართველნო, ხართ სადმე თუ არა? არავინ არ იცის მოიგეთ გონება!" (118 .2229). შესაძლებელია, ზ. ჭიჭინაძემ სოლ. დოდაშვილის ლექსის და პროკლამაციის შინაარსი გააერთიანა და თავისიც დაუმატა. თავის ბროშურაში "სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი ფარული საზოგადოების წინაშე", ზ. ჭიჭინაძე წერს, რომ სოლომონ დოდაშვილი "იწყებს ქადაგებას", რადგან იმ დროს ქართველებს ეძინათ. 1831 წელს ს. დოდაშვილმა ქართულ ენაზე დაბეჭდა "საქართველოს განთავისუფლების პროკლამაცია, ამ საქმეში მას ეხმარებოდა ფილადელფოს კიკნაძე" (146.4). ხოლო ფილადელფოსისადმი მიძღვნილ ბროშურაში, ზ. ჭიჭინაძე წერს, რომ 1830 წელს ფ. კიკნაძემ დაბეჭდა ქართული პროკლამაცია საქართველოს განთავისუფლების შესახებ (144.7). ცხადია, ის ს.დოდაშვილის პრაკლამაციას გულისხმობს. ზ. ჭიჭინაძე აქვე ამტკიცებს, რომ ფილადელფოსმა და დოდაშვილმა ერთად გახსნეს სტამბა, სადაც დაიწყეს ქართული გაზეთის "თფილისის უწყების" გამოცემა. 1829 წელს დოდაშვილი სხვადასხვა ქართულ წიგნებს ბეჭდავდა

კიკნაძემ კი თავისი ლექსები დაბეჭდაო. როგორც ვხედავთ, ზ. ჭიჭინაძე ერთმანეთში ურევს ს. დოდაშვილსა და ფ. კიკნაძის ღვაწლის. ფილადელფოსს არავითარი წვლილი არ მიუძღვის სტამბის გახსნაში, ამასთან ცნობილია, რომ მან ვერცერთი თავისი ნაწარმოების დაბეჭდვა ვერ მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ ზ. ჭიჭინაძის ცნობები სანდო არ არის, ისინი მაინც უნდა იქნას შესწავლილი, რადგან შეიძლება რაიმე რეალურ ფაქტზე მიგვანიშნებდეს. საარქივო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეთქმულების მასალებში მხოლოდ ერთი პროკლამაცია ფიგურირებს, რომლის ავტორი სოლომონ დოდაშვილია (8. 1833). 1927 წელს პროფესორმა მიხეილ პოლიევკტოვმა გამოაქვეყნა წერილი "საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში", რომელშიც ე. წ. "საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდის" მაშინდელი აღწერის მიხედვით ასახელებს ერთ-ერთ საქმეს №162 - "ექვსი სხვადასხვა პროკლამაცია 1832 წლის საქართველოს შეთქმულების შესახებ" (131.123). სადღეისოდ საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი დაშლილია. დასახელებული საქმე სხვა საარქივო ნომრით ინახება (ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5458) და მას ეწოდება "ექვსი სხვადასხვა პროკლამაცია", ხოლო 1832 წლის შეთქმულება - ნახსენები აღარ არის, რაც სავსებით გამართლებულია: პროკლამაციების შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ ისინი XX საუკუნეშია დაწერილი. პირველ მათგანს ხელს აწერს "ბრძოლის ქრისტიანული საძმო", იგი სამღვდელოებისადმი არის მიმართული და 31 მაისს ჩატარებულ ყრილობასთან დაკავშირებულ მოვლენებს შეეხება. პროკლმაცია უთარიღოა, მაგრამ ცნობილია, რომ აღნიშნული ყრილობა 1905 წელს ჩატარდა (174.5). ამდენად როგორც ვხედავთ, ამ პროკლამაციას 1832 წლის შეთქმულებასთან საერთო არაფერი აქვს, ისევე როგორც ამავე საქმეში შენახულ დანარჩენ ხუთ პროკლამაციას (რუსეთის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის მოწოდებასა და სხვ.). ეს რაც შეეხება პროკლამაციას. როგორც ჩანს, ზ. ჭიჭინაძეს ყური მოუკრავს, რომ ფილადელფოსს უსიამოვნება შეემთხვა რომელიღაც ქადაგებასთან დაკავშირებით. სინამდვილეში, საქმე ეხებოდა არა ალავერდის ტაძარში წარმოთქმულ ქადაგებას, არამედ იმ ფაქტს, რომ ფილადელფოსს ეგზარქოსისათვის უთხოვია თელავის კარის ეკლესიაში ქადაგების წარმოთქმის უფლება, რაზედაც სასტიკი უარი მიულია. საისტორიო არქივის ფონდებში აღმოჩნდა ფილადელფოსის მიერ 1831 წლის 3 თებერვალს იონა ეგზარქოსის სახელზე გაგზავნილი თხოვნა, რომელშიც განცხადებულია მისი სიყვარული "მშობელობითისა" ადგილისა და ერის მიმართ და სურვილი - ასწავლოს თავის ხალხს: "რათა არა ცალიერ იყოს ჯვარი იგი ქრისტესი და ეგრეთუე სიყუარული ვითარიცა მშობელობითისა

ადგილისა და ერისა, რომლითაცა იძულებულ ვარ მე გამოცხადებად ყოველად გლახაკისა ტალანტისა ჩემისა, სიტყვისაებრ მაცხოვრისა " რომელნ ჰყოს ან ასწაოს იმას დიდ ერქვას სასუფეველსა ცათასა". ფილადელფოსი წერს, რომ საქართველოში მეტად მცირეა იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ ერს ღვთის ნება და რჯული ასწავლონ, რისი ცოდნის გარეშეც ერი მოკლებული იქნება ღვთის ყურადღებას (ანუ მფარველობას.) ამიტომ ფილადელფოსს საკუთარი სინდისი აიძულებს, რათა იგი შეუდგეს ამ საქმის შესრულებას. "თუმცაღა მცირე არს ტალანტი ჩემი, გარნა მეშინის დაფარვად მისდა მიწასა შინა" – ამბობს იგი. მას შეუთხზავს ქადაგება დიდმარხვის პირველი კვირისათვის, რომელშიც, განმარტებული ყოფილა მართლმადიდებლური სარწმუნოების დოგმები. ფილადელფოსი ეგზარქოსს სთხოვდა, თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ არსებობს, "მაკურთხეთ მე თქმად ამისა თელავის კარის ეკლესიის ღვთისმშობლის ტაძარსა შინა, სარგებლობისათვის ერისა და განმტკიცებად მართლ-მადიდებლობითსა სარწმუნოებისა (68.3). თხოვნიდან ჩანს, რომ ფილადელფოსს ეგზარქოსისათვის წარუდგენია თვით ქადაგების ტექსტიც - რვეულში ჩაწერილი. დასახელებულ საარქივო საქმეში ეს რვეული არ აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენ მას ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მივაკვლიეთ, რამაც საშუალება მოგვცა აღნიშნული საკითხი მთლიანობაში შეგვესწავლა. საარქივო საქმეში ფილადელფოსის თხოვნასთან ერთად დაცულია თხოვნის რუსული თარგმანი და ეგზარქოსისთვის რუსულად დაწერილი მოკლე შინაარსი ფილადელფოსის ქადაგებისა, საიდანაც ვიგებთ, თუ რას ეხებოდა იგი. სახელდობრ, მასში ახსნილი იყო რა უნდა იცოდეს ყოველმა ქრისტიანმა სარწმუნოების შესახებ და რომ მხოლოდ რწმენა არ არის საკმარისი გადარჩენისთვის. საჭიროა რწმენის საქმით დამტკიცება. ქადაგებაში ლაპარაკი ყოფილა: 1. სამყაროს შექმნაზე მამაზეციერის მიერ, 2. იესო ქრისტეს განკაცებაზე და მის "ძე ღვთისად" აღიარებაზე ნათანაილაისა და პეტრე მოციქულის მიერ. 3. მწვალებლებზე და მათ მწვალებლურ სწავლებებზე. დაბოლოს, გამოტანილი იყო დასკვნა, რომ რწმენა კეთილი საქმეების გარეშე მკვდარია. აქ გადმოცემულ შინაარსს სავსებით შეესაბამებს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი - ფილადელფოს კიკნაძის "სწავლა სარწმუნოებისათვის" (90. 1-11). თხზულებას ერთვის ნიკიფორე არქიმანდრიტის წერილი ფილადელფოსისადმი, რომელშიც მას ძალიან მაღალი შეფასება ეძლევა. მოცემულ თხზულებას ნიკიფორე არქიმანდრიტი უწოდებს "სულთა განმანათლებელს" და ყოველთა მართლმორწმუნეთა ერთა სახმარ-სასარგებლოდ "ნამდვილ დოღმატებით რთულ-ნათხზს". იგი ლოცავს ფილადელფოსის გონებას და უსურვებს მას, "რათა მარადის და მოუკლებლად სდიოდეს მუცლისაგან

თქვენისა წყარონი წყლისა ცხოველობისანი, რომლითაც ირწყვებოდეს უმეცრებით ხორშაკული სული და გონებანი, მართლ კეთილ-მორწმუნეთა შენდამი სარწმუნოებით და სასოებით მოსრულთა ერთანი" (90.11). ნიკიფორე არქიმანდრიტის ესოდენ აღფრთოვანებული შეფასების საპირისპიროდ, თხზულებას ეგზარქოსის წყრომა გამოუწვევია, რომელიც სოფრონ არქიმანდრიტისადმი გამოგზავნილ მიწერილობაში რეკომენდაციას აძლევს მას, რათა ფილადელფოსს გამოუცხადოს შემდეგი: რომ მან საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნოს და ჯერ თავად ეცადოს ღვთის ნების აღსრულებას, იცხოვროს მონასტერში გაუსვლელად, მორჩილად, პატიოსნად და ყველაფერში ისე მოიქცეს, როგორც ამას მის მიერ დადებული ბერობის აღთქმა მოითხოვს. ამასთან ეგზარქოსი უბრუნებდა ზემოაღნიშნულ ქადაგებას (68.5) ასეთი მკაცრი შეფასების მიზეზი ჩვენთვის უცნობია.ეგზარქოსისაგან მიღებული ამგვარი რეკომენდაციის შემდეგ, სოფრონ არქიმანდრიტი ვალდებულიც, კი იყო, რომ ფილადელფოსისათვის ეგზარქოსის აზრი ეცნობებინა. რასაკვირველია, ეს მათი ურთიერთობის გაუმჯობესებას არ შეუწყობდა ხელს, რასაც სხვა კონფლიქტებიც ემატებოდა. არქივში მივაკვლიეთ 1832 წლის აპრილით დათარიღებულ წერილს, რომელშიც სოფრონი თავს იმართლებს და ძველი კეთილგანწყობის აღდგენას სთხოვს ფილადელფოსს: "სასურველი და სასწრაფო იყო ჩემდა, რათა სიკეთე შენი გარდამეტებულიყო უმეტეს და უმეტეს. ამისთვის ბგვემე შენ მცნებისაებრ სიყვარულისა შვილისა... ირწმუნე მამაო არცა ფიქრით არცა საქმით არა შევდგომივარ მიწერას ანუ ცნობასა ვისადმე, მხოლოდ ვისაცა დავაწერვინე იმან სცნა და ჰკვირობდა, მკითხავდა მიზეზსა და ვერა სცნა, სიტყვით-სიტყვაძდე იყო ჩემი შეთხზული და ხელი ჩემ მიერ მოწერილი, სხვასა ვის ჰქონდა ადგილი, ან უფლება ეგე ვითარისა მხილებისა არათუ მე, და შემდგომ ამისა გთხოვ გული დაიმშვიდო და იგი მიწერილობა ჩემ მიერ განგებ ქმნილი განიქარვო და იყო გულსავსო, რომელ დაწერისათანა ამა ქაღალდისა დასცხრა ყოველი სამოქმედო ძალი მისი შემდგომ ერთისა საათისა და არცა წარკითხვა მისი იყო საჭირო მაგათში, მისთვის რომელ არა იყო საფუძვლიანს მდგომარეობაზედ დამყარებული..." სოფრონი არწმუნებდა ფილადელფოსს, რომ მის მიწერილობას არავითარი შედეგი არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა და რომ მას ფილადელფოსისთვის მხოლოდ მშვიდობა სურდა. ბოლოს უთვლიდა, კიაზო კარგად არის და კიდეც გამოგიგზავნიო (54.7).

ფილადელფოს კიკნაძე ცნობილი ყოფილა თავისი პატრიოტული ლექსებით. 1861 წელს ივანე კერესელიძემ პირველად გამოაქვეყნა მის მიერ შეთხზული ლექსი:

"საქართველომ სთქვა: მეც ვიყავ, დრო მქონდა კეთილმყოფელი,
ვადიდნი ჩემნი მოსავნი, ვტანჯნი უარის მყოფელნი.
ვყვაოდი სამოთხის მსგავსად, არ ვიყავ გასაყოფელი
და ვინც ახლა მნახონ, გასინჯეთ, რა ამაოა სოფელი.
ნეტარ დროსა, რომელსა იყავ შენ აღშენებული,
აღვსილი მადლის წყაროთი და სიბრძნით განათლებული,
შემკული ყოვლის წესითა და ესრეთ გაბრწყინებული
და ვით არ გიტიროს, რა გნახოს აწ ასე გაცუდებული" (167.355).

შემდეგ ეს ლექსი ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა 1922 წელს გაზეთში "ტრიბუნა", ხოლო 1983 წელს მას აქვეყნებს მ. ბერძნიშვილი შემდეგი კომენტარით: "1860 წელს გადაწერილი ერთი ხელნაწერი წიგნის (H 454) 82-ე გვერდზე ჩაწერილია ლექსი "შეთხზული კიკნაძე ბერისაგან". იყალთოს წმინდა შიოს ეკლესიას აწერია შემდეგი ეპიტაფია..." (106.67). მიუხედავად ამისა, თ. კუკავა, როდესაც ფ. კიკნაძის ნაწარმოებებს ჩამოთვლის, ამ ლექსს არ ახსენებს.

ჩვენ ამავე ლექსის ერთ განსხვავებულ ვარიანტსაც მივაკელიეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ აკაკი წერეთლის ხელნაწერ კრებულში (1882წ.), რომელშიც ვკითხულობთ: "კახეთში თელავის უეზდში არის ძველი ეკლესია წმ. შიოსი. კარებზე არის დაწერილი ბერი კიკნაძისაგან შემდგომი ლექსი: საქართველომ სთქვა მეც ვიყავ, დრო მქონდა ყვავილოვანი, ვინ არ ატირდეს, რომ მნახოს აწ ასე აოხრებული" (93.36).

მ. ბერძნიშვილი გვაწვდის ცნობას, რომ ხელნაწერ — H168-ის პირველ ფურცელზე მოთავსებულია "იანბიკო კიკნაძისაგან თქმული." მკვლევარი არც იანბიკოს აქვეყნებს და არც იმას განმარტავს, თუ რას შეეხება იგი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი ცნობილი არ არის. იგი ეძღვნება ქეთევან წამებულს. მოგვყავს ნაწყვეტი დასახელებული იამბიკოდან:

"მარტვილთა მზესა უძღვნი შესხმითა ლექსსა,
სხეულთა შენთა ქეთევან სისხლ ნადენთა,
მარად სახსენთა — მკურნალთა ყოველ სენთა,
მადლისა მფენთა — სულისა განმათენთა,
მირონ სადენთა სურნელ მყოფელთა ჩვენთა,
მეოხთა ჩუენთა შევსწირავ ამათ ძღვენთა" (91.1).

საინტერესო დეტალია: ზემომოყვანილი იამბიკო ანნა ერისთავი-მაყაშვილის მიერ გადაწერილ კრებულშია ჩაწერილი, ოღონდ განსხვავებული ხელით.

ფილადელფოსის ლექსები თუ სხვა თხზულებები მისი ნაცნობ- მეგობრების ოჯახებში იქნება გაბნეული. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ 1910

წელს ვლადიმერ ათანასეს ძე მაყაშვილმა სიონის ტაძრის მუზეუმს შესწირა ფილადელფოსის მიერ 1817 წელს გადაწერილი დოგმატიკურ-კანონიკური კრებული, რომელიც მაყაშვილების ოჯახში ინახებოდა (86.100).

მ. ბერძნიშვილმა გამოაქვეყნა აგრეთვე კიკნაძის სატირული ლექსი "კიკნაძე ბერისაგან ნათქვამი თეჯნიში ტულუაშვილს ოსეფაზე." – თბილისელ მელექსე იოსებ ტულუევზე (106.67).

ფილადელფოსის ჩვენამდე მოღწეული ლექსებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია – "ვინა ხარ, რომელს სიცოცხლის ჩემის გასაღები ხელთ გიპყრია?" ლექსის შინაარსის გამო საგამომძიებლო კომისიამ იგი თავის მასალებში ჩართო. პირველად გ. გოზალიშვილმა გამოაქვეყნა 1935 წელს (110.95). მიუხედავად ამისა, თ. კუკავა აქვეყნებს რა აღნიშნულ ლექსს, მხოლოდ მის საარქივო ნომერს მიუთითებს და დღემდე უცნობ ნაწარმოებებს მიაკუთვნებს მას. მოგვყავს ფ. კიკნაძის ლექსი:

"ვინა ხარ, რომელს სიცოცხლის ჩემის გასაღები ხელთ გიპყრია,
ჩემო ხელმწიფევ როდის გნახო გვირგვინ-სკიპტრიან,
სიხმილის ალთა ნაბერწყალნი გულიდან მკრთიან,
ერთიც შენამდე ვერ მისწვდების ჰაერათ ჰქრიან.
მე იმით ვიწვი და იმედი შენგანვე მცვრიან,
სად განისვენებ, ეგ ჰაერი ნეტა სით ჰქრიან,
მუნ დავადგრე ყნოსათა, მშვები ვიყო ფიქრიან
სული ჩემი გრძნობს სიყვარულსა აღტაცებულსა,
ხმას ნუვინ გამცემთ ფიქრთა შინა გაოცებულსა,
ვზივარ მდუმარე, მას ვიგონებ გამხეცებულსა,
ხმას ნუ ვინ გამცემთ ფიქრთა შინა გაოცებულსა" (6.1256).

გ. გოზალიშვილის აზრით, ლექსი ნიჟნი ნოვგოროდში უნდა იყოს დაწერილი, სადაც ფილადელფოსი იყო გადასახლებული. "სატრფიალო საგანს" საქართველო უნდა წარმოადგენდეს (110.95). თ. კუკავა, გ, გოზალიშვილისგან განსხვავებით (რომლის აზრს საერთოდ არ ეხება) თვლის, რომ მოცემული ლექსი ფილადელფოსის გატაცების საგანს ეძღვნება. ჩვენთვის მისი ვინაობა უცნობია, მაგრამ როგორც ლექსის შინაარსიდან ჩანს, ფილადელფოსს გაუზიარებელი სიყვარული სტანჯავდაო. თ. კუკავა ვარაუდობს, რომ ფ. კიკნაძის გატაცების ობიექტი მალალი წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რადგან ფილადელფოსი მას გვირგვინისა და სკიპტრის ტარების ღირსად თვლის (128.28). ამ საკითხის თაობაზე ჩვენ არც გ. გოზალიშვილის და არც თ. კუკავას აზრს არ ვიზიარებთ. ჩვენი აზრით ლექსი დაწერილია შუამთაში და არა ნოვგოროდში. ფილადელფოსს მამუკა ორბელიანისათვის გაგზავნილი წერილის შავი თავისთვის დაუტოვებია.

იმავე ფურცლის მეორე გვერდზე კი მიუწერია ზემოაღნიშნული ლექსი. წერილი უთარიღოა, მაგრამ მისი შინაარსი მიგვანიშნებს, რომ იმ დროს ფილადელფოსი უკვე ჩაბმული ყოფილა საიდუმლო საზოგადოებაში. ლექსი არც საქართველოს ეძღვნება და არც ფილადელფოსის გატაცების ობიექტს. როგორც არ უნდა ჰყვარებოდა მას ვინმე მაღალი წრის წარმომადგენელი ქალი, ვერ მისწერდა მას "როდის გნახო გვირგვინ-სკიპტრიანს?" ასეთი კითხვა შეიძლება მხოლოდ მეფობისთვის გამზადებულ პირს დაუსვა. შემთხვევით არ იყო, რომ შემდგომ კომისიამ ამ ლექსს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ათარგმნინა კიდეც. თარგმანში ლექსის ადრესატი მამაკაცად არის წარმოდგენილი: "Государь! Когда увижу я тебя с венцом и скиптром!" ჩვენი ვარაუდით, ლექსი რომელიმე ბატონიშვილს ეძღვნება – ალექსანდრეს, ან ოქროპირს. თუ ფილადელფოსი ქალს გულისხმობს, მაშინ ეს ქალი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ბატონიშვილი თამარ იულინის ასული, შეთქმულების მონაწილე. შეთქმულებს შემუშავებული ჰქონდათ აჯანყების გეგმა, რომელსაც "პირველი ღამის განკარგულებას" უწოდებდნენ და რომლითაც ზუსტად იყო განსაზღვრული, თუ ვინ რომელ უბანზე უნდა ყოფილიყო და რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა. თამარ ბატონიშვილის შესახებ კი ალ. ორბელიანი ამბობს: "ჩვენ გვსურდა ესრეთ ოდესცა აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ თამარ ბატონიშვილი უნდა გამოგვეყვანა და ხალხისათვის უნდა გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონი ქალი, თამარ, რომელიც ყველანი ამას უნდა მორჩილებდეთ და რაც გვიბრძანოს უნდა აღვასრულოთ. ამაში, უნდა ზარების რეკა მოჰყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე სამი კაცი უნდა ასულიყვნენ, და იქიდან ეყვირნა თავისუფლება და სიხარული ყოველსა ერსა ზედა..." (6. 1441). თამარ ბატონიშვილისთვის ელიზბარ ერისთავს პური და მარილი უნდა მიერთმია. შემდეგ იგი ასე უნდა გამოეყვანათ და სასამართლოს და საქართველოს პირველ გამგებლად უნდა დაენიშნათ, სანამ ალექსანდრე ბატონიშვილი, ან ოქროპირ ბატონიშვილი ან დიმიტრი ბატონიშვილი ჩამოვიდოდა საქართველოში (6. 1441). ფილადელფოსს აუცილებლად ეცოდინებოდა, თუ რა მისიას აკისრებდნენ შეთქმულნი თამარ ბატონიშვილს, ამიტომ მისთვის შეეძლო ეთქვა – როდის გნახავ გვირგვინ-სკიპტრიანსო, მიუხედავად იმისა, რომ თუ თამარ ბატონიშვილის ჩვენებას დავუჯერებთ, ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. თამარი ამბობს: "ბატ. ფილადელფოს ვერ ვიცნობ, თუმცა ერთხელ ვნახე შუამთის მონასტერში სალოცავად რომ ვიყავ. ხმის გამცემი კი არა ვარ" (7.1539). თამარ ბატონიშვილი, რომელიც საერთოდ ყველაფერს უარყოფდა, იმასაც ირწმუნებოდა, რომ "აქტის" ავტორის ვინაობა არ იცოდა. ჩვენი აზრით, მეტად ნიშანდობლივია მისი შუამთის

მონასტერში მისვლა. თამარ ბატონიშვილის უახლოესი თანამზრახველნი იყვნენ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ ერისთავი და გიორგი დავითის ძე ერისთავი, რომელიც როგორც ვიცით, ფილადელფოსს არაფერს უმალავდა.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ზემომოყვანილი ლექსი სასიყვარულოდ ვერ ჩაითვლება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ფილადელფოსი დიდი სიმპათიით ყოფილიყო განწყობილი თამარის მიმართ, რასაც პირადად მას ვერ გაუმხელდა: გარდა იმისა, რომ თამარი – ბატონიშვილი იყო, იგი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. აღთქმაც ჰქონდა დადებული, რომ არ გათხოვდებოდა, ორჯერ იყო იერუსალიმში (106 .31). 1831 წელს თამარ ბატონიშვილს განზრახული ჰქონია თავის მამიდაშვილებთან– ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებთან და აგრეთვე ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთავთან ერთად იერუსალიმში წასვლა. თურქეთში მათ ალექსანდრე ბატონიშვილი შეუერთდებოდა. ალ. ორბელიანმა კომისიას უჩვენა: "შემდეგ სწორედ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით, იქ ქრისტეს საფლავს თაყვანი უნდა გვეცა და იქიდგან, ფრანცის პარიჟში უნდა მივსულიყავით, იქიდგან გვსურდა, და განზრახვა გვქონდა, რომ ანგლიაში გაგვეგზავნა ვინმე, და ჩვენი მისვლა პარიჟში ეცნობებინა,-შემდეგ ჯერ აქ პარიჟში უნდოდათ ეჩივლათ, რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო ბაგრატიონთაგან,- შემდეგ ანგლიაში უნდა გავსულიყავით და იქაც ისე უნდა შეგვეჩივლა, და ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთი მამული ისევ დაჰბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო და განეთავისუფლებინათ რუსებიდგან. შემდეგ ამ აზრისა, აღარ მოგვიხდა წასვლა და ველარ.გაბედა თამარ ბატონიშვილმა წასვლა, ამისთვის რომ ეჭვს შემოიტანს მთავრობაო..." (110 .365). ჩვენი აზრით, ეს ცნობა ნათელს ჰფენს აგრეთვე ფილადელფოს კიკნაძის იერუსალიმში წასვლის განზრახვას. ერთი შეხედვით არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ სასულიერო პირს იერუსალიმში წასვლა სდომებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ფილადელფოსს უკვე გადაცემული ჰქონდა შეთქმულთათვის თავისი "აკტი გონიური" და თვითონ აქტიურად ხელმძღვანელობდა ავჯანყების მზადებას, მაშინ ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ყოველივეს მიტოვება შეეძლებოდა. არსებობს ფილადელფოსის მიერ სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის სახელზე დაწერილი თხოვნა, რომელშიც ის დადიანს სთხოვს, რომ მან მისწეროს საქართველოს მთავარმმართებელს და რაიმე მიზეზით გამოითხოვოს ფილადელფოსი თავის სამთავროში, საიდანაც შემდეგ გაემგზავრებოდა იერუსალიმს წმინდა ადგილთა მოსანახულებლად. "ხოლო საქართველოს მონასტრითგან არავის აძლევენ ნებასა წარსვლად რომელსამე სხვასა სამძღვარსა გარეთსა ადგილსა, ხოლო თქვენი უმაღლესითა უქაზითა მათის იმპერატორებითის დიდებულებისითა მდგომარეობს

თავისუფლებისა ქვეშე თქვენისა სიმაღლისა და ვითარცა გნებავსთ ყოველივე მიენდობის კეთილ მნებებელობასა თქვენსა" (6.1253). ეს წერილი 1831 წელს უნდა იყოს დაწერილი. იმ წლის ზამთარში თავად სიმონ ჩიქოვანს შუამთის მონასტერში ერთი ღამე გაუთენებია. ფილადელფოსმა მას თავისი სურვილი გაანდო. ჩიქოვანმა ურჩია, რომ დადიანისთვის მიეწერა და დახმარება აღუთქვა. ფილადელფოსმა მაშინვე ვერ მოასწრო წერილის დაწერა და გატანება, მაგრამ დადიანს შემდეგ მაინც გაუგზავნა წერილი ვინმე იმერელის ხელით. პასუხი კი არ მიულია (10.2226ა).

ჩვენი ვარაუდი იმას ემყარება, რომ თამარ ბატონიშვილის მიერ იერუსალიმში სპეციალური მისიით გასამგზავრებლად შერჩეულ პირებს შორის იყო გიორგი დავითის ძე ერისთავი, რომელიც ფილადელფოსს გაუზიარებდა ბატონიშვილის ამ განზრახვას, მაგრამ კატეგორიულად მტკიცება არ შეგვიძლია, მითუმეტეს, რომ ფილადელფოსი ამბობს: "მქონდა კიდე ეს იმედიც, რომ საბერძნეთში სადმე ეგებ არსიმანდრიტათ ვკურთხეულიყავ რათგანაც ჩემი მწყალობელი არხიმანდრიტი ვენედიკტე პატრიარხთან დიდათ მიჩნეული არის, გამლოცველი იერუსალიმისა გამოვიდოდი პეტერბურგში, გავიცნობდი ვისმე, შეიძლებოდა გამომეთხოა სამსახური რუსეთის კომისიაში. ეს პლანიცა მქონდა, მაგრამ რათგან პასუხი ვერ მივიღე რა, გადავიწყვიტე იმედი" (10.2226ა).

1832 წელს ფ. კიკნაძემ ს. ქისტაურში, ივანე ერისთავის სახლში გაიცნო მისი სტუმარი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპოშჩიკი-როსტომ იოსელიანი და შეიტყო, რომ იგი სამეგრელოს დედოფალ ნინოს ახლდა ვორონეჟში. ფილადელფოსმა, როგორც იგი შემდეგ კომისიას უჩვენებს, გამოუცხადა იოსელიანს რუსეთის მონასტერში გადასვლის სურვილი. ჩვენ არ ვიცით, თუ რა მიზანი ჰქონდა მას სინამდვილეში და კიდევ რა გეგმები გაუზიარა იოსელიანს. ყოველ შემთხვევაში, იოსელიანმა მიაწერინა წერილი ნინო დადიანთან, რომელიც თვითონ უნდა გადაეცა. გარდა ამისა დაპირდა, რომ მონასტერში ინახულებდა ფილადელფოსს საქმეზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამ უკანასკნელს თელავში მოუხდა წასვლა, რის გამოც წერილი დაუტოვა: "იმ დღეს აღმითქვით, რომ კვირას მონასტერში აღმოგივლითო, თქვენი ხილვა და მოლოდება ჩემთვის დიდ საამო არს, და ვაი თუ ვეღარ გნახოთ. ამისთვის ამ წიგნს გწერთ. ცოტა საჭიროება რამე მქონდა, ზოგი საკუთარი და ზოგი რამ საძმო. ამისთვის რათგან მარხვა მომავალი იყო და მარხვის ტარება აღარ შეიძლებოდა, თელავს გიახელ. გთხოვ არ დაივიწყოთ განზრახული. სულსა შინა ჩემსა მხოლოდ იგი ოდენ არს იქით სახსოვარი. სხვებრ ღმერთი ღირს მყოფს თქვენს ხილვას" (6.1252). როგორც შემდგომ ფილადელფოსმა კომისიას განუმარტა, იგი წერილის

გაგზავნას გულისხმობდა: ვთხოვე, რომ ის ჩვენი ჰაზრი, და წიგნის გაგზავნა არ დავიწყებოდა, იმას იქით იმ აზრზე ვარ-მეთქი, და ჩემი სახსოვარი ის არის მეთქი" (5.893). არ არის გამორიცხული, რომ ფილადელფოსს იოსელიანისთვის შეთქმულების განზრახვაც გაეზიარებინა, მაგრამ ეს არ გამომჟღავნებულა. (საგამომძიებლო კომისიამ როსტომ იოსელიანი მიაკუთვნა X კატეგორიის, ანუ ისეთ პირთ, ვიზედაც არავითარი ეჭვი არ არის მიტანილი). კომისიამ 1833 წლის 16 მარტს ხელში ჩაიგდო კიკნაძის მიერ ნინო დადიანისათვის 1832 წლის 17 ივლისს შუამთიდან გაგზავნილი წერილი: "თქვენო უმაღლესობავ მთავრინავ გენერლისავ ნინა გიორგიევნა, უმოწყალესო ხელმწიფევ... ამათი კეთილშობილება როსტომ იოსელიანი გახლდათ კავკასიის მთაში გამოგზავნილი მთავრობისაგან, რომელმანცა... მონასტერსა ამას შინა შუამთისასა, მან განმიცხადა მე რომელ თქუენის უგანათლებულესობას, საღმთოსაებრ კეთილმორწმუნეობას ნებავს... ღვდელთაგანი ქართველი. ამას ზედა მივიღებ მე უმორჩილესად გაბედულებას რომელ განგიცხადებთ შინაგანს გულითსა ერთგულებასა, უკეთუ კეთილ ინებებს უმაღლესობა თქვენი და მოსწერთ ექსარქოსს რათა მე წარმადგინოს სამღთოისა მღვდელმოქმედებისათვის თქუენის უგანათლებულესობის წინაშე. მე ვიდრე სიკუდილადმდე უერთგულესი სულით და გულით აღმასრულებელი პატივისცემით მსახურებისა თქუენისა ვიქნები და ვეგები საუკუნოთ მლოცველი ღვთისადმი კეთილსუფევასა უმაღლესობისა თქუენისა და მისი თქუენისა მრავალჟამიერათ (13.2968). წერილს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. როსტომ იოსელიანს კიკნაძის თხოვნა შეუსრულებია და თავადაც მიუწერია სამეგრელოს დედოფლისათვის, რომელიც იმჟამად რიაზანში ცხოვრობდა: "თქვენო უგანათლებულესობავ, უმოწყალესო ხელმწიფევ... შემდგომ ამისა უკეთუ ჩემს ვითარებას მოგახსენებთ, გადმომიყვანეს პოლშიდამ და გახლავარ საქართველოში მთავარმმართებელს უფალს როზენთან. ჯერეთ ჩემი სამშობლო მამული არ მიხილავს და ვცხოვრობ ტფილისს. გარდა ამისა ვსცან რომელ თქვენი უგანათლებულესობა სცხოვრობს რეზანში, სადაც რომელ ვგონებ ქართველი სამღვდელოთაგან არავინ გახლდესთ. ამისთვის მაქვს პატივი რომ განგიცხადოთ, აქ საქართველოში ვიხილე ერთი იერომონახი ბერი, რომელსაც სურს ხლება თქუენის უგანათლებულესობისა და სამსახური. ისიც გახლავს იმერეთის შვილი. გავბედავ დაგარწმუნოთ, რომ ყოველითურთ არის პატიოსანი კაცი, ყოვლის სამღთოს სწავლით სრული და შემძლებელი თქუენის უგანათლებულესობის კეთილად მსახურებად. სცხოერობს კახეთს შუამთის მონასტერში და განმიცხადა მან ჰაზრი თვისი. ჩემის მხრით დაგარწმუნებთ, რომ დიდათ სასარგებლო იქნება თქუენის უგანათლებულესობისა და შეიძლებს რომ გასიამოვნოსთ. და ამ ქვეყანაშიც

დიდი ქებისა და სიკეთის სახელი აქვს... ამისთვის მოგახსენებთ უკეთუ ისურვებთ იმის დაბარებას კარგი იქნება და თქვენ უნდა მისწეროთ ექსარქოსს და ექსარქოსი გამოგიგზავნისთ... იმ ბერის წიგნსაც ამას წიგნსთანავე მივართმევ თქვენს უგანათლებულესობას დასარწმუნებლად რომელ სურს მას ყოფა საფარველსა თქვენსა ქვეშე ყოფნად სამსახური" (13.2969).

ცალკე უნდა შევეხოთ ფილადელფოსის მასწავლებლობის საკითხს. როგორც ზემოთ ვთქვით, 1830 წლის 9 დეკემბერს თელავის სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველი აცნობებდა მას, რომ იგი აუცილებლად იქნებოდა დანიშნული მასწავლებლად აღნიშნულ სასწავლებელში. მიუხედავად ამისა, არ ჩანს, რომ ეს დაპირება სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი. ფილადელფოსის ქაღალდებს შორის შემონახულია შავი ერთი წერილისა "საზოგადოთ თელავის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოებისაგან სრულებით თხოვნა", უცნობი თავადის სახელზე, ვისაც თელავის მაზრის თავადაზნაურობა სთხოვს, რათა მან იშუამდგომლოს მოსე ეგზარქოსის წინაშე თელავის კეთილშობილთა სასწავლებელში ფილადელფოსის მასწავლებლად დანიშვნის თაობაზე (6.159). კიკნაძის დაპატიმრების შემდეგ, საგამომძიებო კომისია დაადგენს, რომ ეს წერილი მისი ხელით არის დაწერილი (32.5). როგორც 1833 წელს სოლომონ დოდაშვილმა უჩვენა კომისიას, კიკნაძეს მისთვის 1831 წელს მიუწერია წერილი, რომელშიც უთხოვია, რომ სოლომონი დახმარებოდა მას მასწავლებლად მოწყობაში თელავის სასწავლებელში ან სადმე სხვაგან. ამ საკითხის თაობაზე ს. დოდაშვილი 1832 წლის 6 თებერვალს ფილადელფოსს სწერდა: "უსიამოვნესი წერილი თქვენი მებობა, რომელმანცა ფრიად მახარა უძვირფასესი სიმრთელე თქვენი. თქვენის საქმისა მე წარსულს წელს მოგწერე და არ ვუწყი მოგერთვათ თუ არა? არქიერთან რაოდენჯერმე გასლდათ დირეკტორი, გარნა არ ინება წარმოედგინა მიზეზნი სხვა და სხვანი" (45.3).

როგორც ჩანს ფილადელფოსმა მასწავლებლად დანიშვნას ვერ მიაღწია, მაგრამ თავის საყვარელ საქმეს მაინც ემსახურებოდა და მონასტერში იყვანდა შეგირდებს. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა დავით ერისთავის შვილი, მომავალი მწერალი რაფიელ ერისთავი. გარდა იმისა, რომ კიკნაძე ბავშვებს ასწავლიდა, კვირა დღეობით მათ მინდორში წაიყვანდა ხოლმე და ლექსებს ათქმევინებდა (120.2). მკვლევარი შ. ვაშაყმაძე აღნიშნავს, რომ რაფიელ ერისთავის შუამთის მონასტერში მოწაფეობის დრო არასწორად არის განსაზღვრული. მკვლევართა უმრავლესობა უკრიტიკოდ იზიარებს ხახანაშვილის მცდარ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს 1834-36 წლებში რაფიელს კიკნაძე ასწავლიდა (163. 200-201). 1835 წელს რაფ. ერისთავი თბილისშია და შუამთის მონასტერშიც რომ ყოფილიყო,

ფილადელფოსი ამ წლებში მისი მასწავლებელი ვერ იქნებოდა, რადგან 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იგი დააპატიმრეს და პატიმრობაში გარდაიცვალა 1833 წელს. შ. ვაშაყმაძე გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ მამას რაფიელი თელავის სამაზრო სასწავლებელში შეუყვანია, მაგრამ არ მოსწონებია რეჟიმი და განსაკუთრებით ქართული ენის სწავლების უგულებელყოფა. ამიტომ შვილი იქიდან გამოუყვანია და შუამთის მონასტერში მიუბარებია.

როგორც პირველწყაროების შესწავლამ გვიჩვენა დავით ერისთავი ფილადელფოსისადმი გაგზავნილ წერილებში ხშირად ახსენებს თავის შვილს, მაგ. "რაფიელმა თაყვანისცემა მოგახსენა, მაგრამ უშენოდ სწუხს" (48.2), ან კიდევ "რაფიელ თავს გიკრავს თავის მამით"(48.9). მიუხედავად ამისა, მათ შორის გაუგებრობა მომხდარა, რის გამოც დავითს შვილი მონასტრიდან წამოუყვანია და ბერებისთვის საყვედური მიუწერია: "თქვენო ყოვლად პატიოსნებავ მოწყალეო ჩემნო ხელმწიფენო. საუფლოს მარჯვენას გეამბორებით და შემდგომ გთხოვთ რაიცა მოგწეროთ მეც პასუხმიგოთ... მართლად თქვენი მოწერილია ეს თუ არა. ჯერეთ მე არა მრწმენის, რომ თქვენგან იყოს ეს მოწერილი და თუ თქვენგან არის, მე გაოცებული ვარ, რომ თუ ჩემი ყმის შვილი მანდ არის - სოსიას ბიჭი და ის იმეტებს თავის შვილისათვის საზრდოს, მე რაღა ღმერთი გამიწყრა რომ პირველადვე არსიმანდრიტთან სჩივით საზრდოზედ. მე მგონია ასეთი უსვინდისო არ ვიყო რომ ჩემის შვილისთვის ვერა გამოვიმეტო-რა. თუმც მსურდა მანდ თქვენთან ამ ჩემის შვილის ყოფნა ამისთვის რომ თქვენ ორნი ჩემნი მანდ მეგულვებოდით და რადგან არა გსურთ და გამოძიებაში შედისართ, მეც აღარ შეგაწუხებთ ისევ სხვაგან მივაბარებ." დავითი ალბათ ფილადელფოსსა და ქრისტეფორეს გულისხმობს, როდესაც ამბობს — მანდ ორნი მეგულებით ჩემიანებიო. იგი მაინც ფიქრობს, რომ ამ "მჟავე" წერილების უკან ვილაც სხვა უნდა იყოს და არა თავისი ახლობლები. მისი ვარაუდი გამართლდა. წერილები ფილადელფოსისა და ქრისტეფორეს სახელით სოფრონ არქიმანდრიტს დაუწერია და ხელიც მათ მაგივრად მოუწერია (10. 2226). დავითის წერილი დათარიღებულია ათი აპრილით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი დაწერილია არა უგვიანეს 1832 წლისა, რადგან 1833 წლის დამდეგს ფილადელფოსი შეთქმულებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს და შუამთაში ვერ იქნებოდა. ზემომოყვანილი წერილის შემდეგ დავითი და ფილადელფოსი კვლავ უახლოეს მეგობრებად დარჩნენ, რასაც მოწმობს დავითის მიერ 1832 წლის 5 მაისს კიკნაძისათვის გაგზავნილი წერილი: თქვენმა ორმა წერილმა სიცოცხლე მომიმატა, მაგრამ გთხოვთ ნულარ მეტყვით — ბევრი წერით გაწუხებო... (48.2).

ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს ქვათახევის ბერი გენადის ნაამბობს: ფილადელფოსს შუ-

ამთაში სასწავლებელი ჰქონდა და უფასოდ ასწავლიდა თავად-აზნაურის, თელავის მოქალაქეებისა და გლეხთა შვილებს, აგრეთვე ბერებსო (144.15). როგორც საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, ფილადელფოსი რამდენიმე მოსწავლეს იყვანდა ხოლმე, ზოგი მათგანის ვინაობის დადგენა ხერხდება სოფრონ არქიმანდრიტის წერილების წყალობით, რომელშიც ის ფილადელფოსს სთხოვს ამა თუ იმ მოსწავლის მიღებას. პირველი წერილი 1830 წლის ნოემბერშია დაწერილი: „შაშიანის მცხოვრებლის ივანე მღუდლის შვილი შიო მთხოვს თავის საზრდოთი შუამთის მონასტერში ჰყოფნას, მის გამო გამოგიგზავნი თქუენ ხსენებულს დიაკონს. გთხოვ როგორც შეიძლებოდეს ამის სწავლაზედ და ეკლესიურსა გამართვაზედ იგულსმოდგინო და ბეჯითად ბრძანდებოდე. დადგომით სადაც შეიძლებოდეს იქ ამყოფეთ“(55.1). დანარჩენი ჩვენამდე მოღწეული ბარათები 1832 წელს ეკუთვნის. იმ წლის თებერვალში სოფრონ არქიმანდრიტმა ფილადელფოსს კიდევ ერთი დიაკონი გაუგზავნა სასწავლებლად: „ლეონ დიაკვანი მიახლებია. ეს არის ჩემთან გაზრდილი, თუმცა შეუძლიან ქამნი და წიგნის წაკითხვა, მაგრამ არა კადნიერად, ამისთვის გთხოვ სხვათაგან უმეტესად გულსმოდგინება თქვენი ამასაც აჩვენეთ. თავის საზრდოთი გიახლებათ და რაოდენაც ხანი ისურვოს ამყოფეთ თვენთან, ასწავლებდეთ და დაარიგებდეთ შიშსა ღთისასა და კეთილსა ქცევასა. აგრეთვე აბრამ მღუდლის შვილი რომ გამოგიგზავნე იმის საზრდოსაც დროთ მოგართმევთ“ (55.5). სოფრონ არქიმანდრიტს თავისი ძმისშვილი კიაზოც ფილადელფოსისათვის მიუბარებია: „შევიტყევ თქვენი შაშიანში ყოფნა, რადგანაც მოცლითა ხარ ვგონებ ამიტომ წაბრძანებულხარ ამ სიმორეთ, ამისთვის გაახელ ჩემი ძმისწული კიაზო. უქმათ ყოფნას ისევ შრომა სჯობია, გთხოვ ჩვეულებისამებრ იგულისმოდგინო. ასწავლოთ, დამოძღვროთ... აქამდინაც უნდა მომეგონებინა ან მე ან შენ, რომ მოცლის დროს ცოტა ხანს გალობაც ისწავლოს. ჩემ მაგიერ ჰსთხოვეთ სერაპიონს, როდესაც იცლიდეს, წირვის გალობას ასწავლიდეს...“ თუ რაიმე ესაჭიროება — ქაღალდი, ან მელანი — ყოველივე მაცნობეთო(55.10).

იმავე 1832 წლის მარტში სოფრონი ითხოვს სახლთახუცესი იოსების შვილის — ბესარიონის მიღებას თავისი საზრდოთი (ალბათ, ეს სწორედ იმ იოსების შვილია, რომელზეც დავით ერისთავი ამბობს — ჩემი ყმის შვილი, სოსიას ბიჭი მანდ არისო) სოფრონი კიკნაძეს სთხოვს, რომ ბესარიონი და კიაზო ერთად ამყოფოს, „რომელსათვის თქვენცა, თქუენის შრომისათვის არა ცარიელ იქმნებით... ჩემგან და მეპატრონეთაგან“.

აპრილში სოფრონი სწერს: „აწ გამომიგზავნია ჩემი ძმისწული კიაზო, მსახურითა თვისითა ბესოთი და ლალითა თვისისა ჯანოთი. გთხოვ ჩვეულებისაებრ იგულმოდგინო, გულში ღრომა (მცირედი წყენა.— მ.ხ. 177. 256) არა დაიშთონ რა კეთილს ჰსწავლასა ამათსა ეცადო“ (55.9). ამასთან არქიმანდრიტი აუწყებდა ფილადელფოსს, რომ მალე

ინახულებდა მათ. როგორც ვხედავთ, სოფრონ არქიმანდრიტი ხშირად ახსენებს თავის ძმიშილს — კიაზოს. ჩვენ მიერ ზემომოხსენიებულ ერისთავთა გენეალოგიურ სქემაში სახელი „კიაზო" არ გვხვდება, მაგრამ საინტერესო ცნობას წავაწყდით ალ. კალანდაძის წიგნში „ქართველ მწერალთა სახლ-მუზეუმები", რომელშიც ნათქვამია: „რაფიელის მარანს ზემოთ იდგა კიაზო ანუ გიორგი ერისთავის სახლი (123.36). ე.ი. გიორგი და კიაზო ერთიდაიგივე პიროვნებაა. ახლა უკვე ადვილი მოსაძებნია მისი ადგილი გენეალოგიურ სქემაში. კიაზო სოფრონ არქიმანდრიტის გარდაცვლილი ძმის, გიორგის შვილი უნდა იყოს — გიორგი გიორგის ძე ერისთავი.

თ. კუკავა პატარა გიორგის შეცდომით გიორგი დავითის ძე ერისთავთან აიგივებს. მკვლევარი წერს, რომ ფილადელფოსი „ეწეოდა ფართო საზოგადოერივ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც სრულიად უანგაროდ. კერძოდ, შუამთის მონასტერთან მას სკოლა ჰქონია გახსნილი. მისი მოსწავლები ყოფილან გიორგი და რაფიელ ერისთავებიც, რომლებთან მას ურთიერთობა არ გაუწყვეტია სიცოცხლის ბოლომდე. შეთქმულების საიდუმლოებაც მას პირველად სწორედ გიორგი ერისთავმა გაანდო, ხოლო თავისი „აკტი" მან პირველად გიორგის ერისთავს წაუკითხა და გააცნო თავად გრიგოლ ჩოლოყაშვილის დაკრძალვაზე" (128.10). როგორც ვხედავთ, თ.კუკავას შეთქმულების მონაწილე გიორგი ერისთავი ფილადელფოსის მოსწავლე ჰგონია. რაფიელ ერისთავის მამა დავით ერისთავა თავად ამბობს, ფილადელფოსს „ებარა ჩემი ბიძაშვილი გიორგი და კვალად შვილსაცა ჩემსა რაფაილსაცა უპირებდი მიბარებასა"-ო (13.2976). ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ფილადელფოსი გარდაიცვალა, პატარა რაფიელ ერისთავი ჯერ 9 წლისაც არ იყო, ასე რომ მათ შორის ვერ იქნებოდა ისეთი სერიოზული ურთიერთობა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.

ჩვენ მიერ ზემოდამოწმებული სოფრონ არქიმანდრიტის წერილები იმ დროს არის დაწერილი, როდესაც კიაზო (ანუ გიორგი) უკვე დაობლებულია. მამამისის — გიორგი ბეჟანის ძე ერისთავის ეპიტაფიას ვხვდებით ანა ბეჟან არაგვის ერისთავის მიერ გადმოწერილ კრებულში. ეპიტაფიას მოსდევს ანას მინაწერი : „მე მისგან გულწყლულმან დამან ანნამ გადმოვწერე ეპიტაფია წარწერილი, დადებული ლოდისა მისგან, რომელი არს წმინდასა სახელწოდებულსა მთაწმინდის ეკლესიის სულის წმინდის შესავალთნ ტფილისის ქალაქსა. შვილნო ჩემნო, ათანასი, მაყა და რევაზ, თქვენცა ხსოვილ იყავით სასურველის თქვენის ბიძისა" (91.42). მინაწერში მიითებული თარიღი — 1834 წლის 21 ნოემბერი, ჩვენი აზრით, ეპიტაფიის გადმოწერის დროს უნდა მიგანიშნებდეს დ არა გიორგი ბეჟანის ძე ერისთავის გარდაცვალებისას, რადგანაც 1832 წელს, მისი შვილი — პატარა კიაზო იგივე გიორგი უკვე ობოლია. ეს კარგად ჩანს სოფრონ არქიმანდრიტის მიერ 1839 წლის 17 ოქტომბერს ფილადელფოსისათვის გაგზავნილი შემდეგი წერილიდან: „მოწერილობა თქვენი მივიღე, რომელშიც მთხოვთ შეშის მოტანას... თუკი

გიორგის საოსტატოში გამიბრი შეშას ბევრს მოვატანინებ. მე გთხოვთ გულში არ დაიმწყვდიო და რაცა გნებავდეს მაცნობებდე, თქვენ მგონებ მიცნობდეთ თუ ვისმე რასმე საჭიროებას ვსცნობ, შეძლებისაებრ შემწეობას არ დავზოგავ, და ძმისწულისა ჩემისა გიორგისათვის რას დავიშურებ და რას დავზოგავ, რომელსაც სხვა მოწყალე, ნუგეში და პატრონი არავინ ჰყავს ობოლსა და შეუწევნელსა და წინააღმდეგთაგან შთანთქმად სასურველსა, ყოველითურთ არასად მგულვებელსა თავის მიდრეკისასა. შენ შემოგავედრე და შენც მიიღე ვითარცა ჭეშმარიტმან მზრუნველმან და არა დამზოგველმან ნიჭისა შენის მიცემისაგან და აწ მესმის ვითარმედ მოგეკლოს გულს მოდგინება შენი და წადიერება სურვილისა შენისა ყმასა მაგას ზედა რაღაცას დაებრკოლებინოს და ვითომც სასყიდელს ითხოვდე, რომელიც თვინიერ მაგისაცა არ მშურებია და რაც გითხოვნია შეწევნა მხიარულის გულით აღმისრულებია. ჩემგან ან სხვისა ვისმე თუ იყო შეორგულებული, გთხოვ დაუტეო და რაც გნებავდეს, სახელდობ მაცნობებდე თეთრათ თუ ნივთად ანუ სხვებრ ჩემ მიერ აღშენება თქვენი თუ საჭირო რამ იყოს, და თუ არც ერთი ამათგანი არა გნებავს ეს უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი. იყავ მშვიდობით განსვენებით და უდრტვინველად გუშინ ორი თოხლი გამოვგზავნე კიაზოს პურს და ღვინოსაც არ დავაკლებ (55.13). ამავე შინაარსისაა სოფრონის სხვა წერილი (1832 წლის სექტემბერი), რომლიდანაც ჩანს, რომ ფილადელფოსს სოფრონისაგან მიყენებული წყენის გამო აუყრია გული მის ძმისშვილზე: „ჩემი მონასტერში ყოფნის დროს კიაზოს მსახურმა ჯანომ გადმომცა თითქოს თქვენი ნათქვამი რო გსურდესთ სხვანიცა მოწაფენი განსაუმჯობესებლად მდგომარეობისა თქვენისა და მისთვის იყვნეთ გულგრილად სწავლასა ზედა ძმისწულსა ჩემისა გიორგისა. გუშინ პირისპირ მინდოდა ყოველივე ესე აზრი და პასუხი გულისა ჩემისა გამომეცხადებინა და დრო არა მქონდა მოცალე. ირწმუნე მამა ფილადელფოს საკმაო მოსწავლეს მე თვითონ შეგიკრეფ და ყველაფერში კმაყოფილსაც გამყოფებ და მიკვირს რატომ პირისპირ მე არ მატყობინებ შენს ფიქრს და ნებას. ვგონებ ვერაფერზედ ვერ შემნიშნო წინააღმდგად... ნუ დამაბრკოლებლად და დამაკლებელად და არცა მე მაქვს ხსოვნა თვინიერ ამისა, რომელ ყოველთვის შენის აღშენებასა... და კეთილ წარმართებასა შენისა მზრუნველ ვყოფილვარ და აწცა ვარ. თუმცა ერთის მოქმედებით გაწყინე და ერთის მოწერით შეგაწუხე. იგი აზრი იყო სოფლის მიმზიდველი განსვენება და შენთან მოწერილობა საიდუმლო მე და შენ შორის რომელიც ჩემგან არცა ვის უგრძვნია და არცა ვის შეუტყია. მერე ხომ შევრიგდით და იქნება კიდევ ფიქრობდე, რომ ჩემს გულში იყოს რაიმე შენი საწინააღმდეგო, არა შენმა მადლმა და მაგ ეკლესიისამა, თვინიერ პატივისცემისა და კეთილობის სურვილისა და რადგან საკუთრად და კეთილ მწადიერად ჩემდა გიგულვებდი, ამისთვის შემოგავედრე ობოლი ესე ყმა რადგან შენც ობლად აღზრდილ იყავ, ამისთვის გთხოვ კეთილ მოქმედებასა შენსა ნუ დააყენებ და იღვაწე ყრმა იგე და მაცნობე, როგორ გსურს

და რა, რომელსაც აღვასრულებას ვეცდები და შეუდგები კიდეცა: თქვენი ძმა სოფ-
რონ". წერილის მინაწერში ვკითხულობთ: „ყრმათ საყვარელი ყურძენი მოგართვი გუ-
შინ ხოდაბნიდან დღეს ქისტაურიდამ და ამაში მგონია თქვენც ყრმა იყვნეთ"(55.11).

ჩვენი აზრით, ფილადელფოსს შეგნებულად არ სურდა, რომ სოფრონ არქიმანდრი-
ტის ძმისშვილი მასთან ყოფილიყო და ძალაუნებურად გაეგო, თუ ვინ მივიდოდა მასთან.
მონასტერში, ან ვისგან მიიღებდა წერილს. ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: ფილა-
დელფოსმა გიორგი ერისთავისგან საიდუმლო წერილი მიიღო, მაგრამ ბერების თან-
ლდასწრებით ვერ წაიკითხა და იმის საჩვენებლად, რომ დასამალავი არაფერი ჰქონდა,
მაგიდაზე მიაგდო. ფიქრობდა ჩქარა მარტო დარჩებოდა და წაიკითხავდა, მაგრამ ამ
დროს სოფრონ არიქმანდრიტი მოვიდა, რომელმაც ერთი საათის შემდეგ თელავს წას-
ვლა მოინდომა და ფილადელფოსიც თან წაიყვანა. მონასტერში მობრუნებულ ფილა-
დელფოსს წერილი აღარ დახვედრია: „ოდეს მოველ ვეღარ ვნახე, იქ სენაკში იყო პა-
ტარა ყმაწვილი არხიმანდრიტის ძმისწული შაგირდათ, ვკითხე მას და მომიგო არ ვიცი,
მაგრამ მე დავამტკიცე, რომ უთუოდ ის აიღებდა და შიშით ვერ აჩენს მეთქი"(5.892).
ეს პატარა ყმაწვილი სწორედ გიორგი ანუ კიაზო ერისთავია, რომელსაც როგორც
ვნახეთ სოფრონი შვილივით ზრდიდა. ერისთავების ოჯახში განხეთქილება ყოფილა,
ხოლო ფილადელფოსი როგორც დავითის მეგობარი, მისი მხარდამჭერი იქნებოდა. სოფ-
რონ საკმაოდ დიპლომატიურად ერთგვარ შუამდგომლობასაც კი სთხოვს ფილადელ-
ფოსს: „შენი ქისტაურს წასვლა შევიტყვე და დავითის ყოფნაც მინდა, რომელზედაც
მხიარული ვარ, ეგების მოიქციოს კეთილმოქმედებისადმი და დაუტეოს უსამართლო
სჯა, მე არ ვაგულვებ იმას თანხმობა და შეწევნა მისცეს კეთილმა და გონიერმა კაცმა
ძმის სიძულვილზედ და წინააღმდეგ ქცევაზედ. კიაზოს მოცდენას თუ ვიფიქრებ შენის
დაშვებით თორემ სხვის არა" (55.16).

ფილადელფოსს სდომებია რევაზ მაყაშვილის შვილების მიყვანა მონასტერში სას-
წავლებლად. რევაზი სოფრონის დის—ანა ერისთავის შვილი იყო, მაგრამ როგორც
უკვე ვთქვით, ის და ფილადელფოსი ერთ ბანაკს ეკუთვნოდნენ. ალბათ, ამით უნდა
აიხსნას, რომ რევაზ მაყაშვილის შვილების მიღების საქმე სოფრონ არქიმანდრიტს გაუ-
ჭიანურებია. 1832 წლის ნოემბერს იგი ფილადელფოსს ატყობინებს: „ რევაზ მაყაშ-
ვილმა მთხოვა ნება თავის შვილების მანდ შენთან შემოყვანისა ისე რომ ვითომც შენ
აღგეთქოს შენთან დაყენება და სწავლა. ჯერ მოთმინება ვსთხოვე და ამას განეიზრახავ
ექსარხოსს ვსთხოვო და ნება გამოვთხოვო. ვინც ისურვოს... მცირე წლოვანებისა მანდ
შეწყნარება ერთის წლობით და მერე სკოლაებში შეიყვანონ. მოგეხსენება თვინიერ
იმათის ცნობისა ორისა და სამის მონასტერში მიღება საფიქრებელი არ არის"... (55.15).
სოფრონის მტკიცებით, ორი და სამი მოსწავლის ერთდროულად მონასტერში მიღება
ეგზარქოსის ნებართვის გარეშე არ შეიძლება, მაგრამ მისი წინა წერილებიდან ხომ ვი-

ცით, რომ კიაზო, ბესო და ჯანო ერთდროულად სწავლობდნენ ფილადელფოსთან. მა-შინ სოფრონს ეგზარქოსისთვის არ მიუმართავს ნებართვისათვის. ჩვენ არ ვიცით, რა დადგენილება მიიღო ეგზარქოსმა რევაზ მაყაშვილის შვილების მონასტერში დაშვების თაობაზე, რადგან ერთი თვის შემდეგ შეთქმულება გამოაშკარავდა და ფილადელფოსიც დააპატიმრეს. სოფრონ არქიმანდრიტის ეს ბოლო წერილი იმასაც მიგვანიშნებს, რომ შუამთის მონასტერთან სასწავლებელი კი არ არსებობდა, არამედ. ფილადელფოსი პერიოდულად იყვანდა მოსწავლეებს, რომელთა საერთო რიცხვი დიდი არ იყო. მიუხედავად ამისა, იგი მოწოდებით პედაგოგი იყო. ცდილობდა თავისი ცოდნა ბავშვებისთვის გადაეცა.

არქივში მივაკვლიეთ ფილადელფოსის მიერ ჩაწერილ შემდეგ არითმეტიკულ ამოცანას „მწევარმა შეხედა 150 წყრთაში კურდღელსა, რომელიც გარბის 2 ს მინუტში 500 წყრთასა და მწევარი 5 ს მინუტში 1300 წყრთასა. იკითხავს რა დროს მოეწევის მწევარი კურდღელსა"(40.4). ფილადელფოსი თავად ხსნის მოცემულ ამოცანას. ვფიქრობთ, ის ამას თავისი მოსწავლეებისთვის აკეთებს.

არქივში აღმოჩნდა აგრეთვე ფილადელფოსის ხელნაწერი „მთვარის ზედნადების გამოანგარიშების წესი" (40.1-4), რომელსაც გარკვეულწილად მისი შემოქმედებითი მიდგომა ემჩნევა.

ფილადელფოს კიკნაძეს დაწერილი ჰქონია „ქართული ღრმმატიკა" (35), რომლის არსებობა უცნობი იყო და რომლის პირველ ნაწილს არქივში მივაკვლიეთ. ნაშრომი ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის გაკვეული მნიშვნელობის მქონეა. გარდა ამისა, იგი წარმოდგენას იძლევა ისტორიული პიროვნების, ფილადელფოს კიკნაძის მოღვაწეობის მრავალმხრივობაზე. ნაშრომი იმაზეც მეტყველებს, რომ მისი ავტორი ზრუნავდა ახალგაზრდა თაობაზე, ცდილობდა ისეთი სახით მიეწოდებინა მათთვის მასალა, რომ მათ შეთვისება გაადვილებოდათ,. ამ მიზნით, მან ნაშრომს დაურთო სქემა „რომელიცა აჩუენებს ყრმათ მაგალითსა განყოფილებასა მათისასა მოკლედ, რომლითაცა უადვილესად შესაძლო არს ცხადად გულისხმისჰყოფა და ადვილად დანერგუად გონებასა შინა".

ფილადელფოსი ცნობილი ყოფილა თავისი ქადაგებებით. ჯერჯერობით გარდა ზემოდასახელებული ქადაგებისა „სწავლა სარწმუნოებისათვის", მისი შემდეგი ქადაგებები გამოვავლინეთ: „ქადაგება კაცთა ცოდვის შესახებ"(37), „იოანე ნათისმცემლის ქადაგება" (41), „ქადაგება ქველმოქმედების შესახებ (36) და სხვადასხვა ქადაგებების ტექსტები (31).

ერთ ხელნაწერ კრებულში (1856-1884 წწ.) ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის და დიმიტრი ყიფიანის ლექსების გვერდით შესულია ოთხი სატრფიალო ლექსი, რომელთა ავტორად დასახელებულია „ფილადელ-

ფოს". 1. „ოჰ, თუ ვითარ ტრფობით და აღტაცებით დიდით შევიტკბობ ბეჭედს შენს, ჩემდამი წარმოგზავნილს... (92.4). 2. „ნეტა სახემან წყნარ-ტკბილობ-ზვაებრ ქმნილ-მან ნუთუ მარტო მე მიპყრო..."(92.4) 3. „ახ უცნაურნი რით აღმოჩნდნენ ღმერთთა დიანნი, მათ მიიტაცეს თვალნი და იდიანი..." ეს სამი პატარა ლექსი თ. კუკავამ გააერთიანა და გამოაქვეყნა, როგორც ფილადელფოსის ლექსი, რაშიც ვერ დავეთანხმებით. პირველი ორი სინამდვილეში ალ. ჭავჭავაძის ლექსია ორად გაყოფილი. იგი ცნობილია სათაურით — „ამენასადმი" (142 . 96-97). კუკავამ კი მას ბოლო სტროფად დაუმატა „ახ, უცნაურნი აღმოჩნდნენ ღმერთთა დიანნი..." და დაარქვა „ბეჭედი" (126.64-65). ჩვენს მიერ დასახელებულ კრებულში ფილადელფოსის სახელით არის აგრეთვე შესული ლექსი:„ვერცხლმან მაკვირვა მკრთოლვარემ, ოქროს ბუდეში მჯდომარემ..." (92.5). იგი თ. კუკავამ გამოაქვეყნდა. მას დასაშვებად მიჩნია, რომ ეს ლექსი კიკნაძის კალამს ეკუთვნოდეს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ლექსში „ბეჭედი" ისევე როგორც ლექსში „ვინ ხარ, რომელს სიცოცხლის ჩემის გასაღები ხელთ გიპყრია" — გადმოცემულია ფილადელფოსის სიყვარულის ტრაგედია: „ამჯერად ფილადელფოსი დაშორებია თავის სიყვარულის საგანს. მაგრამ დარჩენია მისგან სახსოვრად და ტკბილ მოსაგონრად მხოლოდ ბეჭედი. თ. კუკავა გამოთქვამს შემდეგ ვარაუდს: „შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ფილადელფოსის მონაზვნური ცხოვრება ამ გაუზიარებელმა სიყვარულმა, განაპირობა " (128 .28). ჩვენ უკვე განვიხილეთ ფ. კიკნაძის ყრმობის ამსახველი ჩვენს ხელთ არსებული მასალები; გარდა იმისა, რომ იგი მონასტერში იზრდებოდა და ობოლს სხვაგან თავშესაფარი არსად ჰქონდა, ფილადელფოსის ბერად აღკვეცა მისმა სულიერმა მოთხოვნილებამ განაპირობა, ანუ როგორც თვითონ ამბობს „სულისა შინაგანითა აღძრულებითა დაუტევე ამაოებისა ყოველი ზრუნვა და მივიღე ჯვარი ქრისტესი და მონაზონება" (26.1).

საისტორიო არქივში მივაკვლიეთ ფილადელფოსის საზოტბო ხასიათის წერილს ვინმე ელენესადმი, რომელშიც იგი ბერისთვის ცოტა გადამეტებულ გალანტურობას იჩენს, მაგრამ მისმა ამაღლებულმა სტილმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ჩვენი აზრით, ეს წერილი სასიყვარულო არ უნდა იყოს:

„თქუენო ბრწყინვალებავ

უპატივცემულესო კნეინავ ელენავ, მოწყალეო ხელმწიფავ

დავსდებ სასოებასა ჩემსა უკუდავისადმი არსებისა ცხოველთა ცხოველისა, ვთხოვ მას ზენაით გულითა თბილითა, რათა მშვიდობით სუფევდეთ აწ და მრავალთა წელთა, გარნა ესრეთ რათა ოდესმე ხილუამან თქუენმან მეცა განმიახლოს სიცოცხლეი.

თქუენო ბრწყინუალებავ ვითარ დაგარწმუნოთ მე თქვენ გულითად ერთგულებაი ჩემი და ხსოვა თქუენი რომელ მაქუს მე მარადის, პატივისცემა ბრწყინუალებისა თქუენ'ა რაოდენ მაქვს მე არა ვჰკადრებ რათა გამოვაცხადო მცირესა ზედა ქაღალდსა, ანუ

დავხატო იგი შავითა მელნითა, იყოს შენახულ წმიდასა შინა სისხლსა ჩემის შინაგანისა გულისასა.

ელენე ლექსი ესე (ელენე) ელინურსა ენასა ზედა ნიშნავს, ღვთის მიერ გამორჩეული; ხოლო ებრაულად ნიშნავს, უფლისა მიერ თვალები ჩემი, განმარტება თქუენისა სახელისა ესრეთ ითარგმანება, ყოვლისა კაცისა და ქალისაცა სახელთა აქვსთ თარგმანი და სახელი თქუენი ესრეთ ითარგმნა რომელიცა მართალ არს და ჰეშმარიტ მე მივიღე ვალად და თავისა ჩემისა რათა უბედნიერეს დროდ ჩემდა მოვიხმარო საათნი იგი რომელსა საათსა შინა გწერდეთ წიგნსა. მაგრამ, რაღა არს ყოფა მისი უბედურისა ქვეყანისა, რომელსაცა იგი განეშოროს მზეი. ყოველსა მშვენიერებასა და აღმკულსა მორთულებასა მისსა ფარავს ბნელი უმზეო და შეირაცხვის ვითარცა არა მყოფი.

ჰოი ცისკარო განთიადისაო აღმოვედ გულსა შინა ჩემსა, რათა მცირედ განვისვენო მე ბწყინებათა შინა ბნელისათა, განცხოველებულო მზეო მაისისაო აღმოხედ ფიქრთა შინა ჩემთა ამიერთა და განანათლე გონებაი, მე შეგიმზადებ შენ ახალსა ცასა თვით შინაგანსა შინა სულსა ჩემსა, რათა არა მოგეწყინოს ხილვაი მერიდიანსა ზედა:

ოდეს გამოვხატო მე ფიქრსა შინა ღვთივ შემკული ჰაეროვნება თქუენი მდგომარეი ველსა ზედა შვენიერებისასა, მაშინ მოუწოდებ სამღთო მუზთა და სერენას და ჩვენ ხმითა უკუდავებისათა გიგალობთ მარადის:

შენ ხარ საქმე ხელთა ღვთისათა, ყოვლად უბრძენესითა ძალითა საუკუნოისათა დახატული. ხილვა შენი მაძლევს მე დიდებასა ღვთისასა, რათა უგალობდე მას, რათა ცრემლთა შინა მცურვალენი თვალნი ჩემნი დუმილით სჭვრეტდენ საკვირველებასა ძალისა და სიბრძნესა ყოვლისა შემძლებელისასა, რომელმან წარმოგადგინა შენ ესე ვითარ არსება.

ქება შენი არს ქება დამბადებლისა შენისა და შენცა ხარ ხატი მაჩუენებელი სიბრძნესა ზეგარდამისა მხატურისასა მაშინ ოდესცა გული შენი გრძნობდეს პატივსა მას, რომლითაცა ხელმან საუკუნემან დაგაგვირგვინა შენ თანამდებობა მოითხოვს თქუენთანა რათა სულსა შინა მშუენიერსა აღაყვავო შენ თესლი კეთილმოქმედებისა, რათა ვითარცა ქუეყანასა ზედა ეგრეცა ცათა შინა დამარხო ხატი სიამოვნისა.

და იყავნ ეგრეთ შეწევნითა მაღლისათა და წყალობა მისი თანა მავალ მეყავნ შენ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა" (57.1-2).

როგორც წერილიდან ჩანს, ელენე თავადის მეუღლე უნდა ყოფილიყო, რადგან ფ. კიკნაძე მას „ანეინას" უწოდებს. საგულისხმო ფაქტია, რომ ჯერ კიდევ დარიას(იგივე ფერისცვალების) მონასტერში ყოფნისას, ფილადელფოსი იღებს წერილს ელენე ამილახვრისგან, საიდანაც ირკვევა, რომ მათ შორის მიმოწერა ყოფილა: „...თქვენი წიგნი მივიღე, ღმერთს ერწმუნე დიდათ მიამა თქვენი უნებელობა" (44.1). შესაძლებელია, ელენე ქვრივი იყო, რადგან პირადად მას უნდა გადაეწყვიტა ქალიშვილის გათხოვების

საქმე, რაზედაც რჩევას სთხოვდა ფილადელფოსს:„ მამაო ესეც გაიხსენეთ ამ წიგნის მამტანი ზაალ ჯანდიეროვი აგერ ერთი წელი გახლავს ქალს მთხოვს და არ ვიცი მივცე თუ არა. ეხლაც ამ კამპანიაში ჩემს ძმას წამაეყვანა და იყო ჩემი პატარა ქალი... შენს მადლს რას მირჩევ მამწერე". თუ ფილადელფოსის წერილი ელენე ამილახვრისადმია მიწერილი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მხოლოდ პატივისცემას გამოხატავს, რადგან მათ შორის დედა-შვილური დამოკიდებულება ყოფილა. ელენე ამგვარად აწერს ხელს:„ თქვენი პატივისმცემელი და დედა კნეინა ელენე ამილახვაროვისა" (44. 1). როგორც ჩანს, ელენე ისევე როგორც თავისი ძმა, კახეთიდან იყო და კიკნაძეს იმ დროიდან იცნობდა, როდესაც ის ჯერ კიდევ არ იყო იერომონახად ხელდასხმული და მას ნიკოლოზ ბერს ეძახდნენ. ელენე ამილახვარი ახლაც ასე მიმართავს მას, მიუხედავად იმისა, რომ დარიას მონასტერში, სადაც იგი წერილს აგზავნის, კიკნაძე იმყოფება როგორც იერომონახი ფილადელფოსი.

საისტორიო არქივში ინახება ერთი საქმე შემდეგი სათაურით—„ საიდუმლო ანბანით შედგენილი ლექსიკონი," რომელიც ფილადელფოსს ეკუთვნის, მაგრამ საიდუმლო ანბანით არ არის შედგენილი. უცნაური სიტყვები დაწერილია ქართული მხედრული ასოებით, გვერდით კი ქართული თარგმანი ახლავთ. ცნობილია, რომ შეთქმულები ერთმანეთთან მიმოწერის დროს იყენებდნენ როგორც საიდუმლო ანბანს, ისევე პირობით გამოთქმებს. ოქროპირ ბატონიშვილს დიმიტრი ერისთავისთვის გადაუცია ამა თუ იმ ერის ან პირის პირობითი აღმნიშვნელი სახელი. ასე მაგალითად, კავკასიის კორპუსის უფროსს, ბარონ როზენს აღნიშნავდა სიტყვა — ვარდი, მუხრან ბატონს — ყვავი, ალექსანდრე ბატონიშვილს — ბულბული, პრუსიელებს — სასტიკნი, ავსტრიელებს — ფილოსოფოსნი, რუსებს — მხეცნი, რუსეთის მეფეს — ლომი და ა.შ. (10.2544). დიმიტრი ერისთავის განმარტებით, შეთქმულები თავიანთ აზრებს ფიგურალური გამოთქმების საშუალებით უზიარებდნენ ერთმანეთს, რათა უცხო ადამიანს ვერაფერი გაეგო (17.4139). ფ. კიკნაძის მიერ შედგენილ ლექსიკონსაც შეიძლება იგივე დანიშნულება მივაწეროთ, მაგრამ თუ ამ უცნაური სიტყვების ქართული თარგმანის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ არაფერი აქვთ საერთო შეთქმულების თემასთან. მაგალითად: პუვანისი — პერანგი, კრავი — ნიფხავი, ანტრი — კაბა, პეპეცია — ქოშები, პოვიმატ — ჩექმები, ლახანა — კომბოსტო, ფასულია — ლობიო და სხვა. ზოგი სიტყვა გვაფიქრებინებს, რომ ფილადელფოსი შესაბამისი სახელმძღვანელოს უქონლობის გამო, არასწორად, ქართული ასოებით იწერდა ბერძნულ სიტყვებს: პეტრეს — ქვები, პოლიტია — ქალაქი, ქარტი — ქაღალდი, ღრამატ — წერილები, პენა — კალამი, ექსო — გარეთ და სხვა (34. 13). როგორც ჩანს, ფილადელფოსი არ გამორიცხავდა, რომ საბერძნეთში არქიმანდრიტის ხარისხში იქნებოდა აყვანილი და ყოველ შემთხვევისათვის ცდილობდა ბერძნული ენის სწავლას.

ფილადელფოსი საკმაოდ პოპულარული ყოფილა ხალხში და მისი ხსოვნა დიდხანს ცოცხლობდა. 1885 წელს თ. ჟორდანიას მოსწავლეებს ხალხური ლექსები ჩაუწერიათ. ამ ჩანაწერებს ხელნაწერთა ინსტიტუტში მივაკვლიეთ. აი, ერთერთი იმ ხალხურ ლექსთაგან, რომლებიც დათუა ედილაშვილს ს.ბრეთში გაუგონია:

იმერელი ხარ გეტყობა
მაღლიდან გამოიძახის
მე ვარ კიკნაძე ბერიო
სამას უღელი ფურ-ბერწი
სულ ახლად დასაწველიო
სამას უღელი მოზვერი
სულ კალას მოსასვლელიო (87.6).

ამავე ლექსის განსხვავებულ ვარიანტს ვ. დავითიშვილისაგან ჩაწერილ ლექსებში ვხვდებით:

„მაღლიდგანა გადმოვდექი
მე ვარ კიკლაძე ბერია
ორმოც უღელი ხარი მყავს
სულ ინდუშა და ჭრელია
ას ოცი ფარა ცხვარი მყავს
სულ მიაქვს ტყე და ველია
გულის სტუმარი გვეწვია
ჭადზედ ვართ მასპინძელია“ (87.6).

თუ ამ ხალხური ლექსების მიხედვით ვიმსჯელებთ, ფილადელფოსს ცოტა ტრაბახი ჰყვარებია.

ფილადელფოსმა ვერც ერთი თავისი თხზულების დაბეჭდვა ვერ მოახერხა. 1832 წელს სოლომონ დოდაშვილი მას სწერდა: „გაზეთები და ჟურნალი გამოდის, წელიწადში რვა მანეთი თეთრი ფული გახლავსთ იმისი ფასი, უკეთუ თქვენ აღწერთ რასმე სტიხად თუ პროზად, დაჰბეჭდენ ჟურნალებში“(45.3). (როგორც ს. ხუციშვილი განმარტავს, იგულისხმება „ტფილისის უწყებანის“ გამოცემები და ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“— 151.430). სოლომონი ფილადელფოსს ჟურნალის ყიდვას ურჩევდა — მრავალი სასარგებლო რამ გამოქვეყნდება და თუ რაიმე ცუდს შენიშნავთ, შეგიძლიათ საწინააღმდეგო დაწეროთ, რაც დაიბეჭდებაო. ამასთან ს. დოდაშვილი ჟურნალის ორ ნომერს უგზავნიდა და სთხოვდა ხელისმომწერთა შოვნას, რადგან ჟურნალის გამოშვება დიდ ხარჯს მოითხოვდა. ჟურნალის ბეჭდვის შეჩერება, ქართველთათვის სირცხვილიაო: „ როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქ-

მე" (45.3).

როგორც ირკვევა, ფილადელფოსს თავისი ნაშრომების რუსულად თარგმნა და გამოქვეყნება სდომებია. საისტორიო არქივში მივაკვლიეთ ვინმე იაკინთეს წერილს, საიდანაც ჩანს, რომ კიკნაძეს სწორედ მისთვის უთხოვია თავისი თხზულებების თარგმნა. ჩვენი აზრით, ეს პიროვნება იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი უნდა იყოს, რომელიც 1822 წელს სქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად დაინიშნა. 1825 წ. მსახურობს თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში, 1831 წლიდან „კოლეგოს სეკრეტარის" (105 .115). მისი შემდგომი თანამდებობები ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო აღარ არის. როგორც ჩამოთვლილი თანამდებობებიდან ჩანს, ფილადელფოსს შეეძლო იაკინთე მიეჩნია ისეთ ადამიანად, რომელსაც თარგმნა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ უარი მიიღო. იმის მიუხედავად, რომ ამხანაგის ავადმყოფობის და საქმის სიმრავლის გამო ძალიან მოუცლელი ვარ, თქვენს გამოგზავნილ ქაღალდებს მაინც შევწირავდი რამდენიმე საათსო—სწერდა ფილადელფოსს იაკინთე და თავის უარს ასე ასაბუთებდა: „მაგრამ რადგანაც მე არ გახლავარ დახელოვნებული რიტრულს წერაში სიძნელით ოდენ შემიძლიან გარდაღება გარდმოღება სასამართლოს უბრალო ქაღალდებისა, ხოლო თარგმნა თხზულებისა თქვენისა მშვენიერ სანატრელ წყობილი, ითხოვს ეგეოდენს სიფრთხილესა, ეგეოდენს გამოცდილებას მთარგმნელობისასა, ეგეოდენ მშვენიერ სიტყვათა ლექსთა (ჩემთვის სიზმარშიც ვერ მოსაგონართ), რომელ თვით უმცირესსა გარდაუღებლობას ლექსისასა პირისპირთ თვისით მნიშვნელობით, ძალუძს მოვლენა ჩემზედ თქვენის წყრომისა, ამისთვის გთხოვ მამაო წმინდაო უმორჩილესად თვინიერ რისხვისა კეთილ მოდრეკილებითა სულგრძელებითა განმათავისუფლოთ ამისგან და უბოძოთ ასეთს მთარგმნელს, რომელიც უფრო უგამოცდელესად გეგულებოდესთ" (49.1). მთარგმნელმა თავის უარს რჩევა მოაყოლა. მისი აზრით, თარგმნა მხოლოდ საზიანო იქნებოდა, რადგან საეჭვო გახდებოდა ფილადელფოსის ავტორობა. შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ მან თავისი თხზულებები რუსულიდან თარგმნა: „ნება მომეცით დავრთო ამასთანა ჩემი რჩევა: თქვენ გნებავთ ამ თქვენის განზრახვის მოქმედებაში მოყვანა, ამისთვის, რომ დაიქუხოს თქვენმა სახელმა. თქვენს თხზულებას თვინიერ რუსულის თარგმნისა, ერთბაშად ნამდვილთან წარსადგენისა, უმეტესი ექნების ძალა და ქება, ამისთვის რომ მარტო წარდგენილს ქართულს მიიღებენ თვით წარმდგენისაგან წარმოებულადა და რუსულ რომ ნახავენ, იტყვიან აქედამ არისო თარგმნილი, ამის გამო უმჯობესი მგონია იყოს, წარადგინოთ ქართული და კარგად თარგმნისათვის შემდგომად მიღებისა ნუ შესწუხდებით, იმას ასეთი მთარგმნელი ჰყავს, რომელიც თქვენს სურვილს სრულიად კმყოფილ ჰყოფს თვისის გამოცდილებით.

ნუ გამიწყრებით, ნუ მომიხსენებთ გიობით (გმობა, ძაგება - მ. ხ. 176.159) და ეევედრეთ ჩემთვის თქვენს ღმერთსა.

თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე იაკინთე“ (49.1).

წერილში არ არის დასახელებული თხზულება, რომლის თარგმნა სურდა ფილადელ-ფოსს, ჩვენი აზრით, ეს ნაწარმოები მთავრობის საწინააღმდეგო არ იქნებოდა. შესაძ-ლებელია, რომელიმე ქადაგება ყოფილიყო. ფილადელფოს კიკნაძის თხზულებების ნა-წილი შემდგომ საგამომძიებლო კომისიამ ათარგმნინა თავის მთარგმნელებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ფილადელფოსის „სახელს დაეჭუხა“, არამედ ამ თხზულებების მის-წინააღმდეგ მამხილებელ მასალად გამოყენების მიზნით.

§3. ფილადელფოს კიკნაძის დაპატიმრება და გარდაცვალება

1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გაცემულ იქნა საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრის — იასე ფალავანდიშვილის მიერ. ორი დღის შემდეგ დაიწყო დაპატიმრებები და დაკითხვები. 11 დეკემბრს ჯერ შეთქმულთა მცირე ნაწილი შეი-პყრეს, სულ 13 კაცი: ანტონ აფხაზი, ზაალ ავთანდილაშვილი, სოლომონ დოდაშვი-ლი, დიმიტრი ყიფიანი, ლუარსაბ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ზაქარია ჩოლოყაშვილი, გიორგი რევაზის ძე, დიმიტრი, ელიზბარ და ბიძინა ერისთავები, აგრეთვე იასე ფალანადიშვილი — თავისივე სურვილით. ამის შემდეგ სხვა შეთქმულებსაც პა-ტიმრებენ.

შეთქმულებმა შესაძლოა ბევრი რამ ბოლომდე არ გაამხილეს, ზოგიერთი თანამ-ზრახველის ვინაობა დაფარეს, მაგრამ ის ინფორმაციაც, რომელიც მათ შიშით თუ გუ-ლუბრყვილობით საგამომძიებლო კომისიას მისცეს, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. თა-ვის ნაშრომში „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებ-რიობის ისტორიისათვის“ მ. ბერძნიშვილი ამ საკითხის თაობაზე შენიშნავს: „უეჭველია ეს სულმოკლეობის ფაქტი ჰქონდა მხედველობაში ჩვენს პოეტს ილია ჭავჭავაძეს, როცა თავის ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ ულმობლად წერდა:

მერე როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყდიეს, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ფერმიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

„შინა განცემასა“ და „ბეზღობაზე“ ლაპარაკი, რასაკვირველია, საფუძვლიანია. ეს

უცილობელია ყველასთვის, ვინც იცნობს საგამომძიებლო მასალას, თუნდაც იმ ნაწილს, გ. გოზალიშვილმა რომ გამოაქვეყნა ცალკე წიგნად"(105 .17). მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ შეთქმულთა შორის იყვნენ მედგარნიც. ესენი არათუ სხვის მოქმედებას არ აცხადებდნენ, არამედ სადაც ეს შესაძლებელი იყო საკუთარსაც უარჰყოფდნენ. ასეთად მ. ბერძნიშვილი ს. დოდაშვილს მიიჩნევს. სწორედ მას უპოვეს სხვა მამხილებელ საბუთებთან ერთად, ფილადელფოს კიკნაძის მიერ შეთხზული „აკტი გონიური", მაგრამ მან პირველ დაკითხვაზე 1833 წლის 2 იანვარს კომისიას განუცხადა — აქტი მე არ წამიკითხავს, იგი ჩემთვის არავის არ მოუციაო (3.330). ორი დღის შემდეგ დაკითხეს გიორგი დავითის ძე ერისთავი, რომელმაც „აქტი გონიერის" ავტორი ფ. კიკნაძეც დაასახელა და ისიც გაამჟღავნა, რომ თავად გადასცა იგი დოდაშვილს (3.380-382).

თ. კუკავა ამტკიცებს, რომ ფილადელფოსის მონაწილეობას 1832 წლის შეთქმულებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იასე ფალავანდიშვილი და ციტატაც კი მოჰყავს, რომელიც ვითომდა დასმენიდან არის აღებული:„კახეთში ქალალდებს კიკნაძე ბერი ავრცელებს. ეს ბერებმაც იციან. ის ყველგან დადის და სიტყვებს ამბობს. იმისავე შედგენილია ამ საზოგადოების წესდება. ქართველი სამღვდელოების და ბერების აჯანყება მას აქვს მინდობილი. მას დიდი გავლენა აქვს სასულიერო წოდებაზე"(128 .5). მკვლევარს სქოლიოში მითითებული აქვს ციტატის წყარო— ზ. ჭიჭინაძის "ისტორია „ფარული საზოგადოებისა", ფილადელფოს კიკნაძე", გვ.12. ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს არ ჰქონია ხელთ საარქივო მასალები. ამიტომ მის წიგნში ფანტაზია სჭარბობს ფაქტებს. სინამდვილეში, ი. ფალავანდიშვილის დასმენაში ფილადელფოსი ნახსენებიც არ არის(1.3-12), თუმცა მოგვიანებით, საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში ფალავანდიშვილმა განაცხადა, რომ როდესაც მსჯელობდნენ, თუ აჯანყების დროს ვის უნდა გამოესვენებინა ღვთისმშობლის ხატი, ალ.ორბელიანს უთქვამს: ფილადელფოსს რომ გავაგებინოთ, ამ დავალებას სიხარულით შეასრულებს, რადგანაც ის პატრიოტიაო(20.418).

ფილადელფოსი პირველად ი. ფალავანდიშვილმა კი არ დაუსახელა კომისიას, არამედ სხვა შეთქმულმა, რომელმაც განაცხადა, რომ „აკტი გონიურის" ავტორი კიკნაძე ბერი იყო. ამავე შეთქმულმა კომისიას ფილადელფოსის მიერ მოგონილი საიდუმლო ანბანი გაუშიფრა (3.374).

ამის შემდეგ 1833 წლის 4 იანვარს გიორგი ერისთავმა დაწვრილებით მოუთხრო კომისიას, თუ როგორ მიიღო ფ. კიკნაძისაგან „აკტი გონიური" და საიდუმლო ანბანი, აგრეთვე ისიც, თუ ვის გააცნო ისინი: „ზემოაღნიშნული აკტი წაუკითხე: ყიფიანოვს, ავთანდილოვს, სოვეტნიკ ორბელიანოვს, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებს, დოდაევსა ღა მამაცოვს. აკტი დასასრულ შეიცავდა ფიცს იმის შესახებ, რომ არავისთვის გამოეცხადებინათ და შეესრულებინათ ყველაფერი, რასაც აკტი მოითხოვდა, აღნიშ-

ნულმა პირებმა მოიწონეს აკტის შინაარსი, მაგრამ ამბობდნენ, რომ მისი შესრულება არავის არ შეუძლიანო... მამაცოვისაგან გამიგონია, რომ ზემოდ მოხსენებული ანბანი შედგენილია კათალიკოს ანტონ პირველის მიერ, რომელსაც უნდოდა იგი საერთო სახმარებლად შემოეღო"(3. 377).

როგორც უკვე ვთქვით, „აკტი გონიური" ს. დოდაშვილის ქაღალდებში იპოვეს. აქვე აღმოჩნდა ფილადელფოსის მიერ ნიენი ნოვგოროდიდან მიხეილ ბატონიშვილისადმი გაგზავნილი წერილი (4.535), რომელიც მან თავის დროზე ტულაევს გადასცა, იმან კი დოდაშვილს (9.178). აღნიშნულმა წერილმა კომისიას ახალი ეჭვების საბაბი მისცა. ამრიგად, შეთქმულებაში ფილადელფოს კიკნაძის მონაწილეობა გამოაშკარავდა და მისი დაპატიმრება უკვე გარდაუვალი იყო.

1833 წლის 4 იანვარს გენერალ-ადიუტანტი ბარონი როზენი სწერს გენერალ რეუტს, რომ თბილისში წარმოებული გამოძიების დროს გამოირკვა ზოგიერთი მნიშვნელოვანი გარემოება, ბერმონაზონ ფილადელფოს კიკნაძის შესახებ, რომელიც შუამთის მონასტერში ცხოვრობს. როზენი ავალებს რეუტს თელავში გამგზავრებას და მოსე ეგზარქოსის მიერ იქ წარგზავნილ ანტონ არქიმანდრიტთან ერთად შუამთის მონასტერში მისვლას: „დაბეჭდეთ ბერმონაზონ ფილადელფოსის ყველა ქაღალდი და ჩამოართვით მას ჩვენება" (21.8). როზენის ბრძანების თანახმად უნდა გაეჩხრიკათ ყველა საკუთნაო და მონასტრის სხვა საიდუმლო ადგილები, ხომ არ ინახებოდა იქ საიდუმლო ქაღალდები და მიმოწერა, ხოლო თუ გამოძიების შედეგად მონასტერში აღმოჩნდებოდნენ შეთქმულების მონაწილე სასულიერო პირნი — ისინი ისევე როგორც ფილადელფოსი თბილისში უნდა ჩამოეყვანათ ერთი მეორისაგან განცალკევებულად, მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ და როზენისათვის წარედგინათ. თბილისში მათ არ უნდა ჰქონოდათ ვინმესთან დალაპარაკების ან ვისიმე ნახვის საშუალება.

დოკუმენტის რუსულ დედანში ლაპარაკია აგრეთვე ფილადელფოსის მიერ მიხეილ ბატონიშვილისადმი მიწერილ წერილზე. როზენი ბრძანებს, რომ გამორკვეულ იქნას კიკნაძის „საეჭვო ურთიერთობა" ქართველ ბატონიშვილთან. (ბრძანებას თვითონ წერილიც ჰქონია დართული). მეორე ბრძანებას როზენი თელავის ოლქის უფროსს უგზავნის, რომლითაც ავალებს რეუტისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას (21.8).

1833 წლის 6 იანვარს როზენი საქართველოს ეგზარქოსს ატყობინებს, რომ შუამთის მონასტრის იერომონახი ფილადელფოს კიკნაძე ადგენდა საიდუმლო საზოგადოებას და ფრიად საეჭვო მიმოწერას აწარმოებდა მიხეილ ბატონიშვილთან. როზენი მოსე ეგზარქოსს სთხოვს, რომ მან თავის მხრივ ანტონ არქიმანდრიტი გაგზავნოს თელავს, სადაც მას დაელოდება გენერალ მაიორი რეუტი, რომელიც იქ დაუყოვნებლად მიემგზავრება (21.7).

თ. კუკავა წერს: „ეტყობა, იასეს დასმენამ განაპირობა ის სისასტიკე, რაც გამოიჩი-

ნეს ფილადელფოსის მიმართ, როგორც დაპატიმრებამდე, ისე საპატიმროში. ამიტომაც მისი დაპატიმრების შესახებ საგანგებო ბრძანება გასცა ბარონმა როზენმა" (128.5-6). იმოწმებს რა როზენის ბრძანებას რეუტისადმი (გ.გოზალიშვილის წიგნიდან) თ. კუკავა განაგრძობს: „თელავის ოლქის უფროსს ეძლევა მითითება, რომ დაეხმაროს ფილადელფოსის სენაკის ჩხრეკაში. ვოლხოვსკი პროპორშჩიკ ჩერკასოვს ეძლევს მითითებას, რომ მონახონ შუამთაში „წითელყდიანი წიგნი"(128.6). ამ ინფორმაციას დაზუსტება სჭირდება. რეუტისადმი ბრძანება დაწერილია კიკნძის დაპატიმრებამდე 1833 წლის 4 იანვარს, ხოლო თ.კუკავას მიერ ნახსენები მითითებები კი 16 იანვარს, ანუ დაპატიმრების შემდეგ. იმ დროისათვის ფილადელფოსი უკვე თბილისში ჰყავდათ დაკითხული და იცოდნენ, რომ წითელყდიანი წიგნი „თვით ბერმონაზონ ფილადელფოსის ჩვენებით, უნდა იყოს იმავე საკნის სათავის ერთ-ერთი ხის ბოძის უკან"(21.14).

თ. კუკავა ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან უკრიტიკოდ იმოწმებს ქვათახევის ბერი გენადის მოგონებას 1833 წელს შუამთის მონასტერში ფილადელფოსის დაპატიმრების მძიმე სურათის შესახებ: „გაზაფხულზე გამოჩნდა 60 ყაზახი და 120 სალდათი. ისინი შემოერტყნენ გალავანს. გალავანში ეგზარხოსი შემოვიდა. ეგზარხოსმა სინანული გამოთქვა ფილადელფოსზე, რომ ის თურმე ქაღალდებს ავრცელებს... ბერები რომ ვერ გამოსტეხეს, ხეებზე მიაბეს თოკით და დაემუქრნენ, რომ თქვენ სახლებს დავწვავთ თუ არ იტყვითო. მაშინ ერთი ბერი, რომელსაც ორსართულიანი სახლი ჰქონდა, შეშინდა და გამოტყდა. მიასწავლა, რომ ქაღალდები ჭერშია დამალულიო. მაშინ აყარეს ჭერი, გადაყარეს მიწა და მიწის ქვეშ ფიცარქვეშ იპოვეს ქაღალდები. ბევრი დაწვეს. მაშინ ეგზარქოსმა კიკნაძეს ჯვარი ააგლიჯა, მაგრამ ფილადელფოსმა ჯვარი უკან წაართვა სიტყვებით, რომ მას ამის უფლება არა აქვს. ისინი ერთმანეთს წაეკიდნენ. მაშინ ფილადელფოსი მაგრა შებოჭეს თოკით, გაუყარეს ბორკილები, წელსა და ყელზე გრძელი თოკი მოაბეს, თოკის ბოლო ცხენზე მჯდარ ყაზახს მისცეს და ასე ფეხით გაუყენეს გზას"(128.6). თ. კუკავას ალბათ, ის მაინც უნდა აღენიშნა, რომ ფილადელფოსი გაზაფხულზე კი არ დააპატიმრეს, არამედ იანვარში. ნაცვლად ამისა, იგი სქოლიოში შენიშნავს: „შუამთის მონასტერში ფილადელფოსი მონასტრის წინამძღვარი იყო" (128.6). ეს ცნობა არავითარ საბუთს არ ემყარება. არც ქვათახევის ბერი გენადის მოგონებები იმსახურებს ნდობას. ნათლად ჩანს შეუსაბამობები, როგორიცაა სამხედროების მიერ ფილადელფოსის ქაღალდების დაწვა (ვინ დაწვავდა მამხილებელ მასალას!),ფილადელფოსის ხელჩართული ჩხუბი ეგზარქოსთან, რომელიც სინამდვილეში იქ არ ყოფილა (ეგზარქოსის ბრძანებით სამხედროებს ხომ დავით გარეჯის წინამძღვარი არქიმანდრიტი ანტონი ახლდათ) და სხვა.

თ. კუკავა კიდევ არბილებს იმას, რაც ზ. ჭიჭინაძის ნაშრომში ფანტაზიაზეა აგებული: „ეგზარხმა ფილადელფოს კიკნაძეს რაღაც უთხრა, იმანაც უპასუხა, მერე ეგზარ-

ხოსი მივარდა ფილადელფოსს და გულიდამ ჯვარი ააწყვიტა. ფილადელფოსმა ჯვარი უკან წაართვა და უთხრა:

— თქვენ უფლება არა გაქვთ, რომ ამ ჯვარს მტაცებთ. მე ქართველი კათოლიკოზის ნაკურთხი ვარ, ჯვარიც მისგან მაქვს ბოძებული. თქვენ კი ამის უფლება არ გაქვთ. თქვენ რუსის ეპისკოპოსი ხართ, ჩვენ და თქვენ სხვადასხვები ვართ.

ეგზარხოსმა აღარ აცალა, ჯვარის წართმევა კვლავ მოინდომა, მაგრამ ვერ წაართვა, ამიტომ მუშტიც იხმარა, მერე ფილადელფოსმაც დაჯარტყა და ერთმანეთი კარგათ გლიჯეს" (144.19).

ამგვარი შეუსაბამობების მიზეზი ის არის, რომ ბერი გენადი მის მიერ აღწერილი დაპატიმრების თვითმხილველი ვერ იქნებოდა და არც ფილადელფოსი ეყოლებოდა ნანახი. საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1833 წელს გენადი 15 წლის იყო და მას ჯერ არაფერი აკავშირებდა სამონასტრო ცხოვრებასთან. იგი მხოლოდ 1843 წელს შევიდა მორჩილად თბილისის ფერისცვალების მონასტერში, ბერად კი 1845 წელს აღიკვეცა, ხოლო შუამთის მონასტერში 1848 წლიდან 1852 წლამდე იმყოფებოდა (75.32-41; 89.3;832), ე.ი. მაშინ როდესაც ფილადელფოსი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო .1869 წელს გენადი ილუმენის ხარისხში იქნა აყვანილი, შემდეგ დააქვეითეს. ქვათახევის მონასტერში 1883 წელს გადადის, ხოლო მომდევნო წელს, 66 წლის ასაკში მხედველობის სისუსტის გამო შტატიდან ირიცხება, მაგრამ ამავე მონასტერში რჩება საცხოვრებლად. ამდენად, სავსებით დასაშვებია, რომ ზ. ჭიჭინაძეს იგი ქვათახევის მონასტერში გაეცნო, მისი მონაყოლი კი ნდობას არ იმსახურებს. ზ. ჭიჭინაძე წერს: „ამ დაპატიმრების შესახებ მე მიამბო თვით ფ.კიკნაძის ამხანაგმა მღვდელმონაზონ გენადიმ, რომელიც ქვათახევის მონასტერში ცხოვრობდა და რომელიც მომსწრე და მნახველი იყო ფარული საზოგადოების წევრთა საქმიანობის. ეს ამბავი მიამბო 1883 წელს, თვით გარდაიცვალა 1900 წელს ღრმად მოხუცი" (144.13). (ე.ი. 82 წლის ასაკში გარდაცვლილა).

თ. კუკავას ერთგან, როგორც ჩანს, ისევ ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან მოჰყავს ბერი გენადის სიტყვები, მაგრამ ამჯერად უთითებს საარქივო საქმის ნომერს 1832 წლის შეთქმულების დოკუმენტების კოლექციის ფონდიდან N1457. — ქვათახევის ბერი გენადი ფილადელფოსს ასე ახასიათებსო: „ფილადელფოსი შესანიშნავი კაცი იყო, ბერების მოყვარე, გლეხკაცის მამა და ყველას ამხანაგი, მასზე ცუდს ვინ რას იტყოდა. შუამთას ჰქონდა სასწავლებელი და უფასოდ ასწავლიდა თავად-აზნაურის, თელავის მოქალაქეებისა და გლეხთა შვილებს. ჩვენ ბერებსაც ბევრ რამეს გვასწავლიდა". გარდა იმისა, რომ იმ დროს გენადი ბერად შემდგარი არ ყოფილა, მისი სახელი 1832 წლის შეთქმულების მასალებში არსად გვხვდება. ის არც დაკითხული ყოფილა და საერთოდ შეთქმულებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. არსებობს ფილადელფოსის დაპატიმრების

ამსახველი უტყუარი დოკუმენტური მასალა, რომელსაც განვიხილავთ, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიგვაჩნია მცდარი მტკიცებების გაბათილება. ასე მაგალითად, თ. კუკავა ამტკიცებს, თითქოს ფილადელფოსის „შრომების დიდი ნაწილი მეფის პოლიციამ ჩხრეკისა და გამოძიების დროს მოსპო“ (128.11). ჩხრეკისა და გამოძიების მიზანი ფილადელფოსის ნაწერების ხელში ჩაგდება იყო და არა მამხილებელი მასალით შუამთის მონასტრის ეზოში კოცონის დანთება. სინამდვილეს არ შეეფერება თ. კუკავას დასკვნა, თითქოს ჩვენამდე ფ.კიკნაძის მხოლოდ შემდეგი შრომები მოვიდა: „აკტი გონიური“, „სიყვარული მამულისა“, „ბოდებანი იერემიასნი ძისა ენაისნი — ხილვათათვის მდგომარეობისა ივერიასა აწინდელსა ზედა“ და რამდენიმე ლირიკული ლექსი. საბედნიეროდ ეს ასე არ არის. სხვადასხვა საარქივო ფონდებში მივაკვლიეთ ფილადელფოსის დღემდე უცნობ ნაშრომებს. როგორც ზემოთ ვთქვით, ესენია: „ქართული ღრამმატიკა“, „მთვარის ზედნადების გამოანგარიშების წესი“, „ქადაგება კაცთა ცოდვის შესახებ“, „იოანე ნათლისმცემლის ქადაგება“, „ქადაგება ქველმოქმედების შესახებ“, „სწავლა სარწმუნოებისათვის“, სხვადასხვა ქადაგებების ფრაგმენტები და ჩანაწერები, აგრეთვე ფილადელფოსის მიერ გადაწერილი ანტონ I გრამატიკის დიდი ნაწილი, ამას უნდა მივუმატოთ მ. ბერძნიშვილის მიერ გამოვლენილი „იანბიკო კიკნაძესაგან თქმული“ და „კიკნაძე ბერისაგან ნათქვამი თეჯნიში ტულუაშვილს ოსეფაზედ“, აგრეთვე ჯერ კიდევ 1861 წელს ივ. კერესელიძის მიერ გამოქვეყნებული ფილადელფოსის ლექსი: „საქართველომ თქვა: მეც ვიყავ...“ დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ კიკნაძის არაერთი თხზულება იქნება მომავალში გამოვლენილი, თუ მკვლევარები არ დაიჯერებენ ფილადელფოსის შრომების ჩხრეკის დროს განადგურების ვერსიას და [illegible]ს არ აიღებენ მათ მოძიებაზე. საარქივო დოკუმენტებით მტკიცდება, რომ ჩხრეკის დროს არაფერი გაუნადგურებიათ. საისტორიო არქივში მივაკვლიეთ ანტონ არქიმანდრიტის პატაკს მოსე ეგზარქოსისადმი, საიდანაც ირკვევა, რომ ის გენერალ-მაიორ რეუტთან ერთად 8 იანვარს შუამთის მონასტერში მისულა, სადაც მათ იერომონახ ფილადელფოსს ჩამოართვეს ყველა „ბოროტი მიზნებით“ დაწერილი ქაღალდი, რაც კი მის სენაკში აღმოჩნდა. შემდეგ ფილადელფოსი დაკითხეს, მაგრამ ის არაფერში არ გამოტყდა, ამიტომ იმავე რიცხვში მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ წაიყვანეს თბილისს, ავლაბრის ყაზარმებში. იმავე დღეს, 10 იანვარს მისგან ჩამორთმეული ქაღალდები გენერალ-მაიორმა რეუტმა, პატაკთან ერთად დაბეჭდილი წარუდგინა საქართველოს მთავარმართებელ გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენს განსახილველად.“ (70.6) ე.ი. 1833 წლის 10 იანვარს ფილადელფოსი უკვე ავლბრის ყაზარმებშია დამწყვდეული, 12 იანვარს მოშე ეგზარქოსი თავის მხრივ საიდუმლოდ ატყობინებს სინოდს, რომ ანტონ არქიმანდრიტი 10 იანვარს დღის 3 საათზე დაბრუნდა თელავიდან და მეორე დღესვე პატაკი წარუდგინა მას (70.9). შემდეგ ეგზარქოსი სინოდს აცნობებს ანტონისაგან

მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ და აღარ გავიმეორებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილადელფოსი შუამთის მონასტრის ბერს კი არ გაუცია, არამედ თბილისში დაკითხვის დროს ის იძულებული გახდა თავად ეთქვა, თუ სად ჰქონ. და დამალული „აკტი გონიური“.

1833 წლის 16 იანვარს გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი უბრძანებს პრაპორშჩიკ ჩერ. კასოვს დაუყოვნებლივ გაემგზავროს ქალაქ თელავს და იქიდან ოლქის უფროსთან ერთად მივიდეს შუამთის მონასტერში, გულდასმით გაჩხრიკოს ბერმონაზონ ფილადელფოსის საკანი — ხომ არ არის რომელიმე საიდუმლო ადგილას შენახული ქაღალდები „და მერე მოძებნეთ იმავე საკანში წითელყდიანი წიგნი, რომელიც თვით ბერმონაზონ ფილადელფოსის ჩვენებით, უნდა იყოს იმავე საკნის სათავის ერთ-ერთი ხის ბოძის უკან, ამ წიგნისა და სხვა ქაღალდთა პოვნის შემდეგ თუ ასეთები იქ აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეთ თბილისში“ (21.14). ვოლხოვსკი თელავის ოლქის უფროსსაც ატყობინებს, რომ გრენადერთა ქართული პოლკის პრაპორშჩიკი მივლინებულია ბერმონაზონ კიკნაძის საკანში დარჩენილი ქაღალდების მოსაძებნად და სთხოვს, ხსენებულ ოფიცერთან ერთად მივიდეს შუამთის მონასტერში და დაეხმაროს მას დაკისრებული დავალების შესრულებაში (21.14) სხვათა შორის, ეს დოკუმენტი გოზალიშვილს გამოქვეყნებული აქვს მცირე კორექტურული შეცდომით — მისი დაწერის თარიღად 16 იანვრის ნაცვლად მითითებულია 6 იანვარი (112 .448), რაც გაუგებრობას ქმნის.

1833 წლის 17 იანვარს როზენის მიერ სამხედრო მინისტრ გენერალ-ადიუტანტ გრაფ ჩერნიშოვისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია, რომ ბერმონაზონ კიკნაძის მიმოწერა და ზოგიერთი მისი თხზულება გარჩეულ-განმარტებული იქნება, ხოლო რომელიც საყურადღებო აღმოჩნდება—გადაითარგმნება“ (158 .450) .

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მოსე ეგზარქოსის საიდუმლო მიწერილობა შუამთის მონასტრის იერომონახ ქრისტეფორესადმი, რომელშიც ატყობინებს, რომ ქაღალდები ყოფილა დარჩენილი ფილადელფოსის სენაკში „რომელმაც დაწერა წვრილად ადგილი, სადაცა იგინი შენახული არიან“(94.1). ქაღალდების მოსაძებნად პრაპორშჩიკი ჩერკასოვი მოდისო „ ხოლო მე წარმოგიწერ თქვენ მიუშვა ესე აფიცერი გასაშინჯავად სენაკსა იერომონახის ფილადელფოსისა“— სწერდა ეგზარქოსი ქრისტეფორე ბერს, რომელიც თავის მხრივ 1833 წლის 17 იანვარს ადასტურებს: „ ... დღესა იანვარსა ჩყლგ სა წელსა მოხსენდა მის მაღალ ყოვლად უსამღდელესობას, რომელ აფიცარ ჩერკასოვი მიშვებულ იქმნა ამ სენაქსა შინა, სადაცა იპოვა წითელის თალათანის ყდიანი ტეტრატი და წარმოგზავნილ იქმნა სამის ბეჭდის დასმითა ჩემის ოკრუჭნის ნაჩალნიკის და მის ჩერკასოვისა“ (94.1). საისტორიო არქივში ინახება ქრისტეფორეს იმავე შინაარსის პატაკი ეგზარქოსის სახელზე(70.11)დამოწმებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ფილადელფოსი დაპატიმრების დღესვე ჩამოიყვანს თბილისში.

სადაც დაკითხეს, შემდეგ მეორედ ჩავიდნენ შუამთაში მისი სენაკის გასაჩხრეკად და 17 იანვრისათვის უკვე ყველა ქალალდი გამოძიებას ხელთ ჰქონდა. თუ თ. კუკავას დავუჯერებთ, ფილადელფოსი შუამთიდან თბილისამდე 32 დღის განმავლობაში მოჰყავდათ! მკვლევარი იმოწმებს ფილადელფოსის მიერ მიხეილ ბატონიშვილისადმი მიწერილ წერილს: „შემდგომ თქვენის წაბრძანებისა, გამომაგდეს ქვეითად და ოცდათორმეტი დღე გზაზე ვიყავ და სხვა შეწუხება რაღა მოგახსენო...“ (128.7) . ამ წერილის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი ფილადელფოსმა თავისი პირველი დაპატიმრების დროს მისწერა ბატონიშვილს. მართალია, წერილი უთარიღოა, მაგრამ არსებობს მისი კონვერტი, რომელსაც აწერია: „მათს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის ძეს მიხაილს უმოწყალეს ხელმწიფეს. პატაკით პეტერბურღს. ნიჟნი ღოროდით“ (4.534). თავად ფილადელფოსიც 1833 წელს კომისიას უჩვენებდა: „წიგნი ესე ცარევიჩთან მიწერილი ჩემგან, ნამდვილ არის მიწერილი ნიჟე გოროდიდამ იმ ჟამისა ოდესაც ვიყავ დაჭერილი“ (8.1781). თვით წერილში მოყვანილი ფაქტებიც იმაზე მეტყველეენ, რომ საქმე ეხება პირველ დაპატიმრებას და არა მეორეს (როგორც ამას თ.კუკავა ფიქრობს). ფილადელფოსი მიხეილ ბატონიშვილს ეუბნება — “შემდგომ თქვენის წაბრძანებისა“ ქვეითად გამომაგდესო. ცხადია, იგი გულისხმობს მიხეილ ბატონიშვილის მოსკოვიდან წაბრძანებას, სადაც ფილადელფოსი დააპატიმრეს. სხვაგვარად ამ სიტყვების გაგება შეუძლებელია, რადგან შუამთაში ფილადელფოსის დაპატიმრების დროს მიხეილ ბატონიშვილი იქ ვერ იქნებოდა და იქიდან ვერსად ვერ „წაბრძანდებოდა“. მას შემდეგ რაც ბავშვობაში რუსეთში გადაასახლეს, ის საქართველოში აღარ ჩამოსულა (1803 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში, გარდაიცვალა 1861 წელს პეტერბურგში) (105.105-106).

თ. კუკავა სწორად აღნიშნავს, რომ ფილადელფოსი ჯერ ავლაბრის ყაზარმაში მოათავსეს, შემდეგ დარიას მონასტერში,სადაც უმძიმეს პირობებში ჰყავდათ, მაგრამ როგორც ვთქვით, ამის დასტურად მიხეილისადმი მიწერილი წერილი ვერ გამოგვადგება, ხოლო თ. კუკავას მიერ დამოწმებული მეორე დოკუმენტი კი მართლაც ნათლად მეტყველებს იმ აუტანელ პირობებზე, რომელშიც ფილადელფოსი იმყოფებოდა. მას თხოვნით მიუმართავს კომისიისათვის: „ბევედრებით, რათა კაცთმოყვარეებისამებრ თქუენისა და დიდ სულობისა აღმისუბუქოთ მე იწროება ესე. რაოდენი ხანი არის, არ მინახავს ეკლესია, არ მომისმენია წირვა, არ მაქვს წიგნები სალოცავი. ვარ დაკეტილსა, ფანჯარას გალესილს სახლში მარტოკა. ვითხოვ შეიწყალოთ კაცობრიობა და სიმართლისაებრ ჩემისა აღმისუბუქოთ მე მწუხარება ესე: იერომონახი ფილადელფოს. 1833 თებერვლის 24“ (7.1572).

თხოვნაში ფილადელფოსი სხვადასხვა ციტატებს იმოწმებს, რომლებიც ზეპირად ახსოვს. მან იცის, რომ არ არის დაზღვეული უზუსტობისგან, ამიტომ თხოვნას ურთავს

მინაწერს: "რაიცა მას შინა ტექსტები სამღთო წერილისა და სხვათა წიგნთა შემოტა-ნილ არიან მათი თავები ზეპირ არ შეიძლებოდა ხსოვნად, და უკეთუ მიბოძებთ მე მათ წიგნთა დავუწერ ყველას თავებსა და რიცხვებს უკეთუ საჭირო არს"(7.1572). თ. კუკა-ვას ეს სიტყვები არასწორად გაუგია. იგი წერს, თითქოს ფილადელფოსი „ჰპირდება საგამომძიებლო კომისიას, რომ თუ მას მისცემენ სასულიერო ხასიათის წიგნს, შეძლებს მათ დაყოფას თავებად, გაასწორებს პაგინაციას და სხვ."(128.7). ასეთ რამეს სასული-ერო პირი არ იტყოდა, რადგან ეცოდინებოდა, რომ სასულიერო წიგნები ამგვარ გას-წორებას არ საჭიროებენ. ფილადელფოსი მხოლოდ იმ ციტატების დაზუსტებაზე ლა-პარაკობს, რომლებიც თავის ჩვენებებში ჰქონდა დამოწმებული და რომელთა „თავები ზეპირ არ შეიძლებოდა ხსოვნად". ფილადელფოსი ბევრჯერ დაკითხეს. მისი პირველი ჩვენება მოცემულია 1833 წლის 11 იანვარს (4.532), ხოლო ბოლო — იმავე წლის 7 აგვისტოს (18.4826). პირველად ის შეძლებისდაგვარად ცდილობდა დაეფარა რო-გორც თავისი, ისე სხვების მონაწილეობა შეთქმულებაში, მაგრამ საგამომძიებლო კო-მისიას უკვე საკმარისი ინფორმაცია ჰქონდა და ფილადელფოსისთვისაც სულ უფრო ძნელი ხდებოდა სიმართლის დამალვა. 1833 წლის ივნისში ის საბოლოოდ გასცეს და-ვით ნათალიშვილმა და მღვდელმა ეფრემ ალექსი-მესხიშვილმა, რომლებიც მასთან ერთად ისხდნენ საკანში. ფილადელფოსის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. 21 აგვის-ტოს ის პირზე წააყენეს ოქროპირ ბატონიშვილს (19.4990). გამოძიების მასალებში ნათქვამია: „ფილადელფი თავად აღიარებს, რომ მასზე დიდი ეჭვის მიტანის საფუძ-ველს იძლევა 1. ანბანი, 2. „იერემიას გოდების" შეთხზვა და 3. აქტი, მაგრამ აცხადებს, რომ „მას ყველა ამ საქმეში ცუდი განზრახვა არ ჰქონია და სულით სუფთაა" (20.412).

ქვემოთ მოგვყავს ერთ-ერთი დღემდე გამოუქვეყნებელი ჩვენება (მცირე შემოკლე-ბით), საიდანაც ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ფილადელფოსი საქმის ნამდვილი არსის დაფარვას. როგორც ჩვენებიდან ირკვევა, იგი მის ქალალდებში ნაპოვნი წერილებისა და მის მიერ შედგენილი საიდუმლო ანბანის თაობაზე დაკითხეს:

ა) „არხიმანდრიტმა სოფრონმა მიხუმარა და რათგანაც ყოველივე მისგან მოწერილი სულ ტყუილი იყო ამისთვის ხელს არ აწერს; შემდგომ ითხოვს ბოდიშს სხვაზე ვიყავ გაჯავრებულიო, შემდგომ მომცა ფურცელი ჟურნალიდან მოხეული, მთხოვს პატიებას და პირველსავე სიყვარულს, ესე ყოველი იმის მოწერილს წიგნებითა სჩანს მამაშვილე-რის სიყვარულით გიხუმარეო.

ბ) წიგნი დავით ერისთავის თუმცა აცხადებს იმისთანა სიყვარულს და ერთობას რო-გორიც უნდა ვითარცა აკტისებრ, მაგრამ არა რამე მიგნება აკტის იმას არა ქონია, დიდი ხანი უყვარდი და ბევრჯელ დამადებინა პირობა რომ ყოველივე რად დამჭირდ მომეთხოა, მაყვედრებს მხოლოდ რათ მერიდებიო, ვისაც დარწმუნებული სიყვარული და მეგობრობა აქვსთ ქართულად იტყვიან იმათ ერთობა აქვსთო.

უკეთუ ძმათ ერთობა აქვსთ სახლში, თითოეული სახლიდამ ყველას როგორც უნდა მოიხმარს, როცა გაიყრებიან მაშინ აქვსთ საკუთრება, ვახტანგ მეფის სამართლის წიგნშიც ლექსი ერთობა სწერია, მარტო აკტს არ მიეწერება:

ვაენო დელა არ ვიცი რა ქონდა არ მიკითხავს რა იყო იმისთანა ვაენოე, მაგრამ მე ვფიქრობ რომ ისინი ძმები შფოთობდნენ ძალიან და უმბარნიც იყვნენ. იმათში მშვიდობას მოციქულობა დაიდვა, იქნება ამაზე მწერდეს: არხიმანდრიტს სოფრონს მე და ქრისტეფორეს მაგიერ წიგნი დაეწერა და ხელი ჩვენ მაგიერ მოეწერა. ისიც იმას ჩავარდნოდა ხელში იქნება ან იმაზე მომწერა ისიც იმ ჟამათ იყო. არ მიკითხავს რა ქონდა ვაენოე დელა. მაგისთანა მასხარული წიგნები ბევრი მომივიდოდა ხოლმე იმისაგან არ დავდევდი ეგ დარჩომილა იმათგან ერთი სხვებრ პლანი აკტისა არ გამომიცხადებია. მეგობრობა როგორც უნდა კანონები მისი მითქვამს:

გ) კნიაზ ჭავჭავაძეს მივართვი ჩემის კაცის ხელით ასტროლოგიური პლანეტთ სიტყვაობა, მიღების წერილიც მანდ იქნება წაიკითხა თუ არა არ ვიცი, ჩემთვის ამაზე არაფერი აზრი არ გამოუცხადებია რა, იმას უნდა ქონდეს ისევ ის რვეულები, თუ სხვას ებოძა ვისიმე არ ვიცი არ მიკითხავს რა. არცარა უბრძანებია, სახელი არ ვიცი არც მე ძველის წიგნისაგან გადმოვსწერე, მხოლოდ რომ იყო მოთხრობა ასტროლოგიური.

დ) მრავალი ვიფიქრე და ვერ მოვიგონე ილია ბატონიშვილს როდის მივსწერე წიგნი რად და რა ვსთხოვე, ვფიქრობ რომ ვაპირობდი გუსლის თხოვას არ მახსოვს იქედამ მივსწერე თუ გზიდამვე როცა რუსეთით მოვდიოდი, მართლა მივსწერე თუ არა არც ის მახსოვს, მხოლოდ მახსოვს მქონდა აზრათ გუსლის თხოვა. დიდი ხანია იმათთვის წიგნი არავისთვის მიმიწერია იმათგან ან სულ პასუხი არავისგან არ მომსვლია, აღარცა ქონდათ ჩემზე უწინდელი ნდობა, რაოდენ ვეკვროდი, მაგრამ ტყუილად.

თამარ გეორგიევნა დედაშვილურად მწყალობდა. წამოსვლის დროს მთხოვა, როცა მიხვიდე წიგნი მომწერეო როგორი მგზავრობა მიიღეო. რომ მოველ მივსწერე ლოცვა, მოკითხვა და მშვიდობით მოსვლა, პასუხი არ მიმიღია.

ოქროპირს ვკითხე აქ რატომ თამარმა ან მიხეილმა ჩემი მიწერილის წიგნის პასუხები არ მიგზავნეს მეთქი.იმან მითხრა შენი წიგნი იქ არც ერთი არ მოსულაო. ჩემი და გემდურების კიდეცაო, რადგან თქვა გემდურისო, მივსწერე ვითომც სამჯელ მიმიწერია მეთქი. ბოდიშის მოსახდელად და ვგონებ რომ ისიც არ გამეგზავნოს დამრჩა ისევ შემდგომ 1829 -ის წლისა აღარ მიმიწერია.

მიუვიდათ თუ არა არცერთის არ ვიცი. პასუხი კი მე არცერთისა არ მიმიღია, აქ ტფილისს რომ ვიყავ სემინარიის შაგირდებს გავატანდი ხოლმე ფოჩტაში მისაცემად, არ დავდევდი ხოლმე დამესწავლა აგრე წმინდათ ყველა, შემივარდებოდა ფიქრათ მიწერა ვისთანმე მივსწერდი ლიტონათ, არ ვიცოდი თუ ასე დამჭირდებოდა ყველას ეასწავლა, ეს კი ვიცი ღვთის მადლით წინააღმდეგი რამე არავისთვის რა მიმიწერია რომ

მთავრობის წინააღმდეგი ყოფილიყო რა, შეიძლება რომ მიუვიდათ მოეთხოვოს იმათ გასაშინჯათ რას ვწერდი.

ე) იერუსალიმს წასვლა სადაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე იშვა და ივნო იმ წმიდა ადგილას თაყვანისცემა სიყმაწვილით აქამდი სულ მსურდა, შემდგომ აღთქმა დაუდე ღმერთს რომ უეჭველად უნდა წავსულიყავ. ვსთხოე რჩევა ევგენი არხიმანდრიტს და შეწევნაც. იმან მითხრა ექსარხოსი არ გაგიშვებსო. იმ ჟამათ 1828-ს წელს მეგრელის მიტროპოლიტი დავით აქ იყო. იმან გამოგითხოოსო იქიდამ შეიძლება წასვლაო. იერუსალიმში. იგივე ევგენი არხიმანდრიტი მივგზავნე იმ მიტროპოლიტთან ამ საქმეზე და ვით მიტროპოლიტმა აიღო ეჭვი რომ ამ რუსებს უნდათო მზვერავათ გამატანონო და ვერ გაბედა გამოთხოვა, დავშთი ისევ...

3) თუმცა მე მამუკა ორბელიანისათვის არა რაიმე ნიშანი აკტისა არ გამომიცხადებია, მაგრამ მე უთუოთ ისე მეგონა, რომ ისიც იქნებოდა ჩლენი აკტისა, რათგან გიორგი წერილის წიგნში აცხადებდა ალექსანდრეს და სხვას, სხვები აღარ მახსოვდა სახელდობრ, მამუკა მეგონა უთუოთ იქნება მეთქი რადგან ალექსანდრე იყო. ალექსანდრე ან სხვა ვინმე უთუოთ ამასაც მოიყვანენ-მეთქი ჩლენათ. მიჩვენა სიყვარული და პატივისცემა გამომიცხადა და კეთილის სურვილი... ვინათგან შევნიშნე იმას ჩემზე ერთგულება, თუმცა რეჩი არ გამიგზავნია, მაგრამ წინათვე განვამზადე ამაზე რომ მინდოდა ჩამოვსულიყავ ქალაქს. მომელაპარაკებინა იმასთან როგორ შეიძლება ვპოოთ ვინმე რომ შემეწიოთ ეგებ საქმეში რაშიმე გამრიოს ექსარქოსმა-მეთქი. ჩემი აზრი ეს იყო. ჩემგან რა საჭირო იყო ვიცოდი რომ იქ მყოფნი ჩლენნი მალე მოიყვანდნენ იმასაც აკტში მაგრამ მე მაშინ მეგონა, რომ არის მეთქი ჩლენი. სხვებრ მე არავინ მომიძებნია. იმასაც ვნანობდი რათ მივე აკტი ან გიორგისა მეთქი... გავიგონე ექსარხი შუამთის მონასტერში მოსვლას აპირებსო და მიგებებაში რეჩი უნდა მეთქვა. ის რეჩი იყო.

გ) გაბრიელს ბერს ვიცნობდი ბოდბედთანავე, რუსეთიდან რომ მოველ დამხვდა ფერისცვალების მონასტერში (არ იკითხება, რუსულ თარგმანშია — „ПОМОЩНИКОМ начальника" — მ.ხ.), შემდგომ გაგზავნეს გადაწყვეტისამებრ საქმისა ნათლისმცემლის მონასტერში. იქიდან მივიდა შინ თავის სახლში სტუმრათ იყალთოს ათანასე მაყაევისას და მოკვდა 1831 წელს. საკუთარი (არ იკითხება. თარგმანშია „ТАЙНОЙ СВЯЗИ" — მ.ხ.), არა მქონია რა, მხოლოდ ხარაკტერი მისი მსახურებდა ყველას საზოგადოდ მხიარულებისადმი. ვიცნობდი, ვითარცა სხვათა.

პორფირისაც რუსეთიდან რომ მოვედი გავიცან. მე რომ წაველ რუსეთს და მოველ. მე რომ განვწესდი ფერისცვალების მონასტერში მცირედის. შემდგომ ისიც გამწესდა და ვიყავით ერთად" (10.2226-2227).

კომისიამ საგანგებო ყურადღება გამოიჩინა ყველა იმ პირის მიმართ, ვისთანაც ფილადელფოსის მიმოწერა საეჭვოდ ჩათვალა. პირველ რიგში, ეს ითქმის მიხეილ ბატ

ნიშვილზე. 1833 წლის 9 მარტს როზენი ჩერნიშევისადმი მიწერლობაში ეხება რა ფილადელფოსის მიერ ნიენი ნოვგოროდიდან მიხეილ ბატონიშვილისათვის გაგზავნილ წერილს, აღნიშნავს: „ამასთან, დღემდე არავთარი საბაბი არ არსებობს, რომ ამ ბატონიშვილზე ეჭვი იქნას მიტანილი“ (21.39). იმავე მიმართვაში ნათქამია, რომ ფილადელფოსის ქაღალდებში ნაპოვნი იყო წერილი პრაპორშჩიკ როსტომ იოსელიანისადმი: წერილის გაუგებარი შინაარსის გამო, აღიძრა ეჭვი იოსელიანზე, რომელიც ამ დროს შვებულებას სამეგრელოში ატარებდა. როზენმა იგი გამოიძახა და დაკითხა. იოსელიანის განმარტება სავსებით დაემთხა ფილადელფოსის ჩვენებას, რის გამო როზენი წერს: რადგან იოსელიანის წინააღმდეგ სხვა არავითარი საბუთი არ არსებობს „მე ნება მივეცი თავისი საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად კვლავ სამეგრელოში წასულიყო, სადაც 19 წლის მანძილზე არ ყოფილა“ (21.39).

ფილადელფოსის მიმოწერის შესწავლის შედეგად, კომისიამ ისეთი დასკვნა გამოიტანა, რომ იგი საკუთარ კეთილდღეობაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე შეთქმულებაზე: „ფილადელფოსთან ნაპოვნი და მისადმი ან მის მიერ დაწერილი დანარჩენი სხვადასხვა ქაღალდებიდან და წერილებიდან, აგრეთვე მათი განმარტებებიდან არაფერი ჩანს დასაძრახი, მაგრამ შეიმჩნევა მისი მოუსვენარი მაძიებლობა, სხვათა შორის მხოლოდ პირადი გამორჩენისაკენ მიმართული. ამ გზით ცდილობდა იგი მიეღო რაიმე ადგილი თბილავსა ან ტფილისში, ხან მასწავლებელ დოდაევის, ხან თავად გიორგი ერისთავის, ხან თავად მამუკა ორბელიანის ან სხვათა შემწეობით. 1831 წელს მან სამეგრელოს მფლობელ თავად დადიანს მისწერა თხოვნა სამეგრელოს მიტროპოლიტთან გადაყვანის შესახებ, იმედოვნებდა, რომ იმისგან იერუსალიმს წასვლის შესაძლებლობა მიეცემოდა. მომდევნო 1832 წელს მისწერა იმავე თავადის დედას, რიაზანში მცხოვრებ სამეგრელოს ქვრივ მმართველ ნინას, რომელსაც სთხოვა — რუსეთში თქვენთან სასულიერო მოვალეობის შემსრულებლად ამიყვანეთო“ (20.413).

ეს ორი წერილი დაწერილია 1831 და 1832 წლებში, ანუ მაშინ როდესაც შეთქმულნი აქტიურად ემზადებოდნენ აჯანყებისთვის. აქედან გამომდინარე კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ ფილადელფოსს თავისი აქტის გავრცელების შემდეგაც კი სურდა საქართველო საერთოდ დაეტოვებინა (ნინო დადიანისადმი წერილი დაწერილია 1832 წლის 17 ივლისს). ეს გარემოება მის დანაშაულს არბილებდა.

ზემომოყვანილი ჩვენების ბოლო პუნქტში ფილადელფოსი თავი ანბანს ეხებოდა:

„ე) ანბანი საიდუმლოდ არ გამიკეთებია. როგორც გიჩვენებთ ამის წარმოება ასე იყო და ამისი შედგენის მიზეზიც თხუთმეტი წელი იქნება ვიცი ისევ 1822-ში სწერდნენ სკოლის შაგირდები. ეკითხოს ივანე აფხაზიშვილს უმცროსს რომელიც იმ ქამად უჩენიკად იყო და მთხოვა მეც დამიწერეო. მთაწმინდის მღვდლისშვილს ვრცელი გრამატიკა მივეც ისევ 1818-ში დაწერილი, იქნება მგონია იმის ფურცლებზედაც არის რამთენიმე

სიტყვა დაწერილი, ამ ასოებით ნიჟნიშიც დარჩა კიდენ ამისთანა... ეგ ტეტრატი. ეხლა ვაკეთებდი კიდენ როგორმე უკეთესის პოჩერკით რომ მიმეცა ვისთვისმე კიდენ და ესწავლათ. მინდოდა ყველას სცოდნოდა, გიორგისაც უთხარ ყველას ასწავლე და მით მისწერდეთ ერთმანეთს მეთქი. ჯერ აკტი სულ არ მამგონებოდა რომ გიორგის ვასწავლე განცხადებულად ხალხში. იერომონახი ფილადელფი. მარტის 26" (10.2227 ა).

ანბანის თაობაზე მიცემულ სხვა ჩვენებებშიც, ფილადელფოსი კომისიას არწმუნებდა, რომ თავისი გრამატიკის მასწავლებლისაგან (იოსტოს ანდრონიკაშვილისგან) გაუგონია, თითქოს ჯერ კიდევ ანტონ პირველის დროს იყო მცდელობა ქართული ანბანის გაუმჯობესებისა. ამ მიზნით, ფილადელფოსმა ბერძნული, ლათინური და რუსული ასოების მიმსგავსებით ქართული ხუცური და მხედრული ასოების ბაზაზე შექმნა ახალი ანბანი. ამ ანბანით დაწერილი ქადაგებების ტექსტები ნიჟნი ნოვგოროდშიც დამრჩაო (4.550).

1833 წლის 8 მარტს კომისიამ ნიჟნი ნოვგოროდის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორ ბუტურლინს მისწერა შემდეგი: ფ.კიკნაძე, რომელიც 1827 წელს პატიმრობაში იმყოფებოდა პეჩერის მონასტერში ირწმუნება, რომ მისთვის ჩამორთმეული ქაღალდები „ნიჟეგოროდის" საგუბერნიო სამმართველოში ან იქაურ სისხლის სამართლის პალატაში დარჩა. მისივე მითითების თანახმად, ამ ქაღალდებს შორის არის სხვადასხვა შენიშვნები, დაწერილი არა ქართული ასოებით, არამედ განსაკუთრებული ანბანით, რომელიც მან თავად გამოიგონა. კომისია ბუტურლინს ანბანის ნიმუშს უგზავნიდა და სთხოვდა, რომ მას გამოეთხოვა ეს ქაღალდები დასახელებული დაწესებულებებიდან და უმოკლეს ვადაში გადმოეგზავნა. „თუ ნიჟნი ნოვგოროდში არ აღმოჩნდება ქართული ენის მცოდნე, თქვენს აღმატებულებას გაუჭირდება ამ ანბანით დაწერილი ქაღალდების გამორჩევა ქართულად ნაწერიდან, მაშინ უმორჩილესად გთხოვთ გამომიგზავნოთ ყველა ქაღალდი იერმონახ ფილადელფოსისა, რომელიც დაწრილია არა რუსულ ენაზე" (21.37-38).როგორც ჩანს, 1833 წლის 13 ივნისს ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორს ფილადელფოსის ყველა ქაღალდი გადმოუგზავნია (63), მათ შორის რუსულ ენაზე დაწერილიც. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა საგამომძიებლო კომისიის ხელში აღმოჩენილიყო 1827 წელს კიკნაძის მიერ იმპერატორისათვის რუსულ ენაზე გაგზავნილი თხოვნის შავი ეგზემპლარი (25.1). ფილადელფოსი ირწმუნებოდა, რომ ამ ანბანით არავისთვის მიუწერია, გარდა გიორგი ერისთავისა, რომელსაც „სახალისოდ" მისწერა ორი წერილი და მისგანაც ამგვარივე ასოებით დაწერილი პასუხი მიიღო. ამ საკითხზე ფილადელფოსისა და გიორგი ერისთავის ჩვენებები ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ კომისიამ ისიც აღნიშნა, რომ გიორგი ერისთავმა საიდუმლო ანბანი მასწავლებელ დიმიტრი ყიფიანსაც ასწავლა.

მაქსიმე ბერძნიშვილი ჩამოთვლის ფილადელფოსის ჩვენებებს — „ფ.კიკნაძემ საგა-

მომძიებლო კომისიას ჩვენებები მისცა 1833 წ. 28 იანვარს (რვ.V, 892.893), 7 თებერვალს (VII, 1223-25), 24 თებერვალს (II,1571), 7 მარტს (1781), 15 მარტს (XII, 2174), 7 ივლისს (XII, 4152)"(124.66). ეს ჩამონათვალი სრული არ არის. თუ მ. ბერძნიშვილი მხოლოდ 6 ჩვენებას ასახელებს, გ. გოზალიშვილმა თავის ნაშრომის I და III ტომებში ფ. კიკნაძის 14 ჩვენება გამოაქვეყნა. მიუხედავად ამისა, ფილადელფოსის მთელი რიგი ჩვენებებისა გამოუქვეყნებელი დარჩა, ისევე როგორც მისი მიმოწერა, საგამომძიებლო კომისიის მასალებიდან ამონაწერები მის შესახებ და სხვა, რაც ჩვენ სრულად შევიხწავლეთ.

საგამომძიებლო კომისიამ ფილადელფოსის მიმართ შემდეგი ბრალდება წამოაყენა: „საქართველოს თვითმყოფადობის აღდგენის განზრახვაში პირდაპირი მონაწილეობა არ ჩანს, მაგრამ მას ორი პირისაგან გაუგონია საუბარი, რომელიც დანაშაულებრივ მიზანს ისახავდა; მან ამ პირებიდან ერთ-ერთის წაქეზებით დაწერა ორი აღმგზნები და დასაძრახი თხზულება და ცდილობოდა საიდუმლო საზოგადოების დაარსებას, რომლისთვისაც შეადგინა საიდუმლო და მავნე გონებრივი წესები"(20.408-409). კომისია გულისხმობს ფ. კიკნაძის შემდეგ თხზულებებს: „გოდებანი იერემიასი, ძისა ენეისნი ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა აწინდელსა ზედა", „სიყვარული მამულისა" და „აკტი გონიური". ამ თხზულებებში მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა ფილადელფოსის პოლიტიკურ-რელიგიური შეხედულებები, თუმცა მეტად შენიღბული სახით. კომისიას არ აინტერესებდა ისეთი თხზულებები, რომლებიც მთავრობის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, რის გამოც კომისიის მასალებში არაფერია ნათქვამი ფ.კიკნაძის ქადაგებებსა და გრამატიკულ ნაშრომზე. ჩვენ ამ თხზულებებსაც განვიხილავთ.

საგამომძიებლო კომისიამ ფ. კიკნაძე მიაკუთვნა დამნაშავეთა IV კატეგორიას, სადაც შედიოდნენ ის პირები, რომლებიც აჯანყებაზე თანახმა იყვნენ, მაგრამ აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ, ხოლო აჯანყების განზრახვა ნაწილობრივ იცოდნენ. 1833 წლის 2 ოქტომბერს როზენი სამხედრო მინისტრს სწერს, რომ IV კატეგორიაის დამნაშავეთაგან ორი უცხოეთში იმყოფება „ხოლო ბერი ფილადელფოსი მოკვდა" (21.93). იგი გამოძიების დამთავრების წინ გარდაიცვალა, ამდენად მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, თუ რომელი კატეგორიის დამნაშავედ ჩათვლიდნენ.

ფილადელფოსმა ვეღარ გაუძლო ამდენ ფიზიკურ თუ სულიერ ტანჯვას. 1833 წლის 25 აგვისტოს ავად გახდა და იმავე წლის 5 სექტემბერს საკანში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ცნობას ხელს აწერს შტაბის მკურნალი ნიკოლაი (101.447). ამ ცნობის საფუძველზე 6 სექტემბერს პოდპოლკოვნიკი შესტენკო საგამომძიებლო კომისიას აცნობებს ფ. კიკნაძის გარდაცვალების შესახებ (112 .441).

მღვდელი პ. კარბელაშვილი წერს, რომ ფილადელფოსს ანდერძი არ დაუტოვებია. „ამაზე ციხის უფროსმა პოლკოვნიკმა შოსტენკომ აცნობა ეგზარხოსს იონას 6 სექ-

ტემბერს N61 და ფილადელფის დანარჩენი ციხეში სახმარი ნივთები — გეოგრაფიული რუკები, ტურბინდა, წიგნები და სხვ. ფულათ დარჩა 94 მანეთი — ყველაფერი წარუდგინა. მიცვალებულის ფილადელფის გვამს უპატრონა დარიის მონასტრის ბერმა ილუმენმა იოანემ და დაასაფლავა ამავე მონასტრის ეზოში, სამრეკლოს სამხრეთით შესავალ კარებთან. ეგზარხოსმა იონამ ფილადელფოს ფულიდგან 10 მან და 20 კაპ. ილუმენს იოანეს ჩააბარა მიცვალებულის დასამარხი ხარჯი, ხოლო დანარჩენი 83 მან. 80 კაპ. შუამთის მონასტერში მიაქცია ეკლესიის სასარგებლოდ. ყოველივე ესე დაწვრილებით აცნობა იონამ უწმიდესი სინოდის ოპერპროკურორს ნეჩაევს". კ. კარბელაშვილი წყაროსაც მიუთითებს: „იხ. საქმე სინოდის კანტორისა 1833 N3336" (171.3).

ასე დაასრულა სიცოცხლე 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და საიდუმლო საზოგადოების წესდების ავტორმა — მღვდელმონაზონმა ფილადელფოს კიკნაძემ.

თავი III.

ფილადელფოს კიკნაძის თხზულებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

§1. "აქტი გონიური"

1832 წლის შეთქმულების მონაწილენი ერიდებოდნენ წერილობითი საბუთების შექმნას. გამოძიებას მხოლოდ საიდუმლო საზოგადოების წესდება „აქტი გონიური" ჩაუვარდა ხელში. შეთქმულთა მიერ შემუშავებული საქართველოს მმართველობის პროექტისა და აჯანყების გეგმის — ე.წ. „პირველი ღამის განკარგულების" არსებობა კი ჩვენებებიდან გამოაშკარავდა. საგამომძიებლო კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შეთქმულების მონაწილე ბერის ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილ „აქტ გონიურს" (4.563-571). მისი ჩვენებების მიხედვით შეიძლება ხსენებული დოკუმენტის შექმნის სამი ვერსია გამოვყოთ: 1. აქტი ფ.კიკნაძემ დამოუკიდებლად შეთხზა. 2. ფ. კიკნაძემ „აქტი გონიური" შეადგინა ორი აქტის გაერთიანებისა და გადამუშავების საფუძველზე, რომელთაგან ერთი კათალიკოს ანტონ პირველს კათოლიკე პატრისგან ჰქონდა მიღებული, მეორე კი დავით ბატონიშვილის შედგენილი იყო. 3. ფ.კიკნაძემ ისარგებლა ოქროპირ ბატონიშვილის მიერ მიწოდებული საიდუმლო საზოგადოების წესდებისა და ამავე ბატონიშვილის მიერ შედგენილი აქტით, რომელიც საქართველოს განთავისუფლებისა და მეფობის აღდგენას ისახავდა მიზნად.

სამივე ვერსიას ცალ-ცალკე განვიხილავთ.

I. თავიდან ფილადელფოსს არავის დასახელება არ უნდოდა, რის გამოც კომისიას არწმუნებდა „შევსთხზე მე, მხოლოდ და არავინ არს მას შინა მონაწილე არცა ქართველთაგანი და არცა რუსი... არავინ არა მყავს მას შინა შემწე და ეგრეთვე არავინ არ იცოდა..." კიკნაძე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გიორგი ერისთავს გადასცა აქტი, რაც ისედაც ცნობილი იყო კომისიისათვის. აქტის დაწერის მიზეზს ის ამგვარად ხსნიდა: რუსეთში ყოფნისას ესტატე ციციშვილისგან შეუტყვია, რომ რუსეთში ყოფილა ფარული სექტა, რომლის ქაღალდებშიც აღმოჩნდა რამდენიმე პუნქტი „ბოროტნი განზრახულებანი სარწმუნოებაზე, სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე, ამისთვის მრავალი სასტიკად დასაჯეს, მაგრამ მრავალი წევრი კიდევ ყოფილა დარჩენილი ფილადელფოსს გადაუწყვეტია დაპირისპირებოდა მათ და დაეწერა ისეთი თხზულება, რომელიც განამტკიცებდა ღვთის სიყვარულს, ხელმწიფის მორჩილებას და ურთიერთის სიყვარულს. ხოლო ვინაიდან იმ სექტას ჰქონია ფიცი „ბოროტისათვის დასასრულისა", ფილადელფოსმა თავის თხზულებას დაურთო ფიცი „კეთილისათვის დასასრულისა". იგი კომისიას არწმუნებდა, რომ მთავრობის საწინააღმდეგო არაფერი სდებია გულში, ხოლო თუ ვინმემ მისი აქტი ცუდი მიზნებისთვის გამოიყენა, ამაში მას ბრალი არ ედო, რის დასამ-

ტაიცებლად შემდეგ მაგალითს იშველიებს: მოსემ ებრაელებს ბიბლიური სჯული, ანუ ძველი აღთქმა დაუწერა, რის საფუძველზეც მათ ქრისტე მაცხოვრად უნდა მიეღოთ. ნაცვლად ამისა, ებრაელებმა ბიბლიაზე დაყრდნობით ქრისტე ჯვარს აცვეს. „მე არ ვგონებ რომელ ღმერთი სჯიდეს აწ მოსეს მიცემისათვის მათდა ბიბლიურის სჯულისა" — ამბობდა ფილადელფოსი და კომისიას სთხოვდა, რომ მისთვისაც აეცდინათ სასჯელი (4.688).

კომისიამ არ დაიჯერა, რომ აქტი ფილადელფოსმა დამოუკიდებლად შეთხზა და ისიც იძულებული გახდა უფრო გულახდილი ყოფილიყო.

II ვერსიის თანახმად, 1830 წელს, პორფირი ბერმა ფილადელფოსს საიდუმლოდ აჩვენა პატარა წიგნაკის ყდაში დამალული, თხელ ქაღალდზე დაწერილი ორი აქტი, რომლებიც მისთვის დავით ბატონიშვილს აღსარების დროს გადაუცია დასაწვავად. მათი ისტორია ამგვარია: პირველი აქტი კათალიკოს ანტონ პირველისთვის მიუცია კათოლიკე მისიონერს, პატრ ფილიპეს, რომელმაც ფ. კიკნაძის თქმით ანტონს კათოლიკობა მიაღებინა. ამ აქტის საშუალებით ანტონს რაც შეიძლება მეტი თანამოაზრე უნდა შეეკრიბა და როცა მათი რიცხვი საკმაო იქნებოდა, შემდეგ ღიად უნდა ექადაგა ეკლესიაში, მაგრამ არ დასცალდა. კათალიკოსობის პატივი აჰყარეს და საქართველოდან განდევნეს. აქტი კი ჯერ მეფეს ჩაუვარდა ხელში, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ დავით ბატონიშვილს, რომელსაც გამეფება სურდა. თავისი მხარდამჭერების მომზრობის მიზნით, მას პატრის აქტის ყაიდაზე ახალი აქტი დაუწერია, რომ საიდუმლოდ დაეფიცებინა ხალხი თავის ერთგულებაზე, მაგრამ ვერც ეს ჩანაფიქრი განხორციელდა.

ეს აქტები პორფირის ცოტა ხნით ფილადელფოსისათვის დაუტოვებია, რომლსაც საჭაროდ გადმოუწერია, მხოლოდ ზოგი მუხლი გამოუტოვებია. ამის შემდეგ პორფირიმ დედნები დასწვა და ფილადელფოსს ფიცი ჩამოართვა, რომ არავისთან იტყოდა მათ შესახებ. გავიდა ხანი, ფილადელფოსმა კახეთში გაიცნო გიორგი ერისთავი, რომელმაც განუცხადა მას, რომ ახალგაზრდებს სურდათ ჰქონოდათ რაიმე წესები, რომლებიც მათ მეგობრობას უფრო განამტკიცებდა. მაშინ ფილადელფოსმა იმ ორი გადაწერილი აქტის გამოყენებით ახალი აქტი შეადგინა და გადასცა გიორგი ერისთავს. ეს კომპილაციური თხზულება თავდაპირველი ორიგინალებისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა, ფილადელფოსი ისეთ დეტალებს იმოწმებს, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ პირველი აქტი ნამდვილად კათოლიკური ხასიათისა იყო, რაც მას მართლმადიდებლური სარწმუნოების შესაბამისად შეუცვლია, „მეორე დავითისაგან, სრულებით წინააღდეგი იყო და უსჯულო და იქიდამ უმფრო ძალიან მცირე შემიმატებია, მეათე ციფრი რომელიც აკლია ისიც იმისთვის შემცთა რომ სრულებით დავუტევე როცა მივე გიორგის და წამოვიდა. ერთი კიდენ ჩემთვის ამოვსწრე, რომელიც გამოვაცხადე და მოატანინეთ ჩემის სენაკიდამ. ამისთვის არის განყოფილება გიორგისთან მიცემულს და მაგ

მეორეში, ამისთვის რომ ცალკე ცალკე ამოვსწერე" (9.1781). მართლაც, „აკტი გონიურის" იმ ეგზემპლარში, რომელიც ს.დოდაშვილის ქაღალდებში იქნა ნაპოვნი, მე-10 პარაგრაფი საერთოდ გამოტოვებულია. აქტის სწორედ ეს ვერსია აქვს გამოქვეყნებული თ. კუკავას, მაგრამ ფილადელფოსის მიერ აღნიშნული ხარვეზი იკარგება, რადგან თუ დედანში §9 მოსდევს §11 და სულ 13 პარაგრაფია, თ.კუკავამ თანამიმდევრულად გადანომრა პარაგრაფები და 12 მიიღო. მკვლევარი სქოლიოში აღნიშნავს, რომ აქტი „პირველად გამოქვეყნებულ იყო გ. გოზალიშვილის მიერ წიგნში — „1832 წლის შეთქმულება" (128.36). სიზუსტისათვის აღვნიშნავთ, რომ როგორც დასახელებულ წიგნში (1935 წ.), ისე 1927 წელს გ. გოზალიშვილმა გამოაქვეყნა „აკტი გონიურის" მეორე ვარიანტი, რომელიც კიკნაძის სენაკში იპოვეს ჩხრეკის დროს და რომელშიც §10 გამოტოვებული არ არის. ვარიანტებს შორის სხვა განსხვავებაც არსებობს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თ. კუკავას მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში არაფერია ნათქვამი იმ განსაკუთრებული ნიშნის შესახებ, რომლითაც წევრებს ერთმანეთი უნდა გამოეცნოთ, ხოლო გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში კი არის: „ნიშანი არს რომლითაც ანიშნებს წევრი წევრსა, მარჯვენის ხელის ნეკით მოიფხანს შუბლსა, უკეთუ შემხედველი წევრი არს მივალს და ამბორს უყოფს ვითარცა ძმასა და წევრსა" (113.5). ეს პუნქტი, ფილადელფოსის თქმით, მას დავით ბატონიშვილის აქტიდან გადმოუღია: „თითით ნიშნება პატრისაში არ იყო ცარევიჩისაში იყო, ამ დასასრულისათვის რომ შეკრებულებაში იცნანო ერთმანეთი". ამგვარი ნიშნები მასონებისთვის იყო დამახასიათებელი, რაც გვაფიქრებინებს, რომ დავით ბატონიშვილი არ უნდა ყოფილიყო ამგვარი აქტის ავტორი. ალბათ, ფილადელფოსმა იგი იმიტომ დაასახელა, რომ დავითი უკვე გარდაცვლილი იყო.

რაც შეეხება ანტონ კათალიკოსის მიერ კათოლიკე პატრისაგან აქტის მიღებას — ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ემთხვევა: ანტონ კათალიკოსი ევროპასთან დაახლოების სურვილის გამო, ევროპელ კათოლიკე მისიონერებს დაუახლოვდა და მიემხრო იმ ფრთას, რომელიც წმ.ბასილის ორდენს წარმოადგენდა ჩვენში. ამ ორდენის მიმდევრები ძირითადად სარგებლობდნენ ბერძნული მართლმადიდებლური ტიპიკონით და მორწმუნეთაგან მხოლოდ ორი მთავარი დოგმის აღიარებას მოითხოვდნენ: სული წმიდის მამისა და ძისაგან გამომავლობას და რომის პაპის უაღრესობას და პრიმატობას მსოფლიოს სხვა პატრიარქებთან შედარებით (142.17). კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ რადგანაც ბასილის წესდება ბერძნული წარმოშობისა იყო, მას ჩვეულებრივ ბერძნულ ტიპიკონს უწოდებდნენ, საქართველოში კი ქართულს (125.342). როდესაც ანტონის მიერ კათოლიკურ სარწმუნოებაში ფარულად გადასვლის ფაქტი გამომჟღავნდა სამღვდელოთა კრებამ 1755 წლის 16 დეკემბერს ახადა მას კათალიკოსობის ხარისხი და მღვდელ-მოქმედება აუკრძალა, ხოლო მისი თანამოაზრენი დასაჯეს. „ჯანჩი-

ნებაში" ნათქვამია: „...გვესმოდა და ჭეშმარიტიცა იყო ლათინთა სარწმუნოების. ეი. მართ მიდრეკა შენი და იღწვოდიცა შეძინებად მათდა იდუმალ ერისა. მაშინ მოვლინებულთა ჩვენ მიერ არხიმანდრიტთა არღარა დაუფარე და საანჯმნოდ აღიარე წვალებ ლათინთა..." (124 .154).

ანტონ კათალიკოსი რომ თანამოაზრეთა შეძენას ცდილობდა, ეს კარგად ჩანს მიხეილ თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილიდან, რომელიც საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთ პატრს 1757 წელს პროპაგანდისთვის გაუგზავნია: „... ამ კათალიკოსმა ღვთის მადლით აღძრულმა, ბოლოს მიიღო წმიდა სარწმუნოება ჩვენის მისიონერის გორის უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარწმუნოება. რადგან თვითონ სცნო ჭეშმარიტება, ძალიან ცდილობდა სხვებისათვისაც ეცნობებინა..." (121.687).

საკმაოდ დამაჯერებელია ფილადელფოსის მტკიცება, რომ პატრის აქტი გამიზნული იყო ქართველთა შორის კათოლიკობის ფარულად გავრცელებისათვის. თვით ეს აქტი რომ ნამდვილად ვინმე კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებლის მიერ ყოფილა შედგენილი, ამაზე ნათლად მეტყველებს ფილადელფოსის ერთი ცნობა. მას შეუსწორებია ლოცვა, რომელიც პატრისეულ აქტში ამ სახით ყოფილა მოცემული: „... სამ გვამუნებისა შენისა, ... სულისა წმინდისა გამოსრულისა შენ მამისა და ძისა შენისაგან"(8.178). მართლმადიდებლური სარწმუნობის თანახმად კი სული წმინდა მხოლოდ მამა-ღმერთისაგან გამოდის. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია სარწმუნოდ, რომ ანტონ კათალიკოსის ნაქონი აქტი შემდეგ მეფეს ჩავარდნოდა ხელში. ისიც საკითხავია, თუ რომელი მეფე იგულისხმება — ერეკლე II თუ გიორგი XII. ვფიქრობთ, ფილადელფოსი გარდაცვლილთა დასახელებით ცდილობს ცოცხლებს პასუხისმგებლობა ააცილოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილადელფოსის ზემომოყვანილი ჩვენება, ანუ პირობითად II ვერსია, მკვლევართა ნაწილს სარწმუნოდ მიაჩნია. მაგალითად, გ. თოდუა თვლის, რომ პატრი ფილიპეს მიერ ანტონ პირველისათვის მიცემული აქტი შემდეგ დავით ბატონიშვილს საფუძვლიანად გადაუმუშავებია და ამ სახით მოგვიანებით პორფირისათვის გადაუცია. „ამრიგად, როცა აქტი პორფირის ხელში გადასულა, სამეფო ოჯახის წევრთა თვალთახედვის პრიზმაში ყოფილა გარდატეხილი. სწორედ ამის მერმე გადაეცა იგი ფილადელფოსს, რომელსაც ცხადია, აქტისათვის შეთქმულთა სულისკვეთება უნდა შთაებერა. სხვანაირად იგი არ მოუწონებდა გ.დ. ერისთავს დ საერთოდ საიდუმლო საზოგადოების სხვა მოწინავე მოღვაწეებს" (122 .71). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფილადელფოსმა აქტს შეთქმულთა სულისკვეთება კი არ შთაბერა, არამედ პირიქით — შენიღბა.

III. ამ ვერსიის თანახმად, ფილადელფოსმა ისარგებლა ოქროპირ ბატონიშვილის

მიერ მოწოდებული მასალით, რომელიც შესაძლოა კონსპირატორმა ბატონიშვილმა პორფირი ბერის ხელით გაუგზავნა მას. ეს ვერსია ემყარება ფ.კიკნაძისავე ჩვენებას, რომელიც დღემდე მკვლევართა მიერ არც გამოქვეყნებული ყოფილა და არც განხილული. შეიძლება ითქვას,. რომ იგი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ნათელყოფს „აკტი გონიურის" დაფარულ და ჭეშმარიტ მიზანს.

ფილადელფოს კიკნაძის განმარტება:

„წიგნი იგი ჩვენებული ჩემდა იერო მონახის პორფირისაგან და მას შინა თხზულებანი ზედ წარწერილნი აკტებად.

პირველი შეიცავდა როდენ მახსოვს, ანუ შემიძლიან მოგონება: .

დასაბამად იყო ლოცვა მცირე

— შემდგომ ესენი, რწმუნება იესო ქრისტესი ჭეშმარიტებით და ერთისა წმიდისა კათოლიკისა დ სამოციქულო ეკლესიისა, თავად ყოველთა ეკლესიათა და ქადაგება მისი წმინდა რწმუნება მოციქულისა პეტრეს მოსაყდრისა და მიღებად ყოვლისა ბრძანებისა მისისა, არა რაირა განისჯელთა მას შინა.

— ერთგული სიყვარული და ერთობა წევრთა, სიძულვილი და განშორება ურწმუნოთა, რათა ყოფილიყო ფრიად საიდუმლოდ, და რათა ქონოდათ ყველას გულში მტკიცედ, რათა არავის განეცხადებინა სხვის თანა გარდა მისსა ვისაც მოიყვანდა წევრად. რათა ქონოდათ გადაწერილი ყოველთა წევრთა ეს სჯულები შენახული ფარვით. რათა უწყება მოპოებისა წევრთასა უკანასკნელითაგან მისულიყო ავტორამდე. რათა ყველას ქონოდა მიღება რასაც იუწყებდენ ავტორითგან. რათა უარი ეთქვათ დედაკაცისათვის.

ყოფილიყვნენ მტკიცენი რომელ არ განეცხადებინათ არცა შიშითა სიკვდილისათა უქამოდ, ეგრეთვე ქამს გამოცხადებისას არა დაეფარა თავი თვისი არავის. ამას ზედა იყო სასტიკი ფიცი. იყო დარიგება როგორ უნდა ეძებნათ გვიან და გარემოებითის მონადირებით, ოდესაც მოიყვანდა სრულს თანხმობაზე, მაშინ რათა მარტო ერთს არ განეცხადებინა სრული ცელი, არამედ მიეყვანა თავის მპოვნელთან, და ორთ დაეფიცებინათ, გარნა არ განეცხადებინათ მპოვნელი: რათა დაერწმუნებინათ რომელ შინა არიან ბევრნი, რათა ქონოდათ სიყვარული დიდი ერთმნეთისა, და შესწეოდენ ერთმანეთს სრულის შეძლებით, რათა პირველად მოეპოებინათ მხოლოდ ვინც უფრო განათლებულნი არიან, წინა განმზადება იყო გრძლად. ქადაგების გვარად, თუ როგორ კეთილია სიყვარული, რაოდენ სასარგებლო არს ყოლა მრავალთა ერთსულთა მეგობართა. როგორ თანახმა არის წესი ესე სამღთოს სჯულისა და სხვანი ესე ვითარნი.

მეორე აკტი შეიცავდა, პირველად იყო წინა განმზადება ძალიან გრძლად რომელიც არ გადმომიწერია, ერთხელ მეტათ მგონია არც წამიკითხავს, გარნა მახსოვს რომელთამე ნივთათვის, იქ მოხსებულ იყო: დრო არს უკანასკნელი, დრო ანტი ქრისტესი. **შეწევნა რუსთა ჩვენთვის არა არს შეწევნა, ქართველნი ყოველთვის ყოფილან**

ქრისტიანენი, სიკვდილი ქრისტესთვის და მამულისათვის არის მამაპაპათა ჩუენთა ჩვეულება, მხოლოდ მცხოვრთა სიყვარულითა და ერთობით მარადის, ახლაც ჯერ არს განახლებად უმწვერვალესისა შეერთებისა და სიყვარულით შეფიცებისა, არა უღალატოთ ერთმანეთსა, ამისთვის გვქონდეს დრომდე საიდუმლოდ დაცული წესნი ესე:

მტკიცედ ვდგეთ ჩვენს სარწმუნოებაზე და არ მივიღოთ არარაი წესი ანუ სჯული სხვისა ქვეყანისა. ამაზე გვქონდეს თავი შეწირული.

აღვიჩიოთ თავი საკუთარი ქვეყანისა ჩვენისათვის და დავმორჩილდეთ მას, და გვქონდეს მასზედა თავი შეწირული.

— ამას ზედა დაფიცებულთა გვქონდეს ერთი სიტყვა და ერთი მოქმედება სრულის თავის დადებით ერთმანეთისათვის.

დავიცვათ ესე ფრიად საიდუმლოთ დრომდე

რათა ყოველმან დაფიცებულმან იხმაროს სრული გულის მოდინება რომელ კვირაში მოიპოოს ერთი მაინც.

— რათა ყველამ მიმღებმა ფიცისამა ამას ზედა დასდვას ერთი წერტილი, რათა ყველა ცდილობდეს უფრო დიდთა კაცთა შოვნასა პირველად. უკეთუ ვინმე განაცხადოს ესე რათა მპოვნელმან ანუ მოკლას იგი საიდუმლო გვარითა, ანუ უკეთუ ვერ უსწრო რათა ივლტოდეს იგი თვით, უკეთუ არ ივლტო ეს მყისვე რათა თვით მოკლულ იქმნეს ჩლენისაგან, დაფარვად თავისა თვისისა, ნიშანი თითით შუბლსა ზედა, რათა შეკრებულებისა შინა იცნან ერთმანეთი მპყრობილთა კერძოსათა და დაფიცებულთა ერთგულებისადმი ბატონიშვილისა, უკეთუ ვინმე მეორად მიუწოდოს საიდუმლოს ფიცში იმავე ნიშნის ჩვენებითა დაამტკიცოს რომელ იგი დაფიცებულ არს;

ესე ზემო აღწერილნი ვთქვი მხოლოდ აზრები რაიცა მახსოვდა, არ მახსოვს რომელი პირველ რომელ შემდგომ დადებულიყო, არცა მით თხზულებით ნამდვილად, სრულებით სხვაგვარად და გრძლად იყო ეს აზრები გამოხატული, შეიძლება იყო კიდენაც მომატებული წესი, მაგრამ მე ამიმეტი ველარ მოვიგონე, ესენი აღწერილნი წიგნსა შინა ნამდვილ ჭეშმარიტებით მიმიღია ხელისაგან მღვდელ მონაზონის პორფირისა და წამიკითხავს, ხოლო დამტკიცება ამისა არაფრით არ შემიძლიან, არცათუ მცირედითა რაითამე ნიშნითა, რომლისათვისცა ვერ ვბედავდიცა აქამდი გამოცხადებასა, მაჩვენა მან საიდუმლოთ და იყო საიდუმლოთ აქამომდე.

ესე ერთი მხოლოდ შემიძლიან მოხსენებად უკეთუ ექნება რაიმე ამის ნიშანი დამტკიცებისა, ოდესაც ვნახე მე ის წიგნი, და კიდეც ამოვსწერე, ჩემს ფიქრში ძალიან აღმოჩნდა იგი წინააღმდეგად ამისთვის ვეძიებდი საშუალობას როგორ მომეხერხებინა რომ მისულიყო იგი შეტყობისადმი მთავრობისა ასე რომ არ პოვნილვიყავით ჩვენ. ამისთვის ვიძიე ბევრი საშუალება, შემდგომ გადავსწყვიტე, რათა გავატანო იგი სრულებით ლი-

ტონსა ვისმე კაცსა, რათა ღამით მიიტანოს და შესდვას გარედამ ანუ პოლიციის ანუ სასამართლოს ფანჯარაზე ანუ დააგდოს ახლო სადაც ყარაული სალდათი დადის, ამისთვის ვეძიებდი ამის შემძლებელს კაცს და მგონია ვუთხარ გიორგი გამრეკელოვს. არ შეგიძლიან შენ რომ საიდუმლოთ გაგატანო ერთი წიგნი, რათა მიხვიდე და დასდვა სასამართლოს, ანუ პოლიციის წინ ანუ შესდვა ფანჯარაზე მეთქი, იმან უარყო და დარჩა ისევ ჩემთან, შეიძლება მოიგონოს მან ეს ჩემი სიტყვა. იგი იყო მაშინ შაგირდი მეექვსის კლასისა, ახლა გავიგონე იმყოფება უჩიტლად ტფილისის სემინარიაში. სხვებრ უკეთუ თქმული პორფირისაგან მართალ არს რომელ, მან მიიღო იგი დავით ცარევიჩისაგან. გამიგონია რომელ დავით ცარევიჩისა ყოფილა საყვარელი მრჩეველი დავით ალექსიევ რეკტორი და ქონდათცა მიწერმოწერა ყოველთვის, შემდგომ დავით ალექსიევის სიკვდილისა არა იქნებოდა რა იმის ქაღალდებში მცირედიც არის შესანიშვნელი მოხსენება აკტისათვის, ანუ ძველი კაცი შემძლებელი წერისა არის კიდენ პეტრე ლარაძე, არა გაეგონებარა ან იმას წარმოებისათვის მის აკტისა? მე არ ძალმიძს არარასაიმე დამტკიცებისა მოპოება. გარნა რათგან გამოცხადდა რომელ ოქროპირ ცარევიჩს ქონია აქ ყოფაში ესე ვითარი ბოროტი განკარგულება. ამითი უმეტეს შესაძლო არს იჭვნეულობა ოქროპირზე ვიდრე დავით ცარევიჩზე, პირველად ამით რომელ, სამს წელში არა უთქვამს რა პორფირის ჩემთვის არაფერი იმ აკტისათვის, და მხოლოდ მაჩვენა მე დროსა ოქროპირის აქ ყოფნისა და მაშინ ისიც ოდესაც აპირობდა ოქროპირ წასვლას, მეორედ შევნიშნე მის პორფირს შორის ამაზე დიდი შიშნეულობა, რომ მომცა მე საშინელი წყევა არავის უთხრაო და კიდევ მიჩვენა არიო დავსწიო, მესამე ოქროპირ კითხავდა მე ერთხელ ლექსი გონიური რას ნიშნავსო. გარდა ზემოხსენებულთა ამათ ნამდვილი დამტკიცება არაფერი არ შემიძლიან რა არც ერთისათვის და არც მეორისა. თუ რომლისაგან მიიღო ანუ სად იპოვნა იერომონახმა პორფირიმ იგი აკტები.

1833 მარტი 10.

იერომონახი ფილადელფოსი" (9.2016-2017)

ჩვენების ის ნაწილი, რომელიც პირველ თხზულებასა თუ აქტს ეხება, ძირითადად შემოკლებული სახით იმეორებს ფ.კიკნაძის ძველ (1833 წლის 7 მარტის) ჩვენებას (8.1781). მეორე აქტის შესახებ კი ფილადელფოსი პირველად იძლევა მეტ-ნაკლებად გულახდილ ინფორმაციას: **იგი რუსეთის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული და შეთქმულებს საქართველოს განთავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.** როგორც ჩანს, აქტი ოქროპირ ბატონიშვილის დაწერილი უნდა ყოფილიყო. ფილადელფოს კიკნაძემ კი სიფრთხილის დაცვის მიზნით, აქტის აშკარად მებრძოლი ხასიათი შენიღბა თავის კომპილაციურ თხზულებაში, რომლის ჭეშმარიტი მიზანი მას ზეპირსიტყვიერად უნდა განეცხადებინა შეფიცულთათვის. როგორც ძიების მასალებიდან ჩანს, შეთქმულნი გრძნობდნენ, რომ ფილადელფოსის აქტში არ იყო გამ-

ქლავნებული ის ნამდვილი მიზანი, რომელსაც საიდუმლო საზოგადოების ჩამოყალიბება ემსახურებოდა.

გიორგი დავითის ძე ერისთავმა საგამომძიებლო კომისიას განუცხადა, რომ აქტის ნამდვილი მიზანი ფილადელფოს ბერს მისთვის არ გაუმხელია, მხოლოდ დაპირდა, რომ ორი წლის შემდეგ, როდესაც წევრთა რაოდენობა იმატებდა, მაშინ გააგებინებდა მის აზრსა და მიზეზს (3.382). ეს ჩვენება ფილადელფოსმა უარყო: "არა რაიმე სხვა დაფარული ცელი (მიზანი — მ.ხ.) არც მცოდნია, არც მითქვამს" (10.2174). დიმიტრი ყიფიანმა უჩვენა, რომ მან და ავთანდილოვმა შეაქეს აქტის მაღალფარდოვანი ქართული, მაგრამ მისი შინაარსი და მიზანი არასოდეს შეუქია, რადგან არც ერთი და არც მეორე მისთვის გასაგები არ იყო. ამასთან დასძინა, რომ დღესაც არ იცის, თუ რაში მდგომარეობს აქტის მიზანი. (12.2878). სხვა ჩვენებაში დ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ აქტი „ფულახდილობას არ შეიცავდა. სახელდობრ, რისთვის იყო გამიზნული მეგობრობა, რომელსაც იგი მოითხოვდა"(3.374). ზაალ ავთანდილაშვილმაც დაადასტურა, რომ აქტის შინაარსი არ შეუქიათ, რადგან „მისი მიზანი ჩემთვის სრულებით უცნობია, ხოლო როდესაც ვთხოვე გიორგი ერისთავს სწორად გამოეცხადებინა ჩვენთვის მისი ნამდვილი შინაარსი და ისიც, თუ რა მიზნით არის იგი დაწერილი, მაშინ, — განაგრძობდა რა კითხვას, — გვითხრა, რომ თუ ფიცს მივცემდით, მაშინ გამოგვიცხადებდა" (12.2878).

აქტი იმდენად რთული იყო გასაგებად, რომ გ. ერისთავის თქმით, დავით ერისთავს კიდევაც რომ წაეკითხა იგი, სრულებით ვერაფერს გაიგებდა (3.2900). პირველი წაკითხვით ვერც ალექსანდრე ორბელიანს გაუგია აქტის შინაარსი, ამიტომ უთხოვია: „გთხოვთ ამაღამ ჩემთან იყოს, კარგა გულმოპყრობით წავიკითხო და ხვალ ისევ მოგართმევთ მეთქი — იმ ღამეს მე მქონდა და მეორეს დღეს არ ვიცი სოლომონ დოდაევმა თუ სხვა ამხანაგმა რომელმა გამომართო ისევ არ მახსომს" (3.392 ა).

როგორც ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ჩვენებიდან ჩანს თავის გამართლების მიზნით ფ.კიკნაძე აცხადებდა, რომ მას თავის დროზე სურდა აქტის მთავრობისათვის გადაცემა, რისი გაკეთებაც, თითქოს, გიორგი გამრეკელს დაავალა. კომისიამ გამრეკელიც დაკითხა, მაგრამ მან არაფერი იცოდა კიკნაძის მიერ დასახელებული ფაქტის შესახებ: თბილისის სემინარიის მოწაფე რომ ვიყავი და ფერისცვალების მონასტერში ვცხოვრობდი, ბერმონაზონი ფილადელფოსი მაშინ გავიცანი, მაგრამ მას არასოდეს დაუვალებია ჩემთვის წამეღო რომელიმე წიგნი და პოლიციის ან საქართველოს მთავრობის სახლის ფანჯარაში დამედვაო (15.3558).

რაც შეეხება ფ.კიკნაძის ჩვენებაში დასახელებულ პეტრე ლარაძეს, მის შესახებ ფილადელფოსს დამატებით ზეპირსიტყვიერი ჩვენება მოსთხოვეს, რომელმაც უპასუხა: „რომ მან მხოლოდ იმიტომ მიუთითა ლარაძეზე, რომ ის არის ახლანდელი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი საერო და საისტორიო მწერალი" (9.2022).

გამოძიებას არც სხვა პირები გამორჩენია მხედველობიდან. გენერალ მაიორ ჩევკინმა მიმართა საქართველოს ეგზარქოს იონას, რომელმაც ნება დართო მას დაეკითხა ორი სასულიერო პირი: ილუმენი იოანე — გარდაცვლილი პორფირის სულიერი მოძღვარი და იეროდიაკონი დიმიტრი ალექსიშვილი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო დავით ბატონიშვილის სულიერი მოძღვრის — დავით რექტორის კუთვნილი წიგნები და ქაღალდები (10.2178). გამოძიებით ისიც დადგიდა, რომ პორფირის ძმა, ხელოსანი სულხანი იმ დროისათვის მომკვდარა, მაგრამ მას 6 ვაჟიშვილი დარჩენია. 1833 წლის 20 მარტს პოლიციამ დაათვალიერა ყველა ქაღალდი, რომელიც პორფირისაგან ჯერ სულხას, შემდეგ კი მის შვილებს ერგო, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახა. პოლიციამ გიორგი „მთაწმინდოვიც" დაკითხა პორფირისაგან მიღებული წიგნების თაობაზე. (10.2181) დაბოლოს გენერალ მაორმა ჩევკინმა დაასკვნა: „შეიძლება ვივარუდოთ, რომ ფილადელფოსი თავად იყო დაკავშირებული ოქროპირ ბატონიშვილთან და მისგან მიიღო აქტში გადმოცემული აზრები" (10.2178 ა).

ჩვენი აზრით, ფ. კიკნაძემ „აკტი გონიურის" შედგენისას ორი თხზულებით ისარგებლა, რომლებიც ოქროპირ ბატონიშვილისგან მიიღო (პორფირი ბერი შუამავლის როლს ასრულებდა). პირველი აქტი ოქროპირმა ალბათ, ფრანგულიდან თარგმნა, რადგან ფილადელფოსის თქმით, „მას შინა იყო თავს ერთი ტრიქონი დაწერილი არც რუსული არც ქართული" (9.1781). ეს აქტი აშკარად ატარებდა კათოლიციზმის ნიშნებს, ამავე დროს მასონური უნდა ყოფილიყო. ოქროპირმა იგი ნიმუშად გამოიყენა, რის მიხედვით დაწერა თავისი აქტი, რომელშიც **პირდაპირ განაცხადა ფარული საზოგადოების შექმნის მიზანი — საქართველოს განთავისუფლება.** ამასთან, ოქროპირმა სხვა მასონური წესდებების გავლენით დააწესა საიდუმლო ნიშანი — მარცხენა ხელის ხელიის შუბლის მოფხანა, რითაც შეთქმულებს ერთმანეთი უნდა ეცნოთ.

ფილადელფოსმა ეს ორი აქტი გადაამუშავა. ამრიგად, ეს მესამე ვერსია ყველაზე სარწმუნოდ მიგვაჩნია. თუ ჩვენ მიერ გამოყოფილი სამივე ვერსია თავად ფილადელფოსის ჩვენებებს ემყარება, „აქტი გონიურის" შექმნის თაობაზე სხვა მოსაზრებაც არსებობს, რომელიც მცდარ ინფორმაციაზეა დაფუძნებული. გ. თოდუა წერს: „ნიშანდობლივია, რომ „აკტი გონიურის შედგენისა და გავრცელების საქმიანობასთან დაკავშირებული ყოფილა ცნობილი სწავლული სასულიერო მოღვაწე იონა ხელაშვილი, რომელსაც ფარულ საზოგადოებაში უშუალოდ არ მიუღია მონაწილობა — ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, ჯერ კიდევ 1817 წელს პეტერბურგში მყოფ იოანეს შედგენილი ჰქონია წესდება ფარული საზოგადოებისა, რომლის დარსება მას ამხანაგთა წრეში განუზრახავს; მისი „აღმასრულებელი პირებიც" მოუძებნია. ჯერ თავისი იდეებით გამოუწვრთნია ისინი, მერმე კი ფარული საზოგადოების წესდება გაუცვნია მათთვის. ეს „აღმასრულებელი პირები" ყოფილან ფილადელფოს კიკნაძე, სერაფიონ ლეჩხუმელი, სოლომონ დო-

დაშვილი და სხვ. ზ. ჭიჭინაძე ამტკიცებს, რომ ხსენებული წესდება, რომელიც იონე ხელაშვილმა 1822 წლის 18 მაისს ბატონიშვილებსაც გააცნო, საფუძვლად დაედო „ფ. რულ საზოგადოებას 1832 წელს, რომ იქნა გაცემულიო" (122.72). გ. თოდუა ზ.ჭიჭ. ნაძეს ეყრდნობა, რომელიც ამტკიცებს თითქოს ფ.კიკნაძე პეტერბურგში ცხოვრობდა, ივანე ხელაშვილის გავლენის ქვეშ იყო „გამოწურთვნილი და გამოზრდილი... პირველ ხანებში, ამ გეგმის მხურვალე მქადაგებლად ეს ფილ.კიკნაძე იყო. 1824 წლიდან ამას მიემატა სერაფიონ ლეჩხუმელი და სოლომონ დოდაშილი" (172.4).

ფ.კიკნაძე პეტერბურგში არასდროს ყოფილა, იონა ხელაშვილს არ იცნობდა, გარ. და ამისა, თავად იონა ხელაშვილი შეთქმულების გეგმას საერთოდ არ იზიარებდა. მ.ბერ. ძნიშვილი წერს: „რუსეთის ორიენტაციის იდეურად მომხრე და რწმენით მონარქისტ. ხელაშვილი ამავე დროს გულწრფელი ქართველი მამულიშვილია — მოსურნეა საქარ. თველოს ზრდა-წარმატებისა და გონებრივი პროგრესისა სწავლა-განათლების ფარ. თოდ დანერგვის გზით... იონა მებრძოლი არ არის. პირიქით, სავსებით ლოიალური რუსეთის მთავრობის მიმართ, ის მოუწოდებს სხვათაც (კერძოდ, თავის აღზრდილ ს.დ. დაშვილს) იყვნენ მორჩილნი მთავრობისა („ნაჩალნიკისა, ე.ი. თაონისა"), ეძიოს მფარ. ველად „ჩვენი გამომხსნელნი რუსნი" (106.263).

ამრიგად, ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელსაც გ. თოდუა ეყრდნობა, სარწმუნო არ არის.

საგამომძიებლო კომისიის დასკვნის თანახმად, „აკტი გონიური" წარმოადგენს მა. ტიკურ ნაწარმოებს, რომლის დანიშნულებაა ფიცითა და ხელისმოწერით გამაგრებული საიდუმლო, მტკიცე კავშირის შექმნა. კომისია კარგად ხედავდა, რომ ამ საზოგადოებ. ბის ჩამოყალიბების ნამდვილი მიზანი აქტში გამჟღავნებული არ ყოფილა, რის გამოც ასკვნიდა: თუ ამ კავშირის ხილული მიზანი ზნეობის ამაღლება და მისი წევრების დახ. ლოებაა, იგი იმგვარად იყო შედგენილი, რომ პირველ დაუსწრებელ ავტორს ადვილად შეეძლო მიზნების შეცვლა და მთელი საზოგადოებისთვის სრულიად სხვა მიმართულ. ების მიცემა, რადგან ყველა წევრი მას მიმართავდა და ისინი დაკავშირებული იყვნ ურთიერთდახმარების ფიცით. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო „აკტ. გონიურის" იმ პუნქტს, რომელშიც ნათქვამია რომ ხელმწიფის ყოველი ნება სიყვარ. ულით უნდა აღვასრულოთ ყოველგვარი განსჯის გარეშე, თუ იგი რელიგიას არ ეწინააღ. მდეგება, „თვინიერ ოდენ მაშინ, რათა არა იყოს წინააღმდეგ სამღთოისა ამის რწმენ. ისა". ამ გამონაკლისს კომისიამ „იეზუიტური" უწოდა: „თუმცა, როგორც ფილადელ. ფოსი განმარტავს, იგი პავლე მოციქულის სიტყვებზეა დამყარებული, მაგრამ ჩვენს საუკუნეში — შეიძლება ,ყოველგვარი დამახინჯებული განმარტებებისა და ყველაზე ბი. როტი გატაცებების საბაბი გახდეს, განსაკუთრებით ისეთ ღვთისმოსავ და ცრუმორ. წმუნე ხალხში, როგორებიც ქართველები არიან" (20. 414.415).

ამ ანგარიშგასაწევი მოსაზრებებით იერომონახ ფილადელფოსის აქტი მავნედ უნდა ჩაითვალოსო — ნათქვამი იყო დასკვნაში. ამავე დროს კომისია თვლიდა, რომ აქტს ჯერ არ მოუტანია ზიანი, ვინაიდან მეტად რთული იყო გასაგებად, მაგრამ მომავალში მაინც მოიტანდა ზიანს.

„აკტი გონიური" ჩვენს ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა, მაგრამ მას მოიხსენიებს თითქმის ყველა ის ისტორიკოსი, რომელიც 1832 წლის შეთქმულებას განიხილავს. ასე მაგალითად, ა. ბენდიანიშვილს მიაჩნია, რომ აქტის მიზანი შეთქმულთა რიგების შემჭიდროება და კონსპირაციის გაძლიერება იყო (98.108).

ფილოსოფოსმა თ. კუკავამ ხსენებული აქტი ორჯერ განიხილა. პირველად 1967 წელს აღნიშნავს რა, რომ „აქტი გონიური" გამოქვეყნებულია გ. გოზალიშვილის წიგნში „1832 წლის შექმულება" (სადაც საარქივო საქმის ნომერი მითითებული არ არის), თ.კუკავა თავად მიუთითებს წყაროს: „ხელნაწ. S — 3732, ნაწ. III, თ.I, გვ. 5/V." (129.187). ეს უკვე მეტად მნიშვნელოვანი ჩანდა, ვინაიდან იქმნებოდა იმის ილუზია, რომ საქმე გვაქვს „აკტი გონიურის" მესამე ნუსხასთან. ჯერ კიდევ 1927 წელს გ. გოზალიშვილი გამოთქვამდა ვარაუდს აქტის სამი ვარიანტის არსებობის შესახებ (.113.2), მაგრამ დღემდე მხოლოდ ორია ცნობილი, ამიტომ პირადად გავეცანით თ. კუკავას მიერ მითითებულ წყაროს. აღმოჩნდა, რომ ამ ნომრით ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება ბარამ გერმანოზიშვილის „ბჭობა გონებისა". აქტის შესახებ თ. კუკავა წერდა: „მართლაც, როგორც კიკნაძეც აღნიშნავს, „აკტში" არაფერი არ იყო ნათქვამი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ანდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. აქტი უფრო შეთქმულთა იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და ორგანიზაციულ დარაზმულობას იახავდა მიზნად.

„აკტი" გამსჭვალული იყო ქრისტიანულ-რელიგიური მსოფლგაგებით და თავიდან ბოლომდე იდეალისტური მიმართულების შემცველი.

„აკტი გონიურის"ასეთ მიმართულებაზე და, მაშასადამე ფილადელფოსის მსოფლმხედველობაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ფილადელფოსის სოციალურმა მდგომარეობამ: იგი ბერი იყო, სასულიერო პირი" (129 .189). გვიანდელ გამოკვლევაში თ. კუკავა იმავე საკითხზე უკვე საპირისპირო აზრებს გამოთქვამს. იგი ზ. ჭიჭინაძეზე დაყრდნობით აცხადებს, თითქოს ფილადელფოსს დაწერილი ჰქონია რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული პროკლამაცია და დასძენს, რომ ასეთივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული აქტი (128 .23). მკვლევარი წერს, რომ აქტის მიხედვით, წევრებს ევალებოდათ საიდუმლოდ დაეცვათ, როგორც შეთქმულების არსებობის, ისე აქტის არსებობის ფაქტი. ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ თვითონ აქტში შეთქმულებაზე არაფერია ნათქვამი. თ. კუკავა კი აცხადებს, თითქოს „აკტი გონიურში" ჩამოყალიბებული იყო „შეთქმულების ძირითადი პრინციპები" (105 .8) ამასთან, იგი ციტატებსაც

იშველიებს, რომელთა მიხედვით, შეთქმულებს უნდა ჰქონოდათ „ერთი სიტყვა და ერთი მოქმედება სრულის თავის დადებით ერთმანეთისათვის", უნდა ყოფილიყვნენ „მტკიცენი, რომელ არ გამოეცხადებინათ არცა შიშითა სიკვდილისათა უეამოდ", მათ უნდა აერჩიათ „თავი საკუთარი ქვეყნისა ჩვენისათვის და დავმორჩილებოდით მას და გვქონდეს მას ზედა თავი შეწირული." როგორც ვხედავთ, აქ უკვე საკუთარი მეფის არჩევაზეა საუბარი. საიდან არის აღებული ეს ციტატები? ფილადელფოსის მიერ შედგენილ „აკტი გონიურში" მათ ვერ ნახავთ. თ. კუკავას ისინი აუღია ოქროპირისეული აქტიდან, რომლითაც ფილადელფოსმა ისარგებლა, მაგრამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული მოწოდებები თავის აქტში კი არ გადაიტანა, არამედ შეძლებისდაგვარად შენიღბა ისინი. თ.კუკავა ფილადელფოსის აქტის გარდა სხვა აქტებს არ ახსენებს და როგორც ვთქვით, სარწმუნოდ მიაჩნია, ის ვერსია, რომლის მიხედვით აქტი დაწერილი იყო მხოლოდ კიკნაძის მიერ და მის შეთხზვაში სხვა არავინ მონაწილეობდა. ამრიგად, თ. კუკავას მსჯელობა ფაქტების აღრევაზეა დამყარებული: გამოდის, რომ კიკნაძეს წინამორბედი არ ჰყოლია, ამავე დროს მის თხზულებას მიეწერება ოქროპირის აქტისთვის დამახასიათებელი მებრძოლი სულისკვეთება და ამავე აქტიდან მოტანილი ციტატები.

1967 წელს თ. კუკავა წერდა, რომ აქტიდან „გამოსჭვივის, თუმცა არაპირდაპირ, კიკნაძის სოციალური მრწამსიც. იგი არიგებს ორგანიზაციის წევრებს, რომ „არა ჯერ არს განცხადება ლიტონთა და მდაბიოთა გვამთადმი", რაც გულისხმობს იმას, რომ ეს საიდუმლოება არ უნდა სცოდნოდათ დაბალი ფენების, დაბალი კლასების წარმომადგენლებს. კიკნაძე ამ უკანასკნელთ თავადაზნაურებზე ანუ მაღალი კლასის წარმომადგენლებზე უფრო დაბლა აყენებდა" (129 .190). ახალ გამოკვლევაში კი თ. კუკავა ალბათ, დემოკრატიის გავლენით ამტკიცებს რომ აქტი „გამსჭვალულია ჰუმანური, დემოკრატიული იდეებით, იგი გამსჭვალულია ადამიანთა შორის სიყვარულის, ძმობის, ურთიერთპატივისცემის და მეგობრობის დამყარების სულისკვეთებით" (128 .26).

თ. კუკავას ფილადელფოსი ფილოსოფოსად მიაჩნია. მკვლევარი აღნიშნავს, რომ კიკნაძის „აკტი გონიურის" მიხედვით სამყაროს დასაბამი არის „დაუსაბამოდ და დაუსრულებლად მოძრავი", რომელიც საგანთა გარეთ კი არაა, არამედ თვით საგნებშია მოთავსებული, „იმყოფება არსთა არსებასა შინა". იგია „მიზეზთა მიზეზი", ე.ი. საწყისი მიზეზი. იგი არაა პასიური და უმოქმედო, არამედ განუწყვეტლივ მოქმედი და აქტიურია. თ. კუკავა თავისი სიტყვებით გადმოგვცემს იმას, რაც მოცემულია კიკნაძისეული „აკტი გონიურის" ტექსტში: „ჰოი სრულიად საჭიროო, ყოვლად საუკუნეო, დასაბამო და დასასრულო, დაუსაბამოდ და დაუსრულებლად მოძრავო არსებასა შინა არსთასა!" (4.563) ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა, რომ თ. კუკავას როგორც ფილოსოფოსს განემარტა, თუ რამდენად ემთხვევა ფ. კიკნაძის წარმოდგენები მართლმადიდებლური სარწმუნოების მრწამსს, რომლის მიხედვით ღმერთი არის „სული, საუკუნო ყოვლად

სახიერი, ყოვლად ნეტარი" (134. 14-15). ვფიქრობთ, დასადგენია, თუ როგორ მიესადაგება ღმერთის უცვლელობა — ფ. კიკნაძის მიერ აღიარებულ პირველსაწყისის დაუსრულებელ მოძრაობას.

თ. კუკავა 1967 წელს წერდა: „ერთგან ფილადელფოს კიკნაძე იმასაც კი ამბობს, რომ ღმერთი არის „თვით სიყვარული" და ამიტომაც მისი აზრით „რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მასთან ჰგიეს" (129..189). განა ეს აზრი, რომელსაც ფ. კიკნაძე „ერთგან" ამბობს თავად მას ეკუთვნის? ის ხომ იოანე ღვთისმეტყველის ცნობილ სიტყვებს იმოწმებს და წყაროსაც მიუთითებს — იოანე, თავი 4.16.

თუ მკვლევარს ამგვარ საკითხებზე მსჯელობა საბჭოთა პერიოდში არ შეეძლო, ამის გაკეთება ახალ გამოკვლევაში მაინც შეიძლებოდა, მაგრამ თ. კუკავა ფილადელფოსის მტკიცებაში ახლაც რაღაც განსაკუთრებულს ხედავს: „ერთგან ფილადელფოსი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ღმერთი არის „თვით სიყვარული"... (128 .26)

რ. ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ალექსანდრე ორბელიანი" ფილადელფოსის აქტს გარკვეული ადგილი ეთმობა. როგორც ჩანს, ავტორი იმ ისტორიკოსებს ეყრდნობა, რომლებსაც ეს წესდება მთლიანად ფილადელფოსის მიერ მოფიქრებული ჰგონიათ. მიუხედავად ამისა რ. ჩხეიძე სწორად ხედავს, რომ აქტში გაკვრითაც არ გაუელვებია აჯანყებისა და დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდებას და იგი მხოლოდ სიყვარულსა და ზნეობრიობას ქადაგებდა (.141.107). ამასთან, რომანის ავტორი ინტუიციურად გრძნობს, რომ აქტის მიზანი — საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ბაგრატიონთა ტახტის აღდგენაა: „ესაა წესდების ქვაკუთხედი. ქრისტიანული მორალი, რასაც უნდა დაყრდობოდა ჯერ ეს ფარული ორგანიზაცია, მერე კი მათგან ტრადიციის აღდგენა.

წესდებაში რამდენჯერმე თაყვანისცემით მოხსენიებული „ხელმწიფე" იმ ქართველ მეფეს გულისხმობდა, რომელიც კანონერად დაიბრუნებდა ბაგრატიონთა ტახტს.

სადაც შეწყდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორია, იქიდანვე უნდა განახლებულიყო" (141.103-104).

ჩვენი აზრით, ფ. კიკნაძემ მართალია კომპილაციური თხზულება შემნა, მაგრამ მისი ღვაწლი ძალიან დიდია. მან ოქროპირ ბატონიშვილის იდეების პრაქტიკული განხორციელება და „აკტი გონიურის" გავრცელება იტვირთა. აქტის ჭეშმარიტი მიზანი მას პირადად უნდა გაემეღავნებინა შეთქმულთათვის, როდესაც მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდებოდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თავის უახლოესი თანამოაზრეები მან თავიდანვე ყველაფერს მიახვედრა და აქტიურად ჩააბა შეთქმულებაში, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი თავად იყო.

„აკტი გონიურთან" მჭიდროდ არის დაკავშირებული ფ. კიკნაძის მასონობასთან ურთიერთიმართების საკითხი.

ფილადელფოსი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობს: „სახელი არც ახლა ვიცი რას

ნიშნავს აკტი" (8.1781). ჩვენი მხრივ განვმარტავთ, რომ თუ სამონასტრო წესდებას „ტიპიკონი" ეწოდებოდა, „აკტი" იმ ხანად მასონური წესდებების სახელწოდება იყო. ფილადელფოსი ირწმუნებოდა „აღკრძალულება უქაზისაებრი არ ვიცოდიო" (4.685). რომელ ბრძანებას გულისხმობს იგი? 1822 წლის 1 მარტს იმპერატორმა ალექსანდრე I ხელი მოაწერა რესკრიპტს შინაგან საქმეთა მინისტრ გრაფ ვ.პ. კოჩუბეის სახელზე, რომელშიც ნაბრძანები იყო რუსეთში ყველა საიდუმლო საზოგადოების დახურვა. მათ შორის პირველ რიგში დასახელებული იყო მასონური ლოჟები, რადგან იმპერატორის ყურამდე მივიდა ცნობები, რომ მასონურ ლოჟებში შეთქმულება მზადდებოდა.

ცნობილია, რომ ბევრი მომავალი დეკაბრისტი რუსეთის ახლებური მოწყობის გეგმებზე მსჯელობას სწორედ მასონურ ლოჟებში იწყებდა. მასონობა არალეგალურად 1822 წლის შემდგომ პერიოდშიც განაგრძობდა არსებობას. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ახალმა იმპერატორმა ნიკოლოზ I 1825 წლის 14 დეკემბრის შეთქმულების ჩახშობისა და ტახტზე ასვლის შემდეგ, 1826 წელს მასონური ლოჟები კვლავ აკრძალა. ფილადელფოსი იმ დროს რუსეთში იმყოფებოდა: „1826 წამიყვანეს მუეიკთ იზვოშიკებმა ნიჟეგოროდს მიბარებისამებრ მაღალ ყოვლად სამღვდლო მიტროპოლიტისა იონასი, დღისით ვიდოდით, ღამით სადაც დადგებოდნენ ვიწექ ურემში, ვინ გამომიცხადებდა გზაზე. როდესაც მიველ კათალიკოსთან, მომცეს ერთი მცირე კელია. ვიჯექ შინ უცნობი ყოველთა კაცთა. შემდგომ ვიყავ სხვადასხვა უბედურებაში, შემდგომ წამოველ საქართველოში. გზაზე კიდენ ვინ გამომიცხადებდა. მოველ აქ არსად არავის რა უთქომს მხოლოდ რომ მოვკარ ყური აქ საქართველოში რომ ხელი მოგვაწერინესო მასონი ნუღარ იქნებითო, მასონობისა სრულებით არა მქონია გაგონება და არც ვიცი რას ნიშნავს მასონი. ამისთვის არც ყური მიმიგდია, ეს უქაზი არც სადმე გამომცხადებია, არც სადმე წამიკითხავს არ შემთხვევია ამისი შეტყობა" (4.685 ა).

კომისიამ ფ. კიკნაძის მიერ შედგენილი „აკტი გონიური" შესახებ დაასკვნა, რომ „ეს მისტიკური ნაწარმოები გადმოღებულია მასონური ან სხვა საიდუმლო საზოგადოებების წესდებებიდან და აშკარად მომდინარეობს უფრო განათლებული წყაროდან, ვიდრე ფილადელფი და მეორე ბერი პორფირი იყვნენ" (154.403). ამავე აზრს იზიარებს 1832 წლის შეთქმულების კომპეტენტური მკვლევარი გ.გოზალიშვილი, რომელიც წერს, რომ აქტში გამოყენებულია ე.წ. „მასონური ლოჟებისა" და ლიბერალურ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ანალოგიური წესდებანი" (163.250). ხოლო თავის წერილში „1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხისათვის" მკვლევარი განმარტავს, რომ 1789 წლის რევოლუციის გამოძახილი ევროპის სახელმწიფოებში ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ლიბერალურად განწყობილ საზოგადოებაში ჯერ აღმოცენდა ე.წ. მასონური ლოჟები, რომელთა მიზანიც იყო ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და ამ გზით რეფორმების აუცილებლობის შეგნების გან-

მტკიცება. მერე შეიქმნა სრულიად საიდუმლო, აშკარად პოლიტიკური იერის საზოგადოებანი, რუსეთში ამგვარი საზოგადოება იყო „союз спасения", რომელსაც 1817 წლიდან ეწოდა „союз благоденствия". იგი ორი ფრთისაგან შედგებოდა. ერთი იყო "северное общество", რომლის ცენტრი პეტერბურგში იმყოფებოდა და რომელსაც შემდეგში კონდრატი რილეევი მეთაურობდა.

მეორე იყო „южное общество" რომელიც უკრაინაში მოქმედებდა და რომელსაც პესტელი მესვეურობდა (164.92).

' გ. გოზალიშვილის აზრით „1825 წლის 14 დეკემბრის ამბავს საქართველოში 1832 წლის შეთქმულება ეპარალელება. რა ნიადაგზედაც დეკაბრისტების მოძრაობა წარმოიშვა და რა ფორმითაც იგი იქ მიემართებოდა, იმავე ნიადაგზე 1832 წლის შეთქმულებაა აღმოცენებული და აქაც მისი მსგავსი გზით მიმდინარეობდა და თითქმის შედეგებიც კი, უკეთ უშედეგობაც კი ანალოგიური იყო. მოძრაობა აქაც და იქაც მარცხით დამთავრდა" (164.95).

გ. გოზალიშვილი, ხაზს უსვამს, რომ როგორც რუსულ ისე ქართულ საიდუმლო საზოგადოებათა მუშაობის მეთოდების განხილვის დროს მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმ ე.წ. წესდებებს, რომლებიც საიდუმლო საზოგადოების განაწესს წარმოადგენს. ასეთები გადარჩენილია, როგორც „союз благоденствия"-სი ისე 1832 წლის შეთქმულებისა „აკტი გონიურის" სახელწოდებით.

შემდეგ მკვლევარი ადარებს ამ ორ წესდებას და სრულ ანალოგიას ხედავს მათ შორის: ორივე მათგანი ერთდაიმავე პრინციპზეა დამყარებული, ერთნაირად არის აღიარებული საზოგადოების წევრად ცნობილი და ღირსეული ადამიანების გამორჩევით მიღება, რომლებიც ფიცის ხელწერილს დებენ. საზოგადოების წევრნი ვალდებულნი არიან მოყვასისადმი სამსახურისა... არ გასცენ საიდუმლოება და სხვა. გ. გოზალიშვილის აზრით, ამ მხრივ „აკტი გონიურს" უფრო მეტი დამუშავება ეტყობა (164. 96). ჩვენი აზრით, დეკაბრისტებისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მიზნების გაიგივება არ შეიძლება. სავსებით მართალია თ. ჯოლოგუა, როდესაც აცხადებს, რომ დეკაბრისტები ეროვნულ საკითხში საქართველოს ისტორიაში საძრახისად ცნობილი იანოვსკების, კატკოვებისა თუ პობედონოსცოვების იდეურ წინაპრებად წარმოგვიდგებიან. ნათქვამის საილუსტრაციოდ თ. ჯოლოგუა იმოწმებს ფრაგმენტებს „რუსსკაია პრავდას" — დეკაბრისტთა კონსტიტუციის იმ პარაგრაფიდან, რომელიც კავკასიის ხალხებს ეხება. „კავკასიის ხალხთა საცხოვრისი ძველთაგანვე ცნობილია, როგორც კურთხეული მხარე... დღეს იგი გაპარტახებულია და არავისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ეს ყოვლად მშვენიერი ქვეყანა ნახევრად ველურ ხალხებს აქვთ დასაკუთრებული... (კავკასიის) მდებარეობას რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აზიასთან ენერგიული და უაღრესად სარფიანი სავაჭრო ურთიერთობი-

სათვის და, მაშასადამე, სახელმწიფოს გამდიდრებისათვის. ეს შესაძლებლობა კი საკ-სებით იკარგება იმის გამო, რომ კავკასიის ხალხები არამარტო სახიფათო და მოუსვენარი მეზობლები არიან, არამედ გაუტანელი და უვარგისი მოკავშირეებიც... დროებით უმაღლეს მმართველობას ნება ეძლევა: ... დაყოს კავკასიის ხალხი ორ ჯგუფად — მშვიდობიანებად და დაუმყაროს მათ რუსული მმართველობა და წყობილება, ხოლო მეორენი ძალდატანებით გადაასახლოს შიდა რუსეთში და იქ გაფანტოს... შემოიყვანოს კავკასიაში რუსი მოსახლეობა და დაურიგოს აქედან გასახლებულთა მიწები. ამ საშუალებით კავკასიაში წაშალოს ყველანაირი ნიშანწყალი ახლანდელი მკვიდრი მოსახლეობისა და გადააქციოს ეს მხარე წყნარ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად" (169 .187).

არ ჩამოვთვლით იმ მკვლევარებს, რომლებიც 1832 წლის შეთქმულებას დეკაბრისტების გავლენას უკავშირებენ. მიხეილ პოლიევკტოვი გამოთქვამს შემდეგ საყურადღებო მოსაზრებას: „მასონობა, კარბონარიზმი, პუშკინის „кинжал", მიცკევიჩის პოეზია და 1830 წლის პოლონეთის რევოლუციის მეთდები. ყველა ეს, რასაკვირველია, მეტად დაყრუებული და დასუსტებული ტონებით. აი, რა აგონდება უპირველეს ყოვლისა ადამიანს, როდესაც მთელი თავისი სიფართით იშლება მის წინაშე 1832 წლის ქართული შეთქმულების სურათი" (131 .112).

ა. სურგულაძე, რომელიც თავად აღიარებდა 1832 წლის შეთქმულების დეკაბრისტულ მოძრაობასთან იდეურ-კავშირს, აღნიშნავს: „გ.ხაჭაპურიძემ ქართველი თავადაზნაურების მოძრაობა რეაქციულ მოძრაობად, ბაგრატიონთა სამეფოს აღდგენისათვის ფეოდალური დიდკაცობის აჯანყებად მიიჩნია. მან უარყო შეთქმულებაზე დეკაბრისტების და ევროპის 30-იანი წლების გამათავისუფლებელი მოძრაობის ზეგავლენა" (136.287). მიუხედავად იმისა, რომ გ. ხაჭაპურიძე მართლაც უარყოფითად აფასებს 1832 წლის შეთქმულებას, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ მას მეტად ყურადსაღები მოსაზრება აქვს გამოთქმული „აკტი გონიურის" შესახებ. მისი აზრით, აქტს „რომელიც არ შეიცავს სახელმწიფოს მოწყობის კანონებს და არ იძლევა არავითარ პოლიტიკურ პროგრამას, შეეძლო შეესრულებინა თავად-აზნაურთა საიდუმლო საზოგადოებისათვის მხოლოდ წესდების როლი. „გონიურ-აქტში" დიდი ყურადღება ექცეოდა წევრთა შეგროვებას; ამასთან, საიდუმლო საზოგადოების ახლად მისაღებ პირს უნდა გაევლო ხანგრძლივი საგამოცდო ვადა. მასონური ლოჟების მსგავსად ახალი წევრის მიღებას თან ახლდა ერთგვარი ცერემონია და რიტუალი" (148 . 210).

როგორც ვხედავთ, კვლავ მასონობაზეა ლაპარაკი. ისმის კითხვა, გულწრფელი იყო თუ არა ფილადელფოსი, როდესაც ამტკიცებდა, რომ მასონობის შესახებ არაფერი სმენია?

ცნობილია, რომ 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველოში ბევრი დეკაბრისტი გადმოასახლეს, რომლებიც მასონები იყვნენ. 1830 წლის

დასაწყისში თბილისში არებობდა დეკაბრისტთა საიდუმლო წრე. ასეთივე წრე ჩამოყალიბდა ქუთაისში, რომელსაც მასონი ე.ს. მუსინ-პუშკინი ხელმძღვანელობდა. ეს საკითხი შესწავლილია და დადგენილია, რომ ამ წრეებში ქართველები მონაწილეობას არ იღებდნენ.

ისიც ცნობილია, რომ რუსეთში ზოგიერთი ქართველი მასონობას ეზიარა. ბ. სოხვაძე წერს: „XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილი გაერთიანებული იყო მასონთა სხვადასხვა ლოჟებში. მათ რიცხვს მიეკუთვნება მ. ბარათაშვილი, პორუჩიკი გედევანიშვილი (გედეონოვი), თავადი ს. ბაგრატიონი (გრუზინსკი), ი.ჭილაშვილი, თავადი მ. ბებუთოვი და სხვ." (135 .17). ჩამოთვლილ პირებთან ფილადელფოსს არავითარი კავშირი არ ჰქონია. ვფიქრობთ, ეროთადერთი ადამიანი, ვისგანაც ფ. კიკნაძეს მასონობის შესახებ შეეძლო ზოგი რამ შეეტყო — ოქროპირ ბატონიშვილი იყო.

ჩვენთვის მეტად ღირებულია ის ცნობა, რომ ოქროპირი გატაცებული ყოფილა მისტიკური წიგნების კითხვით. იმ პერიოდში კი მისტიციზმი განუყოფელი იყო მასონობისაგან. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ოქროპირი ჩაბმული იყო მასონურ ლოჟებში, მაგრამ ნათელი ხდება, რომ ის კარგად იცნობდა მასონურ ლიტერატურას. მასონობა როგორც სისტემა ორი გზით ვრცელდებოდა: ლოჟების მეშვეობით, ე.ი. უშუალო ხელდასხმით და ლიტერატურული პროპაგანდის მეშვეობით, რომლითაც უფრო მეტი ადამიანი ეზიარებოდა მასონურ ცნებებს. რუსეთში მიმოქცევაში იყო ნოვიკოვის მიერ გამოცემული მასონური ლიტერატურა, რომლის მისტიკური იდეების გამოძახილი გაისმის ალექსანდრე I მეფობის მთელ პერიოდში (160 .232-233). ნოვიკოვის გამოცემები, რომლებიც მის მისტიკურ მიმართულებას გამოხატავდა, სამგვარი იყო: I — წიგნები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მასონობასთან, მაგრამ გამოირჩეოდნენ მისტიკური შინაარსით. ნოვიკოვის წრე ასეთებს მიაკუთვნებდა ქრისტიანულ-ფილოსოფიურ თხზულებებს და ასკეტურ წიგნებს. წიგნები სხვადასხვა ძველი რელიგიური საიდუმლოებების შესახებ მასონური ბიბლიოთეკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

II - საკუთრივ მასონური წიგნები, დაწერილი მასონების მიერ მასონური მიზნებისათვის. ისინი მასონურ მისტიციზმს შეიცავდნენ (ექვემდებარებოდნენ კონფისკაციასა და განადგურებას). ამავე ჯგუფში შედის ამა თუ იმ მასონური ორდენის გამოცემები, რომლებიც გამოხატავენ მის ინტერესებს, იცავენ ბრალდებებისაგან, ამზადებენ მასში შემსვლელებს. ცხადია, მასონური საიდუმლო არ იყო განცხადებული, პირიქით, მას საგულდაგულოდ მალავდნენ და მკითხველს მიანიშნებდნენ, რომ თუ ის ორდენში შევიდოდა, მაშინ მისთვის ბევრ საიდუმლოს აეხდებოდა ფარდა. ჩვეულებრივ, ეს წიგნები შეიცავდნენ ზნეობრივ-რელიგიურ მსჯელობებს მასონური მისტიციზმის ელფერით.

III — წიგნები, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეიცავდნენ როზენკრეიცერობას ანალოგიურ ფანტასტიკას.

საგულისხმო ფაქტია, რომ არქიეპისკოპოსი პლატონი, თუმცა არ ეთანხმებოდა რუსი მასონების ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ ძირითადად კეთილგანწყობილი იყო ნოვიკოვის წრის საქმიანობისადმი და თავის კურთხევას აძლევდა მეგობრული საზოგადოებების გახსნაზე.

როგორც ჩანს, ოქროპირი კარგად იცნობდა ამ ლიტერატურას, ხოლო მისი მისტიკური წიგნებით ფილადელფოსიც დაინტერესებულა, რაზეც არაერთი ფაქტი მეტყველებს. 1833 წელს საგამომძიებლო კომისია მის ქაღალდებში შენიშნავს ორ სახელს: თამარ ტრიფონ, ყოველი ასოს ქვეშ მიწერილია ესა თუ ის რიცხვი, რის თაობაზეც ფილადელფოსი შემდეგ განმარტებას იძლევა: „თამარ ტრიფონ ციფრით, ეს არის ერთი წიგნი ვნახე რუსული. ეწერა უკეთუ ვისმე უნდა შეიტყოს რომელს პლანეტაზე არის დაბადებული, უნდა დაწეროს სახელი დედისა და თვისი, თითოეული ასო უნდა დანიშნოს იქ ჩვენებულის ციფრით, შემდგომ შეაერთოს სულ ჯამი, ჯამიდან გამორიცხოს 28, სულ ბოლოს რაც რიცხვი დარჩება თვითეული სხვაობა რიცხვისა აღნიშნავს თითო პლანეტთა, და ის მიცდია, იქ არის დიაკონი ტრიფონ ვკითხე დედას რა ქვიან თამარ ქვიანო და ესრეთ გამოვცადე“ (5.892). კომისიის დაინტერესება ალბათ იმან განაპირობა, რომ აღნიშნული სახელები და ციფრები მიწერილია ფილადელფოსის სწორედ იმ „საეჭვო“ ლექსის ქვეშ, რომელშიც ნათქვამია — „ჩემო ხემწიფევ როდის განახო გვირგვინ სკიპტრიან“. ჩვენი აზრით, ფ. კიკნაძის განმარტება შეიძლება გულწრფელად ჩაითვალოს, რადგან მის ქაღალდებში მივაკვლიეთ ანალოგიურ ჩანაწერს, რომელშიც ფილადელფოსის ნათლობის სახელი — ნიკიფორე და დედამისის სახელი თინათინი ფიგურირებენ ქვეშ მიწერილი ციფრებით (34.1). სად შეეძლო მას ამგვარი ოკულტური შინაარსის წიგნი ენახა, თუ არა ოქროპირ ბატონიშვილთან? ამ საკითხზე დღემდე არავის გაუმახვილებია ყურადღება. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ფ. კიკნაძის ქაღალდებში მივაკვლიეთ ერთ ისეთ ჩანაწერს, რომელიც გამოძიებასაც კი მხედველობიდან გამორჩა. იგი სოლომონის ტაძრის მშენებლობას შეეხება. ძნელია ამ ჩანაწერის მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეფასება. სანამ მას გავეცნობოდეთ, წინასწარ ვიტყვით, რომ ლეგენდა სოლომონის ტაძრის შესახებ დიდ როლს თამაშობდა მასონურ რიტუალებში. სოლომონის ტაძრის მშენებელს — ხირამს, მასონური ტრადიცია მიაწერს მასონური სიტყვებისა და ნიშნების გამოგონებას: მას იმდენი მუშა ჰყავდა, რომლისთვისაც გასამრჯელო უნდა. გადაეხადა, რომ ყველა მათგანის სახეზე ცნობა არ შეეძლო. ამიტომ სხვადასხვა ხარისხის ანუ კლასის მუშებს ხირამმა თითქოსდა განსაკუთრებული ნიშანი და სიტყვა დაუწესა, რომლითაც მას უფრო ადვილად შეეძლო მათი გამორჩევა, რათა დიფერენციალურად გადაეხდა მათთვის ხელფასი. საიდუმლო სიტყვები და ნიშნები შემ-

დგომ მასონებმა შემოიღეს (160.71). (გავიხსენოთ „აკტი გონიურში" დაწესებული საიდუმლო ნიშანი — მარცხენა ნეკის ფრჩხილით შუბლის მოფხანა) ლეგენდა სოლომონის ტაძრის მშენებლობის შესახებ — მასონების ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. ბიბლიური სპილენძის ოსტატი ხირამი — მასონურ ლეგენდებში არქიტექტორად არის გამოყვანილი (183.290). და აი, სწორედ ამგვარ ვერსიას მივაკვლიეთ ფილადელფოსის ჩანაწერებში!

"უწყება ტაძრისათვის სოლომონისა

(3 მეფეთა 2.65) დაიდუა საფუძველი მისი მეშვიდესა თვესა, მეშვიდესა დღესა დღესასწაულობისათვის საფუძვლის დადებისა. მას დღესა შეიწირა და დაიკლა დეკეული ოცდა ორი ათასი, ცხვარი ასოციათასი (22 000, 120 000)

(2 მეფეთა 11.18) მუშაკნი იყვნენ ასოთხმოციათასნი (180 000) ზედამხედველნი და მოლუაწენი მუშაკთანი სამიათას ექვსასნი (3600).

(საღმთო ისტორია — პერეოდი) პირველი ოქროსა წმინდისა მასალა მოხმარდა თვინიერ მუშაკთა სასყიდლისა სამიათასი სიკლა რომელიცა ქართულად გინა რუსულად იქმს ხუთ მილიონს ფუნტს ოქროს — (5 000 000) — ვერცხლის მასალა მოხმარდა რვაასი ათასი მილიონი (800 000 000) აწინდელი მონათის (გაურკვეველია — მ.ხ.) წონა. სპილენძის მასალა მოხმარდა ერთი მილიონი შვიდასი ათასი ფუნტი (1 00000 700000). ძვირფასნი ქუანი, ხენი, მარმარილო და რკინა სიმრავლისა გამო აღრიცხვად შეუძლებელ არს.

პირველი არხიტექტორი ოსტატი და ზედუმხედველი ხელოსანთა იყო ხირამ ებრაელი. აღსრულდა შენება ტაძრისა შვიდსა წელს და შვიდსა თვესა (პარადოქსოს 30) წინასწარმეტყველნი ტაძრისანი იყვნენ ნათან გაად და ასაფ. მგალობელნი იდითუმ, ეთამ და ემან". (32.3).

როგორც ვხედავთ, თხრობა ჯერ თითქოს ბიბლიას ეყრდნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ სოლომონმა ოცდაორი ათასი ხარი და ასოცი ათასი ცხვარი სამადლობელ მსხვერპლად შესწირა უფალს, შემდეგ ფილადელფოსს უსარგებლია მასონური ლიტერატურით (რუსულ ენაზე), რომლის მიხედვით ხირამი — არქიტექტორია, ხოლო დანარჩენი მომქმედი პირების სახელები სხვადასხვა ლეგენდებში სხვადასხვაა.

ასევე მასონური წარმოშობის უნდა იყოს ფიცი, რომელსაც „აკტი გონიური" შეიცავს, იგი ამგვარად იწყება: „თაყუანისვცემ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა და ვფუცავ სახელსა მისსა წინაშე ცისა და ქუეყანისა, წინაშე გონებისა ჩემისა, **წინაშე ძალთა, რაოდენი რა არს ცათა შინა და რაოდენი რა არს ქუეყანასა ზედა და რაოდენი** რა არს სიღრმეთა შინა" (4.571). მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა შეადგენენ ერთ არსსა და განუყოფელ სამებას, რომლის სახელის დაფიცება (გარდა იმისა,

რომ თვით დაფიცებაც ქრისტიანული თვალსაზრისით არ არის გამართლებული) აღარ საჭიროებს ისეთ მოწმეებს, როგორიცაა გონება თუ სხვადასხვა ძალები „რაოდენი რა არს ცათა შინა და რაოდენი რა არს ქვეყანასა ზედა და რაოდენი რა არს სიღრმეთა შინა". სწორედ ამ ძალების თაყვანისცემასა და მსახურებას კრძალავს ღვთის სულის მეორე მცნება, „აკტი გონიურის" ლოცვა კი მათ წმიდა სამების გვერდით აყენებს. განსაკუთრებით შეუთავსებელია სამებასთან ისეთი ძალების მოხსენიება, რომლებიც **„სიღრმეთა შინა"** იმყოფებიან. ეს ყოველივე მაგიას უფრო წააგავს, ვიდრე ქრისტიანულ ლოცვას. მაგია სცნობს სტიქიის სულებს ე.წ. ელემენტალებს. შავი მაგი ბოროტ ელემენტალებთან თანამშრომლობს, თეთრი მაგი კი კეთილ ელემენტალებთან. სტიქიის სულების გამოძახება ხდება ლოცვით, რომელიც ხშირად ღმერთის ან სამების ხსენებით იწყება. დოქტორი პაპუსი გადმოგვცემს უხილავი სამყაროს ზოგად თეორიას სათაურით: „სოლომონის საუბრები თავის შვილთან რობოამთან", სადაც მოცემულია „აღსარება", რომელსაც მაგი წარმოთქვამს: „ვაღიარებ ცისა და მიწის ხილულთა და უხილავთა ყოვლისშემძლე ღმერთს და მის ყველა წმინდა ანგელოზებს და ყველა არსებებს ზეცასა და მიწაზე, შენი წმინდა საკურთხevლის და შენი დიდებულების წინაშე" (159..247).

მაგია დიდად მიღებული იყო მასონების მიერ. ამით აიხსნება „აკტი გონიურის" ფიცში მაგიურ-მასონური ელემენტების არსებობა, რაც ფილადელფოსის ორიგინალურ საღვთისმეტყველო თხზულებებში არ გვხვდება. ჩვენ არ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ურყევი მეგობრობისა და ძმობის კავშირის შექმნის კიკნაძისეული იდეა — ორიგინალური იყო. როგორც მკვლევარი ნ.ლებედევი აღნიშნავს, იმ დროს საიდუმლო საზოგადოებების ეპიდემია მთელ ევროპას მოედო(157 .57).

თუ ერთი მხრივ ა. პიპინი საყოველთაოდ აღიარებულ აზრს გამოხატავს, რომ მასონობა გულისხმობდა ეროვნული გრძნობის „გაფართოებას"—გადაზრდას კოსმოპოლიტიზმსა და რელიგიურ ტოლერანტობაში, მეორე მხრივ ნ. ლებედევი ამტკიცებს, რომ საიდუმლო საზოგადოებების შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას უწყობდა ხელს; „ზოგიერთმა მათგანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავისი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იტალიაში არსებობდა „კარბონარიების" (მენახშირეების) საზოგადოება, საფრანგეთში იმავე სახის საიდუმლო საზოგადოება „კარბონიე". გერმანული „დიდების კავშირი" (ტუგენდბუნდ) შემდეგ რუსული „კეთილდღეობის კავშირის" ერთგვარ პირველსახედ იქცა. ყველა ამ საზოგადოების მიზანი ძირითადად ეროვნული განთავისუფლება იყო" (157 .57). **ჩვენი აზრით, ქართული საიდუმლო საზოგადოების პირველსახეც ევროპაში უნდა ვეძებოთ და არა დეკაბრისტულ ორგანიზაციაში.**

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფილადელფოსი ოქროპირის მეშვეობით მის-

ტიკურ ლიტერატურას ზერელედ მაინც გაეცნო. სხვათა შორის მისი თხზულების „იერემიას გოდების" დედანში ერთგან ნახსენებია „ბელფეგორი", რაც თ. კუკავას ვერ ამოუკითხავს და ამ სიტყვის ნაცვლად მრავალწერტილი დაუსვამს (126 .33). ბელფეგორი — დოქტორ პაპიუსის განმარტებით, ბოროტების სამყაროს შემადგენელი ერთ-ერთი ბოროტი ელემენტალია. „რომლისათვისცა არა შორს ხარ დღესასწაულთა შორის ბელფეგორისთა" — ამბობს ფილადელფოს კიკნაძე.

ზემოთ თქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფ. კიკნძისათვის მასონობის შესახებ ზოგი რამ ცნობილი იყო, მაგრამ თავად მასონი არ ყოფილა. თავისი „აკტი გონიურის" შედგენისას მან მასონური წყაროებიც გამოიყენა, მაგრამ მასონურ იდეოლოგიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია შეთქმულებაზე. მასონური გავლენა ფარული საზოგადოების მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეს ეტყობა, მაგრამ ესეც კი გაუცნობიერებელი იყო შეთქმულების წევრების მიერ, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე იდგნენ და შორს იყვნენ მასონობისაგან.

§ 2. "ბოდებანი იერემიასი. ძისა ენეისნი - სილვათათვის მდგომარეობასა იერიისასა ანინდელსა ზედა"

„აკტი გონიურის" გარდა, ფ. კიკნაძის ორმა თხზულებამ მიიქცია საგამომძიებლო კომისიის ყურადღება. ფილადელფოსმა განმარტა, რომ პორფირი ბერმა აიძულა იგი დაეწერა ისეთი თხზულებები, რომლებშიც ნაჩვენები იქნებოდა საქართველოს დაცემა: „მაიძულა ბევრჯელ და შევთხზე დაცემისათვის საქართველოისა ალლიღორიებ პოემა ტრაღედიური, არა თუ აწინდელისათვის მდგომარეობისა არამედ დროისათვის ოდეს მურვან ყრუმან სპარსეთისამან სრულებით მოაოხრა იგი"(4.550). ამ სიტყვებზე დაყრდნობით, თ. კუკავა ფიქრობს, რომ ეს პოემა „ეხებოდა მურვან ყრუს შემოსევას საქართველოში... ფილადელფოსი ამ პოემას უწოდებს „ალლიღორიას", რაც იმას ნიშნავს, რომ მურვან ყრუში და მის მიერ საქართველოს აოხრებაში სამშობლოს თანამედროვე მდგომარეობას გულისხმობს" (128. 13). მკვლევარი გამოთქვამს სინანულს პოემის დაკარგვის გამო: „სამწუხაროდ, ამ პოემამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ის დაიკარგა პირველი დაპატიმრების ან მეორე დაპატიმრებისას ჩხრეკის დროს. შესაძლებელია, თვით ფილადელფოსმა მოსპო ის კონსპირაციის მიზნით, რათა პოლიციისათვის დაემალა თავისი პატრიოტული პოლიტიკური თვალსაზრისი, რაც საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლებას გულისხმობდა. ამ პოემის დაკარგვა დიდი დანაკლისია" (128 .27).

ჩვენ ვსვამთ შემდეგ კითხვებს: თუ პოემა ჩხრეკის დროს დაიკარგა და საგამომძიებ-

ლო კომისიამდე ვერ მიაღწია, მაშინ რა აიძულებდა ფილადელფოსს, რომ მისი არსებობა გაემეღავნებინა? (მით უმეტეს, თუ მან პოემა თვითონ მოსპო კონსპირაციის მიზნით). თუ პოემა მურვან ყრუს ეხებოდა, მაშინ ფილადელფოსი თავის ჩვენებაში რატომ უწოდებდა მას ალეგორიულს? ამგვარი განსაზღვრით ის ხომ კომისიას მიახვედრებდა, რომ მურვან ყრუს მიერ საქართველოს აოხრებაში — რუსეთის მიერ თავისი სამშობლოს დაპყრობას გულისხმობდა?

თავის ჩვენებაში ფ. კიკნაძე ცდილობს კომისია დარწმუნოს, რომ მისი 40 მუხლისაგან შემდგარი პოემა მურვან ყრუს შემოსევას შეეხება და არა ახლანდელ დროს. მისივე სხვა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ლაპარაკია „იერემიას გოდებაზე", რომელსაც ის „ორმოც მუხლოვანს" უწოდებს (5.924), მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება 38 მუხლისაგან შედგება. ახლა გასაგები ხდება, რომ ფილადელფოსმა კონსპირაციის მიზნით განაცხადა, თითქოს პოემა ალეგორიულად მურვან ყრუს შემოსევას გულისხმობდა. მაგრამ ცხადია კომისია ამას არ დაიჯერებდა, რადგან პოემის სათაურშივე იყო განცხადებული, რომ იერემია გოდებდა „ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა აწინდელსა ზედა". ფ. კიკნაძე თავს იმართლებდა: „ხოლო აწინდელისათვის მდგომარეობის იყო მადლობა როსიულისა მფარველობისა და ყვედრება ქართველთ საზოგადოებისა რომელ მათ არ უწყიან გრძნობა ამისი, არამედ მხოლოდ ეძიებენ გემოთ მოყვარებასა, ესე იყო ორმოცი მუხლი, და ოდეს მივეც მას (პორფირი ბერს — მ.ხ.) შავი და წარიკითხა გადმომიგდო და მითხრა მოშალეო ქება როსიისა მთავრობისაო, მე იგი არ მოვშალე და დაშთა შავი ესევ ჩემთან რომელიც ურევია უთოთ იმ ქაღალდებში რომელიც ახლა ჩემის სენაკიდამ აკრიფეს" (4.550). თ. კუკავას ეს სიტყვებიც არასწორად გაუგია და ფიქრობს, რომ მურვან ყრუს შესახებ პოემა ფილადელფოსის „სენაკიდან წაღებულ ქაღალდებში აერიათ, მაგრამ შესაძლებელია, პოემა მან თვითვე მოსპო კონსპირაციის მიზნით" (128. 13). რუსეთის ქების ფაქტს მკვლევარი საერთოდ არ ახსენებს, არადა განსახილველი პოემის სირთულე სწორედ იმ წინააღმდეგობებშია, რომელსაც ის შეიცავს. მისი ორი პარაგრაფი თვალის ასახვევად რუსეთის ქებას ეძღვნება, გარდა ამისა ფ. კიკნაძის ქაღალდებში მივაკვლიეთ უსათაურო ტექსტს, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ძნელბედობა, ვიდრე რუსეთთან შეერთებამდე: შემდეგ „გამოჩნდა ბრძენი, გამოჩნდა სახიერი ძლიერი მეფე. ძლიერი განმგებელი სხვა მაკედონელი სხვა დიდი ალექსანდრე..." (42.20). იმპერატორი დიდი ქება-დიდებით არის მოხსენიებული, შესაძლებელია, რომ ფილადელფოსი თავის ჩვენებაში ცდილობდა სწორედ ეს ტექსტი გამოეცხადებინა პოემის დასასრულად, რის გამოც 38 მუხლის ნაცვლად 40 მუხლს ასახელებდა. ჩვენებაში ფილადელფოსი ამბობს, რომ პორფირი ბერის გავლენით მცირე შეცდომა დაუშვა:„ მომეცა შეცთომა რომელ მცირედი რაიმე გაკვრით მოხსენიებულ იყო ყოფნისათვის რუსთა, არა უშესაბამოდ არცა გონებით ვითარცა თვით ამტკი-

ცებს დასასრულსა შინა მადლობა ამას მთავრობისა და მადლობა ღვთისა, რომ მოწყალებითა რუსთა კვალად არს ჟამი მოხედვისა და ჟამი სუფევისა ჩუენისა და ვცხოვრობთ ისევ ქრისტიანობასა შინა, ძლეული ვნებათაგან შევსცთი ამას ზედა შინა და მხოლოდ ოდენ გრძნობა ჩემი ამას იპყრობს თვისა შორის მტანჯველობითსა სინდისსა"(5.924).

ჩვენი აზრით, რუსეთის ქება ფილადელფოსმა მხოლოდ იმ მიზნით ჩართო პოემაში, რომ თავისთვის ერთგვარი ალიბი შეექმნა. მთელი ნაწარმოები გამოხატავს ქართველი პატრიოტის უდიდეს მწუხარებასა და გლოვას საქართველოს გაპარტახების გამო, რაც ალეგორიულად დამოუკიდებლობის დაკარგვას გულისხმობს. ფილადელფოსი ნათლად მიუთითებს, თუ საიდან მოდის ყოველი უბედურება: „ყოველნივე მიიტაცა ქარმან ბნელისა პოლუსისმაან" (5.737). თხზულების წინააღმეგობრივი ხასიათი კომისიას არ გამოპარვია, დასკვნაში ვკითხულობთ: „ეს თხზულება ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მავნედ, განსაკუთრებით ამაღელვებლად, თუმცა მასშიაც ადგილ-ადგილ (§ 29 და 35) პირდაპირ მოცემულია ქება რუსეთისა, მაგრამ თხზულებაში საერთოდ ძნელია რაიმე გარკვეული მიზნის გამოყოფა, რომელიც თითქოს თვით ავტორსაც ეცვლებოდა. უფრო შესაჩნევია საქართველოს საყვედური უკანონობის გამო... და ჩივილი მისი ძველი თვითმყოფადი არსებობის შეცვლის გამო" (20.412-413).

თ. კუკავა მართალია წინააღმდეგობებს არ ეხება, მაგრამ მაინც სწორად ხსნის ნაწარმოების მიზანდასახულობას: „როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ივერიის მდგომარეობის წარმოსახვას.

ავტორი იერემიას პირით გლოვობს ივერიის დაცემას, მის განადგურებას გარეშე დამპყრობთაგან. ფილადელფოსი წარმოგვიდგება უდიდეს პატრიოტად, რომელიც მწვავედ განიცდის საქართველოს სავალალო მდგომარეობას, მდიდარი მხატვრული და პოეტური საღებავებით აღწერს იმ დიდ განსაცდელს, რომელიც კარს მოსდგომია ივერიას. ამიტომ ცდილობს აღაგზნოს ივერნი სამშობლოს დასახსნელად ბრძოლისათვის, განაწყოს ისინი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, თავგანწირვისათვის..." (128 .20). მიუხედავად იმისა, რომ თ. კუკავა სწორად გადმოგვცემს ფ. კიკნაძის მიერ აღწერილ ივერიის უბედურებას, ის მაინც არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს პოემის დასასრულს. ფილადელფოსი გამოსავალს იმაში ნახულობს, რომ მთელმა ერმა ხელაპყრობით შესთხოვოს უფალს გადარჩენა:

„აღსდეგით, ძენო ნათესავთა ჩვენთანო ღამესა შინა და იჭვრიტეთ მინუტთა ჭეშმე განთიადისა თქუენისათა, განფინეთ, ვითარცა წყალი, გულნი თქუენნი წინაშე მაღლისა, აღიპყრენით მისდამი ხელნი თქუენნი სულთათვის, ჩჩვილთათვის, ყრმათა თქვენთასა, რათამცა იხილოს უფალმან და ზედ მოიხილოს თქუენ ზედა!" (5.739 ა).

თ. კუკავა თავის გამოკვლევაში ამ ციტატას შეცვლილი სახით იმოწმებს, რის გამოც ლოცვისაკენ მოწოდება სრულიად იკარგება: „აღსდეგით ძენო ნათესავთა ჩვენ თანა...

განფინეთ ხელნი თქუენნი სულთათვის, ჩვილთათვის, ყრმათა თქვენთასა, რათამცა იხილოს უფალმან და ზედ მოიხილოს თქუენზედა„ (128.22). როგორც ვხედავთ, თ. კუკავამ საჭირო ფრაზის მრავალწერტილით შეცვლით და სიტყვათა გადაადგილებით ფილადელფოსის მოწოდებას სხვა შინაარსი შესძინა. ისე გამოდის, თითქოს ფილადელფოსი ივერიელებს პირდაპირ მოუწოდებს: აღსდექით და იბრძოლეთო! რასაკვირველია, ფილადელფოსის მიზანი სწორედ ეს იყო, მაგრამ ის არასოდეს პირდაპირ არ იტყოდა სათქმელს და არც პროკლამაციას დაწერდა. ეს მისი სტილი არ იყო. ფილადელფოსი ყოველთვის იტოვებდა უკან დასახევ გზას. ისეთ მგზნებარე პატრიოტულ პოემაშიც კი, როგორიცაა „იერემიას გოდება" მან იმგვარი სტრიქონები შეიტანა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში თავის მართლების საშუალებას მისცემდა.

თ. კუკავას მიერ კიკნაძისეული ტექსტის დამახინჯებულმა ციტირებამ სხვა ავტორებიც შეცდომაში შეიყვანა. მათ იცოდნენ, რომ ფილადელფოსი — იერემია თავის თავს ბიბლიურ წინასწარმეტყველთან აიგივებდა, (რომელიც მორჩილებას ქადაგებდა), ამიტომ გაუკვირდათ მისგან ამგვარი საბრძოლო მოწოდების მოსმენა და ამ შეუსაბამობის ახსნის ძიება დაიწყეს. „მაგრამ იერემიას რომ სულ სხვა ანდერძი დაეტოვებინა?" — საკუთრებით სწორად შენიშნავს რ. ჩხეიძე, რომელიც ერთმანეთს ადარებს იერემია წინასწარმეტყველისა და იერემია-ფილადელფოსის მოწოდებებს: „ეამს დაველოდოთო: იერემია წინასწარმატყველი. აღსდეგით ძენო ნათესავთა ჩუენ თანაო: მისი სახელით ფილადელფოს კიკნაძე". რ. ჩხეიძე ამ საკითხის ორიგინალურ გადაწყვეტას გვთავაზობს: „ ფილადელფოსის წარმოსახვაში გამთლიანდა ესაია და იერემია და ანდერძი თუ ესაიასი აღიარა, სახელი და რელიგიურ-პოეტური ექსპრესია იერემიასი აირჩია" (141.45).

ჩვენი აზრით, ფილადელფოსის თხზულება მთლიანად ბიბლიისეული „იერემიას გოდების" მოდელის მიხედვით არის შექმნილი. დავიწყოთ მისი ფორმით. თ. კუკავა წერს: „ეს ნაშრომი ერთგვარი თეთრი ლექსია, დანაწევრებული სტროფებად, რომლთაგან თითოეული შეესაბამება თანამიმდევრულად ქართული ანბანის რომლიმე ასოს. ნაშრომში შეიგრძნობა შინაგანი რიტმი და დიდი ემოციური დატვირთულობა" (128.20). ჩვენ საკუთრებით ვეთანხმებით, მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებულ თხზულებაში სტროფები დანომრილია არაბული ციფრებით, ამიტომ გაუგებარი ხდება მათი მიმართება ქართულ ანბანთან. აუცილებლად ვთვლით შემდეგ განმარტებას: დედანში სტროფები დანომრილია ქართული ასოებით. გამოყენებულია არა ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა, არმედ ასოთა თანამიმდევრობა. ასე მაგალითად, თუ ასო „ლ"-ს რიცხვითი მნიშვნელობაა — 30, თანამიმდევრობით ის შეესაბამება მე-12 სტროფს დ ა.შ. ამ საკითხზე ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ იგი გვიჩვენებს ფილადელფოსის თხზულების გარეგნულ მსგავსებაზე ბიბლიურ „გოდებსთან", რომლის 5 ელეგიიდან თითოულში შედის 22 ლექსი ებრაული ანბანის ასოთა რაოდენობის მიხედვით (1,80.411-412).

პირველი ოთხი ელეგია აგებულია ანბანურ აკროსტიხზე, ხოლო V ელეგია არ არის შეზღუდული ანბანური აკროსტიხით, თუმცა ისიც 22 ლექსისაგან შედგება. სწორედ V ელეგიის ფორმა გამოიყენა ფილადელფოსმა და თავისი „ორმოცმუხლოვანი" პოემის სტროფების რიცხვი ქართული ანბანის ასოთა რიცხვს დაამთხვია, რომელიც გრამატიკის სხვადასხვა სახელმძღვანელოების მიხედვით 38-დან 40-მდე მერყეობდა.

ბიბლიის ებრაულ ხელნაწერ და ნაბეჭდ გამოცემებში იერემიას გოდების წიგნს ეწოდება — „როგორ!" იმ სიტყვის მიხედვით, რომლითაც იწყება მისი პირველი ელეგია (178.153) — როგორი დაცარიელებულია ოდესღაც ხალხმრავალი იერუსალიმიო — ჰგოდებს იერემია. „ვითარიმე არს მდგომარეობა შენი, ქალაქო მცხეთისაო?" — ასე იწყებს თავის გოდებას იერემია-ფილადელფოსი. იერემია წინასწარმეტყველი ხან თავისი სახელით გოდებს, ხან იერუსალიმის სახელით. ზუსტად ასევე, ქართველი იერემია ხან თავისი ქვეყნის ბედს დასტირის, ხან მცხეთისა თუ ივერიის სათქმელს ამბობს.

ახლა რაც შეეხება შინაარსობრივ მსგავსებას. იერემია წინასწარმეტყველის გოდების მიზეზია ეროვნული უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ებრაელ ხალხს, ისინი სხვის მეხარკედ გადაქცეულან. სავალალოა დედაქალაქის მდგომარეობა, იერუსალიმი წარმოდგენილია ყველასაგან მიტოვებული ქვრივის სახით. დამწუხრებულან მისი ქალწულნი. იუდეაც დაცარიელდა, მცხოვრებნი გადასახლდნენ სხვა ქვეყნებში, ცრუ მეგობრებმა და მოკავშირეებმა უმტყუნეს იერუსალიმს და ახლა ხარობენ მის თავზე დატეხილი უბედურებით. ციხესიმაგრეები და სასახლეები ნანგრევებად არის ქცეული, ღვთის სახლში მტრები ხმაურობენ, ჭუჩებში დახოცილი ყმაწვილები და მოხუცები წვანან, მეფე და კარისკაცები ტყვეობაში იმყოფებიან. საკურთხეველი და სალოცავი მიტოვებულია ღმერთისგან, ქალაქში შიმშილი მძვინვარებს, მატერიალურ გაჩანაგებას ხალხის სულიერი გაღარიბებაც ერთვის. იგივე სურათია აღწერილი ფილადელფოსის მიერ იერემიას პირით: სავალალოა მცხეთის, თბილისის, გრემის და მთლიანად ივერიის მდგომარეობა. ავტორი ასე მიმართავს მცხეთას: „განისვენა მტერმან შენმან ხილვასა ზედა შენსა... ხოლო უკანასკნელ მეგობართა გისწვიეს შენ დაქცევასა შინა ზღუდეთასა. განცრუვნა სიქადული მამულისა შინა ივერიისასა" (5.737). მცხეთის დიდებული ტაძარი, ღამურათა ბუდედ შეირაცხა და საკურთხეველზე ხავსი აღმოცენდა. „რასა ნუგეშინის ცემასა აღმითქუამ მე, ვახტანგისა ქალაქო" — ეკითხება იერემია-ფილადელფოსი თბილისს. „ბევედრებით თქვენ, ძენო მამულისანო, მაუწყოთ მე, სადა იყოფით, ანუ თავი საზოგადოება სატახტოს ქალაქისა თქუენისას, რომლისა უბანსა შინა დამკვიდრებულ არს სურვილი ხილვისა მათისა... ვერ ვპოვე მუნ საზოგადოება ვახტანგისა ქალაქისა. ყოველნი ძენი ადამისნი მავალნი და მცხოვრებნი მის შორის, არიან განყოფილნი ურთიერთ არს, სამოსელსა შინა, ენასა, სჯულისა, პოლიტიკისა, სახესა მამულისა და სარწმუნოებასა. ტფილისი შედგმულ არს ესრევითარითა რიცხვითა, გარნა მაუწყე მე, დიდო

მზეო, სად არის საკუთრება ივერიელთა?"

რა არის ესოდენ დიდი უბედურების მიზეზი? იერემია წინასწარმეტყველის მტკიცებით ხალხს საკუთარი ცოდვების გამო დაატყდა თავს ღვთის რისხვა. ღმერთმა მტრების ხელში ჩააგდო ცოდვილი ერი. გარეშე დამპყრობლები მხოლოდ იარაღს წარმოადგენენ, რომლის შეშველობით უფალს თავისი განაჩენი სისრულეში მოჰყავს. ანალოგიურად წარმოუდგენია ქართველთა უბედურების მიზეზი იბერიელ იერემიას. (ფილადელფოს კიკნაძის გმირს არაფერი აქვს საერთო ისტორიულ პიროვნებასთან — იერემია იბერიელთან, რომელიც V ს-ში იბერიის ეპისკოპოსი ყოფილა. იხ. 165.189). **„ჰოი მე, რაადენ გზის ინება უფალმან შეკრება შვილთა შენთა და შენ არ ინებე. ამისთვისაცა უკანასკნელ მოგძარცვნა ღობენი შენნი და იქმენ დასათრგუნველ უცხოთა"ეს არის ქართველთა უმთავრესი ცოდვა.** იერემია წინასწარმეტყველი ამბობს, რომ ხალხის ცოდვამ, როგორც ჩანს სოდომის ცოდვას გადაამეტა რადგან ეს ქალაქი ერთ წამში დაიღუპა, მაშინ როდესაც ებრაელების ტანჯვა ხანგრძლივია. „გისწავიეს შენ მხოლოდ ჭამა მარხვისა და გულისთქმა ვნებული არა უდარეს სოდომისა..." — ეუბნება თავის ერს იერემია-ფილადელფოსი, მაგრამ არც ერთ იერემიას არ ემეტება თავისი ხალხი სასჯელისათვის. იერემია წინასწარმეტყველი ხსნას უფალს შესთხოვს: „შენსკენ მოგვაქციე, უფალო და მოვიქცევით; განგვიახლე დღეები, როგორც ძველად იყო.

ნუთუ საბოლოოდ შეგვიძულე და უზომოდ გაჯავრდი ჩვენზე?" (იერემიას გოდება 5.21,22).

იერემია-ფილადელფოსიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსაცალს იმაში ხედავს, რომ მთელი ერი გაერთიანდეს და აღავლინოს ლოცვა „რათამცა იხილოს უფალმან და ზედ მოიხილოს თქუენ ზედა!" (5.739).

როგორც ვხედავთ, ფილადელფოსის იერემია პირდაპირ არ მოუწოდებს ხალხს ბრძოლისაკენ, მიუხედავად ამისა თვით ეს ფაქტი, რომ ის საქართველოს „აწინდელ" მდგომარეობას დასტირის — უდიდესი პროტესტის გამომხატველი და საზოგადოების გამომაფხიზლებელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ცნობილია, ორივე იერემია ტრაგიკულად აღესრულა. ბიბლიური წინასწარმეტყველების ტრაგიკული აღსასრული ერთგვარ კანონზომიერებად იყო ქცეული, რამაც თავის მხრივ დაამკვიდრა აზრი, რომ წინასწარმეტყველთა სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა მთელი მათი წინასწარმეტყველების საქმით დაგვირგვინება. ასეთი ხვედრი ერგო იერემია წინასწარმეტყველსაც და თავად ფილადელფოსსაც, რომელიც თავისი ქვეყნის გათავისუფლებას შეეწირა.

§3. "სიყვარული მამულისა"

ფ. კიკნაძეს ნათალიშვილისათვის უთქვამს, რომ მრავალი თხზულება ჰქონია დაწერილი, მაგრამ დაპატიმრების შიშით გაუნადგურებია და მხოლოდ ისეთები დაუტოვებია, რომლებშიც „გამოცხადებით არა ეწერა რა" (15.3690). მისი ვარაუდით, სულ რომ არაფერი დაეტოვებინა, მაშინ პოლიციას მეტი დაეჭვების მიზეზი ექნებოდა.

„სიყვარული მამულისა" სწორედ ისეთი თხზულებაა, რომელშიც მთავრობის საწინააღმდეგო „გამოცხადებით" ანუ ნათლად არაფერი სწერია. ფილადელფოსი კომისიის წინაშე თავს იმართლებდა: „უკეთუ სიყვარულისა მამულისა ნაწერი თუმცაღა იგი მხოლოდ არის მომზადება და შემოკრება ნივთთა, თვინიერ სისტემისა, თვინიერ დაწყობილებისა, მაგრამ მათ შინა უსაკუთრესი საგანი ჩემი იყო სრული განღვიძება სიყვარულისადმი რუსთასა. ჩვენება ბედნიერებისა შეერთებისა გამო საქართუელოსა როსიისადმი" (5.924).

თავისი თხზულების წინასიტყვაობაში ფილადელფოსი აღნიშნავს, რომ წიგნების უმეტესი ნაწილი გასართობად იწერება, მაშინ როდესაც აუცილებლია ახალგაზრდობას ვასწავლოთ მამულის სიყვარული. შემდეგ იგი იძლევა მამულის ცნების განმარტებას: „...მამულად ჩუენდა იწოდების ვითა ადგილი, რომელსა შინა გვშვეს ჩუენ მშობელთა ჩუენთა, ეგრეთვე ერი, რომელთა შორისცა მშობელთა ჩუენთა მოგვანიჭეს წილ ხდომილებაი..." ფილადელფოსის აზრით, მხოლოდ ეს არ არის მამული: „კუალად მამული, ვითარცა არა ნიშნავს მხოლოდ ადგილსა მას მამეულსა ჩუენსა, არამედ ერსაცა მამეულსა საზოგადოებაისა, ეგრეთუე მამეულისასა სჯულსა და წესსა, რომელსაც შინაცა მშობელთა ჩუენთა დაგვიდგინეს ჩვენ სჯულისაებრ მემკვიდრეობისა და თვით მისაგებელთა მას შინა დაგვიტოვეს ჩვენ იგივე თვისებაი, რომლისადმიცა მებრითვე მემამულეობითითა სიყვარულითა შეკრულ ვართ მას შინა..." (5.749).

ფ. კიკნაძე ვრცლად მსჯელობს იმაზე, რომ სამშობლოს სიყვარული ბუნებრივი გრძნობაა, რომელიც უანგარო უნდა იყოს, ამავე დროს მამულზე ზრუნვა ადამიანის პირად ინტერესებშიც შედის. მამულზე მზრუნველთა შორის პირველ ადგილზე დგას მეფე, ხოლო უმეფობა ყოველივე უბედურების სათავეა. „ჩვენ საკმაოდ მიგვიღიეს გამოცდილება ანთროპიკებრთა აღრეულობათა შინა და უპატიოსნესთა რესპუბლიკათა საუბედუროთა კვალთა ზედა" (5.757). ფ. კიკნაძე რესპუბლიკელობის წინააღმდეგი იყო.

ჩვენ ახლა მთელი თხზულების შინაარსს არ გადმოვცემთ, შევჩერდებით მხოლოდ იმ გამონათქვამებზე, რომლებშიც ეროვნული თუ ანტიეროვნული პოზიცია გამოიკვეთება.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ფილადელფოსი მამულის სიყვარულს ზოგადად ქადაგებს, და არ აკონკრეტებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძო-

ლას. ფილადელფოსი ამგვარად აყალიბებს თავის აზრს: სამყარო დაყოფილია ოთხ-უმთავრეს ნაწილად და შემდგომ იმპერიებად „იმპერიანი სამფლობელოდ, სამფლობელონი სოფლებად, სოფელნი სახლებად და სახლნი თითოეულ გვამებად და ვითარცა ბუნებითად დადებულ არს კაცისა შორის ... რათა ყოველი მეცადინეობდეს დაცვად თავისა თვისისა და კეთილდღეობისათვის თვისისა, ვიდრეღა კეთილდღეობისათვის სხვისა, გარნა არა დაკლებითა სხვისათა ... მაშასადამე, თითოეული სახლიცა ბუნებითად მქონე არს მოვალეობისა მეცადინეობად განმრავლებასა თვისისა სრულებისასა და არა დაკლებითა სხვისა სახლისათა, ეგრეთვე თითოეული სოფელი ბუნებითად მოვალე არს შემტკიცებად თავსა შორის თვისსა უმეტესისა მეცადინეობისა განმრავლებად თავისა თვისისა სრულებისა, გარნა არა მოსპობითა მეორისათა. მაშასადამე, თითოეული იმპერიაცა ბუნებითად იპყრობს თვის შორის უმეტეს მეცადინეობასა აღყვავებისათვის თავისა თვისისა და ელვარებისათვის, ვიდრეღა სხვისათვის, გარნა ბუნებითადუე არა მოვალე არს დამდაბლებად სხვისა და ზედა დაცემად“ (5.747).

თ. კუკავა, რომელიც საფუძვლიანად გადმოგვცემს თხზულების შინაარსს, გარკვეულ ტენდენციურობას იჩენს, როდესაც იმპერიას ეხება: იმ მიზნით, რომ უფრო თვალსაჩინო გახადოს ფილადელფოსის პატრიოტიზმი, თ. კუკავა ზემომოყვანილი ციტატის აზრს ცვლის: „ფილადელოსი ეხება იმპერიის საკითხს და ადარებს იმპერიის მიმართებას დაქვემდებარებული სახელმწიფოებისადმი ცალკეული პიროვნებების ერთმანეთისადმი მიმართებას“ (128 .19).

როგორც ვნახეთ, ფილადელფოსი ლაპარაკობს იმპერიის მიმართებაზე სხვა იმპერიებთან და არა დაქვემდებარებულ სახელმწიფოებთან. შესაძლებელია, რომ გულში ის სწორედ იმას ფიქრობს, რასაც მას თ. კუკავა მიაწერს, მაგრამ სიტყვიერად კი, ალბათ, კონსპირაციის მიზნით სხვას ამბობს: „აჰა მიზეზი, თუ რაოდენ ბედნიერ არს მთავრობა იგი, რომელსაცა შეუერთებიეს თავი თვისი დიდსა შინა და ძლიერსა იმპერიასა. ესევითარი მცირეი მამულის მქონე არს თანასწორისა სარგებლობისა დიდისა იმპერიისა თანა. დიდი ვერარაიმესა ისარგებლებს მცირისაგან — მაგალითისაებრ ვაჭართასა რომელთაცა დასდვან ერთსა თანასწორსა სარგებლობასა შინა ერთმან ასი და ერთმან ათი წონა ვერცხლისა, რა საკვირველია, რომელ დამდები მცირისა უმეტეს სარგებლობს ესე ვითარსა შეერთებულებასა შინა, ვიდრე დამდები მრავლისა მცირისაგან ნაწილისა.

შეერთებულებასა შინა ერთისა ყოვლისა კაცისასა, რომელი უდიდეს სარგებლობს ერთი უკანასკნელი ნეკი ფეხისა თვით მის ყოვლისაგან, რომლისა თანცა შეერთებულ არს, ანუ თუ ყოველი იგი ნეკისაგან მცირეისა“ (5.755). ე.ი. საქართველო მეტ სარგებლობას ნახულობს რუსეთისგან, ვიდრე რუსეთი საქართველოსაგან. ხოლო ქვეყნის წარმართვა ყველაზე უკეთ მეფეს ძალუძს: „რაი უწოდით ჩვენ სხვაი მეფესა მხოლოდ მამისა, რომელ იგი არს უერთგულესი კეთილისმყოფელი ყოვლისა მამულისა ჩუენისა თი-

თოეულთა". (5.755)

თ. ჯუკავა სრულიად არ ეხება იმპერიისაგან მიღებული სარგებლობის შესახებ ფილადელფოსის მსჯელობას და მის მონარქისტულ პოზიციაზე გადააქვს ყურადღება: „ფილადელფოსი ამ შემთხვევაში სავსებით სწორ პოზიციაზე იდგა. მისი მიზანი იყო ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა და ამით საქართველოს გადარჩენა, მისი დახსნა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც ის აღმოჩნდა დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო. მას სურდა საქართველოს ყველა პროგრესული სასიცოცხლო ძალის მობილიზება და ჩართვა დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში" (128 .20). ამრიგად, მკვლევარი განსახილველ. თხზულებაში ვერავითარ წინააღმდეგობას.ვერ ამჩნევს და იგი თავიდან ბოლომდე პატრიოტიზმის გამოხატულებად მიაჩნია. მეორე უკიდურესობაში ვარდება გ. ხაჭაპურიძე, რომლის აზრით ფ. კიკნაძე გამოდის როგორც „ცარიზმის აშკარა აპოლოგეტი" (148'. 204). თხზულების არსს გაცილებით უფრო ღრმად ჩასწვდა საგამომძიებლო კომისია, რომლის მასალებში ნათქვამია, რომ „სიყვარული მამულისა" შეიცავს ტვინის საჭყლეტ მსჯელობებსა და ნაკლებად გასაგებ კონსტრუქციებს, მაგრამ დასასრულ ნათლად არის წარმოჩენილი მონარქიზმის და თვითმპყრობელობის მთელი სიკეთე, ისევე როგორც მთელი სარგებლობა, რომელიც საქართველომ ნახა რუსეთთან შეერთებით. მიუხედავად ამისა, კომისია მაინც არ შედის შეცდომაში და კარგად ხედავს, რომ ეს აზრები ნაკლებად შეესაბამება მათ წინამორბედ მე-16 და მე-17 პარაგრაფებს, რომლებშიც განცხადებულია სურვილი ვინმე ღირსეულის მონახვისა, ვისაც მიანდობენ მთელ მამულს და ძალაუფლებას, რათა იმეფოს არა მხოლოდ მამულსა და საზოგადოებაში, არამედ თითოეულის გულში, ხოლო კითხვაზე — ვინ არის, ვისაც ძალუძს ერთგული სიყვარული, გულმოდგინება და თავგანწირვა მამულისა და ხალხისათვის — გაცემულია პასუხი: ეს სხვა არავინ არის თუ არა მეფე (20.412) . კომისია ხაზს უსვამს, რომ ქართული სიტყვა „მეფე" აღნიშნავს საკუთრივ საქართველოს მეფეს, განსხვავებით სიტყვისაგან „ხელმწიფე", რომელიც ყოველთვის და თვით საეკლესიო ლოცვების დროს რუსეთის იმპერატორის აღმნიშვნელად იხმარებოდა. „ამგვარი წინააღმდეგობა იძლევა ეჭვის საბაბს, რომ ბოლო პარაგრაფები დაწერილი იყო შემდეგ. შესაძლოა, ამის გამო წარმოიქმნა ნუმერაციაში არსებული შეცდომები" (20.413) — ნათქვამია კომისიის დასკვნაში. ჩვენი მხრივ განვმარტავთ, რომ თხზულების დედანში მუხლების ნუმერაცია მართლაც არეულია: ასე მაგალითად, მეოცე პარაგრაფის შემდეგ მოდის §17, შემდეგ §18 და კვლავ სამჯერ მეორდება §19, რასაც ისევ მოსდევს §20.

ვფიქრობთ, კომისიის დასკვნა ახლოს არის სიმართლესთან. ფილადელფოსი თვითმპყრობელობას აქებს, მაგრამ მის სტრიქონებს შორის დაკვირვებული მკითხველი ამოიკითხავს ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის მოწოდებას.

§4. ფილადელფოს კიკნაძის ქადაგებები

ჩვენს მიერ მიკვლეული ფ. კიკნაძის ქადაგებები ცალკე შესწავლას იმსახურებს. ახლა ჩვენ მხოლოდ მიმოვიხილავთ მათ. დავიწყებთ ქადაგებიდან ქველმოქმედების შესახებ (36), რომელიც პირველ რიგში გამოვაქვეყნეთ (127), რადგან მიგვაჩნია, რომ ფილადელფოსის აღნიშნული ქადაგება შეიძლება დღეს ქველმოქმედების ერთგვარ სახელმძღვანელოდაც კი გამოდგეს.

ვის არ სმენია ქრისტეს შეგონება იმის შესახებ, რომ აქლემისთვის უფრო ადვილია ნემსის ყუნწში გავლა, ვიდრე მდიდრისთვის სამოთხეში მოხვედრა. „მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა" (მათე. 19.23). მდიდარ ჭაბუკს, რომელსაც სურდა გაეგო, თუ რა კეთილი საქმით შეიძლებოდა საუკუნო ცხოვრების მოპოვება, მაცხოვარმა უპასუხა: წადი, გაყიდე შენი მონაგები და გლახაკებს მიეცი „და გაჭუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოველ და შემომიდეგ მე" (მათე 19.21). სიმდიდრეზე უარის თქმა მიუღებელი აღმოჩნდა ჭაბუკისათვის „წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად".

ფილადელფოსი ცდილობს ჩააგონოს მდიდრებს, რომ მათ თავისი ქონების ნაწილი მაინც მოახმარონ კეთილ საქმეებს. ამიტომ მან მთელი საღვთო წერილიდან ამოკრიფა და თავი მოუყარა იმ გამონათქვამებსა და ნააზრევს, რომელიც დაეხმარება მდიდართ სასუფეველისკენ მიმავალი გზის პოვნაში. „მხოლოდ ყოვლითა გულს მოდგინებითა მხედვიდეს და მისმინოს მე" — ამბობს ფილადელფოსი. თავის ქადაგებაში, იგი აცხადებს, რომ ღმერთმა მთელი კაცობრიობა ორ ნაწილად დაჰყო: მდიდრებად და გლახაკებად. თუმცა მათი მდგომარეობა ხილული თვალით ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ღმერთს ნებავს, რათა მდიდარიც და ღარიბიც თავთავისი გზით მივიდეს საბოლოო მიზნამდე, „რომელ არს ცხოვრება საუკუნო". მდიდარი თავისი ქონების კეთილგანგებით, ხოლო გლახაკი სიგლახაკის მოთმინებით. უფალს ორივეს ცხონება ნებავს.

„აზრი სიმდიდრის მიმნიჭებლისა შენდა ღვთისა, მდგომარეობს იმას ზედა ჰოი კაცო, რათამცა იხმარო შენ იგი თავისა შენისათვის რაოდენაცა გესაჭიროების, ხოლო გარდამეტებულისაგან რათამცა განუყოფდე გლახაკთა", წინაშე ღვთისა არავინ არის ისე ძვირფასი, როგორც კაცი გლახაკი, რომელსაც უფალი ძმად მიიჩნევს, ამიტომ გამოუცხადებს ყოველთა, რომ რაოდენ მოწყალებას და კეთილმოქმედებას აჩვენებ გლახაკებს „იგი კეთილმოქმედება გიჩვენებიეს ღმერთსა ზედა, თვით იესოსადმი". ქონების უთანასწორო განაწილების მიზეზი ქადაგებაში ასეა ახსნილი: მეზობლები უწყლობით იტანჯებოდნენ, სიკვდილის პირზე იყვნენ მისული, მაგრამ ღმერთმა მოწყალება გამოიჩინა: აღმოაცენა წყარო მრავალწყლიანი, გრილი და კეთილი და მათი სიცოცხლე გადაარჩინა. ამასთან, უფალმა ეს წყარო მხოლოდ ერთის ეზოში აღმოაცენა „და არა

განყო მან იგი, რათა აღმოვიდოდეს, თუმცაღა წვეთი ერთი, გარნა ყოველსა ეზოსა შინა". ამიტომ წყაროს მფლობელი, რომელიც ესოდენ დიდი წყალობის ღირსი გახდა, ვალდებულია მეზობელსაც ასვას წყალი. ასევე ყოველი მდიდარი, რომელზედაც უფალმა უხვი მოწყალება აჩვენა, ვალდებულია მისცეს „რაოდენიმე ნაწილი მცირე სხვათაცა".

მამაზეციერმა მისცა თავის ორ შვილს „ტალანტი რავდენიმე ცხოვრებისადმი", მაგრამ ეს ტალანტნი მდიდარს ჩაუვარდნენ ხელში, რომელიც არაფერს უზიარებს ძმას. ღმერთს ნებავს ერთი წყაროსაგან „სმაი მრავალთაგან, ეგრეთვე სიმდიდრისაგან შენისა სარგებლობად მრავალთაგან".

ფილადელფოს კიკნაძე სხვადასხვა მაგალითებით შეაგონებს მდიდართ და აფრთხილებს მათ, რომ მდიდარნი დაგლახაკდებიან, მაგრამ „არა ყოველნი მდიდარნი", არამედ მხოლოდ ისინი, რომლებმაც არ იციან სიმდიდრის სწორად მოხმარება. მიეცით და მოგეცეს თქვენ საწყაული. ღმერთს ნებავს რათა კაცი შეწევნილი იქნეს კაცისაგან, ნებავს რათა გლახაკი იყოს საჭიროებასა და მწუხარებასა შინა, „ხოლო შენ, ჰოი მდიდარო, რათა შეეწიო მას". მდიდარს მიანიჭებს მოწყალების გვირგვინს, ხოლო გლახაკს მოთმინების გვირგვინს. და ბოლოს, რათა მდიდარმა იცოდეს ძალი მოწყალებისა, ფილადელფოსი გამოუცხადებს მას ქველმოქმედების ოთხ კანონს, რაც შემდგომში მდგომარეობს: უნდა განსაჯო მოწყალების გაღების ვითარება, ზომა, სახე და დრო.

ამ ოთხ კანონს ფილადელფოსი ცალ-ცალკე განიხილავს სათანადო მაგალითებით. ეს კანონი უნდა დაისწავლოს და შეასრულოს ადამიანმა, რომელსაც აინტერესებს, თუ რა გზით უნდა დაიმკვიდროს საუკუნო ცხოვრება.

ფილადელფოსს არც ღარიბები გამორჩენია მხედველობიდან, ის ყველას მოუწოდებს ქველმოქმედებისაკენ. გასაღები შეიძლება იყოს ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის ან უბრალო ხის. ვისაც როგორი გასაღები აქვს, იმით უნდა გახსნას სასუფეველი ცათა, ანუ ყოველმა ადამიანმა. თავისი შეძლებისდაგვარად უნდა გამოიჩინოს გულმოწყალება. „და ესრედ დაიმკვიდრებ შენ ცხოვრებასა საუკუნესა, უკვდავსა სიცოცხლესა სასუფეველსა შინა ცათასა ამინ".

ფილადელფოსი ყოველთვის ცდილობს, რომ გადარჩენის იმედი ჩაუსახოს ადამიანს და სიკეთისაკენ შემოაბრუნოს იგი. ამას ეძღვნება მისი ქადაგება ცოდვის შესახებ „ცოდვისათვის თუ ვითარი არს ცოდვა და ვითარ მსუბუქ არს კურნება ცოდვათაგან" (37.17). ფილადელფოსი ასე აყალიბებს ქადაგების შინაარსს: „წიგნი ესე შეიცავს: 1. რაი არს და ვითარი ბოროტი არს ცოდუა. 2. ვითარ ჯერ არს კურნება ცოდვათაგან. 4. რაი ჯერ არს ქმნად აღსარებისა შინა. 4. რაი ჯერ არს ქმნად შემდგომად აღსარების. 6. ოდეს ჯერ არს თქმად აღსარებათ" (17).

ფილადელფოსი ცოდვილთ სულიერი აღორძინებისაკენ მოუწოდებს: „მიეტევა მრუშება და კაცისკვლა თვით დავით მეფეს და წინასწარმეტყველსა, მიეტევა კერპთ მსა-

ხურება მანასეს, მიეტევა უსჯულება თავისი მეზვრესა, მიეტევა არაწმინდება თვისი მეძავსა, მიეტევა მრავალნი ქმნილნი უკეთურებანი რაზბოინიკსა და თვით ჯვარის მცემელთაცა ქრისტესათა მიეტევებოდათ სიკვდილი იესოსი უკეთუ მათ შეენანებინათ ჭეშმარიტითა გულითა და შენცა მოგეტევების ყოველი ცოდვა შენი, მხოლოდ რომელ მიდი შენ ჭეშმარიტთა აღსარებით სულიერისა მოძღვრისადმი. ნუ იწყებ კოჭლობას ამას შინა ნუცა იჭვნეულებასა არამედ წარვედ სწორედ და მსწრაფლად მოძღვრისადმი, ნუ იტყვი ვითარმედ ჯერეთ არა არს დრო აღსარებისა ვუტეო კვალად მცირედ დრონი..." (37. 8) ფილადელფოსი ბევრი საინტერესო მაგალითით აცოცხლებს თავის ქადაგებას.

იოანე ნათლისმცემლისადმი მიძღვნილი ქადაგება — „სიტყუა შობისათვის წმიდისა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა წინასწარმეტყველისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესა", თავისი პოეტურობით გამოირჩევა. იგი იოანესადმი აღვლენილი ლოცვით მთავრდება(41.4). ფილადელფოსის ქადაგებებისა და ლოცვების ჩვენამდე მოღწეული ნაკლული ტექსტებიდან ერთ-ერთი „წინათ განსაზღვრებისათ და წინათ ცნობისა ღვთისა" — ადამიანის თავისუფალ ნებას ეხება: „ღმერთმან დასაბამსა შექმნა კაცი თავისუფლად... დაუტევა მან იგი ნებასა ზედა თვისსა და თავისუფლებასა ზედა კაცობრიობითსა: არა ნებავს ქონებად არა რომელისამე ხელმწიფებისა თვით ღმერთსა. დაუტევა იგი ხელთა შინა ნებისათვისათა, ყოვლად ძლიერ არს ღმერთი ხელმწიფებასა შინა თვისსა და ყოვლად ძლიერ არს კაციც თავისუფლებასა შინა თვისსა, მხოლოდ ამით განყო" (42.13).

მარიამ ღვთისმშობელს ეძღვნება „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის", სადაც ღვთისმშობელი შედარებულია ევასთან. თუ ევა ღმერთის წყევლის მიზეზი გახდა, წმინდა მარიამს ესმის „კურთხევა უფლისა ვითარცა მიზეზსა კურთხევისასა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის" (42.6).ფილადელფოს ბერი ვედრებით მიმართავს მას: „და შენ კურთხეულო დედათა შორის მიხედე ვედრებასა მონათა შენთასა, მოხედე ერსა ამას შენსა რომელიცა პატივისათვის შობისა შენისა შემოკრებულ არიან, ერსა ძველსა ივერიისასა. ნუ დაივიწყებ სიყვარულსა შენსა ჩვენზედა ცოდვათათვის ჩვენთა" (42.6).

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მივაკვლიეთ ფილადელფოსის ქადაგებას „სწავლა სარწმუნოებისათვის" (90), რომელიც სერიოზული საღვთისმეტყველო ტრაქტატი აღმოჩნდა, ფილადელფოსი ამტკიცებს, რომ ყოველმა ქრისტიანმა უნდა „იცოდეს აღსარება სარწმუნოებისა თვისისა", მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა საცხონებლად „არამედ ჯერ არს საქმეცა". ტრაქტატს ლაიტმოტივად გასდევს ნათანაელ ისრაიტელის სიტყვები, რომლითაც მან ქრისტეს მიმართა: „რაბი, შენ ხარ ძე ღმერთისა, შენ ხარ მეუფე ისრაელისაო" (იოანე, 1.49). ფილადელფოსი განმარტავს, რომ "სიტყვა ესე რომელიცა წარმოითქუა პირისაგან ნათანაელისა იქმნა დოღმად ეკკლესიისა ჩუენისა, სი-

ტყუა ესე ითქუა სულისაგან წმინდისა პირითა ნათანაელისათა...“ ერთხელ ქრისტეს თავისი მოწაფეებისათვის უკითხავს: „რა სთქვან ჩემთვის რისა კაცისა ყოფად ვინა ვარ მე“. დღეს რომ უფალმა გვკითხოს — ჩემზე რას იტყვითო, ყველა როდი შესძლებს პასუხის გაცემას: „ვინ აღირჩევის აწ ჩუენითგან პასუხის მგებელად მაცხოვრისა“ — კითხულობს ფილადელფოსი. „ვაი ჩუენდა მაცხოვარო, სოფლისაო, კაცთა რა იციან ვინა ხან შენ, რომელნიმე გიწოდებენ შენ ილიად, რომელნიმე იერემიად, და სხუანი ერთად რომელიმე წინასწარმეტყველად და კუალადცა სხუანი სხუად... აჰა რასა იტყვიან კაცნი შენთვის ჰოი იესო, სიმონ მოგვი თავი მწუალებელთა შორის, მენანდროს, მარკიონა და ყოველი მანიქეველნი იტყვიან რომელ შენ არა შემოქმედი მათი სიტყუა ხარ და დაბადებულნი არა შენ მიერ შეიქმნეს...“ შემდგომ ფილადელფოსი მიმოიხილავს სხვადასხვა მწვალებლურ შეხედულებებს იესო ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ. აეტი, არიოსი და სხვანი ამბობენ, რომ ქრისტე არის შექმნილი და არა მამაღმერთის თანაარსი, „ანთროპომარფიტი აღიარებენ რომელ შენ ხარ ღმერთი, გარნა ესე ვითარი ღმერთი რომელი გაქუს შენ ნაკუეთი და სახე კაცობრივი... ნესტორი ამბობს რომელ მიღებისა გამო კაცობრივისა ბუნებისა, ვითარცა აქუსო ძესა ორი ბუნება ეგრეთუე აქვსო ორი გუამი, ევტიხი და დიოსკორე ამბობენ რომელ ვითარმედ აქვსო ძესა ერთი გუამი, ეგრეთუე და ბუნებაცა ერთი“. ჩამოთვლის რა სხვა მწვალებლურ დებულებებს, ფილადელფოსი მართლმადიდებლებს უსაყვედურებს, რომ მათ არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, რომელიც აუცილებელია ჭეშმარიტი მორწმუნესათვის: „ვინ არის ჩვენში რომელმანცა უწყოდეს აღსარება განხორციელებისა მისისა, ძალი წმინდისა სახარებისა მისისა, თავნი ღუთისმეტყველებისა მისისანი. წევრნი სარწმუნოებისა მისისანი, რათამცა პასუხ უგოს იესოს. ვინ არის პეტრე ანუ ნათანაელ ჩვენში, სჩანს რომელ არ ძალგიცს პასუხის გასაცემად. ესე არს უმწუერვალესი უბედურება ჩვენისა შორის საზოგადოებისა“. ფილადელფოსი იმასაც განმარტავს, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოებისა მხოლოდ აღიარება არ კმარა, რწმენას თან უნდა ახლდეს საქმეც. „იტყვის წმინდა ოქროპირი რათა არა ვგონებდეთო თუ სარწმუნოება ოდენ კმა არს ცხოვნებად ჩუენდა, იყუნენ ოდესმე ძველნი მწვალებელნი ნიკოლაელნი მოწაფენი სიმონ მოგვისანი რომელნი ასწავებდენ ვითარმედ სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა კმა არსო ცხოვნებად, გარნა რასა იტყვის წმინდა მოციქული ჩუენი პავლე „ვითარცა ხორცნი თვითნიერ სულისა მკუდარ არიან ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ სულისა მკუდარ არს“ (90.11). როგორც ვხედავთ, „სწავლა სარწმუნოებისათვის“ არავითარ მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს არ შეიცავს. მიუხედავად ამისა ეგზარქოსმა სასტიკად აუკრძალა ფილადელფოსს ამ ქადაგების წარმოთქმა. აკრძალვის ზუსტი მიზეზი ჩვენთვის უცნობია.გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქადაგებაში ფილადელფოსი ღმერთის ერთგან უწოდებს საღმრთო არქიტექტორს, რაც შეიძლება თეოლოგიური თვალსაზრისით საკამათო იყოს, მაგრამ ეგზარ-

ქოსი ამ საკითხს არ ეხება. ჩვენი აზრით, ეგზარქოსის ყურამდე მისული იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფილადელფოსი ხშირად სტოვებდა ხოლმე მონასტერს და ეამრავ უცხო ხალხს იღებდა თავისთან, რაც ეჭვქვეშ აყენებდა მის კეთილსაიმედობას. ეგზარქოსი არ ენდობოდა ფილადელფოსს და არ სურდა რომ მას საჯაროდ ქადაგების საშუალება მისცემოდა. შესაძლოა სწორედ ეს უნდობლობა იყო ეგზარქოსის განრისხებისა და უარის მიზეზი. ნიკიფორე არქიმანდრიტი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიკნაძის ქადაგებებს "სულთა განმანათლებელს" უწოდებდა.

§5. ფილადელფოს კიკნაძის გრამატიკული ნაშრომი

- საისტორიო არქივში მივაკვლიეთ ფილადელფოს კიკნაძის ნაშრომს, "ქართული ღრამმატიკა" (22), რომლის არსებობა დღემდე უცნობი იყო. პირველ რიგში უნდა გაგვერკვია შემდეგი საკითხი: მოცემული გრამატიკა ფილადელფოსის მიერ არის შედგენილი, თუ გადაწერილია რომელიმე სხვა ქართული გრამატიკიდან. მოსალოდნელი იყო აგრეთვე, რომ ფილადელფოსს ანტონ პირველის გრამატიკის ძლიერი გავლენა განეცადა. ახალგაზრდობაში მას ხომ "ღრამატიკა ქართული ვრცლად და მტკიცედ" უსწავლია იოსტოს ანდრონიკაშვილისაგან, რომელსაც 1787 წელს ანტონ პირველის გრამატიკა გადაუწერია. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვით, ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა თავად ფილადელფოსის მიერ გადაწერილი ანტონ პირველის გრამატიკის დიდი ნაწილი (97. 1-87). საკითხის გარკვევის მიზნით, კიკნაძის გრამატიკის დებულებები შევუდარეთ არა მხოლოდ ანტონის, არამედ მის საფუძველზე შექმნილი გაიოზის, ვარლამ ერისთავის, იოანე ქართველიშვილისა და სოლომონ დოდაშვილის გრამატიკების შესაბამის დებულებებს. შედარებისას, დასახელებული ნაშრომების გარდა ვსარგებლობდით ალ. ფოცხიშვილის მონოგრაფიით "ქართული ენათმეცნიერების ისტორია". ფილადელფოსის გრამატიკა ორიგინალური ნაშრომი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ძირითადად სარგებლობს იოანე ქართველიშვილის გრამატიკით (რომლის ორი რედაქციაა ცნობილი), თუმცა შიგადაშიგ ანტონის გრამატიკისკენაც იხრება. ფილადელფოს კიკნაძის გრამატიკა იწყება ტრადიციული განსაზღვრით:

ფილადელფოს კიკნაძე:
"ღრამმატიკა არს სწავლა კადნიერად ხმარებისა ლექსთასა საუბარსა შინა და წერისა."

იოანე ქართველიშვილი:
"ღრამმატიკა არს ჰსწავლა ხელმძღვანელი კანონიერ უბნობისა და მართლწერისადმი".

განსაზღვრას მოსდევს გრამატიკის ნაწილებად დაყოფა:

ფილადელფოს კიკნაძე:
"ღრამატიკა განიყოფების სამთა ზედა ნაწილთა:

ა.პირველი ასწავებს წარმოებასა ლექსთასა, ვითარებასა და შეცუალებასა მათსა.

ბ. მეორე ასწავებს თხზულებასა მათსა მებრ კადნისა თვისასა.

გ.ხოლო მესამე ასწავებს მართლ-მოუბნარობასა".

იოანე ქართველიშვილი:
"ღრამმატიკა განიყოფების სამთა ზედა ნაწილთა:

1. ეტიმოლოგიასა ზედა ანუ ლექსთწარმოებასა.

2.სინტაქსთა ზედა ანუ ლექსთთხზულებასა.

3. ორთოღრაფიასა ზედა ანუ მართლწერასა".

ფილადელფოსი გვაცნობს გრამატიკის ბუნების ოთხ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს: "რომლებიც არიან ა. ასო, ბ. მარცუალი, გ. ლექსი და დ.სიტყუა. §1 ა.ასო არს ღრამ ნაკუეთობა რაიმე შემადგენელი ყოვლისა წერილისა".

ფილადელფოსის გრამატიკა პირველ გვერდზე წყდება. ფურცლის მეორე გვერდზე ვხედავთ მინაწერებს, რომლებსაც გრამატიკასთან არაფერი აქვთ საერთო. მომდევნო ფურცელზე მოცემულია გრამატიკის განსაზღვრა: "ლექსი ესე ღრამატიკა არს ელინური, შემდგარი ორისაგან ლექსისა, ესე იგი ღრამისა და ნაკუეთისა, ღრამ ნიშნავს ხაზს. მატიკა ნაკვეთს და ამის გამო ქართულად გარდამოვალს ლექსი ესე მხაზუელობად.

§2

ღრამი არს სწორედ განზიდული ხაზი მარტივი. ნაკუეთი არს გაგვარება ხაზისა და სხუად შესახედავად. ამათგან წარმოდგების ყოველი წიგნი ასო, ანუ წერილი".

თუ ანტონ კათალიკოსი 40 ასოს ასახელებს, ფილადელფოსი, იოანე ქართველიშვილის მსგავსად, მხოლოდ ოცდაცხრამეტს, მაგრამ სხვაგვარად

აჯგუფებს მათ. იოანე ასოებს სამ ჯგუფად ჰყოფს - ხმოვნებად, ორხმოვნებად და უხმოდ. ფილადელფოსთან კი ოთხი ჯგუფი გვაქვს: ხმოვანნი, მოკლეხმოვანნი, ჩვილ ხმოვანნი და უხმონნი. ამასთან, როგორც ვხედავთ, ის საერთოდ არ ხმარობს ტერმინს - "ორხმოვანნი", რომელიც პირველად გაიოზ რექტორმა შემოიტანა.

ფილადელფოსის განსაზღვრით "ხმოვანნი იწოდებიან ასოდ, ხოლო უხმონი წიგნებად. ამათგან შედგებიან პირველ მარცვალნი. მარცვალთაგან შედგებიან ლექსნი. ლექსთაგან შედგებიან სიტყვანი - სიტყვათაგან ტაეპნი, მუხლნი, თავნი და სხვანი". მარცვალს ფილადელფოსი ასე განსაზღვრავს:

"მარცვალი არს შეერთება ასოთა წიგნთა თანა და შემძლებელი ერთისა გაგვარებულისა გამოხმობისა. მაგალ. მა-მა-კა-ცი". იოანეს მიხედვით, მარცვალთაგან წარმოდგებიან ლექსნი "რომელნიც აღნიშნავენ მოგონებათა ჩვენთა უბნობათა შინა". ალ. ფოცხიშვილი აღნიშნავს, რომ განსაზღვრაში "მოგონების" გამოჩენა გულისხმობს იოანეზე ანტონის გავლენას, მაგრამ ანტონის დებულება, რომ ლექსი არის მოგონების ნებისმიერი ნიშანი - აქ უგულებელყოფილია (137 .401). იგივე ითქმის ფილადელფოსის განსაზღვრაზე:

"ლექსი არს შეერთება მარცვალთა ცხად-მყოფი მოგონებისა: მაგალ. ქა-ლა-ქი-�ე-რუ-სა-ლი-მი....."

ფილადელფოს კიკნაძე:
"სიტყვა არს შეერთება ლექსთა ცხად-მყოფი სრულისა ჰაზრისა".

იოანე ქართველიშვილი:
"ლექსთაგან წარმოებს სიტყვა,- რომელიც არის ლექსთა მიერ შედგმული გამოთქმა უბნობასა შინა".

იოანე ქართველიშვილის გრამატიკის მეორე ნაწილი ლექსთწარმოებას, ანუ მორფოლოგიას ეთმობა.

ფილადელფოსის გრამატიკაში გამოტოვებულია მე-6, მე-7 პარაგრაფები და მე-8-ს დასაწყისი, რომლის გაგრძელება ასე იწყება: "რისა ანუ ნივთისასა", რაც ჩვენი აზრით, ზედსართავის განსაზღვრა უნდა იყოს. ზედსართავი სახელი იოანე ქართველიშვილის მიხედვით აღნიშნავს "ვითარებას ანუ მდგომარეობას პირისა ანუ ნივთისა". დასახელებული ორი გრამატიკის შედარება გვიჩვენებს, რომ ფილადელფოსის გრამატიკას სწორედ ის ნაწილი აკლია, სადაც სახელი უნდა იყოს განსაზღვრული. §9 ეძღვნება რიცხვით სახელს:"რიცხვითი სახელი აჩუენებს რიცხვსა ანუ რავდენობასა პირისა ანუ ნივთისასა: მაგალ. ერთი, ორი, სამი.

რიცხვითი სახელი განიყოფის ორად: რავდენობითად და წესებითად. რავდენობითი რიცხვითი სახელი აჩუენებს რავდენობასა. რავდენი არს პირი, ანუ ნივთი. მაგალ. ათი, ოცი. წესებითი რიცხვითი სახელი აჩუენებს წესსა, რომლითაცა პირი ანუ ნივთი ერთი მეორესა შეუდგების". აქ უნდა აღვნიშნოთ რომ, როგორც ალ. ფოცხიშვილმა დაადგინა, ტერმინი "რიცხვითი" ეკუთვნის ი.ქართველიშვილს, რომელმაც იგი ანტონის ტერმინების მოდელის მიხედვით შექმნა (137 . 404). ამ ტერმინზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ იგი კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ფილადელფოსის მიერ იოანე ქართველიშვილის გრამატიკის გამოყენების ფაქტს.

ფილადელფოს კიკნაძე:	იოანე ქართველიშვილი:
"ნაცვალსახელი არს ნაწილი	"ნაცვალსახელი არს ნაწილი
სიტყვისა, რომელიცა სიტყვათა	სიტყვისა, რომელიც სიტყვათა
შინა იხმარების ნაცულად სახე-	შინა იხმარების ნაცვლად სახე-
ლისა, ანუ დაიდების მასთანა".	ლისა ანუ დაიდების მასთანა."

ახლა უკვე ზუსტად შეგვიძლია ვთქვად, რომ ფილადელფოსს ამ შემთხვევაში უსარგებლია ქართველიშვილის გრამატიკის მეორე რედაქციით, რადგან პირველ რედაქციაში არა გვაქვს - "ანუ დაიდების მასთანა". რაც შეეხება ნაცვალსახელთა ჯგუფებს, ორივე რედაქციაში გვაქვს 6 ჯგუფი: 1 არსებითი, 2.ჩვენებითი, 3.მოგებითი, 4.კვლამოღებითი, 5.კითხვითი, 6.განუსაზღვრებელი ანუ კერძოობითი.

ეს ჯგუფები უცვლელად არის გადატანილი ფილადელფოსთან, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე განსხვავებას, რომ განუსაზღვრელი ნაცვალსახელები არ არის დამატებით განმარტებული სიტყვით "კერძოობითი".

შემდეგ მოდის ზმნა.

ფილადელფოს კიკნაძე:	იოანე ქართველიშვილი:
"ზმნა არს ნაწილი სიტყვისა,	"ზმნა არს ნაწილი სიტყვისა,
რომელიცა აღნიშნავს ყოფასა	რომელიც აღნიშნავს ანუ
ანუ მოქმედებასა ანუ ვნებასა	ყოფასა, ანუ მოქმედებასა და
პირისა ანუ ნივთისასა დროთა	ვნებასა პირისა
ქუეშე".	ანუ ნივთისა".

აქ ფილადელფოსი, ანტონ კათალიკოსის გავლენით ითვალისწინებს დროის ფაქტორს, რომელიც ი.ქართველიშვილმაც და გაიოზ რექტორმაც უგულებელყვეს. ი.ქართველიშვილი ზმნებს ჰყოფს კანონიერად და უკანონოდ, რაც ფ.კიკნაძესთან გამოდ ოვებულია. სამაგიეროდ, მნიშვნელობის მიხედვით ისინი ზმნებს ერთნაირ.ად აჯგუფებენ. ფ.კიკნაძე: "ზმნანი მნიშვნელობისამებრ თვისისა, განიყოფიან ხუთად:

არსებითად, შემოქმედებითად, ვნებითად, უმეშვეობითად, საშუალოდ". მცირე განსხვავება: ი.ქართველიშვილთან გვაქვს "საშუალოდ ანუ უმეშვეობითად". ტერმინი "საშუალო", ცხადია, ფილადელფოსმა ი.ქართველიშვილისაგან აიღო, რომელმაც თავის მხრივ ისარგებლა ვარლამ ერისთავის მიერ რუსულ ენაზე დაწერილ გრამატიკაში დადასტურებული ტერმინით "Средний".

ფ.კიკნაძე ამგვარად განსაზღვრავს ზმნის ჩამოთვლილ ჯგუფებს:"არსებითი ზმნა არს იგი რომელიცა აჩვენებს ყოფასა პირისა ანუ ნივთისასა. მაგალ. ვარ. ხარ. არს. ანუ ვმყოფობ, მყოფობ, მყოფობს:

შემოქმედებითი ზმნა არს იგი რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა პირისა, ანუ ნივთისასა, სხუასა მეორესა ზედა პირსა ანუ ნივთსა. მაგალითი, შევჰკრავ ანუ შეჰკრავ ანუ შეკრავს ანუ შევიყვარებ, ანუ ვსძარცვ.

ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა სხვისასა, მიმაჟალსა პირსა ანუ ნივთსა ზედა, მაგალითი შევიკერავ ანუ ვიყუარები, ანუ ვიძარცვები და სხვანი". ი.ქართველიშვილთან ვნებითი ზმნა უფრო ვრცლად არის განსაზღვრული: "ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიც აჰღნიშნავს ვნებასა წარმოებულსა სხვისაგან მეორისა პირსა ანუ ნივთსა და რომელიცა ცხადჰყოფს ვნებას წრფელობითსა შინა ბრუნვასა, ხოლო მოქმედებასა დაწყებითსა შინა მოქმედებითსა "ცოდვილი დაისჯების ღმრთისაგან".

დანარჩენ ზმნებსაც ფილადელფოსი იოანესთან შედარებით უფრო მარტივად განსაზღვრავს: "უმეშვეობითი ზმნა არს იგი რომელიცა არა აღნიშნავს ვნებასა, არცა მოქმედებასა ვინაითგან არა აწარმოებს ვნებითსა ზმნასა: მაგალითი მრწამს, მიყვარს, მაქუს.

საშუალო ზმნა არს იგი, რომელიცა მსგავსების შემოქმედებითისად და ვნებითისა, გარნა შემოქმედებითი არა აჩუენებს ვნებულსა პირსა ანუ ნივთსა და ეგრეთუე არცა ვნებითი მოქმედსა პირსა ანუ ნივთსა.

მდევარნი ზმნათანი არიან შვიდნი: ნაკუეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი და უღვლება". ნაკვეთი, ფილადელფოსთან, ისევე როგორც იოანესთან და სხვა გრამატიკოსებთან, ორია: მარტივი და რთული. მარტივის მაგალითი: "ვსიტყუაობ", რთულის მაგალითი: "კეთილ ვსიტყუაობ".

თუ ი.ქართველიშვილთან სახე სამია: პირველსახე, სხმით-გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი, ფ.კიკნაძე წერს:" სახისაებრ იქმნებიან ანუ პირველ სახე ანუ წარმოებული. პირველ სახე, მაგალითი ვსწერ.წარმოებული, მაგალითი აღვსწერ...."

შემდეგ ფილადელფოსი განმარტავს ზმნის რიცხვს, პირს, დროსა და სქესს: "რიცხვისაებრ იქმნებიან ზმნანი მხოლოებითი, ანუ მრავლობითი. მხოლოებითი

მაგალითი -ვსწერ, მრავლობითი მაგალითი -ვსწერთ. პირისაებრ იქმნებიან ზმნანი პირველი პირი ანუ მეორე პირი ანუ მესამე. პირველი პირი მაგალ. ვსწერ. მეორე მაგალ. ჰსწერ. მესამე მაგალ. ჰსწერს.

დროსაებრ იქმნებიან ზმნანი - აწმყო, ნამყო და მყოობადი. ნამყო დრო განიყოფება ოთხად: ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი და ნამყო უუსრულესი: აწმყო ვსწერ, ნამყო უსრული ვსწერდი. ნამყო სრული დავსწერე.ნამყო უსრულესი დამიწერია. ნამყო უუსრულესი დამეწერა. მყოობადი დავსწერო.

სქესისამებრ იქმნებიან ზმნანი ანუ საზღვრებითი ანუ ბრძანებით, ანუ საწადი ესე იგი ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი ანუ განუსაზღურებელი".

ფილადელფოსი ზმნის უღლებას ქართველიშვილზე დაყრდნობით გვიხსნის. ზმნებს დროთა მიხედვით დამაბოლოებელი ნიშნებით ჰყოფს: "უღლვილებისამებრ იქმნებიან ზმნანი შვიდ გვარად..."მაგალითების მოყვანის შემდეგ კიკნაძე მიმღეობაზე გადადის: "მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა ჰსწარმოებს ზმნათაგან და ხმარებული მსგავსად ზედ შესრულთა სახელთა აღნიშნავს მოქმედებასა, ანუ ვნებასა. მიმღეობანი არიან ოთხ გვარნი". ჩამოთვლის მიმღეობის სახეობებს: არსებითი, შემოქმედებითი, ვნებითი და საშუალო. შევნიშნავთ,რომ ქართველიშვილი საშუალოს ნაცვლად უმეშვეობითს ასახელებს.

ფ. კიკნაძე ახლა თანდებულს განიხილავს:"თანდებული არს ნაწილი სიტყვისა რომელიცა დაიდების სხვათა თანა ნაწილთა სიტყვისათა განყოფად ანუ შეერთებულად და თვით მხოლოდ თვით თვისით არა იხმარების..." აქვე ჩამოთვლის თანდებულს, რომლებიც "დაესხმიან ნაწილთა სიტყვისათა თავად ანუ ბოლოდ" ი. ქართველიშვილისაგან განსხვავებით, ფილადელფოსი არ გამოჰყოფს თანდებულთა ჯგუფს, რომელიც "ზედადებულად" იწოდება.

ზმნიზედის განსაზღვრა ფილადელფოსს სიტყვასიტყვით აღებული აქვს ი. ქართველიშვილის გრამატიკის მეორე რედაქციიდან: "ზმნის ზედა არს ნაწილი სიტყვისა რომელიცა დაესმის წინარე ზმნათა, ანუ მიმღეობათა და ოდესმე სახელ ზმნათაცა და ცხადყოფს ვითარებასა ანუ სხვასა გარემოებასა მდგომარეობისა და მოქმედებისა მათისასა".

ქართველიშვილის გრამატიკის პირველ რედაქციაში არ არის აღნიშნული, რომ ზმნიზედა მიმღეობას და სახელზმნასაც დაერთვის. ფილადელფოსი, ჩამოთვლის რა ცალკეულ ზმნიზედებს, ტექსტში არ ასახელებს ზმნიზედის ჯგუფებს, მაგრამ ეს ხარვეზი შევსებულია მის მიერ შედგენილ სქემაში, რომელიც მის გრამატიკას ბოლოში ერთვის.

სქემა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ზმნიზედას ფილადელფოსი 18 ჯგუფად ჰყოფს: ვითარებითნი, რაოდენობითნი, ადგილობითნი, რიცხვითნი, წესებითნი,

დამტკიცებითნი, უკუთქმითნი, ჰკითხვითნი, საიჭვონი, მსწრაფლობითნი, ხშირობითნი, შემკრებულობითნი, განკერძოებითნი, ჩვენებითნი, საწადნი, შემრჩობლებითნი, უთანამდებობითნი, მყუდროებითნი. ანტონ კათალიკოსი ზმნიზედის 22 ჯგუფს გამოჰყოფდა, გაიოზი – 16, ხოლო იოანე ქართველიშვილი – 19. ფილადელფოსი ამ შემთხვევაშიც ყველაზე ახლოს ქართველიშვილთან მიდის, თუმცა შეიმჩნევა მცირე განსხვავება: იოანესთან გვაქვს "კავშირებითნი", ფილადელფოსთან კი, გაიოზის გავლენით დარჩა "ხშირობითნი", ხოლო იოანესეული "თანამდებობითნი" ფილადელფოსთან ანტონისეული "უთანამდებობითნით" არის შეცვლილი. ახლა განვიხილავთ კავშირს.

ფილადელფოს კიკნაძე:
"კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელითაც შეერთ-დებიან ლექსნი ანუ სიტყუანი ურთიერთისა თანა".

იოანე ქართველიშვილი:
"კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აჰლნიშნავს შეერთებას ლექსთა ანუ სიტყვათა ურთიერთს შორის".

მნიშვნელობის მიხედვით კავშირის ჯგუფები ფილადელფოსის სქემაში უფრო ნათლად გამოიკვეთება, ვიდრე ტექსტში. ამრიგად, გვაქვს შემდეგი ჯგუფები: შეერთებითნი, განყოფილებითნი, უკეთუობითნი, მიშვებითნი, გარმიმღეობითნი, მიზეზობითნი, კიდურმდგებითნი, განმარტებითნი, მეტნობითნი, შედგომილებითნი, წინამავლობითნი, ე. ი. სულ თერთმეტი ჯგუფი. აქედან იოანესთან ვერ ვხედავთ ზოგ ჯგუფს, ზოგი კი ოდნავ შეცვლილი სახელწოდებით არის წარმოდგენილი. უფრო სწორად, ფილადელფოსთან არის შეცვლილი, რადგან სწორედ მან ისარგებლა იოანეს გრამატიკითა და არა პირიქით.

დაბოლოს, შორისდებული – ფილადელფოსის მიერ განსაზღვრული: " შორის დებული არს ნაწილი სიტყვისა რომელიცა აღნიშნავს სხვა და სხვათა მოძრაებათა სულიერისა ვნებისაგან". მნიშვნელობის მიხედვით შორისდებულებს ფილადელფოსი 12 ჯგუფად ჰყოფს: განკირვებითნი, სალმობითნი, შვებითნი, კიცხევითნი, შეურაცხებითნი, იდუმალებითნი, რისხვითნი, წოდებითნი, ღაღადებითნი, შეწყალებითნი, განმხმობითნი, ნატვრითნი. ეს ჯგუფები ზუსტად შეესაბამებიან იოანე ქართველიშვილის მიერ ჩამოთვლილ 12 ჯგუფს, რომლებიც მან თავად შეარჩია გაიოზის 8 და ანტონის 12 ჯგუფიდან.

ფილადელფოსის გრამატიკა ამით ამოიწურება, მსგავსად იოანე ქართველიშვილის გრამატიკისა, რომლის ტექსტის ბოლოს დაბეჭდილია: "დასასრული პირველისა ნაწილისა". ვფიქრობთ, ფილადელფოსს ეს წიგნი ჰქონდა ხელთ. მან, როგორც

ზემოთ ვთქვით, თავის ნაშრომს დაურთო სქემა, რათა მოსწავლეთათვის გაეადვილებინა მასალის შეთვისება: "სქემა პირველის ნაწილის ღრამმატიკისა, რომელიცა აჩუენებს ყრმათ მაგალითსა განყოფილებასა მათისასა მოკლედ, რომლითაცა უადვილესად შესაძლო არს ცხადად გულისხმისჰყოფა და ადვილად დანერგუად გონებასა შინა".

ფილადელფოს კიკნაძის "ქართული ღრამმატიკის" სამეცნიერო ღირებულება დიდი არ არის, მაგრამ ის მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან გვიჩვენებს ამ ისტორიული პიროვნების განათლების დონეს, მასალისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარს და ახალგაზრდა თაობის განათლებაზე ზრუნვას. ახლა გასაგები ხდება, რომ მასწავლებლობისაკენ მისწრაფება და ნიჭი აიძულებდა მას სოლომონ დოდაშვილისა და გიორგი ერისთავისთვის ეთხოვა მასწავლებლის ადგილის შოვნა თბილისსა და თელავში, მაგრამ ამაოდ. ფილადელფოსს სწამდა, რომ იგი საჭირო იყო ახალგაზრდებისათვის. გ.ერისთავისთვის მას ნაღვლიანად უთქვამს: "მე რომ გიმნაზიაში ვიყო მასწავლებლად, მრავალ სიკეთეს ჩაუნერგავდი ახალგაზრდა მოსწავლეებს". ცხადია, ფილადელფოსი მხოლოდ გრამატიკას როდი გულისხმობდა.

ფილადელფოს კიკნაძემ სამშობლოს შესწირა სიცოცხლე და თავისი მაგალითით ახალგაზრდებს გაცილებით მეტი სიკეთე ჩაუნერგა, ვიდრე ამას გიმნაზიაში მასწავლებლობით შესძლებდა.

§6. ფილადელფოსის შედგენილი "მთვარის ზედნადების გამოანგარიშების წესი"

მთვარის დაბადება-გავსება, ხალხის დაკვირვებით, ავ-კარგიანობაზე ახდენდა გავლენას, ამინდს კი სოფლის მეურნეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ითვლებოდა, რომ როგორი ამინდიც არის მთვარის გაბადება-გავსებისას, ისეთი ამინდი გასტანს შემდეგ გავსება-დაბადებამდე, ანუ ორი კვირის განმავლობაში (175 .40-41). მთვარის გამოანგარიშების ცოდნა ხალხისთვის პრაქტიკული მიზნებით იყო საჭირო. ამ ცოდნას საეკლესიო წიგნები იძლეოდა: „უკეთუ გენებოსთ, რათამცა ჰპოოთ, თუ რომელსა დღესა თვისასა განახლდების მთვარე, ქვემოთ კიბეთა ამათ შინა იპყარ მთოვარის მოქცევა ანუ ზედნადები მისი..." („ჟამნი").

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში „მთვარის ზედნადები" განსაზღვრულია როგორც ერთ-ერთი მონაცემი მთვარის ასაკის გამოსაანგარიშებლად და იმის გასარკვევად, თუ რა თვესა და რიცხვში მოდის აღდგომის დღესასწაული ამა თუ იმ წელს

(174.122.).

ფ. კიკნაძის ნამუშევარი იმით არის საინტერესო, რომ იგი იძლევა გამოანგარიშების ორი ხერხის შეპირისპირებას, მაგ.: „ეს რუსული ზედნადები ქართულის ზედნადების იქნება ყოველთვის სამით მეტი...“ (40.1), ან კიდევ: „თუ გინდა ქართული ზედნადების შეტყობა ყოველთვის როცა რუსული ზედნადები დააყენო იმას სამი მოაკელ და ის იქნება“ (40.1). ფილადელფოს კიკნაძის მიერ ჩამოყალიბებული გამოანგარიშების წესი, ცხადია, საუკუნეების მანძილზე არის შემუშავებული და ფ. კიკნაძის ორიგინალურ მიგნებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც ატარებს ფილადელფოსის შემოქმედებითი მიდგომის ნიშნებს:

“მთვარის ზედნადების გამოანგარიშების წესი

იანვარს არა აქვს არცა ერთი
თებერვალს 2
მარტს 1
აპრილს 2
მაისს 3
ივნისს 4
ივლისს 5
აგვისტოს 6
სეკდენბერს 8
ოკდონბერს 8
ნოენბერს 10
დეკენბერს 10

შეტყობა მთვარისა თუ რამდენი არის, იანვარს არა აქვს რა და არა დაჯდება რა. სხვა თვეებისა კი უნდა დაჯდეს, მაგალ., თებერვალს აქვს 2, გინდა შეიტყო თებერვალს 5-სა 1832-ს წელსა მთვარე რამთენისა იქნება, ამ წელსა აქვს ზედნადები რუსული 9. ეს რუსული ზედნადები ქართულის ზედნადების იქნება ყოველთვის სამით მეტი და ამგვარი მთვარის ანგარიში კი ყოველთვის რუსული ზედნადებით უნდა შეეიტყოთ. ქართულით არ მოვა. ამ 1832 წელსა ზედნადები არის ექვსი.

თებერვალს აქვს ორი. ხუთს თებერვალს რამეთენ არ უნდა იყოს დასვი ხუთი შეაერთე ცამეტის იქნება ხუთს თებერვალს 1832 -ს წელს მთვარე.

ოდესაც გინდა რომ შეიტყო მეორეს წელს 1833-ს რამთენი იქნება ზედნადები, წრეულისას 1833-ის წლისას მიემატა 9 — ზედნადებს 11 და ის იქნება და ყოველს წელს ესრეთ შეიტყობ. უნდა თერთმეტი მოუმატო ამავეს წელს და ის იქნება. თუ ოცდაათს გასცილდება ოც და ათი უნდა გაუშვა და რაც დარჩება ის იქნება და თუ სწორედ

ოცდა ათი იყოს ის იქნება. ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ 66 (გაურკვეველია - მ.ბ.) წელს ერთხელ მოვა ზედნადები. რუსული ზედნადების შეტყობა ეს არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მთვარის შეტყობა.

მეორე დანიშნე ერთი რომელიმე თვე რომლის რიცხვში მთოვარე დადგეს. მეორეს თვეში ერთს რიცხვს ჩამოდი და ეგრეთვე ყოველს თვე თითო რიცხვს ჩამოდი და თუ 31-ით თვე იყოს, მაშინ 2 ჩამოდი.

მაგალითი: დადგა მთვარე მარტის 11-ს გინდა შეიტყო აპრილის 15-ს რამთენისა იქნება მარტის 11 იყო ერთისა აპრილის 10-ს იქნება ერთისა და აგრეთვე უშორეს...

თუ გინდა მზის მოქცევა ყოვლის წლის შეიტყო ეს არის. მზე 280-ს წელში ერთხელ მოიქცევა. წრეულს არის 1832-ს წელს მზის მოქცევა 4. 1833 იქნება 5, 1834 იქნება 6 და ეგრეთვე უშორესად ვიდრე შესრულდებოდეს 28 წელი და შემდგომ ისევ თავიდამ მოყვება.

თუ გინდა მთვარის მოქცევა შეიტყო ეს არის მთვარე 19-ს წელიწადს ერთხელ ერთხელ თავიდანვე მოყვება ცხრამეტ წლამდის რიგზე მისდევს წრეულს 1832 წელს არის 6, მერმისს იქნება შვიდი და სხვანი. თუ მზის მოქცევა დაგავიწყდეს, მაშინ იმ წლის წელთა დასვი მოუმატე ოცი. განუყავ ოცდარვას და რაც ძირს დარჩეს ის იქნება იმ წელს მზის მოქცევა. მაგალითი:

```
          1832
 მოემატა   20
28        1852
         1681
          172
          168
          114  დარჩა 4
```

მთვარის მოქცევა თუ დაგავიწყდეს, მაშინ 1 მოუმატე იმ წლის 1 თვის რიცხვს და განუყავ 19, რაც ძირს რიცხვი დარჩეს იმას 3 გამოდი. კიდენ, რაც დარჩეს იქნება იმ წელს მაგალ.:

```
1832
   1
19 18, 3, 3|1
```

1832 სა წელსა არს ზედნადები რუსული 9. ამას ყოველთვეს 11 უნდა მიემატოს და ის იქნება მეორეს წელს და თუ ოდესმე ოცდა ათას გადასცილდეს ოცდა ათი გაუშვი და რაც ძირს დარჩეს ის იქნება თუ სწორედ ოცდაათი იყოს ოცდაათი იქნება >6 წელი-

წადში ერთხელ ოცდათერთმეტი მოვა ზედნადები რუსული, თუ გინდა ქართული ზედ-
ნადების შეტყობა ყოველთვის როცა რუსული ზედნადები დააყენო იმას სამი მოაკელ
და ის იქნება" (40. 1-4).

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

ა. გამოუქვეყნებელი და გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1457, რვეული I.
2. სცსსა, ფ. 1457, რვ. II.
3. სცსსა, ფ. 1475, რვ.III.
4. სცსსა, ფ. 1457, რვ. IV.
5. სცსსა, ფ. 1457, რვ. V.
6. სცსსა, ფ. 1457, რვ.VII.
7. სცსსა, ფ. 1457, რვ. IX.
8. სცსსა, ფ. 1457, რვ. X.
9. სცსსა, ფ. 1457, რვ.XI.
10. სცსსა, ფ. 1457, რვ. XII.
11. სცსსა, ფ. 1457, რვ. XIII.
12. სცსსა, ფ. 1457, რვ.XV.
13. სცსსა, ფ. 1457, რვ. XVI.
14. სცსსა, ფ. 1457, რვ. XVII.
15. სცსსა, ფ. 1457, რვ. XIX.
16. სცსსა, ფ. 1457, რვ. XX.
17. სცსსა, ფ. 1457, რვ. XXI.
18. სცსსა, ფ. 1457, რვ. XXIV.
19. სცსსა, ფ. 1457, რვ. XXV.
20. სცსსა, ფ. 1457, რვ. 40.
21. სცსსა, ფ. 1457. რვ. 42.
22. სცსსა, ფ. 1811, ანაწერი1, საქმე 1
23. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 2.
24. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 4.
25. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 5.
26. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 7.
27. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 8.
28. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 9.

29. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 12.
30. სცსსა, ფ 1811, ანაწ.1, საქმე 11.
31. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 13.
32. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 16.
33. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 17.
34. სცსსა, ფ. 1811, ანაწ 1, საქმე 18.
35. სცსსა, ფ. 1811, ანაწ.1, საქმე 22.
36. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 23.
37. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 24.
38. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 26.
39. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 27.
40. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 29.
41. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 30.
42. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 31.
43. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 34.
44. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 35.
45. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 40.
46. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 41.
47. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 42.
48. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 43.
49. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 46.
50. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 47.
51. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 48.
52. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 49.
53. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 50.
54. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 51.
55. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 57.
56. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 62.
57. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 63.
58. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 64.
59. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 66.
60. სცსსა, ფ. 1811, ანაწ. 1, საქმე 71.
61. სცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 111.
62. სცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 375.
63. სცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 3313.

64. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 2042.
65. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 2325.
66. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 2359.
67. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 2711.
68. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1. საქმე 2771.
69. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 2928.
70. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 3209.
71. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 3720.
72. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 3760.
73. სცსსა, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 4735
74. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 5, საქმე 2.
75. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 3, საქმე 13.
76. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 3, საქმე 14.
77. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 8, საქმე 43.
78. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 8, საქმე 62.
79. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 2, საქმე 385.
80. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 2, საქმე 391.
81. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 2, საქმე 402.
82. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 2, საქმე 405.
83. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 2, საქმე 425.
84. სცსსა, ფ. 500, ანაწ. 2, საქმე 434.
85. სცსსა, ფ. 1461, ანაწ. 1, საქმე 71.
86. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი A-1046.
87. ხელნაწ. A-1268
88. ხელნაწ. A-1396.
89. ხელნაწ. A-1544.
90. ხელნაწ. A-1570.
91. ხელნაწ. H-168.
92. ხელნაწ. H-253.
93. ხელნაწ. H-2765.
94. ხელნაწ Hd-11,161.
95. ხელნაწ.ROS-122.
96. ხელნაწ.ROS-145.
97. ხელნაწ.S-2784.
98. ხელნაწ.S-3732.

99. ახალი აღთქმა, ტფილისი, 1879.
100. ბაგრატიონი ი., კალმასობა. წიგნში: ქართული პროზა. წ. VI. თბილისი, 1984.
101. ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოისა. თბილისი, 1941.
102. ბაგრატიონი მ., ლექსები. წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. VIII, თბილისი, 1990.
103. ბათიაშვილი გ. შეთქმულება. (პიესები) წ. I.
104. ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921. თბილისი, 1980.
105. ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980.
106. ბერძნიშვლი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983.
107. ბიბლია. თბილისი, 1980.
108. გამეზარდაშვილი დ., ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1956.
109. გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბილისი 1957.
110. გ. გოზალიშვილი., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბილისი 1935.
111. გ. გოზალიშვილი., 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბილისი 1970.
112. გ. გოზალიშვილი., 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, თბილისი 1976.
113. გ. გოზალიშვილი., 1832 წლის შეთქმულების მასალებიდან, კრებულში: საქართველოს არქივი, წ. II, თბილისი, 1927.
114. გონიკიშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბილისი, 1986.
115. გოცაძე მ., ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 20-30 წლების მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი 1972.
116. დარჩია ბ., ბოლოსიტყვა, წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. VIII, თბილისი, 1990.
117. დევდარიანი კ. სიკვბუკე პოეტისა. წიგნში: ორი რომანი, თბილისი, 1988.
118. დოდაშვილი ს., თხზულებანი, თბილისი, 1961.
119. დოდაშვილი ს., თხზულებანი, თბილისი, 1989.
120. ვაშაყმაძე შ., რაფიელ ერისთავი, თბილისი, 1962.
121. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995.
122. თოდუა გ., XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. I, თბილისი, 1983.
123. კალანდაძე ა., ქართველ მწერალთა სახლმუზეუმებში, თბილისი, 1959.
124. კარბელაშილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელმთავარნი, თბილისი, 1990.
125. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VIII, თბილისი, 1962.
126. კიკნაძე ფ., მამულის სიყვარული, თბილისი, 1996.
127. კიკნაძე ფ., ქადაგება ქველმოქმედების შესახებ, თბილისი, 1997.
128. კუკავა თ., ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, წიგნში: ფილადელფოს კიკნაძე, სიყვარული მამულისა, თბილისი, 1996.

129. კუკავა თ., ფილადელფოს კიკნაძის „აქტი გონიური". წიგნში : კუკავა თ., ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან. თბილისი, 1967.
130. მეუნარგია ი., ქართველი მწერლები. ტ1. თბილისი, 1954.
131. პოლიევქტოვი მ., საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში. კრებულში: საქართველოს არქივი. წიგნი II, ტფილისი 1927.
132. ეამნი. თბილისი, 1710.
133. რადიანი შ., ახალი ქართული ლიტერატურა. თბილისი, 1954.
134. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. თბილისი, 1990.
135. სოხვაძე ბ., დეკაბრისტული მოძრაობა და ქართველი საზოგადოებრიობა. თბილისი, 1976.
136. სურგულაძე ა., ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა. თბილისი, 1968.
137. ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბილისი, 1995.
138. ფურცელაძე დ., ანდერძი ანტონ II საქართველოს კათოლიკოსისა, ტფილისი, 1890.
139. ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1977.
140. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბილისი, 1942.
141. ჩხეიძე რ., ალექსანდრე ორბელიანი, თბილისი,1997.
142. ჭავჭავაძე ა., ლექსები, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1881.
143. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბილისი, 1987.
144. ჭიჭინაძე ზ., ისტორია „ფარული საზოგადოებისა". ფილადელფოს კიკნაძე, ტფილისი 1919.
145. ჭიჭინაძე ზ., სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. სოლომონ დოდაშვილი.
146. ჭიჭინაძე ზ., სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი ფარული საზოგადოების წინაშე.
147. ხახანაშვილი ა., „ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე). გამოცემა მეორე, ტფილისი, 1917.
148. ხაჭაპურიძე გ., შრომები, II, თბილისი 1958.
149. ხომერიკი მ., ფილადელფოს კიკნაძის უცნობი ქადაგება ქველმოქმედების შესახებ. წიგნში: კიკნაძე ფ., ქადაგება ქველმოქმედების შესახებ, თბილისი, 1997.
150. ხომერიკი მ., ფილადელფოს კიკნაძის გრამატიკული ნაშრომი, თბილისი, 1997.
151. ხუციშვილი ს. „წერილები". წიგნში: სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1989.
152. ხუციშვილი ს., „წერილები". კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვეთი II, თბილისი 1945.
153. ჯავახიშვილი მ. არსენა მარაბდელი, თბილისი, 1989.
154. Акти собранние Кавказскою археологическою коммисиею. Т. VIII, Тифлис, 1881.
155. Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Тифлис, 1901.
156. Кирион. Две святыни в Кахетии и приделы Мцхетского храма, Тифлис. 1901.
157. Лебедев Н. Пестель идеолог и руководитель декабристов. Москва, 1972.
158. Орбели Р., Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР,

159. Папюс. Практическая магия, Москва, 1993.
160. Пыпин А. Русское масонство XVIII и первая четверть XIX в. Петроград, 1916.
161. Старцев В. За кулисами видимой власти, Москва, 1984.
162. Тарсаидзе Н. Исторические этюды. Тбилиси, 1972.
163. Хаханов А. Очерки по истории грузинской словесности, т. III, Москва, 1906.

გ. ჟურნალები

164. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება და რუსეთის ლიბერალური მოძრაობა, ჟურნ. „მნათობი" № 8, 1968.
165. კეკელიძე კ. იერემია იბერიელი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე IX. 1925. ტფილისი, 1928.
166. კერესელიძე ი., კახეთში მოგზაურობიდან ჟურნ. „ცისკარი". 1861. აგვისტო VIII.
167. ხომერიკი მ., „აქტი გონიერის" ფარული მიზანი. საისტორიო ალმანახი „ალილო" 1997, № 1.
168. ხომერიკი მ., ფილადელფოს კიკნაძის შესახებ ახალი გამოკვლევის გამო. საისტორიო ალმანახი „ალილო", 1998, № 2.
169. ყოლოგუა თ., ერთი უმართებულო მტკიცების გამო. ჟურნ. „ალდე-ყარი". 1992, № 1.
170. Гоцадзе М., К вопросу о датировании возникновения московской ячейки заговора 1832 года. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X.

დ. გაზეთები

171. ყარბელაშვილი პ., ბერი ფილადელფოს კიკნაძე. გაზ. „ივერია", 1903 წ., № 29.
172. ჭიჭინაძე ზ., ფარული საზოგადოების მოქმედნი პირები. ფილადელფოს კიკნაძე. გაზ. „ტრიბუნა", 1922, № 194.
173. ჭიჭინაძე ზ., ფარული საზოგადოების მოქმედნი პირები. ფილადელფოს კიკნაძე. გაზ. „ტრიბუნა", 1922, № 195.
174. ხომერიკი მ. ქართველი სამღვდელოების დარბევა. გაზ. „სახალხო განათლება". 1990, 31 მაისი.

ე. საცნობარო ლიტერატურა

175. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1928 წლისათვის. ტფილისი.
176. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. თბილისი. 1991.
177. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. თბილისი. 1993
178. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. IV. თბილისი 1959.
179. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I. თბილისი. 1975.
180. Еврейская энциклопедия. Т. XII.
181. Словарь библейского богословия, Брюсель, 1974.
182. Толковая библия, Т. II. Петербург. 1908-1913.
183. Ф.А. Брокауз, И.А. Ефрон, С. Энциклопедический словарь, Т. XXXVII, Петербург, 1887.

სარჩევი

შესავალი 3

თავი I. ფილადელფოს კიკნაძე ეროვნული მრწამსის ჩამოყალიბებამდე.

§ 1. ფილადელფოსის აღზრდა-განათლება 9

§ 2. ფილადელფოს კიკნაძე რუსეთში 13

თავი II. ფილადელფოს კიკნაძე და 1832 წლის შეთქმულება

§1. ფილადელფოსი — ოქროპირ ბატონიშვილის თანამზრახველი 36

§ 2. ფილადელფოსის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა კახეთში 42

§ 3. ფილადელფოსის დაპატიმრება და გარდაცვალება 84

თავი III. ფილადელფოს კიკნაძის თხზულებები

§ 1. „აკტი გონიური“ 99

§ 2. „ბოდებანი იერემიასი ძისა ენეისნი — ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა აწინდელსა ზედა“. 119

§ 3. „სიყვარული მამულისა“ 125

§ 4. ფილადელფოს კიკნაძის ქადაგებები 128

§ 5. ფილადელფოს კიკნაძის გრამატიკული ნაშრომი 132

§ 6. ფილადელფოსის შედგენილი „მთვარის ზედნადების გამოანგარიშების წესი“. 139

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია 143

Georgian Academy of Sciences,
I. Javakhishvili Institute of
History and Ethnography

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Manana Khomeriki

A participant of the conspiracy of 1832 year - the monk Philadelphos Kiknadze

"mematiane"

Tbilisi
1999

წიგნი დაიბეჭდა ავტორის სარჯით.

ფასი სახელშეკრულებო

ქაღალდის ზომა 30X42
ნაბეჭდი თაბახი 9.5

დაბეჭდა შპს. საქართველოს პროფგაერთიანების სტამბა „პოლიგრაფიაში"
მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა